

კვირის პალიტრა

გზა

გედოგა — რუმორ
ავინდინოთ
ნაგვრა



N1(186) 1/1-7/1.2004. ვანი 60 ტ.




ეყოლება თუ არა საქართველოს პრეზიდენტი

გარეული — „ნელს გასათხოვარ გომონებს ვურჩევ...“




როდის იტაკვებან სარიალ „მუსკულაბუი“ ტიგვლაბი






კოლორიტი — ფარდინანდ ლორთქიფანიკა ანუ სად იკრიბებინან ჩოხოსნებუი

უკვე გამოვიდა
 „ქვირის პალიგრა“
 კვლევის
 მოსახვევი
 კალენდარი



ახედე, შეგიძლიათ შეიძინოთ ჯაჭვით,
 ბავშვითა და წამყრილებით ყველგან



მინიატურები

საახალწლო ბიზნესი ანუ
თოვლის ბაბუა გამოკახებით 3

ერთი ჰიტოვა

ღვინისწაული, განწყობილება,
იგელები... 4

წლების მიჯნაზე

ეყოლება თუ არა იანვარში
საქართველოს კრედიტინი? 6

აინონა-დაინონა

„გვიწოდებ ჩემთვის ახლა
ყველაზე მეტად ფანსებს“ 8

სასიყმე-საპატარავლო

- „ცოლი ბინდა, ბიჭო, ცო-ლიიი!“ 9
- „ჩემთვის ბინდა,
მამაჩემთვის ხო არა!..“ 9
- „ჯუნგლების ფიჭია გახლავართ“ 11

ქოლორიტი

იაკონის გიგრი
ფერდინანდ ლორთქიფანიძე
ანუ სად იკრიბებიან ჩოსოსნები 13

მარჩილი

„ბასათხოვარ გოგონებს ვურჩევ
– გააქტიურდით!..“ 18

ანტილერკანატი

ინფორმაციულ-შემეცნებითი
კოლაჟი გოგა ღვალის
უბის წიგნაკიდან 20

სერიალი

„ნიჭიერ გოგონებს ვეძებთ არა
მხოლოდ სერიალში გადასაღებად“... 20

თევა

ბედობის ღღე 23

ოსტატი

ესპანეთის ჩემპიონი თბილისის
მერიამი მოხელედ მუშაობს 26

გზავნილები

„საახალწლო სურვილი
რამდენიმე წაგვი ამისლა“ 28

ტრადიციები

„ჩიტი შემოქლა ღობესა“...
ანუ როგორ ხვდებოდნენ
წინათ ახალ წელს 30


ვემოქველი

კოკულარული სიმღერების
ავტორს საარჩევნოდ ღაწერილი
ჰიმნის ტექსტი მოჰპარეს 32

ტაპარი

სასწაული განსასწავლად
და რწმენაში
განსამტკიცებლად გვეპოვა 34

**ბედობის ღღე - ახალი წიგნი,
მარილიანი კვები, სარკმელში ნანახი საგელო...**



ეს იმდენად დაუჯერებელი ამბავი გახლდათ, რომ მთელი სოფელი ჩვენს ცოცხზე ალაპარაკდა. ყველაზე საოცარი კი ამ ამბავში ის იყო, რომ ახალი წლის წინა ღღეებში, მეზობელი სოფლებიდანაც კი მიდიოდნენ მამაჩემის ბიძაშვილთან და სთხოვდნენ, რაც შეიძლებოდა მეტი ცოცხი გაეკეთებინა.

23


**იაკონის გიგრი ფერდინანდ ლორთქიფანიძე
ანუ სად იკრიბებიან ჩოსოსნები**

აშშ-ში ჩვენი დელეგაციის ჩასვლა პრესითა და ტელევიზიით შექცებოდა, ამიტომ იქ მცხოვრები ქართველები აეროპორტში დაგვხვდნენ, მათ შორის – გოგი ბიძიაც. გამეცნო. რამდენჯერმე სუფრაზეც მიმიპატიჟა. მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ...



13

**„ნიჭიერ გოგონებს ვეძებთ არა
მხოლოდ სერიალში გადასაღებად“ ...**




– იცოდე, ამ ინტერვიუს, ჟურნალში დაბეჭდილს რომ ვნახავ, ეგ შენი „მართლა“ უნდა წავიკითხო. აუცილებლად გქონდეს ეს ჟურნალი, რომ მაგ შენი „მართლასი“ შეგრცხვეს!.. ჰმ, „მართლასი“? 2002 წლის საუკეთესო გეჟსტის ავტორის პრიზი მაქვს ადებული!

20

**„ჩემთვის ბინდა,
მამაჩემთვის ხო არა!..“**

მიიწურა 2003 წელი. ჰოდა, მეც გადავწყვიტე, ჩვენს მკითხველს რუბრიკა „სასიძოსა“ და „საპაგარძლოს“ მცირე მიმოხილვა შევთავაზო.

ბინდა დავასახელო „რეკორდ-მენი“ რესპონდენტები. ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე გავიდა მოდელი ნინო ორდენიძე – მან 2600 გამოსმაურება მიიღო...



9

სასარგებლო აზრები	
აფორიზმების ენციკლოპედია	35
ფაქტობრივად	
პაპელ ნელვადი კონტინენტის	
საუპიეთესო ფახაურთელია	36
ბორონი	40
რომანი	
რუსულან ბერიძე.	
თავისუფალი თემა (ბაბრძელები)	42
ავტო	46
ვარსკვლავები	
ბანუმიორბეალი ქალბატონები,	
რომლებიც ასე	
კვანანან ერთმანეთს...	48
ფიქრები	
ლამაზი სანახორა	
თუ საშიში ბართობა?	51
ასტროლოგია	
• ახირებული მაიმუნი ღაბაღაბის	
ღღეს ბილოცავთ!	52
• მაიმუნის 2004 წლის	
სიურპრიზები გოლიაქოს	
აღმოსავლური ნიშნებისათვის	53
საქიტხავი ქალაქისათვის	54
იუმორი	56
ჯანმრთელობა	
• სრულყოფილი ქალბატონი	57
• ალკოჰოლური ინტოქსიკაცია	58
• თუ დიეტაზე ხართ	59
• ალერგია შამპანურზე	59
ჰოროსკოპი	
2004 წლის	
ასტროლოგიური პროგნოზი	60
სქანოვანი	61
მოუბიჯენი	
„შაირის“ დამდგელი	
ღათო ევგენიძის მუსიკის	
„ბაქალიკებას“ აპირებს	62
ტანტი	
საჩუქრის მიხედვით	
ალამიანის ხასიათის	
ბამონცნობა შეიძლება	63
კალენდრული	
ჩრდ-ჩრდილი ამბები	64

პოპულარული სიყვარულის აბორის საარჩევნოდ დაწერილი ჰიმნის ტექსტი მოჰყავს...



32

კლიპი გელევეთრში გასულა და ყველამ იცოდა, რომ ტექსტი ცოტნე ბაკურიას ეკუთვნოდა... მაშინვე დავურეკე და... მერე თვითონ დამირეკა და მითხრა: დღეს პრესკონფერენციას ვმართავ და იქ გამოვაცხადებ, რომ ვიხუმრებო...

მსკანეთის ჩაპიონი თბილისის მერიასი მოხელედ მუშაობს

კასპაროვს გადავუღაპარაკე: ახლა ხომ შეგვიძლია დავლით-მეთქი? მან მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო დალია, ჩვენ კი გვითხრა: ახლა, რაც გინდათ, ის ქენითო... თქროს-გან დამზადებული ეს ნაკეთობა თეთრი და შავი ბრილიანტებით იყო გაწყობილი და მილიონი დოლარი ღირდა. მოგვიანებით, გარი კასპაროვმა ის გაყიდა...



26

ბანუმიორბეალი ქალბატონები, რომლებიც ასე კვანანან ერთმანეთს...



ორივე - შეღებილი ქერაა. ორივემ ძალზე ადრე მიაღწია წარმატებას. ორივე სისტემატურად ხვდება ყველაზე უკეთესონ ჩაცმული ვარსკვლავების ყოველწლიურ სიაში. ორივეს უყვარს მეგამორფოზები და პრეგენზიული ცეკვები. საოცარი მსოლოდ ისაა, რომ...

48

თავისუფალი თემა

- კარგი, ჩემო სიცოცხლე, ნუ ნერვიულობ, - შეწუხდა ამირანი. - გავაცვილებ ბატონ ირაკლის და მაშინვე შენთან გავერდები... ბატონო ირაკლი, - მიუბრუნდა ის შემდეგ ირაკლის. - ძალიან ცუდად კი გამოდის, მაგრამ ამ ერთხელ უნდა მაპატიოთ...



42

ბარბაკანაზა: ბიორგი შორაშორიანის კოლაში
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
 გამომცემის კვირაში ერთხელ, სუთუაბათობით
 გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატება
 ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
 მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
 ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
 ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

სახალწლო მიზნის ანუ ოცლის ბანუ გამოსხენი...



ახალი წლის დღეებში იმდენნაირი მომსახურების რეკლამა ცხადდება, რომ აღარ იცი კაცმა, რომელს მიმართო: ვინ კლოუნებით ბინაზე მომსახურებას გათავაზობს, ვინ კი საკუთარ რესტორანში გეპატიჟება, სადაც მართალია, ექვსის ნაცვლად სულ სამი ნაჭერი მწვადია შემფურზე, მაგრამ საახალწლო ფასდაკლების წყალობით, ნახევარ ფასში მოგართმევენ... მეც სულმა წამძლია, სათაურმაც მომიხილა და ტელეფონზე ის ნომერი ავკრიბე, – „სნეგუროჩკები გამოძახებით“ რომ ეწერა. რა დამიჯდება-მეთქი, რომ ვიკითხე, მიპასუხეს – პოზას გააჩნიაო... და მეც ერთ პოზაში დავრჩი: – ეს რა აზრი მომაწოდეს „სნეგუროჩკებმა“!

ჰოდა, გადავწყვიტე, მეც გამეკეთებინა, „ორი კაპიკი“ საახალწლო ბინისის წყალობით და თოვლისბაბუბა ვიკისრე. რეკლამაში ისიც მივუთითე, საჩუქრები ძვირი არ დაგიჯდებათ და თითქმის ლილოს ფასში მოგართმევთ-მეთქი... დედა, ატყდა წიოკი, მარა რა ატყდა! ვინ არ დამირეკა, მაგრამ ყველგან ზომ ვერ მივიღოდი?! ამიტომ ცნობილი ადამიანები ამოვარჩიე და კარდაკარ ჩამოვუარე...



პირველად, რა თქმა უნდა, იმ გადაყენებულ „ფერმის გამგეს“ ვეწვიე, რძე-გამშრალი ძროხები რომ ჰოლანდიური ჯიშის გიგანტებით შეცვალა და მანც არაა ჩვენი საშველი. ბავშვივით გაიხარა მოხუცმა „თოვლის ბაბუის“ დანახვაზე, ხელი ჩამკიდა და ჯერ ნაძვის ხესთან მიმიყვანა, მერე სათამაშოები დამათვალიერებინა, ბოლოს სამეცადინო მაგიდაც მაჩვენა, წერას ახლა ვიწყებო... მე კი საჩუქრად ჩაიდანი შევთავაზე. ჯერ შეეშინდა – იმ დღის მერე ჩაის ვეღარ ვიტანო, მაგრამ აუხსენი, – ამით ვარდების მორწყვაც შეიძლება-მეთქი და გაუხარდა...

ქვეყნის თავდაცვის უალტერნატივო გარანტს „რაგატკა“ ვაჩუქე. ისე გაუხარდა, რომ სასწრაფო პრესკონფერენციაც კი მოიწვია და ამაყად განაცხადა: – ისეთი იარაღი მაქვს, რომ შაშვი და სკვინჩაც კი ვერ შემოფრინდება ჩრდილოეთიდანო.

ყოფილ სოციალისტს, დღეს რომ კაპიტალისტობს, „კასკა“ მივართვი. ჯერ გამძლეობა გაუხსინჯა, რამდენიმე ვაზა და საფერფლე თავზე გადაიმტვრია და... მაღლობა მერე გადამიხადა...

ყველაზე მოწყენილად ყოფილი „მთავარი პრავდნიკი“ გამოიყურებოდა: ერთ დროს, „მატარებლების მბრძანებელი“ ახლა ჩახსნილი ვაგონივით იჯდა კუთხეში მარტო და „გარდასულ დროთა მოსაგონარს“ სვამდა. ჩემს დანახვაზე ამოიხვნეშა და მითხრა: – ეჰ, რა დრო დადგა?! ახალ მატარებელზე პლაცკარტის ბილეთიც კი ვერ მიშოვიანო...

მეც სწორედ ეს ბილეთი მქონდა მისთვის განკუთვნილი. მართალია, „ბაკავოი კოიკა“, მაგრამ გვერდზე გამდგარი კაცის პონტში, არ დაიწუნება...

არც სხვები დავივიწყე: „ლეიბორისტული (შრომის) პარტიის“ პირველ „უროს“ მათემატიკის სახელმძღვანელო ვაჩუქე: სანამ „შრომას“ ფრჩხილებს გარეთ არ გაიტან, პრეზიდენტობაზე ტყუილად ოცნებობ-მეთქი...

ჩოლოქისგადმელ „სანტა-კლავსთან“ ჩასვლას, რა თქმა უნდა, ვერ მოვასწრებდი, ამიტომ მისალოცი ბართი გავუგზავნე და შიგ ჩავუწერე: „იმედი მაქვს, ძვირფასო კოლეგავ, რომ შენი „პატარები“ საჩუქრად საარჩევნო ბიულეტენებს მიიღებენ“.

ამასობაში ღამის 12 საათიც მოახლოვდა და ახალ ხელისუფლებას უყურადღებოდ ზომ არ დავტოვებდი?! შეხმატკბილებულ ტრიოს ერთად მოეყარა თავი და ისეთი ყვლმოდერებით მღეროდნენ, – ვარდზე მეტი ეკლები აქვთ ლამაზებსო, თვალზე კურცხალი მომადგა.

ნაძვის ხეც სულ ვარდებითა და ერთჯერადი ჩაის პაკეტებით იყო გაწყობილი.

სამეულმა თავიდან კი „გაარჩია ხმები“ კარგად, მაგრამ „მისამღერში“ ისე აირივნენ, რომ კინაღამ დახოცეს ერთმანეთი „პირველი ხმი-

სათვის“. მანამ არ დაშოშინდნენ, სანამ საჩუქრები არ დაეკრივე.

მართალია, დირიჟორის ჯოხი მინისტრების დღევანდელ უფროსს შეხვდა, მაგრამ 4 იანვარს ასარჩევმა მზეჭაბუკმა ისე გაიხარა ახალი მატარებლის შემანქანის ქუდით, რომ „პუ-პუ...“-ო, „პარავოზივით“ დაჰკივლა და „ჩუქუ-ჩუქუთი“ გაგვიძღვა წინ. ჩვენც ვაგონებივით ჩავებით და დიდხანს ვიმიზიარულეთ.

აი, ასეთი მაღლიანი პროფესიაა თოვლისბაბუბა... მართალია, სეზონურია და ერთი „აყვავების“ მერე მთელი წელიწადი უფასო შვებულებაში ხარ, მაგრამ „ბავშვების“ განარებად ეს ნამდვილად ღირს...

P.S. პრეზიდენტობის კანდიდატი ახალი წლის ღამეს ნაძვის ხესთან წერილს ტოვებს: „ძვირფასო თოვლის ბაბუავ, გთხოვ გამხადო პრეზიდენტი“...

დილით გაღვიძებულს ხვდება წერილი: „მე თოვლის ბაბუა ვარ, ცესკოს თავმჯდომარე კი არა!“

პროვოკატორი

დღესასწაული, განწყობილება, იმედები...

2003 წელი ბევრისთვის წარმატებული აღმოჩნდა და ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ბევრს უკეთესი მომავლის იმედი ჩაესახა. ვინ რა განწყობით ეგებებოდა 2004 წელს და როგორ აპირებდნენ ახალწლის ღამის გატარებას პოპულარული ადამიანები? — ამის გარკვევას ნინოსწარ შევეცადეთ და იმითიც დავინტერესდით, თუ როგორ აფასებენ პოლიტიკოსები განვლილ 2003 წელს.

ნინო ჯავახიშვილი

კოტე კაეშულარია:

— კვლავ საბრძოლო განწყობილება გვაქვს, რადგან ჯერ არაფერი დამთავრებულია — წინ საპრეზიდენტო არჩევნები გველის. ბევრი შრომა მოგვიწევს. სამწუხაროდ, ბევრია ავისმოსურნი, რომელიც დაკარგული სკამისა და თანამდებობის გამო ყველაფერს გააკეთებს დღევანდელი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. დიდი სიფხიზლე გემართებს ყველას, რათა რასაც მივალწიეთ, ერთი ხელის მოსმით არ დაგვარგოთ... ბევრი მეკითხება — მაინც ვინ იყო შარშან თქვენი მეკვლე, ასეთი წარმატებული წელი რომ გქონდათო?... მეკვლედ შუათანა ვაჟიშვილი — ირაკლი იყო და წელსაც ის იქნება. ჩემს ხალხს კი, ბედნიერ ახალ წელს და სიმშვიდეს ვუსურვებ!

სანდრო ბრეზაძე:

— ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ დიდი ბედნიერებაა, ახალი წლის ღამეს ტელევიზორს რომ ჩავრთავ და შევარდნადის სახეს აღარ დავინახავ. 32 წლის კაცი ვარ და ამაზე ბედნიერი და კარგი ახალი წელი ჯერ არ გამთენებია! მატერიალურად სახარბიელო მდგომარეობაში არ ვარ — მიჭირს, როგორც ყველას. დეპუტატებს ხელფასებს არ გვაძლევენ და ცუდ დღეში ვართ... როგორც წესი, ახალი წლის დადგომას ჯერ ოჯახში აღვნიშნავ, მერე კი მეგობრებთან ერთად საღამო საქეიფოდ წავალ.

მარინა მოლოდინი:

— სამწუხაროდ, საახალწლო განწყობილება არა მაქვს, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებში აქტიურად ვარ ჩამოყალიბებული. მთაში ძველით ახალ წელს ზეიმობენ და ალბათ მაშინ უფრო მექნება საახალწლო განწყობილება. ყოველ ახალ წელს მივლივართ ფასანაურში, სადაც კობას (მეუღლე. — ავტ.) მოხუცი დედა ცხოვრობს. 31 დეკემბერი ერთადერთი დღეა, როდესაც კობა სამზარეულოში ტრიალებს. უნდა გითხრათ,

რომ დიდი სიამოვნებით მივირთმევ მისი ხელით ნაკვერჩხალზე შემწვარ მწვადს... ჩვენი მეკვლე ყოველ წელს კობას მეჯვარე — ილია ქავთარაძეა, ძალიან კარგი ფეხი აქვს. ჩემი გათხოვების შემდეგ ყველაფერი — კარგიც თუ ცუდიც მის ფეხს ჰბრალდება. შარშან ვეუბნებოდი — წელს თუ ცუდად წავიდა ჩვენი საქმე, იცოდე, მაგ ფეხს მოგამტვრევ-მეთქი, — და როგორც ხედავთ, გადარჩა... ახალი წლის დღეა იწყება იმით, რომ მეკვლე კარს აღებს და თოვლს შემოყრის ხოლმე ოთახში. ბავშვები ორი კვირით ადრე სწერენ წერილს თოვლის ბაბუას და საჩუქრებს „უკვეთენ“. ჩვენი სახლის წინ ერთი პატარა ხე ღვას, რომელზეც თოვლის ბაბუა საჩუქრებს კიდებს... ბოლო დროს, ბავშვებს ეჭვი გაუჩნდათ — მართლა მოდიოდა თოვლის ბაბუა თუ არა? — და გადაწყვიტეს, ჩაუსაფრდნენ, რათა ბოლოს და ბოლოს დარწმუნდნენ — არსებობს თუ არა თოვლის ბაბუა.

ზია ხვიციანი:

— ახალ წელს 13 იანვარს აღვნიშნავთ ხოლმე. ახლა მაინცდამაინც საზეიმო განწყობილება არა მაქვს. საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ვარ ქვემო ქართლში და საქეიფოდ დრო არა მაქვს.



ბევრი მეკითხება — მაინც ვინ იყო შარშან თქვენი მეკვლე, ასეთი წარმატებული წელი რომ გქონდათო?

იმედია, ძველით ახალ წელს, საზეიმოდ გვექნება საქმე და შიმშილობა ნამდვილად აღარ მომიწევს...

მირაზ სიფაშვილი:

— 12 საათს ყოველთვის შინ ვხვდებით და მერე გავდივართ ან მეგობრებთან, ან რესტორანში. უკვე რამდენიმე წელია, ახალ წელს მუშაობა მიწევს და ამიტომ იძულებული ვარ, ოჯახთან ერთად რომელიმე რესტორანში აღვნიშნო მისი მობრძანება. საახალწლო სამზადის მთლიანად ჩემი მეუღლე იღებს საკუთარ თავზე — ბაზარში წასვლითა და კერძების მზადებით დაწყებული და ნაძვის ხის მორთვით დამთავრებული. ჩემი მოვალეობა მხოლოდ და მხოლოდ ნინოს დაფინანსებაა. შინ რომ შევდივარ, ყველაფერი მზამზარეული მხვდება. ძალიან მიყვარს საცივი და მხალეული, რომელიც ყოველ წელს ამშვენებს ჩვენს საახალწლო სუფრას.

რამდენიმე წელია, ერთი და იგივე მეკვლე გვყავს — ნინოს ბიძაშვილი ვასიკო მაისურაძე. კარგი ფეხი აქვს და ამიტომაც არ ცვკვით. სხვათა შორის, ჩემზეც ამბობენ — კარგი ფეხი აქვსო და ადრე, ძალიან ბევრი მეპატიუებოდა მეკვლედ, მაგრამ ამ „საქმიანობას“ უკვე თავი დავანებე — 31 დეკემბერს ვმუშაობ, პირველ იანვარს — მძინავს და უბრალოდ, ვერ ვახერხებ მეკვლედ მისვლას...

ფიქრია ჩინრაძე:

— 2003 წელს, მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა და ამ ყველაფერს სერიოზული გაცნობიერე-



შარშან ჩემი მეკვლე ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ წელს აღბათ აღარ დავეპატიებ



ახალი წლის დამეს, ოჯახის წევრები ერთმანეთისგან ინტერვიუებს ვიღებთ



„რამდენიმე წელია ერთი და იგივე მეკვლე გვყავს...“ მერაბ სეფაშვილი მეუღლესთან ნინოსთან ერთად

ბა სჭირდება. თუ დღეს კარგად არ გააცნობიერე ყველაფერი, რაც მოხდა, ძნელი იქნება მომავალში სწორი ნაბიჯების გადადგმა. საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინმა საახალწლო განწყობა „ჩაყლაპა“. საერთოდ ვერ ვგრძნობ სიხარულს, არადა, ძალიან მიყვარს ეს დღესასწაული და ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადდები ხოლმე. ბავშვობიდან მოყოლებული, მუდამ თვითონ ვრთავდი ნაძვის ხეს. კერძების მომზადებაში არც ადრე ვმონაწილეობდი და წელსაც თუ ავიცილებ თავიდან, გამიხარდება... შარშან ჩემი მეკვლე ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ წლეულს ალბათ აღარ დავპატიჟებ (იციინს)... მე თვითონ კარგი ფეხი მაქვს, სშირად მეპატიჟებოდნენ მეკვლედ, მაგრამ მერე უარი ვთქვი მეკვლეობაზე – ყველგან მისვლას ვერ ვასწრებდი და ამის გამო კონფლიქტური სიტუაციები იქმნებოდა: ბევრს სწყინდა – რატომ ჩემთან არ მოხვედით?..

დამურ ბიორხელიძე:

– ახალი წელი ყოველთვის სიხარულისა და იმედების მომტანია და წელსაც ასეა. პესიმიზმის საფუძველი პრინციპში, არც არსებობს, რადგან ის, რაც ხდება, წესით, ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს და ყველაფერი კონსტიტუციურ ფარგლებში უნდა ჩაჯდეს. ღირსება არ უნდა შეელახოთ ადამიანებს, რომლებიც უკეთესი მომავლის იმედით დღე და ღამე პარლამენტის წინ იდგნენ. ტრადიციისამებრ, ამ ახალ წელსაც ოჯახში შევხვდები. სიმართლე გითხრათ, თამადაობაზე მეტად, ინდაურის დაჭრის პროცესი მომწონს, თუ რა თქმა უნდა, ამის საშუალება არსებობს... ყოველ

წელს, ინდაურს მე ვჭერი და კიდეც – მართალია, შვილიშვილისთვის 365 დღე „თოვლის ბაბუა“ ვარ, მაგრამ ახალ წელს მაინც გამორჩეულად ვასაჩუქრებ. რაც შეეხება მეკვლეობის ინსტიტუტს – საამისოდ არავის ვიწვევთ ხოლმე, ამიტომაც ჩემი მეუღლე გაფაციცებით ელოდება, ვინ მოვა – ემინია, ვინმემ ისეთმა არ დააკუნოს, ვისი სტუმრობაც ცუდად „დაგვიჯდება“. გულწრფელად რომ გითხრათ, მირჩევნია, საკუთარ ოჯახში მეკვლე თვითონ ვიყო.

ნინო იოსელიანი:

– ახალი წლისთვის დიდი სამზადისი გვაქვს ხოლმე. მარტო ნაძვის ხეს კი არა, მთელ სახლს ვრთავთ ნაირნაირი სათამაშოთი. 10 წელზე მეტია, ერთი ასეთი ტრადიცია გვაქვს – ახალი წლის დამეს, ოჯახის წევრები ერთმანეთისგან ინტერვიუებს ვიღებთ: ერთმანეთს ვეუბნებით, როგორი იყო გასული წელი, რა მოხდა მნიშვნელოვანი, სამომავლოდ რა გეგმები გვაქვს და ა.შ. ამას ჩემი და – ეკა ვიდუოკამერით იღებს, მე კი – ჟურნალისტის როლს ვირგებ... კერძებს დედაჩემი ამზადებს, სუფრის ლამაზად გაწყობაში კი, ჩვენც ვმონაწილეობთ. ტრადიციული ქართული სუფრა არ გვექნება, უფრო ევროპული სკენ „გადავიხრებით“. 12 საათის შემდეგ, სახლიდან გაედივართ და მეგობრებთან ერთად აღენიშნავთ დღესასწაულს.

ზვიად მუკანანი:

– ძალზე საინტერესო წელი იყო. ის, რაც მოხდა, კიდეც დიდხანს იქნება მსჯელობის საგანი. პოლიტიკურ ოპოზიციას ამჟამინდელ დე ფაქტო ხელისუფლების მიმართ ჩვენი შეხედულებები

გვაქვს. საახალწლო განწყობილება კი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც უნდა შეინარჩუნოს კაცმა – ეს ხომ ოჯახური დღესასწაულია. ჩვენს ოჯახში დაუწერელი კანონია: სადაც არ უნდა ვიყოთ, 12 საათს მაინც ყველანი ერთად შინ შევხვდეთ. ამის გამო, ბევრჯერ ძალიან გავწვალბულვარ კიდეც. ერთხელ, ცუდი ამინდის გამო, ციურიხში „გავიჭედე“ და ვედარ მოვფრინავდი. ვერ წარმოიდგენთ, რა ტანჯვა-წამებად დამიჯდა ახალი წლის დადგომამდე შინ მოღწევა; 12-ს რომ 10 წუთი აკლდა, მაშინ შევალე კარი... ტრადიციებს დიდ პატივს ვცემ, ზოგიერთი ჩემი კოლეგისგან განსხვავებით. ოჯახის წევრებს შორის, ყველაზე უხუცესი ბებიანჩემია და როგორც წესი, პირველ საღვებდღეს ის ამბობს, მერე კი მამაჩემი უძღვება სუფრას. მეკვლედ უკვე რამდენიმე წელია, მეზობლის პატარა ბიჭი გვყავს. შარშან ვერ მოხერხდა და წლეულს, იმედი მაქვს, აუცილებლად „დამაქორწინებს“. მე ერთი უახლოესი მეგობრის ოჯახში ვიყავი მეკვლედ და იმ წელს, ცოლი მოიყვანა, მეორე წელს – ვაჟი შეეძინა; იმედი, წელსაც მეკვლე ვიქნები და ვაჟიშვილის შემდეგ, ქალიშვილიც შეეძინება.

ირაპლი იაშვილი:

– ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე, ეს იქნება პირველი წელი, რომელიც შევარდნამის გარეშე დაიწყება. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს და მოსალოცია. მალე დამთავრდება წინასაარჩევნო ციებ-ცხელება და თუ პოპულიზმიდან საქმეზე გადავლენ, მოხარული ვიქნებით და ახალ ხელისუფლებას მხარში ამოვუდგებით. იმედი მაქვს, რომ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება. ჩემი ოჯახიც ამ იმედით ხვდება ახალ წელს... ბავშვობაში სამთო-სათხილამურო სპორტზე დავდიოდი და სშირად, ბაკურიანში ვხვდებოდი ახალ წელს. 31 დეკემბრის დამეს, მოდიოდა თოვლი, ბარდნიდა და მთელი ბაკურიანი თეთრად ანათებდა... ის წლები ყველაზე საუკეთესო იყო. იმ ულამაზესი სანახაობის შემდეგ, ვნატრობ, ასეთი ახალი წელი თბილისშიც გვექონდეს...

ნოემბერში მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ“ 2003 წლის ყველა სხვა პოლიტიკური მოვლენა დაჩრდილა. ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო, ძველი სახეებითა და პრობლემებისადმი სრულიად ახლებური მიდგომით. ხელისუფლებაში მემარცხენე იდეოლოგიის მოქადაგე გაერთიანება მოვიდა, რომელსაც მოსახლეობა იმედის თვალით შესცქერის. რას უნდა ველოდოთ 2004 წელს? როგორ განლაგდებიან ფიგურები პოლიტიკური „ჭადრაკის“ დაფაზე? რა პლატფორმას აირჩევენ ჯერ კიდევ ეიფორიაში მყოფი პარტიების ლიდერები და რამდენად ერთსულოვანი იქნება მომავალში, ე.წ. ტრიუმფირატის პოლიტიკური საქმიანობა? როგორც ექსპერტები — პოლიტოლოგები ვარაუდობენ, 2004 წელს რადიკალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. თუ ახალი ხელისუფლება დანაპირების შესრულებას შეძლებს, დღევანდელ ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკურ პარტიებს დროებით, „საპენსიო რეჟიმში“ გადასვლა მოუწევთ, მთავარი პრობლემა კი, დროებით „იატაკევეშეთში“ მყოფი ძალების შესაძლო გააქტიურება და საკადრო პოლიტიკის წიაღში წარმოშობილი დაპირისპირებები შეიძლება გახდეს...



ეყოლება თუ არა იანვარში

საქართველოს პრეზიდენტი?



ანუ „საჭადრაკო“ ფიგურები პოლიტიკურ დაფაზე

ხათუნა მაღრაძე



ბივი ზოლოთაშვილი:

— თუ 2003 წლის შედეგებზე ვი-საუბრებთ, უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით, სახარბიელო არაფერი მომხდარა. მაგრამ პოლიტიკაში უდიდესი ძვრების მომსწრენი გავხდით. ისეთი უნიათო და უსუსური მთავრობა, როგორც შევარდნაძის ხელისუფლება იყო, საქართველოს არ ახსოვს. მას ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გასაჯანსაღებლად ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, რამაც თავისი ლოგიკური შედეგი გამოიღო: მოხდა გადატრიალება. ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლებაში მოვიდა რადიკალური ოპოზიცია. რევოლუციის ორგანიზატორები, თავის დროზე, შევარდნაძის გუნდის წევრები იყვნენ, რომლებიც ყოფილ პრეზიდენტს ერთპარტიული მმართველობის

გამო გაუნაწყენდნენ და მასების მხარდაჭერით ხელისუფლებაში მოვიდნენ. ახლა მთავარია, სწორად გაითვალის თითოეული სვლა, რადგან ხელისუფლებაში მოსვლა ადვილია, მისი შენარჩუნება კი — ძალიან ძნელი.

— მოსახლეობა ხელისუფლები-საგან დანაპირების შესრულებას მოითხოვს. ამ ეტაპზე, რამდენად შესაძლებელია მათი ლოზუნგების რეალიზება?

— ახალმა ხელისუფლებამ საზოგადოებას დაუყოვნებლივ უნდა აგრძნობინოს ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რათა დაუტკიცოს საკუთარი უპირატესობა, წინა მთავრობასთან შედარებით. მან უნდა დაიცვას სახელმწიფოს საგარეო ინტერესები, აამოქმედოს ეკონომიკა, შექმნას კეთილდღეობის პირობები... ყველაფერ ამას სახსრები სჭირდება. როცა ხაზინა ცარიელია, ამ დონისძიებების ჩატარება ჭირს. ქვეყანაში გადაუდებლად გასატარებელი რეფორმები, მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც შედეგს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოგვცემს, მაგრამ არის კი წინა ხელისუფლების მიერ განაწამები ხალხი განწყობილი საიმისოდ, რომ ორი-სამი წელი მოითმინოს?... ასეთ შემთხვევაში, ახალმა ხელისუფლებამ აქცენტები შეიძლება იდეოლოგიურ საქმიანობაზე გადაიტანოს: მან უნდა შეაგნებინოს მოსახლეობას, რომ რადიკალური ცვლილე-

ბების გატარებას გარკვეული დრო სჭირდება. ასეთ შემთხვევაში, პოპულისტური განცხადებები მხოლოდ ნეგატიურ შედეგებს მოიტანს; მსგავს სიტუაციას სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყანაში მთავრობის ხშირი ცვლა მოჰყვას...

— რევოლუციის შემდეგ, ქართულ პოლიტიკურ სექტორში აშკარა დაბნეულობაა: პარტიები იშლება, პოლიტიკური ფიგურები სამოქმედოდ ახალ პლატფორმებზე გადადიან. თქვენი ვარაუდით, საპარლამენტო არჩევნებამდე თუ შეიქმნა სოლიდური გაერთიანებები?

— საქართველოში კლასიკური გაგებით პარტია არ არსებობს — ეს, უმეტეს შემთხვევაში, ამბიციურ ადამიანთა საკრებულოა. ჩვენში, ერთი ლიდერის გარშემო იკრიბება მისი სამეგობრო და სანათესავო — ადამიანები, რომელთაც პარტიული მანდატი გამორჩენისთვის აინტერესებთ. ამიტომაც, რომ მერე ეს პარტიები ადვილად იშლებიან და ერთდებიან. სხვადასხვა პარტიის რიგები დატოვეს იმ წევრებმა, რომლებმაც მონიღომეს, ახალი ხელისუფლების „ნავში“ ჩასხდომა და დივიდენდების მიღება... რაც შეეხება ოპოზიციაში დარჩენილ პოლიტიკურ პარტიებს — მათი რეიტინგი დაეცა და ჯერჯერობით, ჩრდილში მოუწევთ ყოფნა. მათი გააქტიურება იმაზე იქნება დამოკიდებული, დაუშვებს თუ არა შეცდომებს ახალი ხელისუფლება. ასეთ შემთხვევა-

ში, ოპოზიცია მომძლავრდება. თუმცა, დღესდღეობით, იმ რადიკალური განცხადებებისა და დაპირებების ფონზე, როგორსაც სააკაშვილი იძლევა, ოპოზიციის აქტიურობა აზრს კარგავს, რადგან ამაზე მეტს მოსახლეობას ვერაზინ დაჰპირდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე, ახალ სოლიდურ გაერთიანებებს არ უნდა ველოდოთ. ამჟამად, მხოლოდ იმისთვის მიმდინარეობს ბრძოლა, თუ ვინ ჩაყოფს თავლით საეკასრში ხელს... ყველა რევოლუციის დროს ასე ხდება — შემთხვევითი პირები ეტმასნებიან ხელისუფლებას, რათა დიდი ლუკმა შეხვდეთ. სააკაშვილმა მათგან შორს უნდა დაიჭიროს თავი, რადგან ამ კატეგორიის ადამიანებს ქვეყნისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვთ.

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:

— 2003 წლის პროცესებში ყველაზე მნიშვნელოვანი, ნოემბრის რევოლუცია იყო. თუმცა, მე გამოყოფდი ადგილობრივ არჩევნებსაც, რომელმაც პრაქტიკულად, ნოემბრის რევოლუციის ნიშანიც მოგვცა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ადგილობრივი არჩევნების დროს, გამოიკვეთა მოსახლეობის სიმპათია მემარჯვენე იდეოლოგიის მიმართ, რადგან საერთო ჯამში, „ახალმა მემარჯვენეებმა“ და „მრეწველებმა“ გაიმარჯვეს. სულ რამდენიმე თვეში კი, ხელისუფლებაში აშკარად მემარცხენე ძალები მოვიდნენ. ეს ნიშნავს იმას, რომ მემარჯვენეობის იმპულსი ძალზე სუსტი იყო და ადვილად დაექვემდებარა მემარცხენეების გავლენას, მაშინ, როცა სახელმწიფოს აღმშენებლობის მთავარი გასაღები — უამრავი წამყვანი ქვეყნის და მათ შორის აშშ-ის — სწორედ მემარჯვენე იდეოლოგიაში დევს... მე ვფიქრობ, ეს პროცესი რუსეთში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება, სადაც მემარცხენე ცენტრისტული ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში.

— იმ პარტიების რეიტინგი, რომლებიც მემარჯვენე იდეოლოგიას ქადაგებენ, ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა.

— მათი რეიტინგი მიშა სააკაშვილის აქტიურობის ფონზე დაეცა. ვფიქრობ, „ნაციონალების“ ლიდერის წარმატება გარკვეულ მოვლენათა ფონზე განაპირობა. სააკაშვილს მოსახლეობა მხარს უჭერს არა რომელიმე იდეოლოგიის გამო, არამედ როგორც მებრძოლს; ეს არის მეომრის რეიტინგი და არა პოლიტიკური

პარტიის ან მისი პროგრამის. როცა ქვეყანაში რევოლუციური განწყობა გადაივლის, კვლავ დადგება პოლიტიკური პლატფორმების აქტუალობის საკითხი — თუმცა, მეეჭვება, რომ ეს არჩევნებამდე მოხდეს.

— „ტრადიციონალისტებისა“ და ედუ-ის გაერთიანება სწორედ მემარჯვენეობის პოლიტიკური პლატფორმის საფუძველზე მოხდა. თქვენი აზრით, შეძლებენ თუ არა ისინი, სერიოზულ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებას?

— ძნელი სათქმელია, რადგან მათ სერიოზული ხარვეზი აქვთ — მათი მემარჯვენეობა აკადემიური ხასიათისაა, პარტიის წევრებს შორის კი, ბიზნესის წარმომადგენლები არ არიან. ამავე დროს, ჩვენში არსებობს ბიზნესმენების ჯგუფებისგან შექმნილი პარტიები — „ახალი მემარჯვენეებისა“ და „მრეწველების“ სახით, — მაგრამ მათ აკადემიურობა აკლიათ: „პოლიტიკურ თამაშებში“ გარკვევა მათთვის მეტისმეტად რთული აღმოჩნდა. თუ ისინი გაერთიანდებიან და მოსახლეობასაც აუხსნიან, რომ დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს სჯობია, შეიძლება, მხარდამჭერთა ფართო მასებიც შემოიკრიბონ.

— რა ბედი ელის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტულ პარტიას, რომელმაც ელექტორატის დიდი ნაწილი დაკარგა?

— ახლა ჩვენში ის კლიმატი არ არის შექმნილი, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე არსებითი ცვლილება მოხდეს. თუ ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს გადადგამს, ოპოზიციაში დარჩენილ პარტიებს მოქმედების არეალს შეუზღუდავს — იმ შემთხვევაშიც კი,



თუ ახალი მთავრობა შეცდომებს დაუშვებს, ეს სვლა პოლიტიკურ ეფექტს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოგვცემს, ამ დროისთვის კი, არჩევნები ჩატარებული იქნება და არსებული კლიმატის შეცვლას, დროის ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება, თუ, რასაკვირველია, თავად ის ჯგუფი არ დაიშალა, რომელიც ხელისუფლებაში მოვა. ასეთ შემთხვევაში, მისგან წამოსული პოლიტიკოსების მიერ ნათქვამი ოპოზიციური სიტყვა უფრო ქმედითი იქნება, ვიდრე პარლამენტის გარეთ დარჩენილი, ძველი ოპონენტებისა.

— ფიქრობთ, რომ ახალი გუნდი გაიყოფა და ქმედითუნარიან ოპოზიციასაც ჩამოაყალიბებს?

— როგორც წესი, მსგავსი გაერთიანება, როცა გარედან ვეღარ ხედავს საფრთხეს, შიგნიდან იშლება: ასე მოუვიდა „მრგვალ მაგიდას“, მოგვიანებით კი — „მოქალაქეთა კავშირს“...

— ბოლოსთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მოვიტოვებთ: შედეგად თუ არა 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნები? როგორც ცნობილია, წინასწარ რეგისტრაცია მილიონ შვიდასი ათასმა ამომრჩეველმა გაიარა. ბევრს მიაჩნია, რომ ეს შესაძლოა, საკმარისი არა აღმოჩნდება კონსტიტუციით გათვალისწინებული 50%-ის დასაგროვებლად, მით უმეტეს, თუ წინასწარ რეგისტრირებულთა ნაწილიც ვერ მივიდა საარჩევნო ყუთებთან...

— ქართული ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ქეიფს გადაყოლილ მოსახლეობას შეიძლება, დაეზაროს საარჩევნო ყუთებთან მისვლა; არც პოლიტიკური ფაქტორი უნდა დავივიწყოთ — ცალკეული პარტიებისა და მათი მიმდევრების აქტიურობა, რომელსაც ისინი არჩევნების ჩასაშლელად გამოიჩინენ; საგულისხმოა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა პიროვნული მომენტიც: მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მხარს უჭერდა ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებს, მაგრამ მისთვის სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, მისაღები არ არის. და მაინც, ზემოთ ჩამოთვლილი დაბრკოლებების მიუხედავად, არა მგონია, არჩევნების ჩატარებას სერიოზული საფრთხე შეექმნას. აქტიური წინასაარჩევნო პროპაგანდა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის განწყობა 4 იანვარს, ამომრჩეველთა 50%-ზე მეტს მიიზიდავს, რაც ნიშნავს იმას, რომ ახალი წლიდან, ახალი პრეზიდენტი გვეყოლება.

ცნობილ ადამიანებსა და ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ერთი კითხვით მივმართეთ: რომელ პოლიტიკურ მოღვაწეს ისურვებდით შეგვლედე? რატომღაც გვეგონა, რომ უმეტესობა იმ პოლიტიკოსებს აირჩევდა შეგვლედე, რომლებსაც მაღალი რეიტინგი აქვთ, მაგრამ ხმაურიანი პოლიტიკოსები სასურველი შეგვლედეები არ აღმოჩნდნენ...

ლელა ჭანკოტაძე

ვივი ბერიკაშვილი:

— სამწუხაროდ, მეკვლე არასდროს ვყოფილვარ. შეიძლება, ეს იმის გამო მოხდა, რომ ამ რიტუალის ძალიან მჯერა და არ მინდა, ვინმეს ჩემი ფეხის გამოისობით, არეულობა ან ტკივილი მიუტანო... ჩვენს ოჯახში მეკვლე ჩემი შვილიშვილია. აქამდე, ხან მეზობლები შემოდიდოდნენ მეკვლედ, ხან ნაცნობ-მეგობრები. კარგი წლები არ გვქონდა და ამიტომ, რაც გივი წამოიზარდა, მეკვლის ფუნქცია მას დავაკისრეთ. თუ ჩვენთან მეკვლედ პოლიტიკოსი მოვიდოდა, ვისურვებდი, ისეთი მოსულიყო, რომელსაც გინება არ ეცოდინებოდა. ასეთი პოლიტიკოსი ქალბატონი ნინო ბურჯანაძეა.

ოთარ რამიშვილი:

— ჩემს ოჯახში მეკვლედ თითქმის ყველა ცნობილი ადამიანია ნამყოფი. ბევრჯერ, მინისტრის მოადგილეც მიმიყვანია, რამდენჯერმე, პირველ იანვარს, შინ კულტურის მინისტრთან ერთად მოვედი. წარმოიდგენთ ალბათ, მინისტრის მეკვლეობა რა საამაყოა!.. ასეთი წესი მაქვს: 12 საათს შევეგებები და შემდეგ ვიძინებ. ახალ წელს ყოველთვის ფხიზელი ვხვდები, პირველი იანვრიდან ვიწყებ ქეიფს და მერე, მთელი წელი ჩემია!.. წელს დიდი სურვილი გვაქვს მე და ჩემს მეუღლეს, რომ ჩვენი მეკვლე ელუარდ შევარდნაძე იყოს. გვინდა, ამ სიტყვამ როგორმე მასთან მიადწიოს — იქნებ, სურვილი აგვისრულოს და გვესტუმროს.

თათია ბიორგოპიანი:

— მე არასდროს ვყოფილვარ მეკვლე. განა იმიტომ, რომ არ მჯერა, თითქოს მეკვლე რამეს შეცვლის რომელიმე ოჯახის ცხოვრებაში — უბრალოდ, მეშინია, ვინმესთვის უნებურად უსიამოვნების მომტანი არ აღმოვჩნდე. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უთქვამთ მეგობრებს — რა



„ეპილოგა ჩემთვის ახლა ყველაზე მეტად ფასობს“

კარგია, რომ შეგხვდით, შენი შეხვედრა კარგად გვაქვს დაცდილიო, — ჩვენს ოჯახში მეკვლე ყოველთვის დედაჩემის და, ეკა გოდერძიშვილია. მას კარგი ფეხი აქვს. ამიტომ ყოველთვის წინასწარ ვიჭერთ ხოლმე თადარიგს, რომ პირველად ჩვენთან მოვიდეს. ბოლო ორი წელია, რაც ძალდი შეიძინა და ახლა, თავის ინგლისურ სპანიელთან ერთად მოდის ხოლმე. როგორც კი ფეხს შემოდგამს, მაშინვე ვუყრით კანფეტებს და მხიარული შემახილებით ვეგებებით. რაც თავი მახსოვს, სხვა მეკვლე არც გვეყოლია... პოლიტიკოსებიდან კი, მეკვლედ მიხეილ სააკაშვილს ვისურვებდი. კარგი იქნებოდა, თუ ახალი იდეები, სიახლეებისკენ ლტოლვა და მისი მსგავსი ბრძოლისუნარიანობა დაგვებლებოდა მე და ჩემს ოჯახს.

თამარიკო ჭონონელიძე:

— რაც თავი მახსოვს, მეკვლე ვარ დედაჩემის და მამაჩემის ოჯახში. ასე იყო ყოველთვის. ეს ტრადიცია გათხოვების შემდეგაც არ დავარღვეე და ყოველ წელს, მათთან მეკვლედ მივდივარ. ჩემს ოჯახში კი, მეკვლე ვაი არის ხოლმე. სანამ თორმეტი საათი გახდება, შინიდან გადის. როგორც კი ახალი წელი დადგება,

კანფეტებით ხელდამშვენებული, კარზე აკაკუნებს; ჩვენ მას გოხინაყს ვახვედრებთ. პოლიტიკური მოღვაწეებიდან, მეკვლედ ნინო ბურჯანაძეს ვისურვებდი. დარბაისელი, გონიერი, გაწონასწორებული, მისაბაძი ქალბატონია. მის მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განმსჭვალული. თუ ჩემი ოჯახის მეკვლე იქნებოდა, დარწმუნებული ვარ, უკეთესი ცხოვრების იმედს მოგვიტანდა.

ნეკა სეზისკვირაძე:

— ყოველ ახალ წელს, ოჯახის მიღმა ვხვდები — ხან მეგობრებთან, ხან კონცერტებზე, ამიტომ ოჯახში მეკვლე ყოველთვის მე ვარ. შინ კანფეტი შემაქვს, მშობლები კი გოხინაყს მახვედრებენ. პოლიტიკოსი მეკვლედ ნამდვილად არ მინდა. სიამოვნებით მივიღებდი მეკვლედ ზაზა შენგელიას — ძალიან მიყვარს და დარწმუნებული ვარ, ჩემს ოჯახში ბედნიერებასა და უღვე სიხარულს შემოიტანდა.

ეკა სტაფანიშვილი, ხაშურის მკვიდრი:

— მეკვლედ, შალვა ნათელაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის გარდა, ნებისმიერ პოლიტიკოსს ვისურვებდი: მეამბოხე ადამიანი თავისი ფეხით ოჯახში ხმაურსა და აყალმაყალს შემოიტანს. რევოლუციონერი, მეკვლედ ნამდვილად არ მინდა. ასლან აბაშიძე მირჩენია — კარგი დიპლომატია, იცის, შეტევაზე როდის გადავიდეს და უკან როდის დაიხიოს. გაწონასწორებულია, მდიდარიც... დარწმუნებული ვარ, კარგი ფეხი ექნება.

ნიკო ჯიჯაშვილი, სამტრედიის რ-ნის სოფ ლანირის მკვიდრი:

— მეკვლედ ბადრი პატარკაციშვილს ვისურვებდი. ალბათ, ოქროს ფეხი აქვს. ხვარეილი წელი დამებელებოდა. რაც შეეხება პოლიტიკოსებს — კარგი ფეხი ვახტანგ რჩეულიშვილს ექნება: იუმორი აქვს, ფულიც, უზრუნველი ცხოვრებაც. თეთრი თმაც ხელს უწყობს. ბედნიერი კაცია, ამიტომ ჩემს ოჯახშიც ბედნიერებას მოიტანდა.

პაატა კაციტაძე, გორის მკვიდრი:

— თუ ჩემს ოჯახში მეკვლედ ავთო იოსელიანი ან ვალერი ხაბურძანია მოვიდოდნენ, მთელი წელი მშვიდი და სტაბილური მექნებოდა, ჩემს ოჯახს საფრთხე არ დაემუქრებოდა, ეზოდან ქათამსაც კი ვერავინ მოიპარავდა. მშვიდობა ჩემთვის ახლა ყველაზე მეტად ფასობს!..

არ ვიცი, მოენონა თუ არა ბახალას, თავისი დაწუნებული მეტსახელის მაგივრად, ჩემი შეთავაზებული „რემბო“, მაგრამ როგორც ჩანს, მკითხველი ძალზე კმაყოფილია. **ბიორბი ბიორბანაშვილს უამრავი თავყანისმცემელი გამოუჩნდა და მათ შორის ერთი ისეთიც, უფრო დედად რომ შეეფერება, მაგრამ იმით გათამამებულმა, რომ ბახალას, ასაკით უფროსი ქალები მოსწონს, ასეთი „მესიჯი“ გამოგვიგზავნა:**

„ბახალას ვარ 41 წლის. მაქვს საკუთარი ბარი. ვცნობ ვეროზ რაიონში. ნავიცი მთელი ინტერვიუ და გავიგე — ასაკიანი ქალები მოგწონს. მე მზად ვარ შენთან შესახვედრად...“

მოკლედ, ბედი მაქვსო, გიორგიმ უნდა თქვას!.. მე კი შემდეგ „მესიჯს“ გაგაცნობთ, რომელიც „ბახალას“ ბიძის — რეზო ჩხიკვიშვილის პირველმა სიყვარულმა გამოგვიგზავნა:

„ბახალა! ასაკით შენზე უფროსი ვარ და საცოლედ არ გამოგადგები, მაგრამ იცოდე, ძალიან მიყვარხარ. შენი ბიძა — რეზო ჩემი პირველი სიყვარულია, ამიტომ შენს ოჯახს კარგად ვიცნობ. მინდა, ისეთივე პოპულარული და ხალხისთვის საყვარელი ადამიანი იყო, როგორც რეზოა. გისურვებ ბედნიერი ოჯახის შექმნას! ნანა“.



„შენი ბიძა, ბიჭო, სო-ლიო!“

„ბახალა, ძალიან მევასები. შენზე ვეცემი. „ნეტავ, მქონდეს ფრთები, შენთან მოფრინდები“... შენი ბარტყი, ლიზი“.

„ეგ თქვენი ბახალა უკვე აშხელა „ყვავია“ და მოქცევა კი არ იცის. P.S. ტენდენციურობას ადგილი არ ჰქონდეს. აუცილებლად დამიბეჭდეთ, რა! „მართევ“.

„გიო, მშენიერი სახელი გქვია. არ გინდა ეგ ბახალა, რა! „დამიშესიჯე“ და ერთად მოვიფიქროთ სხვა რამ“.

„გიო, მგონი, „რემბო“ უფრო გიხდება. მაგარი წამყვანი ხარ. ძალიან მიყვარხარ. თათა“.

„ბახალა, ძალიან მაგარი ტიპი ხარ.

იმედია, თავს სხვა წამყვანებით არ მოგვაბეზრებ და სულ ასე გვეყვარები. ლიკა“.

„გიო, შემძლია, მეტსახელები შემოგთავაზო: „ყვავი“, „თუთიყუში“, „კაჭკაჭი“, „ფისო“, „კუსა“... აირჩიე, რომელიც გინდა. არც ერთში არ ურევია არც რბილი და არც მაგარი „ლ“. თუ ესენიც არ მოგწონს, კიდევ ბევრი სიტყვა ვიცი ისეთი, შენ რომ შეგეფერება. გოცნი მაგრაღ. იცი, როგორ? ვითომ „გორკა“ დაიძახეს და... ანაო“.

„ბახალა, ერთხელაც იქნება, მოგწვდები, თავზე ხელს გადაგისვამ და აბა, არ გაწოლილხარ!.. კრუტუნე კარგია, ზვანცალი და ძიგძიციც, მაგრამ — ცოლი გინდა, ბიჭო, ცოლიო!“

„ბახალა, კაი ტიპი ხარ, დედა ნუ მომიკვდება, მაგრამ ეს ბლანჟე „გისურებს“. მოდი, კაცურად, მოიპარსე და მერე ვილაპარაკოთ. ძალიან ლამაზი თვალები გაქვს. მართლა მიყვარხარ. ვინ ვარ? ლიზი, 20 წლის, საყვარელი გოგონა, მაგრამ... ბლანჟე მაცოფებს... მიდი, მოიშორე და მერე „იძღვრე რამე, თუნდაც უკვე მრავალჯერ ნამღერია...“

„საინტერესოა, ერთხელაც მე რომ წამყვანი ვიყო და შენ — მოთამაშე, რას იზამდი? დაენადლედე, რომ მეორე ტურშიც ვერ გახვალ...“

„ბახალა, დაენადლედე, რომ მე შენ გაგაგიჟებ საში შეხვედრით. ჩემი დაქალი ამბობს, რომ ორით... შენ კი, ალბათ, პირველივე შეხვედრით „დაგვშოკავ“... ნატკა“.

«ჩემთვის ბინდა, მამაჩემთვის ხო არა!..»

მიწურა 2003 წელი. როგორც წესი, ამ დროს, ყველა ადამიანი, მთელი წლის განმავლობაში განვლილს აჯამებს. ჰოდა, მეც გადავწყვიტე, ჩვენს მკითხველს რუბრიკა „სასიძოსა“ და „საპატარალო“ მცირე მიმოხილვა შევთავაზო. გავისხენოთ ჩვენს რესპონდენტთა ყველაზე საინტერესო და ორიგინალური პასუხები, კუროზები, გამოხმაურებები... თავდაპირველად კი, მინდა შეგახსენოთ, რომ რუბრიკის პრემიერა 2003 წლის ზაფხულში შედგა და დღემდე, 31 რესპონდენტს ვუმაჰინძლეთ. ჩვენი სტუმრები სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები იყვნენ: შოუბიზნესის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, მოდელები, ტელეჟურნალისტები,

მინისტრები და თვით პრეზიდენტობის კანდიდატიც კი!..

როგორც იცით, ამა თუ იმ პიროვნებასთან ინტერვიუს შემდეგ მოსული მკითხველთა გამოხმაურებები „გზის“ მომდევნო ნომერში იბეჭდება ხოლმე. მინდა დავასახელო „რეკორდსმენი“ რესპონდენტები — ანუ ისინი, ვინც ათასზე მეტი გამოხმაურება მიიღო. ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე გავიდა მოდელი **ნინო ორდენიძე** — მან 2600 გამოხმაურება მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული რაოდენობის „მესიჯი“ და ზარი ერთი კვირის მანძილზე დაფიქსირდა ჩემს ტელეფონზე... ახლა მცირე ნაწყვეტი ნინოს ინტერვიულან:

„როდესაც თბილისში ჩამოვდივარ, მეწყება летний роман-ები... მშვენივრად ვერთობი. მიყვარს, როცა მაკაცებს ვამწარებ. მომწონს „დაჭერობა-



ნინო ორდენიძე

ნას“ თამაში — მე რომ „გავრბივარ“ და ის რომ „მომდევს“. სშირად, ურთიერთობებს ისეთ ღონემდე მივიყვან ხოლმე, რომ გასაქცევად მიხდება საქმე... ახლა უკეთ „გავრბივარ“, ავიღებ თვითმფრინავის ბილეთს და რამდენიმე საათში, თურქეთში



დავით
კირვალიძე

ვარ... ეს უკვე ჩვევად გადამექცა. მერე კმაყოფილების გრძნობა მეუფლებს. არც იმას დავიძვალავ, რომ ძალიან მომწონს, როცა ჩემი გულისთვის კაცები ერთმანეთს დასცხებენ ხოლმე. ასეთ დროს, კარგად ვხალისობ“...

ინტერვიუს შემდეგ, ნინო ორ თაყვანისმცემელს შეხვდა. მათი შემდგომი ურთიერთობის შესახებ ჩემთვის ცნობილი არაა... მისი თაყვანისმცემლებიდან, განსაკუთრებით ერთი, კახელი კაცი დამამასხოვრდა. დღეში რამდენჯერმე მირეკავდა:

– კაცო, ე გოგო შამდღომითვინ შამინახეთ, აეხლა საზამთროი ბალ უგლი და ვენახ, ჰოდა, არა მცალიან მანდ ჩამოსასვლელათ.

– მშობლებმა თუ იციან, ქალაქელი გოგო რომ მოგწონთ საცოლელდ?

– კაცო, რა მაგრათა პლანამ! იმათ ვინაი კითხამთ? ჩემთვის მინდა, მამაჩემითვინ ხო არა! უბრალო კაცი ხო არა გგონივარ, აეხლაც გურჯაანი პოლიციი წინა ვდგავარ და იქიდან გირეკამთ... ო-ოო, თვალები დამიბნელა, კაცოო, ე გოგოი სილამაზემ...

ჰოდა, ჩვენ კი „შაუნახეთ“ „შამადღომითვინ“ კახელ „სასიძოს“, მაგრამ აღარ გამოჩნდა და...

გამოხმაურებების სიმრავლის მიხედვით, მეორე ადგილზე ზურა ხაჩიძე, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრი გავიდა. მან 1800-ზე მეტი გამოხმაურება მიიღო. ერთმა გოგონამ კი გამაფრთხილა: „ნურც თქვენ ფართხალებთ ტყუილად, ნურც ზურა და ნურც სხვა გოგოები ვაფხაკურდებიან, რადგან ზურას ბედი მე ვარ...“ თურმე ნუ იტყვი და, ამ გოგონას უმკითხავია და დაუდგენია, რომ ზურას მის იქით გზა არა აქვს... მისი სახელია ნინი. ჯერჯერობით, ზურა ისევ უცოლოდ დიდის. ვნახოთ, გამართლდება თუ არა წინასწარმეტყველება...

მესამე ადგილი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ორმა რესპონდენტმა დიკავა – ერთმანეთისგან განსხვავებული პრო-



ლევან-სენი

ფესიისა და ასაკის ადამიანებმა: **ლიმს-სენმა** (მომღერალმა) და **არმაზ თავაძემ** (ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა). მათ სახელზე მოსულმა გამოხმაურებებმა 1000-ს გადააჭარბა... ლევან-სენის თაყვანისმცემელთა 99% ტინივიჯერია და ჩვეულებრივი, სასიყვარულო გამოხმაურებები მიიღო. რაც შეეხება არმაზს – ამ შემთხვევაში, უფრო სოლიდურად გახლავთ საქმე. კერძოდ: მას თაყვანისმცემელი გოგონა მოტაცებას უპირებდა... ნინო კარგა ხნის მანძილზე მეკონტაქტებოდა, არმაზის ჯანმრთელობისა და წარმატებების შესახებ მეკითხებოდა (თითქოს მე და არმაზი ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს). ერთ მშვენიერ დღეს კი, დამირეკა და შეხვედრაც მოხოვა. უარი არ მითქვამს. ჩემ წინ მშვენიერი გოგონა იდგა.

– მარი, შარში უნდა გაგხვიო...

– რატომ?

– არმაზი მიყვარს და მის მოტაცებას ვაპირებ. ალბათ, მე არ მენდობა, ამიტომ შენ უნდა დაურეკო, შეხვედრა სთხოვო და მანქანაში ჩასვა – მერე მე ვიცი...
– კი, მაგრამ...

– არავითარი მაგრამ. ჩემს მეგობარს ბინა დაკეტილი აქვს, მანქანაც აქვს და არმაზს სწორედ მისი მანქანით მოვიტაცებ...



ზურა
ხაჩიძე

– დავუშვათ, მოიტაცე... დავუშვათ, იმ დაკეტილ ბინაშიც მიიყვანე... მერე? მერე რას იზამ?

– მერე? მერე რამენაირად დავითანხმებ და მისი ცოლი გაგხდები... არ გჯერა, რომ მიყვარს? რატომ? რა არის აქ დაუჯერებელი? ხომ დამეხმარები?

აბა, როგორ დავეხმარებოდი? მაგრამ შევპირდი, რომ აუცილებლად გავაშუქებდი არმაზის მოტაცების ამბავს და სადაც საჭირო იქნებოდა, ყველგან ვიტყვოდი, რომ მოტაცება ფულის გამოძღვის მიზნით კი არა, ოჯახის შესაქმნელად მოხდა... არ ვიცი, რატომ გადაიფიქრა ნინომ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა, მაგრამ ფაქტია, რომ მწვანეთაგება „სასიძო“ ისევ კენტად დიდის, მიუხედავად იმისა, რომ როგორც თავად ამბობს, „ქორწინებაზე სერიოზულად მხოლოდ მას შემდეგ დავფიქრდი, რაც ჟურნალისტებმა და ახლობლებმა მოუხშირეს კითხვის დასმას იმის შესახებ, რატომ არ მომყავს ცოლი. ვიფიქრე – როგორც ჩანს, მართლა გავიზარდე და დრო მოვიდა, რომ ოჯახი შეგქმნა-მეთქი. მართლაც, დროა, მთელი სერიოზულობით მოვეკიდო ამ საკითხს და ეს აბეზარი ჟურნალისტები და ახლობლებიც აღარ შემაწუხებენ ამ კითხვით...“

ლევან-სენისა და არმაზ თავაძის შემდეგ, მეოთხე ადგილზე პარლამენტარი **ირაკლი გომავა** და ორი მინისტრი (ინტერვიუს დროს) – **მირიან გომიზაშვილი** და **დავით კირვალიძე** აღმოჩნდნენ. ბატონი ირაკლი ამ ცოტა ხნის წინ დაქორწინდა და ბედნიერება ვუსურვოთ. ბატონ მირიანთან დაკავშირებას ერთი გოგონას დედა მოხლოვდა დაფინებით: „მარი, ვთხოვ, ნახე ჩემი შვილი, შენი თვალთ შეამოწმე, როგორი გოგო მყავს. სწორედ რომ მირიანის შესაფერისია. ისე იქნებოდა, როგორც



არმაზ
თავაძე



ირაკლი გოგავა

ორი მტრედი... ასეთი თხოვნით ეს ქალბატონი დღეში 5-6-ჯერ მირეკავდა, ბოლოს კი, თავისი გოგონა რედაქციაში მოგვკვარა. ვერაფერს იტყვოდი, მართლაც მინისტრის ცოლობის ღირსი გახლდათ, მაგრამ... ბატონი მირიანი ხომ მეტი-მეტად მოუცლელი იყო, „საპატარძლოს“ მონახულება ვერ მოასწრო... აი, რაც შეეხება ბატონ დავითს... მას „აღმართში“ შემწვარი კარტოფილი „წამოეწია“... რატომ? ახლავე შეიტყობთ, მაგრამ ჯერ მისი ინტერვიუს ერთ ნაწყვეტს შემოგთავაზებთ:

– ბატონო დავით, ყველაზე მეტად რომელი კერძი გიყვართ?

– როგორ, არ იცით? შემწვარი კარტოფილი... არც ერთი ჩემი ინტერვიუ კარტოფილის გარეშე არ დამთავრებულა...

ჰოდა, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ერთი გოგონა გადამეკიდა – გინდა თუ არა, დავითს ჩემი შემწვარი კარტოფილი უნდა ვაჭამო, ასეთი შეწვა ვიცი და ისეთიო, სულ „პრუფინებად“ ვწვავ და თანაბრად ვბრაწავო... თანაც, დღეში რამდენჯერმე მირეკავდა და ცდილობდა, ჩემთვის მინისტრის ტელეფონის ნომერი დაეტყუა, მაგრამ ამაოდ... ერთ დღეს, ამ გოგონამ დამირეკა და მომასწავნა:

– მარი, დღეს სამინისტროში ვიყავი, დათოსთან; საჩუქარი მივუტანე – შემწვარი კარტოფილი. თანაც, იცი, რამდენი? ათი კილო კარტოფილი ვიყიდე და სულ შევწვი...

– ბატონმა დავითმა რა გითხრა?

– დათო არ მინახავს, მის თანაშემწეს გადავეცი და დავუბარე – სანამ ცხელია, მანამდე მიართვით-მეთქი...

ახალ მთავრობაშიც თუ ვინმე უცოლო ან გასათხოვარი გამოერია, გპირდებით, რომ ჩვენს რუბრიკაში აუცილებლად წარმოგიდგენთ. ამიტომ, ადევნეთ თვალი „სასიოსა“ და „საპატარძლოს“ – რა იცით, ბედი რას გიმზადებთ?! ჩვენ კი ვეცდებით, ახალი წლიდან, რუბრიკაში ბევრი სიახლე შემოგთავაზოთ...

„ქაზა-ქაზის ზისქია ვახუშის“

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციას დაგარღვევთ და „სასიოსა“ და „საპატარძლოს“ რუბრიკით, ცნობილი და პოპულარული ადამიანების ნაცვლად, „ფიფქასა“ და „თოვლის ბაბუას“ წარმოგიდგენთ. ისინი ბავშვთა ცენტრში — „ჯუმ-პაო“ — მუშაობენ და პატარების საყვარელი გმირები არიან. მაშ ასე, თავდაპირველად „ფიფქას“ წარმოგიდგენთ. მამადა სინაძე 17 წლისაა და... თუმცა, დანარჩენს თავად გვიაშობს:



– 2003 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა. მინდოდა, თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩამებარებინა, მაგრამ ვერ მოხვდი. ახლა გადავიფიქრე და ვაპირებ, ან მასწავლებელი გამოვიდე, ან ჟურნალისტი. ბავშვობიდან მინდოდა, პედაგოგი ვყოფილიყავი და ჩემი თავი სულ ჯოხიანი და სათვალისანი მყავდა წარმოდგენილი. ხან კი, „ჟურნალისტობასაც“ ვთამაშობდი და სარკის წინაც ვამოწმებდი ჩემს თავს – მიხდებოდა თუ არა... რადგან წელს სტუდენტი ვერ გავხდი, საშუაოდ „ჯუმ-პაოში“ მოვედი. ყოველდღე, უამრავ ბავშვთან მაქვს კონტაქტი და ეს ღიად სიამოვნებას მანიჭებს. საახალწლოდ „ფიფქა“ ვარ. მართალია, კანის ფერი ხელს არ მიწვობს – ძალზე შავკვრემანი ვარ, – მაგრამ სამაგიეროდ, ვგზობიკური, ჯუნგლების ფიფქია გახლავართ.

– თავისუფალ დროს რას აკეთებ სოლმე?

– თავისუფალ დროს მეგობრებთან ურთიერთობისთვის ვიყენებ. ბევრი მეგობარი მყავს და ყველასთან თბილი დამოკიდებულება მაქვს.



სინაძე სინა
წარმოვიდგენ
თეთრ ცხენზე
ამხე-
დრებულ
ვაქაქაცს

ბულება მაქვს.

– დამჯერი თუ ხარ?

– კი, ღელას თითქმის ყველაფერს ვუჯერებ, თუმცა ჩემი პრინციპებიც გამაქვს ხოლმე! განსაკუთრებით – ტანსაცმლის ყიდვის დროს. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ჩემს გემოვნებას ვენდობი და წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც იმას ვყიდულობ, რაც მე მომწონს. თუ ვინმე მეტყვის, რომ ესა თუ ის სამოსი არ მიხდება, უფრო მეტხანს ვაკვირდები ხოლმე ჩემს თავს სარკეში და თუ დავრწმუნდი, რომ სიმართლეს მეუბნებიან, დაუფუჯრებ და გამოვიცვლი.

– ბუტია ხომ არ ხარ?

– არა, ბუტია არა ვარ, მაგრამ ძალზე ფიცხი ვარ. სულ ვჩხუბობ, ოღონდ, მხოლოდ ოჯახის წევრებთან – მეგობრებთან არ ვკამათობ ხოლმე. სულ პატარა რამეზე შეიძლება დავიწყო ბუზღუნი. მყავს უფროსი ძმა. მე და ის განსაკუთრებით ხშირად ვჩხუბობთ. წინათ, ვჭიდაობდით კიდეც და ზოგჯერ კამათი მუშტი-კრიემიც გადაზრდილა. ახლა მხოლოდ სიტყვიერად ვჩხუბობთ.

– თოჯინებით თამაშიც ხომ გიყვარს?

– ადრე ძალიან მიყვარდა. ხანდახან, ახლაც ვთამაშობ ხოლმე. თუ პატარა ბავშვთან მოხვდები, მასთან ერთად სიამოვნებით ვერთობი ხოლმე თოჯინებით.

– ოჯახის საქმე თუ გეხერხება?

– კი. ჩემს ოთახს მე თვითონ ვალაგებ და თუ ვინმე რომელიმე ნივთს ადგილს შეუცვლის, აი, ჩემი ბუზღუნი მაშინ უნდა ნახოთ!..

– მშობლებისგან მალულად პაემანზე დადიხარ სოლმე?



ჰოროსკოპით სასწორი ვარ, მაგრამ ეს გენიალურობაში ხელს არ მიშლის

— არა, პაემანზე სიარული საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ თუ ხდება ისე, რომ მაინც მივდივარ შეხვედრაზე, დედამ ამის შესახებ აუცილებლად იცის. მე და დედა ვმეგობრობთ. მისგან დამალული არაფერი მაქვს.

— როგორი მოსწავლე იყავი?

— საშუალო. მასწავლებლებს ძალიან ვუყვარდი. რუსულის მასწავლებელმა მითხრა — თუ გამაჯავრებ, „სუთანს“ დაგიწერო. ჰოდა, ასე მივიღე ფრადი.

საუბარში მაგდას დედა, ქალბატონი თამარიკო ჩავეერთო:

— მე გეტყვით მაგდას შესახებ იმას, რომ ძალიან ბუზღუნა ბავშვია. ასეთი შავი დაიბადა და ოჯახში ერთადერთი შავკერძიანი ეს არის. პატარა რომ იყო, ურეკში ვიყავით დასასვენებლად წასულები. „ციგნის“ ქალებთან მივედი საღებავი რეზინის საყიდლად. შეხედეს ამ შავ ბავშვს და მეკითხებიან — აი შენი შვილი? — კი-მეთქი, — დაუქნიე თავი. — შენი ქმარი „ციგანი“? — არა-მეთქი, — გადავირიე! — აბა, ვისია აი ბაღანა? (გურული „ციგნები“ იყვნენ და იქაურ კილოზე ლაპარაკობდნენ)... კიდევ ერთ შემთხვევას გაიხსენებ: ჩვენს ეზოში ბოშების ქორწილი იყო. ვინაიდან მაგდას სულ „ციგანს“ ეძახდნენ და თან აშინებდნენ — „თაბორი“ (ბოშათა ბანაკი) რომ ჩამოივლის, თან წაგიყვანენო, — დამფრთხალი, კიბის ქვეშ დამალულა და კარგა ხანს ვექებდით...

— მაგდა, შენი ოცნების პრინცი თუ გყავს წარმოდგენილი?

— არა, არასოდეს შემიქმნია გონებაში მამაკაცის იდეალი. მაგრამ ხანდახან კი წარმოვიდგენ თეთრ ცხენზე ამხედრებულ ვაჟკაცს...

— შენს სახელზე რომ გამოხმაურებები მოვა, რომელიმეს ავტორს გასაცნობად შეხვედები?

— კი, ძალიან მაინტერესებს, ვინ გამოთქ-

ვამს ჩემი გაცნობის სურვილს. ერთ-ერთს ამოვარჩევ და შეხვედები კიდევ...

ახლა კი „სასიძოს“ ვერი დადგა. ჩვენი „თოვლის ბაბუა“; **ნიკა ღვინია-ნიძე** განლაგდა.

— ნიკა, რამდენი წლის ხარ?

— 23-ის. პროფესიით მუსიკოსი ვარ. დღესდღეობით ვმღერი, „ტუსოვკებს“ ვაწყო და დივეიდ ვმუშაობ. 5 სიმღერა მაქვს ჩაწერილი. საკმაოდ ხშირად ვმონაწილეობ ამ თუ იმ კონცერტში. გასულ ზაფხულს, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი შემოვიარე ეთერ კაკულიასთან ერთად.

— „ჯუმ-პაოში“ „თოვლისბაბუა“ შენი იდეა იყო?

— ერთ-ერთ საღამოზე გაგვიჩნდა იდეა, რომ ბავშვებისთვის „დაცემა“ „თოვლის ბაბუა“ შეგვეთავაზებინა. საერთოდ, საქართველოში ჩემი ასაკის ბიჭები ყველანაირ ტანსაცმელს ხომ არ იცვამენ, მაგრამ კარნავალი რის კარნავალია, თუ შესაბამისად არ იქნები გამოწყობილი?!

— შენი თვისებების შესახებ მოგიყვები...

— ძალზე ცვალებადი ხასიათი მაქვს, რადგან ჰოროსკოპით სასწორი ვარ, მაგრამ ეს გენიალურობაში ხელს არ მიშლის (იცი-ნის)... მოკლედ, ყველა გიჟდება ჩემზე. ხანდახან, ისეთ ხასიათზე ვარ, რომ ჩემთან დალაპარაკება საერთოდ შეუძლებელია.

— შინ, ოჯახის წევრებთან როგორ ხარ?

— ოჯახის ბურჯი და მუჭუჭი ვარ. „დედა მიყვარს ძალიან, დედა ნატურისთვალა“. მხოლოდ მაშინ ვჯუჯღუნებ, როცა შინ წვნიანს მახვედრებენ, ასეთ დროს, ბოიკოტს ვაცხადებ ხოლმე. ჩემზე ბედნიერი ადამიანი ამქვეყნად არ მეგულება, თუ სადილად შემწვარი კვერცხი, ძეხვი, სოსისი



არ მიმართლებს, ვერ ვიპოვე ისეთი ადამიანი, რომელიც ბოლომდე გამიგებდა

და სალათა „ოლივიე“ გვაქვს. მაგრამ ამის გარდა, სხვა უარყოფითი მხარეც მაქვს: როდესაც საკუთარ თავთან მართო ვრჩები, მეტისმეტად სენტემენტალური ვხდები. ამას ხალხში არ ვამუქავებ.

— სენტემენტალურობას რას ეძახი? ტირი ხოლმე?

— არა, არ ვტირი. თითქოს ყველაფერი კარგადაა — მყავს კარგი მეგობრები, ოჯახი, სამსახური, მაგრამ ყოველთვის, რაღაც მაკლია. ვფიქრობ, ეს სიყვარულია.

— ახლა შეყვარებული არა ხარ?

— რომ დავიბადე, მაშინაც შეყვარებული ვიყავი. სულ მუდამ ვიღაც მიყვარს, ოღონდ, ჩემი სიყვარულის ობიექტი ხშირად იცვლება. ჯერჯერობით არ მიმართლებს, ვერ ვიპოვე ისეთი ადამიანი, რომელიც ბოლომდე გამიგებდა, უკომპლექსო, ერთდირებული და ცოტა გიჟიც იქნებოდა. ჩემს რჩეულს უნდა შეძლოს, ყველა სიტუაციაში ჩემ გვერდით იყოს. სიტყვა „გიჟი“ ვგულისხმობ თავისუფალ ადამიანს... საერთოდ, ჭკუაღამჯდარი ქალები უფრო მომწონს. ვისთანაც სერიოზული ურთიერთობა მქონია, ჩემზე ხუთი წლით უფროსი მაინც იყო... თუმცა, ის, რომ ამჟამად სიყვარულის ობიექტი არა მყავს, სულაც არ მიშლის ხელს, რომ შეყვარებული ვიყო და მიყვარდეს ის, ვინც მომავალში გამოჩნდება...

— თავისუფალ დროს სად ატარებ ხოლმე?

— თუ სამსახურიდან ძალიან დაღლილი არ მოვდივარ, სადმე „ტუსოვკაზე“ შევივლი ხოლმე. საერთოდ, ენერგიული ახალგაზრდა ვარ და ენერგიული გოგონები გამომეხმარონ, ოღონდ, ცოტა „აშარაშკები“...

— „აშარაშკაში“ რას გულისხმობ?

— ქართული გაგებით, ეს სიტყვა თითქმის მეძავს ნიშნავს, მაგრამ მე ამ სახელს მეტრძოდ ქალს ვუწოდებ — აი, დაახლოებით ისეთს, როგორც ჟანა დ'არკი იყო.

— თუ ფიქრობ, რომ დროა, ოჯახი შექმნა?

— ამაზე სერიოზულად არ მიფიქრია, მაგრამ ხანდახან, ჩემი მეგობრების შვილებს რომ ვხედავ, ვფიქრობ, რომ დროა, მეც დავოჯახდე.

— შენს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს თუ გაეცნობი და კიდევ — თავყვანისმცემელთან შეხვედრაზე რას იტყვობ?

— კი, აუცილებლად გავეცნობი და არც შეხვედრაზე ვიტყვი უარს...

მოკლედ, ესეც ჩვენი „თოვლის ბაბუა“ და „ფიფქა“. ვისაც ამ ახალგაზრდების გაცნობის სურვილი გაგიჩნდებათ, დამიკავშირდით ტელეფონზე: 8(77) 45.68.61. იქნებ, ის სწორედ თქვენი ბედია?..

რუბრიკა მოამზადა მარი ჯაჭარიძემ

ვერდინანდ ლორთქიფანიძე
 ჩოხოსანთა საზოგადოების წევრია. მას თბილისელთა უმეტესობა იცნობს, თუნდაც იშვიათი სახელის გამო. იმ წელს, როცა ბატონი ვერდინანდი დაიბადა, გერმანელებს გამოუშვიათ ტანკი — „ვერდინანდი“ და შესაძლებელია, სწორედ ამ ტანკის სახელი დაარქვეს. თუმცა, მეორე ვერსიაც არსებობს: იმ დროს, მარჯანიშვილის თეატრში დადგმულა სპექტაკლი — „ვერაგობა და სიყვარული“, რომლის მთავარი მოქმედი პირიც ვერდინანდი გახლდათ. ასეა თუ ისე, ჩემი რესპონდენტის აქტიური, შთაბეჭდავი და ორიგინალური ცხოვრების გზა სწორედ ორიგინალური სახელით დაწყებულია...

ბატონ ვერდინანდს მართლაც, ბევრი რამ აქვს გასახსენებელი, მაგრამ საუბარი მაინც ჩოხოსნებით დავიწყეთ.

ლელა ჭანკოტაძე

— **სად დევს თანამედროვე ჩოხოსანთა სათავეები?**

— ამ დიდ საქმეს კოწია გამსახურდიამ დაულო სათავე. შემდეგ, ცნობილმა და დიდმა ქართველმა კაცმა ბუკა მანაგაძემ შეკრიბა ჩოხოსნები და საზოგადოება ჩამოაყალიბა. მე ამ საზოგადოების წევრი 1974 წელს, აფრიკიდან ჩამოსვლის შემდეგ გავხდი. იმ დღეს, ბატონმა ბუკამ მთხოვა: თუ გიყვარვარ, ითამადეო. არაჩვეულებრივი ქართული სუფრა იყო მის ოჯახში გამწვანებული. როგორც მასპინძელს, შევთავაზე: თქვენ სადღეგრძელო თქვით, მე დავლემთქი... წვეულება რომ დამთავრდა, თავს კარგად ვგრძნობდი (ჩოხას ასეთი დიდი მადლი აქვს!), მაგრამ ქუჩაში რომ გამოვედი, ღვინო ისე მომერია, რომ მანქანასთან ვეღარ მივედი...

— **რამდენი წევრისგან შედგება ჩოხოსანთა საზოგადოება?**

— ამ საზოგადოებას ორმოცდაათი წევრი ჰყავს. ჩვენი თავკაცი მინდია სალუქვაძე გახლავთ. სულ ახლახან გვთხოვა: გულის ოპერაცია გადავიტანე, ჯობს, ახალი თავკაცი ავირჩიოთო, — მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარი. არ შეიძლება, დარ-



ჩოხოსნები უმანგი ჩხეიძის დასთან, ნინოსთან ერთად

დავტნდის ზმდნდ შუნდინანდ ლტნქიფანძე

ანუ სად იკრიბებიან ჩოხოსნები



ვერდინანდ ლორთქიფანიძე

ბაზი რომ იკრიბება, მისი თავკაცი ახალგაზრდა იყო — დარბაზს ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი სჭირდება.

— **როდის ან რისთვის იკრიბებით ხოლმე?**

— ჭირში, ლხინში, ნათლობის დროს, ეროვნულ და საეკლესიო დღესასწაულებზე ვიკრიბებით ხოლმე. „ხვევროვან რევილუციას“ მივიღეთ მონაწილეობა, ჩვენც მომიტიზგეთა შორის

ვიდექით.

— **რა არის საჭირო იმისათვის, რომ თქვენს საზოგადოებაში ახალი წევრი მიიღოთ?**

— ამისთვის აუცილებელია გაწვევების და ეროვნული სამოსის ტარების სურვილი. ჩვენი წევრი გახლავთ ომარ მხეიძე. ის ზოგჯერ, ჩოხა-ახალუხის გარეშე მოდის ხოლმე. გვეუბნება: ორმოცდაათი წელი ეს სამოსი ვატარე, ნება მომეცით, ჩვეულებრივი ტანსაცმლით ვიაროო. ამის ნებას ვაძლევთ... ჩოხა ეროვნული სიამაყეა. როცა ჩოხა გაცვია, შინაგანად რაინდად გრძნობ თავს, რაც ქცევაშიც აისახება... სამწუხაროდ, ქართული ჩოხა-ახალუხი ძალიან ძვირი ღირს, რად-

გან ხელოსნები, რომლებიც თავის დროზე, ოქროსა და ვერცხლზე მუშაობდნენ და საოცარ ქამარ-ხანჯლებს ან მასრებს აკეთებდნენ, აღარ გვყავს. უწინ კი, ლესელიძის ქუჩაზე უამრავი ასეთი სახელოსნო იყო. მახსოვს, გენიალურმა კაცმა — ოთარ ჩერქეზიამ, რომელიც ახლა საქართველოში აღარ მოღვაწეობს, დამიძახა და მითხრა: მოკვება ჩვენთან ეს ხელობა, რამე თუ არ იღონა სამხატვრო ფონდმაო. მაშინ ხელოსნები გვყავდნენ, მაგრამ ისეთი დრო იყო, 1 გრამი ოქროსთვისაც კი შეეძლოთ, ნებისმიერი ადამიანი დაეჭირათ. ამიტომ ჩაკვდა ეს მამაპაპური საქმე. თბილისში ორიოდე ხელოსანიღა დარჩა, ვინც ჯერ კიდევ ქართული ოქრომჭედლობისა და ჭედურობის ამ უძველეს ტრადიციას ინახავს... უფროსი თაობის წევრებს ჩოხა-ახალუხი გვაქვს. რამდენიმე ხნის წინ, ჩვენი საზოგადოების წევრი, მოქანდაკე და კარგი ქართველი კაცი, ოთარ ფარულავა გარდაიცვალა. ის იას მამა გახლდათ. ოთარს არაჩვეულებრივი ქამარ-ხანჯალი ჰქონდა. იამ მთელი აღკაზმულობა თავის ძმას გადასცა. მართალია, ის არ ატარებს, მაგრამ ოჯახში დარჩება წინაპრების სამახსოვროდ... ამ თემას იმიტომ შევეხე, რომ ჩოხოსანთა საზოგადოებაში გაწვევების სურვილი ბევრ ქართველს აქვს, მაგრამ აღკაზმულობის შექმნა არ შეუძლია. საოცარია, რომ 16-17 წლის ახალგაზრდები, თანაც — გოგონები შემოგვე-



ოთარ ფარულავასთან ერთად

მატენ. ქართული კაბებით მოდიან, ერთ-ერთს ხევსურული კაბა აცვია... უწინ ჩვენი წევრი იყო უშანგი ჩხეიძის და — ქალბატონი ნინო ჩხეიძე.

— თუ არსებობს რაიმე რიტუალი, რომელსაც ახალი წევრის მიღებისას ასრულებთ?

— შარშან უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღდგომა დღეს მიგვიწვია. ახალგაზრდა ქართველი კაცი, გვარად ჭუმბურიძე, საბერძნეთში მიემგზავრებოდა საქართველოს ელჩის სტატუსით. მან მითხრა: დიდი სურვილი მაქვს, ჩოხოსანთა საზოგადოებაში გავეწევრდე და მიღებაზე ჩოხით წარვედგე... საზოგადოების წევრად მიღება უმეტესად, ვახტანგ გორგასლის ძეგლთან ხდება. ჩოხოსნები ხანჯლებქვეშ გავატარებთ ახალ წევრს და შემდეგ, ერთ-ერთი წევრი დალოცავს. ამას ყოველთვის ოთარ ფარულავა აკეთებდა... ბოლოს, ქართული სუფრა იშლება, ეს აუცილებელია. ვკვილობთ, შევინარჩუნოთ ტრადიციები.

— ბატონო ფერდინანდ, თქვენი აზრით, როდის ხდება ადამიანის მიერ წინაპრების ტრადიციების დაკარგვა?

— ბაბუაჩემი ანეპოლისტე ლორთქიფანიძე ჩემს მეგობრებს ყოველთვის ეკითხებოდა: რა გვარი ხარ? ვისი შვილი ხარო? მიკვირდა, არ მესმოდა, ეს რაში აინტერესებდა. ახლა მეც ასევე ვიქცევი... ჩოხოსნები ერთ ცნობილ ოჯახში შევიკრი-

ბეთ. ბავშვს მისი დიდი ბებია-ბაბუების სახელები ვკითხე. ბებიის დედის სახელი არ იცოდა. აი, აქედან იწყება ტრადიციების დაკარგვა. ჩემს ბიჭობაში, პლენანოვზე იყო არაჩვეულებრივი ბაღი — ე.წ. გოფილექტი. იქ უამრავი ადამიანი იკრიბებოდა ხოლმე. ვინმე რომ შემოვიდოდა, თუნდაც, ჩვენზე ორი წლით უფროსი, ფეხზე წამოვდებოდით და ადგილს ვუთმობდით. უფროს თაობასთან ერთად რესტორანშიც შევდიოდით. ცხონებულ ჟორა შავგულიძეს ლუდის ბარში უყვარდა შესვლა. ხშირად მიყვავდით. ყველანი „ნემეცკი შროტი“ ვინდიდით. ერთ სუფრას ვუსხედით, მაგრამ უფროსის მიმართ მოწიწებასა და პატივისცემას არ ვივიწყებდით. ეს პატივისცემა ახლა აღარ შეიმჩნევა, ამიტომ ტრადიციებიც ნელ-ნელა იკარგება.

— თქვენ იაპონიის გმირს გინოდებენ, რატომ?

— იაპონიაში ტურისტად გახლდით ჩასული. 1966 წელი იდგა. გემით ვმოგზაურობდი საბჭოთა ტურისტებთან ერთად. ქალაქ ოსაკაში გემი რეიდზე იდგა. კრუიზის დასაწყისში, გვიან ღამით, როცა ყველა შუქი ჩააქრეს და მხოლოდ „მორიგე“ ნათურებიღა ენთო უღიმდამოდ, მე და ჩემს მეგობარს არ გვეძინა. უცბად შემოგვესმა მორიგე პოლიციელის ყვირილის ხმა, რომელსაც ფარნის შუქი ზღვაში ერთი წერტილისკენ ჰქონდა მიმართული. (ეს ფარანი შემდეგ მე მარუქა და ახლაც შენახული მაქვს...) იქით გავიქეცი, დავინახე, რომ წყალში ვიღაც ფართხალებდა. დავაკვირდი და მივხვდი, რომ ადამიანი იხრჩობოდა. ცხადია, წყალში გადავეშვი. ცურვა კი ვიცოდი, მაგრამ მაინც ძალზე გამიჭირდა. გემზე

ვერ ავიდოდი, ამიტომ ის ადამიანი, რომელიც ახალგაზრდა გოგონა აღმოჩნდა, ნაპირისკენ წავიყვანე. ოსაკა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პორტია, წყლის ზედაპირი ნავთობის ფენითაა დაფარული, ამიტომ ცურვაც მიჭირდა და თან, ეს ნავთობიანი წყალიც ბლომად ჩავყვალა. არავინ მომხმარებია, რადგან ყველას, მასშველი ვეგონე. უამრავი კორესპონდენტი მოვიდა. ლაპარაკის თავეც აღარ მქონდა. წყლიდან ამოსვლისას, გული წამივიდა, შემდეგაც, კარგა ხანს, ცუდად ვიყავი, ამიტომ ჩემ მაგივრად სხვა ტურისტები აძლევდნენ ინტერვიუებს. ყველა გაზეთმა დაბეჭდა ჩემი სურათი და გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა „რუსმა“ ტურისტმა იაპონელი გოგონა. ტოკიოში, საბჭოთა კავშირის საელჩოში პრესკონფერენცია გამართა. ერთმა ამერიკელმა თქვა: როგორ შეიძლება, ფერდინანდი, თანაც — ლორდ-კიფანიძე — რუსი ტურისტი იყოსო?! — ამიტომ ასე დაწერა: „ლორდ ფერდინანდი კიპანიძე“. ეს გაზეთები შენახული მაქვს. უამრავი საჩუქარი მივიღე. ოსაკის საპატიო მოქალაქეც გახვნი. ყველა ტელეკომპანიამ გადასცა რეპორტაჟი ჩემ შესახებ. მაგრამ გავიდა დრო და საშინელი ამბავი მოხდა. ჩვენს სახელოვან ზურაბ წერეთელს იაპონიაში დაკვეთა ჰქონდა შესასრულებელი — საბჭოთა საელჩოს აფორმებდა. სწორედ იმ პერიოდში, ერთმა საბჭოთა მეზღვაურმა გააუპატიურა და მოკლა იაპონელი გოგონა. კინალამ პოლიტიკური სკანდალი ატყდა. ზურაბ წერეთელი გამოვიდა და თქვა: რატომ ის არ გახსოვთ, „რუსმა“ ტურისტმა იაპონელი სიკვდილისგან რომ იხსნაო?! ამოიღეს არქივიდან ძველი გაზეთები და იაპონური პრესა ისევ აჭრელდა ჩემი ფოტოებით; საზარელ ფაქტსაც პოლიტიკური შეფასება აღარ მიეცა...



ჩოხოსნები ღირიკორ ოდისეი დიმიტრიადისთან ერთად

— რომელმა ქვეყანამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— დიდი ხნის განმავლობაში, საქართველოს სამხატვრო ფონდის თავმჯდომარედ ვმუშაობდი. საზღვარგარეთ საქმიან მივლინებაში წასვლა ხშირად მიწევდა. 60-ზე მეტ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, თანაც, ზოგიერთში სამჯერ, ოთხჯერ და ათჯერაც კი ვყოფილვარ, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მაინც ამერიკამ მოახდინა. 1961 წელს აშშ-ში პირველი დელეგაცია ჩავიდა საქართველოდან. ამ დელეგაციის შემადგენლობაში მეც გახლდით. საოცარი 26 დღე გავატარეთ. რესტორანში სასადილოდ რომ შევედით, სანამ სახელური მოვძებნე, კარი თავისით გაიღო; ხელის დაბანა რომ მოვიხდომე, ონკანი ვერ ვიპოვე, შემდეგ მოვიფიქრე, ხელები გავიშვირე, „რაკონინს“, თავზე და წყალი თავისით წამოვიდა... ახლა ამაზე საუბარი უხერხულიც კია, მაშინ კი გაოგნებული დავრჩი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა სიმდიდრე და პროგრესი, მაგრამ ჩვენ იმდენად მდიდრები ვართ ტრადიციებით, რომ მათთვის ეს წარმოუდგენელიცაა... როცა ამერიკაში მივდიოდი, ჩემმა მეგობარმა, აწ გარდაცვლილმა ნოდარ ლოლბერიძემ მოხოვა: იქნებ, მამაჩემის შესახებ რაიმე გაიგო. მამამისი, გოგი ბიძია ომის დროს ტყვედ ჩავარდნილა, დაბრუნების შემდეგ, გადაასახლეს, შემდეგ კი, ემიგრაციაში წავიდა. ოჯახს სავარაუდოდ, ამერიკაში ეგულეებოდა, მაგრამ უტყუარ ცნობებს მის შესახებ ვერ ღებულობდნენ. აშშ-ში ჩვენი დელეგაციის ჩასვლა პრესითა და ტელევიზიით შეუქცებოდა, ამიტომ იქ მცხოვრები ქართველები აეროპორტში დაგვხვდნენ, მათ შორის — გოგი ბიძიაც. გამეცნო. რამდენჯერმე სუფრაზეც მიმიპატიჟა. მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ არ მენდობოდა. მერე პირდაპირაც მითხრა: თუ მართლა შენი მეგობარია ნოდარი, მისი სურათი მიჩვენე... ჯობით დედაჩემის სურათი არ დამქონდა და ნოდარის სურათს რატომ წავიღებდი თან?! დამშვიდობებისას მითხრა: ცოლი შევირთე, ქალიშვილიც შემეძინა, ნინო დავარქვი; ნოდარს არ უთხრა — ეწყინება... ოქროსძეწვიანი საათი მაჩუქა და მითხრა — ჩემს სახელზე ატარე, მოუტყუვდი, რომ არ გენდე შეცდომა დაგუშვით. მერე მეორე საათიც მომცა, რომელიც ასანთის კოლოფში ჩადო: თვითმფრინავში თუ გაგჩხრიკეს და გითხრეს — ორი საათი რად გინდაო? — გადააგდე, ხოლო თუ თბილისამდე ჩაი-

ტან, ნოდარს აჩუქეო... ვერ წარმოიდგენთ, როგორ ტიროდნენ აეროპორტში ჩვენს გასაცილებლად მოსული ქართველები. თქვენ არ იცით, რა ბედნიერები ხართ, საქართველოში რომ მიდინხართო, — გვეუბნებოდნენ. მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და ვერ მივხვდი, რა ატირებდათ — მათ ხომ ცხოვრების საუკეთესო პირობები ჰქონდათ...

— ნოდარს საათი ჩამოუტანეთ?

— მაშინ ძალიან მკაცრად ექცეოდნენ ტურისტებს, თითოეულ ნივთს ამოწმებდნენ. მაგრამ მე რატომღაც არ ჩამომართვეს. როცა ჩამოვედი, ჩემი საათიც მოვიხსენი და რადგან ნოდარს ძმა ჰყავდა, ვუთხარი: მამათქვენმა საათები გამოგიგზავნათ-მეთქი. გავიდა დრო და გაირკვა, რომ ოქროსძეწვიანი საათი გოგი ბიძიამ მე მაჩუქა. დამიბრუნეს და დღემდე ვინახავ...

— ეგზოტიკური ქვეყნებიდან რომელი დაგამახსოვრდათ?

— ძალიან მომეწონა აფრიკის ქვეყნები. აფრიკაში ძალზე ლმობიერი და შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს, მაგრამ იქაურ კლიმატთან შეგუება დიდად გამიჭირდა. უფრო მეტიც — კოლომ მიკბინა და ყვითელი ციება შემეყარა. მიკბინა თუ არა, გრძნობა დავკარგე. სამი დღე-ღამე ვიყავი უგონოდ. შემდეგ, მთელი ათი წლის მანძილზე მიმეორებოდა რეციდივი: შემამცივნებდა და მაღალ სიცხეს მაძლევდა. აფრიკიდან თბილისში რომ დაბრუნდი, საავადმყოფოში დავწექი. ვინც კი კათედრაზე მეცნიერ-მუშაკი იყო, ყველა მოხოვდა: ეს ბაქტერია ცოცხლად არ გვინახავს და სისხლი აგვალეხინეო. ბოლოს, თითებზე საჩხვლეტი ადგილი აღარ მქონდა...

— აფრიკაში ცხოვრების დროს, შიშის განცდა ხშირად გეუფლებოდათ?

— პირველად რომ ჩავედი, შიში მაშინ დამეუფლა. ჩემს მეუღლეს არ ეძინებოდა, მე კი, 16-საათიანი ფრენის შემდეგ, საშინლად დაღლილი ვიყავი. დაწოლილმა, ოთახის თვალიერება დავიწყე და ამან ძილი უმაღლესი დამავიწყა: ჭერზე დიდი ხელიკები დაცოცავდნენ... ერთ დილას, საშინელი წვა ვიგრძენი შუბლზე. სარკეში ჩავ-



ჩოხა ეროვნული სიამაყეა. როცა ჩოხა გაცვია, შინაგანად რაინდად გრძნობ თავს, რაც ქვეყანის აისახება...

იხედე, დავინახე, რომ კანი სულ დამწვარი მქონდა. თურმე, ჩემს შუბლზე ხვლიკს გადაუვლია და კანზე სპეციფიკური სითხე დაუღვრია... ჯუნგლებში სიარული, რა თქმა უნდა, სარისკო იყო. ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა ქვეწარმავალს ფეხი დააბიჯა, გველმა უკბინა და საბრალო, საშინელი სიკვდილით დაიღუპა. საბჭოთა ხელისუფლებას გაუგებარი დამოკიდებულება ჰქონდა თავისი მოქალაქეების მიმართ — როგორც შრომის ანაზღაურების, ასევე უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. ჩვენ გვერდით ამერიკელები და იაპონელები მუშაობდნენ; თითოეულ მათგანს გველის შხამსაწინააღმდეგო წამალი და ნემსი ელო ჯიბეში... როცა ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი გველის ნაკბენისგან გარდაიცვალა, „ბოიმ“ — ჩემმა მოსამსახურე ბიჭმა — გველი მომიყვანა და მითხრა: თუ ეს პითონი შინ გეყოლებათ, წვრილ-წვრილი გველები სიხლოვეს აღარ გაგეკარებიანო. ასე ვიცხოვრე გველთან ერთად. როცა აფრიკიდან მოვდიოდი, „ბოიმ“ ის გველი დაკლა, გაატყავა, ხორცი თვითონ მიირთვა, ტყავი კი მე გამომატანა. იმ პითონის უზარმაზარი ტყავი ახლა ჩემი ბინის ინტერიერს ამშვენებს.

თუ გასამართლებენ, ჯოჯს, ეს წლის დამლევს მოხდეს...



ახალი წლის დადგომა სასამართლო სფეროზეც ახდენს თავისებურ გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეებსა და ადვოკატებს ამ პერიოდშიც საკმაოდ მძიმე და დაძაბულ სიტუაციაში უწევთ მუშაობა, საახალწლო განწყობას სად გაექცევით?! სწორედ ამიტომ, უკვე ხუთი წელია, უზენაეს სასამართლოში დამკვიდრდა ტრადიცია — მეექვსე სართულზე, იქ, სადაც მოსამართლეების კაბინეტებია განთავსებული, ფოიეში დიდ ნაძვის ხეს დგამენ და 30 ან 31 დეკემბერს საახალწლო ზეიმი იმართება: მოჰყავთ სანტაკლაუსი, თოვლის ბაბუა, რომლებიც ბავშვებს ახალ წელს ულოცავენ და საჩუქრებს ურიგებენ. როგორც მოსამართლეებმა აგვისსენს, ამ ზეიმზე ბავშვების მოყვანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — როცა პატარები ამ „პირქუშ“ შენობას თავიანთი ყრბამულით ახალისებენ, ჩვენს დამძიმებულ სულებს შვება ეძლევათ...

მეზი სანავა

ამან ერთგვარი რიტუალის მნიშვნელობა კი შეიძინა: „მოგესხნებათ, სასამართლოს შენობა ყოველ ადამიანში იწვევს უსამოვნო ასოციაციებს, მძიმე ფიქრებს. ვცდილობთ, ბავშვების მეშვეობით ეს აურა განვმუხტოთ და ახალი წელი სიკეთითა და იმედებით დაიწყოთ“, — ვკითხნა მოსამართლე ნინო გვერეტაძემ. როგორც გაირკვა, მოსამართლეები ამ დროს, არც პატიმრებს ივნიფებენ და ახალი წლის დღეებში განსაკუთრებით ღმობიერები ხდებიან.

რაც შეეხება ადვოკატებს, ცნობილია, რომ ისინი ძალზე ენერგიულ და აქტიურ კასტას მიეკუთვნებიან. აღმოჩნდა, რომ ახალ წელსაც ასევე ენერგიულად ხვდებიან. ქართლოს ღარიბაშვილი თურმე, ერთდროულად რამდენიმე ახალ წელს აღნიშნავს. თუ როგორ ახერხებს ის ამას, ოდნავ ქვემოთ მოვითხრობთ...

რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ახალ წელთან დაკავშირებით კურიოზული სიტუაციები სასამართლო დარბაზებშიც იქმნება ხოლმე. ასეთი შემთხვევების გასახსენებლად, რამდენიმე ცნობილ მოსამართლესა და ადვოკატს მივმართეთ.

ნინო გვერეტაძე, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მოსამართლე:

— ერთ-ერთ პროცესზე, როცა მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარს განვიხილავდით, აღმოჩნდა, რომ კანონის თანახმად, საქმე მისთვის სასარგებლო საშეღავათო გარემოებებს შეიცავდა. ამან საშუალება მოგვცა, ის სასჯელის მოხდისგან გაგვეთავისუფლებინა. ეს გადაწყვეტილება რომ გამოვაცხადეთ, მსჯავრდებულის ახლობლები ტრიბუნასთან მოვიდნენ და დიდი ამბით დაგვაპირდნენ — საახალწლოდ აუცილებლად მოგიტანთ ჩურჩხელებსო. მე და ჩემი

კოლეგა მადონა ვოგელა (ჩვენ პალატის ერთ შემადგენლობაში ვართ) გავმხიარულდით, რადგან ორივეს ძალიან გვიყვარს ჩურჩხელა. იმ ქალბატონმაც ჩვენი გულის წადილი გამოიწყო და საახალწლოდ, ყველაზე კარგ საჩუქარს დაგვპირდა. მაგრამ ჩაიარა იმ ახალმა წელმა, გავიდა დრო, ჩურჩხელები კი არსად ჩანდა. იმ პროცესის შემდეგ, ასე ამოდ ველით ამ საჩუქარს... თუმცა, მოლოდინი არც მე და არც ქალბატონ მადონას ვერაფერ არ გაგვწვდებია, მით უმეტეს, რომ კახურ ჩურჩხელებზე იყო საუბარი...

სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებას არაერთხელ მოჰყოლია დარბაზის აღფრთოვანება. რამდენჯერმე ეს კურიოზულ სიტუაციაშიც კი გადაზრდილა. ერთხელ, გასარებულმა მხარემ ტაშითა და სკამებზე ასტომით გამოხატა კმაყოფილება. საკმაოდ არაეთიკურად გამოუვიდათ, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი: საზოგადოების მხრიდან, განსაკუთრებით ბოლო წლებში, სასამართლო ხელისუფლებისადმი დიდი ნდობა შეინიშნება. ეს კეთილგანწყობა ამკარაა. როცა კანონიერ და სამართლიან



გადაწყვეტილებას მოელიან და ეს მოლოდინი არ უტრუფდებათ, სიხარულისა და მაღლიერების გამოხატვისას, ემოციების გამოვლენას არ ერიდებიან.

მადონა ვოგელია, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მოსამართლე:

— მეც მქონდა ერთი კურიოზული შემთხვევა. მართალია, ახალ წელს არ უკავშირდება, მაგრამ პირადად მე, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება. საკასაციო სხდომაზე წარმოდგენილი გახლდათ პირი, რომელსაც აღმკვეთ ღონისძიებებზე პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული. სხდომაზე გამოსაცხადებლად იგი სპეციალურად გამოიწვიეს წინასწარი დაკავების დაწესებულებიდან... საერთოდ, იმის დასადგენად, რომ ნამდვილად ის პატიმარია წარმოდგენილი, ვის საქმეზეც განვიხილავთ საჩივარს, სხდომის დასაწყისში ვაცხადებთ მის სახელს, გვარს, რა მუხლითაა გასამართლებული და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ასე მოვიქცევი. პატიმარმაც დამიდასტურა, რომ ყველა მონაცემი ზუსტი იყო. დიწყო სასამართლო სხდომა. გამო-



ვაცხადე პალატის შემადგენლობა, ადვოკატების ვინაობა და ის-ის იყო, საქმის არსებით მხარეს უნდა შევხებოდით, როცა პატიმარმა უკმაყოფილება გამოთქვა – თქვენ მიერ დასახელებული ადვოკატი არ იცავს ჩემს ინტერესებს – სხვა ადვოკატი მყავსო. ეს წარმოუდგენლად ჩავთვალეთ და სხდომის გაგრძელებას შევეცადეთ, მაგრამ ამაოდ: პატიმარი არ ჩერდებოდა – ერთხელ გამოთქვა შემოფოთება, მეორედ... ბოლოს და ბოლოს, მოსამართლეებმა საკმაოდ მკაცრი ტონით მოვუწოდეთ მას წესრიგისკენ. მაინც არ დაწყნარდა, გვიმტკიცებდა – არა, ბატონებო, მე ის კაცი არა ვარ, ვინც ეს ადვოკატი აიყვანაო... რა თქმა უნდა, ჩვენც შევშფოთდით და ბოლოს გავარკვიეთ, რომ სხვა ადვოკატთან კი არა, სხვა პატიმართან გვეკონია საქმე. მარინე გიორგის ასულ ფერაძისა არ იყოს (მხ/ფ „ჭრიჭინა“), სახელიც, გვარიც, მამის სახელიც და წარმოიღვინეთ, ნასამართლეობის მუხლებიც დაემთხვა... საცოდავი კაცი, მიუღი საათი იბრძოდა იმისთვის, ეს რომ დაემტკიცებინა... ის პიროვნება, რასაკვირველია, გაუწვდით სხდომიდან და ისევ ციხეში დავბრუნეთ. მოსამართლეები ნამდვილად უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდით... რაც შეეხება ახალ წელს – ამ პერიოდში, ამა თუ იმ სასამართლო სხდომის დასასრულს, გადაწყვეტილების მიღების წინ, ქალბატონი ნინო გვერეტაძე ხშირად მეუბნება ხოლმე – რა მოხდა, ვიყით ცოტა უფრო ლობიერები – ახლა ხომ ახალი წელიაო... ამიტომ, თუ კანონი ამის საშუალებას გვაძლევს, წლების მიჯნაზე მსჯავრდებულები გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ...

ქართლოს ღარიბაშვილი, ადვოკატი:

– ამ ახალ წელს არასტანდარტული განცდებით ვხვდები, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, და ბუნებრივია, ეს პერიოდი სამუდამოდ დამჩნება მენსიურებაში. თუმცა, ჩემი ცხოვრებიდან კიდევ ორ ახალ წელს გამოვყოფდი განსაკუთრებით: 1975 წლის დადგომას, როცა ამ ზეიმს ცხოვრებაში პირველად შევხვდი საქართველოს ფარგლებს



გარეთ – მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში. გრანდიოზული კარნავალი გაიმართა, მიუღი მალღივი კორპუსი სავსე იყო ახალგაზრდებით. ყველა ცეკვავდა და, რა თქმა უნდა, მეც. მაშინ ერთდროულად ორ ახალ წელს შევხვდი: მოსკოვში 11 საათი რომ შესრულდა, საქართველოში იმ დროს დადგა ახალი წელი და მე ეს დიდი ზარ-ზეიმით აღვნიშნე, 12 საათზე კი, მოსკოვის დროით ვიზიემე.

ასევე დამამახსოვრდა 1986 წელი, როცა ჰავანაში ერთდროულად სამ ახალ წელს შევხვდი: დღის 3 საათზე – ქართულს, 4 საათზე – ლიტველებისას, რადგან ლიტველი მეგობრები იყვნენ ჩემთან ერთად და დამის 12 საათზე უკვე კუბელების ახალ წელს. იმ დამით, ქართველების ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ჩემს მეგობარს ნამდვილი კურიოზი შეემთხვა (საკმაოდ ცნობილი პიროვნება და არ მინდა, მისი ვინაობა დავასახელო). კუბელებმა ქალაქგარეთ წაგვიყვანეს, იქ, სადაც დიდი კარნავალი იმართებოდა. იქვე ახლოს ტყე იყო. ამ ტყეში შევედი და ახალი წელი ქეიფით იქ აღვნიშნეთ. ცოტა ხანში, ეს ჩემი მეგობარი მომაკლდა თვალს. დაიკარგა, არსად ჩანდა. ბევრი ვეძებთ, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. ბოლოს და ბოლოს, სასტუმროში წავედი და თან ვფიქრობდით, რა ზომებისთვის მიგვემართა მის მოსაძებნად. ძალიან გაგვიკვირდა, როცა იგი სასტუმროში, თავის ნომერში დაგვხვდა. გაოცებულვინა შევეკითხეთ – რა მოხდა? სად წახვედი? რატომ მიგვატოვე-თქო? თურმე გაუჭირდა, საპირფარეოში წასვლა მოუწია და იმ ტყიდან სასტუმროში წასულა. თანაც, ტაქსი გაუჩერებია და საკმაოდ ძვირი – 15 პესოც გადაუხდია. მეორე დღეს დარდობდა – 15 პესო როგორ დამიჯდა „ეს საქმეო“?!

მპა გისაღია, ადვოკატი:

– ახალ წელს, ტრადიციულად, ოჯახში ვხვდები. ვცდილობ, დამის 12 საათზე აუცილებლად ვიყო შინ, რომ ოჯახის წევრებს არ გამოვკაგდე და მათთან ერთად საუკეთესო განწყობით შევხვდე ახალ წელს. ძალიან მიყვარს ეს დღესასწაული, 2004 წლის დადგომა კი ჩემში განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს, რაც ალბათ მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმაც განაპირობა. უკეთესობის იმედი მაქვს და რწმენაც, რომ ეს იმედი არ გამიცრუდება...

ახალი წლის დღეებში, კურიოზულ სიტუაციაში ბევრჯერ მოვხვედრილვარ, მაგრამ ერთმა ასეთმა შემთხვევამ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. სასაცილო კი ის არის, რომ ეს სტუდენტობის პერიოდში მოხდა. ყველაფერი თვითონ მოვუწყვე საკუთარ თავს, თუმცა – სრულიად გაუცნობიერებლად. ყოველ 2 იანვარს, როგორც უწოდებენ – ბელობის დღეს, მეგობრები ჩემს სახლში



ვიკრიბებოდით. მაშინაც, ჩვეულებისამებრ, შევიკრიბეთ. სუფრაც გაიშალა. წესით, სახალწლო სუფრაზე ხინკალი არ უნდა მოგინდეს, მაგრამ მე ძალიან მიყვარს და ავიჩემე – ხინკალი მინდა-მეთქი. ვერაფერი მომიხერხეს, ჩემი დაოკება სრულიად შეუძლებელი გახდა. ბოლოს მეგობრებმა მითხრეს – ერთი ოჯახი ვიცით, სადაც უგემრიელეს ხინკალს ამზადებენ და იქ წავიდეთო. გახარებული და აღტაცებული წამოვხტი და თვალის დახამხამებაში უკვე მანქანაში ვიჯექი. ბევრნი ვიყავით, ორ მანქანაში ძლივს მოვთავსდით. მეგობრებს შორის ერთ-ერთი, ჩემი თაყვანისმცემელი იყო. მივადექით ჩემთვის სრულიად უცხო სახლს, მაგრამ რატომღაც ყველა გაჩუქდა – თითქოს ფეხს ითრევედნენ და პირველს მე დამითქმეს გზა. ჩემი ფიქრები ხინკალს დასტრიალდება და, რა თქმა უნდა, ამას ყურადღება არ მივაქციე, უყოყმანოდ შევედი ოჯახში. თან საკმაოდ ხმაძაღლა, მასპინძლების მისამართით ვთქვი – გილოცავთ ახალ წელს, ბედნიერი ყოფილიყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში-მეთქი! კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ხინკალი არსად ჩანდა. გაკვირვება რომ გამოვხატე, მეგობრები მაშინ გამოტყდნენ ყველაფერში: თურმე, იმ თაყვანისმცემელს ჩემი ცოლად შერთვა გადაეწყვიტა და მეგობრების მხარდაჭერით, ხინკალი შესანიშნავ საბაბად გამოიყენა... მისი ჩანაფიქრი განხორციელდა კიდევ – იმ დღეს დავქორწინდით... თუმცა, რამდენიმე წელიწადში ოჯახი დაგვეწვრა და მას შემდეგ, 2 იანვარს ყოველთვის ვფრთხილობ, ვცდილობ, საპასუხისმგებლო ნაბიჯი არ გადავდგა...

ასე, ღიმილითა და იმელებით ხვდებიან სასამართლო სფეროს წარმომადგენლები მომავალ ახალ წელს. თუმცა, ჩვენთან საუბრისას ისიც აღნიშნეს, რომ სასიკეთო ცვლილებების რწმენა მათში პასუხისმგებლობის ვრძობას აძლიერებს და აძლენდა, მეტი შემართებითა და დატვირთვით აპირებენ მუშაობას. ჩვენც წარმატებებს ვუსურვებთ მათ!

როგორი იქნება 2004 წელი საქართველოსთვის? რას მოგვიტანს მაიმუნის წელიწადი? რა ცვლილებები მოსალოდნელია? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ნათელმხილველმა ნატაშა სკოროხოდოვამ სცადა. თუმცა, როგორც ჩვენთან საუბროსას აღნიშნა, ეს ინტერვიუ უფრო, სახალისო და გასართობი იქნება (ამდენად, თუ მასში რაიმემ შეგაშფოთათ, ზედმეტად სერიოზულად ნუ მოეკიდებით), რადგან მთელი ქვეყნის მომავლის განსაზღვრა ძალზე რთული საქმეა. საერთოდაც, როგორც ქალბატონმა ნატაშამ გვითხრა, ერთნაირი პროგნოზის გაკეთებასთან შედარებით უფრო იოლია დროის ხანგრძლივი პერიოდის პროგნოზირება...



„განათხოვარ გოგონებს ვურჩევ — გააქტიურდით!“

ლელა ჭანკობაძე

— ჯერ ვისაუბროთ იმ უსიამოვნებებსა და პრობლემებზე, რასაც 2004 წელი მოგვიტანს...

— ცხადია, მაიმუნის წელი მშვიდი და სტაბილური არ იქნება, პირიქით — ბევრი უსიამოვნება და დაძაბული დღე გველოდება. მოსალოდნელია დიდი ვენებათაღელვა, რომელსაც მძიმე სოციალური ფონი შექმნის. მთელი წლის მანძილზე არ შეწყდება ჩხუბი, კამათი, დაპირისპირებები. რამდენიმე ცნობილი სახე საბრალდებო სკამზე აღმოჩნდება... პრობლემებს დაგვიმატებს ცვალებადი კლიმატური პირობებიც — ცხელი ზაფხული და მძიმე ზამთარი, მოსალოდნელი სტიქიური უბედურებები, რომელსაც მცირერიცხოვანი მსხვერპლიც კი მოჰყვება... საერთოდ, მაიმუნის წლისთვის დამახასიათებელი ქაოსურობა მთელ მსოფლიოზე აისახება. სხვათა შორის, კარგია, როცა ეს წელი ემთხვევა ახალი ხელისუფლების

მოსვლას, რადგან პირველ ეტაპზე უფრო გამართლებულია ხმაური, ქაოსი, შეცდომები... გართულებები შედარებით იოლი ასატანია შენების დასაწყისში, ვიდრე მაშინ, როცა „სახლის გადახურვაზე“ მიდგება საქმე...

— ხომ არ არის მოსალოდნელი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება?

— პირიქით, ურთიერთობები ცენტრსა და რეგიონებს შორის კიდევ უფრო დაიძაბება, კონფლიქტები გამწვავდება. კულმინაციას ეს პრობლემები მაშინ მიაღწევს, როცა სითბო სიცივით შეიცვლება და მკაცრი ზამთარი დადგება. მაგრამ ეს ყველაფერი საოცრად სწრაფად დამთავრდება, პრობლემა მოგვარდება და ამის წყალობით ხელისუფლება ხალხის ნდობას შეინარჩუნებს. რამდენადაც დაძაბული და ემოციური იქნება ეს წელი, იმდენად მობილიზებული აღმოჩნდება მთავრობა. ასე რომ, იმაზე უარესი, რასაც აქამდე შევსწრებივართ, ნამდვილად არაფერი გველოდება. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ თვით განწყობა, რომლითაც ახალ წელს შევეგებებით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იმაში, რაც შედეგობაში მოხდება.

— დაახლოებით მაინც თუ შეგვიძლია თქვით, რა გველოდება წლის პირველ ნახევარში?

— წლის პირველ ნახევარში მოსახლეობა ყვე-

ლანაირად დაუჭერს მხარს მთავრობასა და მის პოლიტიკას, ხოლო მეორე ნახევარში ხელისუფლებით უკმაყოფილება გამოიკვეთება. მოვლენებით განსაკუთრებით დატვირთული იქნება: თებერვალი, აპრილი, მაისი, ივლისი, ნოემბერი, დეკემბერი... 2004 წელს აქტუალური გახდება სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დაახლოების ტენდენცია. ეს წელი სასიკეთო იქნება იურისტებისთვის, პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენებისთვის. საგრძნობლად გაუმჯობესდება ტურისტული კომპანიების საქმიანობა. საზინის შევსება დაიწყება, მაგრამ თანხების ხარჯვა-განაწილება ისევ არადაამაკმაყოფილებელი იქნება. ამ თვალსაზრისით მძიმე თვეები იქნება: თებერვალი, მაისი და ნოემბერი. იანვარში სოლიდურ თანხებს მიმართავენ სოციალური სფეროსაკენ: გაიცემა სხვადასხვა სახის კომპენსაცია და დახმარება. ზამთრის ბოლოს მოიმატებს ფსიქიკურად დაავადებულთა რაოდენობა... ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ ნეგატიურ მოვლენებს ებრძოლოს, გამოავლენს ამბიციებს და ხელს შეუწყობს სხვადასხვა უცხოელი მისიონერის საქმიანობას. გააქტიურდებიან მაქინატორები და მოსახლეობაც კვლავ გაებნება მათ ქსელში... თებერვალსა და მარტში გაიზრდება შობადობა, რომელიც ბიჭების სიმრავლით აღინიშნება. ასევე მოიმატებს ვირუსული დაავადებებისა და საკვებით მოწამვლის შემთხვევათა რიცხვი. აპრილში ხშირად აღინიშნება უცაბედი და ნაჩქარევი ქორწინება და ასევე განქორწინება. აპრილის ბოლო და მაისის დასაწყისი სასიკეთო იქნება საფინანსო პოლიტიკის სფეროსთვის.

— როგორი იქნება ზაფხული?



— მომავალი ზაფხული გამორჩეული იქნება ტურისტების მოზღვაების თვალსაზრისით. გაზაფხულის ეპიდემიების, წყალდიდობებისა და გვალვების შემდეგ, მოსახლეობა ამოისუნთქებს, თუმცა, ეკოლოგიური კატასტროფებით (ვგულისხმობ, არა საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს) იენისი და ივლისი ყველა სხვა თვეებს გადააჭარბებს. გაიზრდება რელიგიური ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტების რაოდენობა. დაიწყება მასონების, სექტანტების და სხვა მისტიკური მოძრაობების მიმდევართა აღზევება; დაიბაბება პოლიტიკური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან.

— შემოდგომისთვის რას უნდა ველოდოთ?

— სექტემბერი ემოციებით დატვირთული თვე იქნება. პენსიონერები ისევ ვერ მიიღებენ პენსიებს, დაიბაბება მდგომარეობა მაფიოზურ კლანებს შორის; მოსალოდნელია სისხლიანი გარჩევებიც. გაიზრდება ავარიებისა და ტრაგედიების საშიშროება. ოქტომბერი გამორჩეული იქნება სასამართლო პროცესების სიმრავლით. თუმცა, მთლიანობაში შემოდგომა უმტკივნეულოდ ჩაივლის. უფრო სასიკეთო იქნება დეკემბერი, რომელიც სხვა თვეებისგან განსხვავებით, დადებით პოლიტიკურ მოვლენებს გვპირდება. ამ დროს შეიძლება მოხდეს სახელმწიფო აპარატის განაზღვრება და ქვეყანა დიდ კრედიტსაც მიიღებს. ამაღლდება კულტურული ცხოვრების დონე.

— და მაინც — მოკლე რეზიუმე რომ გავავეთოთ, მთლიანობაში როგორ იქნება 2004 წელი?

— ვფიქრობ, იმაზე უკეთესი წელი გველოდება, ვიდრე განვლილი 2003 — თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი სერიოზული ცვლილება გველის, რომელიც ჩვენთვის სასიკეთო იქნება. გამოვიტყდებით, მაიმუნის წლისგან უფრო დიდ ქაოსს ველოდი, მაგრამ ასე არ მოხდება. როცა პოლიტიკოსთა სურათებს დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ ბევრი კარგი იდეა განხორციელდება.

— თუ არის მოსალოდნელი განვითარება ნინო ბურჯანაძეს, მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ჟვანიას შორის?

— მიხეილ სააკაშვილი უთუოდ, საქართველოს პრეზიდენტი გახდება. არჩევნების შემდეგ, ბევრი სერიოზული საკადრო ცვლილება მოხდება. დაპატიმრებები გაგრძელდება. საბრალდებო სკამზე ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდება, რომლის დაჭერა ახლა წარმოუდგენლად გვეჩვენება... წლის პირველ ნახევარში, „სამუელში“ განხეთქილება მოსალოდნელი არ არის. უთანხმოებას უკვე აქვს ადგილი, მაგრამ ეს ჯერ არ ჩანს. ამ სამი პოლიტიკოსის ერთ პოზიციაზე დგომა წარმოუდგენელია, ხოლო თუ ისინი ერთიანობას შეინარჩუნებენ, ეს ქვეყ-

ნისთვის საოცრად კარგი იქნება... ცალკე გეტყვით მიხეილ სააკაშვილზე, რადგან საყოველთაო ყურადღება ახლა მისკენა მიპყრობილი. 2004 მისი აღზევების წელი იქნება — ყველაფერში გაუმართლებს. თავისი ნიჭის რეალიზებას მოახერხებს, უფრო მეტ მომხრესაც შეიძენს, ვიდრე აქამდე ჰყავდა. ყველა, ვინც ეჭვის თვლით უყურებს, მის უპირატესობას აღიარებს. ამას ვერ ვიტყვი ზურაბ ჟვანიასზე. ის დაიბნევა, გაუჭირდება ცხოვრების რიტმისთვის ფენის აწყობა... გაუმართლებს ვა ბარამიძეს. ნინო ბურჯანაძეს დიდი ძალისხმევა დასჭირდება საიმისოდ, რომ შეინარჩუნოს ის რეიტინგი, რომელიც ახლა აქვს... უკიდურესად გამწვავდება ურთიერთობა კრიმინალებსა და ხელისუფლებას შორის. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები საოცრად გააქტიურდებიან; ისინიც კი, ვინც ამჟამად არ ჩანან, კვლავ გამოჩნდებიან ასპარეზზე, ხმას აღიმადლებენ და ყველანაირი ბინძური მეთოდით დაიწყებენ ბრძოლას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. პოლიტიკაში ახალი სახეებიც გამოჩნდება... ასე რომ, პოლიტიკოსების საქმიანობა იმდენად აქტუალური იქნება, რომ მთელი წლის მანძილზე, ქვეყანა კვლავ საოცრად პოლიტიზებული ცხოვრებით იცხოვრებს.

— რას გვირჩევთ — როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ მოვიმადლიეროთ მაიმუნს?

— ცხოვრების რიტმს უნდა აუწყოთ ფენი. განზე თუ გაურკვეველ პოზიციაზე დგომა არ გარგებთ, ჯობს, აქტიურად გბრძოლოთ პრობლემებს. წელს ბევრი სიძნელე გველის, მაგრამ უარესი წლებიც გვახსოვს... გასათხოვარ გოგონებს ვურჩევ — გააქტიურდით: წელს გათხოვების ყველაზე დიდი შანსი გაქვთ. ეცადეთ, თეთრი შალის

დაფისაგან საკუთარი ხელით მოქსოვით ტომსიკა; ჩაყარეთ შიგ ხორბალი, ერთი მრგვალი გიშერი და სუფთა სანთლის სამი მომცრო ნატეხი; ტომსიკა ჩამოკიდეთ სახალწლო ნაძვის ხეზე; ძველით ახალი წლის შემდეგ ჩამოსხნით და ყელზე ჩამოიკიდეთ — ორი დღე ტომსიკა გულთან ახლოს უნდა გქონდეთ; შემდეგ, სასთუმლის ქვეშ დადეთ — მომავალ ახალ წლამდე... არსებობს მეორე რჩევა, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა, ვისაც სურს, ბედნიერი წელი ჰქონდეს. სუფრაზე აუცილებლად მიიტანეთ ფორთოხალი, თაფლი, ნიგოზი და ხის მაიმუნი, რომელსაც ყელზე თოკს მოაბამთ. სასურველია, მაიმუნი დასვით ნაძვის ხის ქვეშ; არ დაგავიწყდეთ, თოკით მიაბათ ნაძვის ხის ძირზე — ამით მას დაიმორჩილებთ. თუ თავის ნებაზე მიუშვებთ, ცუდ სიურპრიზებს ვერ ასცდებით... ყველას, ვინც მაიმუნის წელში დაოჯანებას აპირებს, ვურჩევ, ეს ნაბიჯი ზაფხულში გადადგას: სიცხისგან გათანგულ მაიმუნს ამ დროს, ენერგია გამოცლილი აქვს საიმისოდ, რომ საკუთარ ნებაზე გატაროთ...

— შეგიძლიათ თქვათ, როგორები იქნებიან ისინი, ვინც წელს დაიბადებიან?

— მაიმუნის წელიწადში, წინააღმდეგობებით აღსავსე და გაუტანელი ადამიანები იბადებიან. ამავე დროს, ისინი ჭკვიანები, მოხერხებულები, ორიგინალურები არიან და იოლად წვევებენ ყველაზე რთულ პრობლემებს; არ მოიბეზრება ისეთი სფერო, რომელშიც საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას ვერ შეძლებენ. არ სჩვევიათ გულში წყენის ჩახვევა. ძალიან ადვილი იქნება მათი გადაბირება და გადარწმუნება...

„ქვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული სენსიტი
გთავაზობთ კომპიუტერის უმსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:
 საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი. საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „ქვირის პალიტრის“ გამოცემებში. დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „ქვირის პალიტრის“ ოფისში.
 მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
 დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

ინფორმაციულ-ჰეპესტეიტი
კოლაჟი

ეონა დვალის
უბის წიგნაკვან:

1. იმედინ, არხენ ადამიანს ხათრიჯამი ჰქვია.
2. მოკლულ ილიას, მკვლელმა ჯიბიდან ოქროს სათი ამოაცალა.
3. თავისი პირველი მულტფილში დისნეიმ ავტოფარეში შექმნა.
4. მაკარონის მომზადების რეცეპტი იტალიაში მარკო პოლომ შეიტანა.
5. ლეფანე, ლეპატარავე, ლესხულუხე – სოფლებია მარტვილის რაიონში.
6. უმიწო გლესს, რომელსაც არ გააჩნდა წარმოების საშუალებები, ტაბარუკს ეძახდნენ.
7. „ველვეჯ ხორცს“ – ასე ითარგმნება სიტყვასიტყვით ბერძნულიდან სიტყვა „სარკაზმი“.
8. სიცოცხლის მანძილზე ფუტკარი დაახლოებით 4,5 მილიონჯერ იწვევს ფრთებს.
9. ავსტრალიური ლენის მუერნეობა მსოფლიოში ყველაზე უკეთესადაა მექანიზებული.
10. ტელესერიალში – „სოპრანოს კლანი“ – ერთ-ერთ მთავარ როლს ტონი სირიკო ასრულებს.

11. წისკილში საფეხავის მსხვილად დაფეხავს როშა ჰქვია. აქედან წამოვიდა გამოთქმა – „რას როშავ?“.

12. „ვერ ეღირსება სიკეთეს, ვინც ისევ წამალს იკეთებს!“ – ამტკიცებს კოტე ყუბანეიშვილი.

13. განსაკუთრებით ფასეულ დოკუმენტებს ავანტიურები მეტალის უთხელესი ფენით ფარავენ, რათა შეუძლებელი გახადონ მათი ქსეროკოპირება.

14. ლონდონელების აზრით, ჭეშმარიტი ლონდონელი ის არის, ვინც სენტ-შერი-ლე-ბოუს ეკლესიის ზარის ხმის გავრცელების არეალშია დაბადებული.

15. ტროლელებმა ჰკითხეს ბერძენ მწვერავს, სინონს – რატომმა ტროას ცხენი ასეთი დიდი? „რათა ვერ შედლოთ მისი ქალაქში შეტანა,“ – უპასუხა ვერავმა სინონმა.

16. ქალაქ ატლანტის ხანძრის სცენის გადაღებას ფილმში – „ქარწყალბული“ – 1938 წლის 10 სექტემბერს, პოლიულის ყველა ძველი დეკორაცია შეეწირა.

17. ბარიკადები პარიზის ისტორიაში პირველად, 1588 წლის 12 მაისს, კათოლიკური ლიგის მომხრეებმა აღმართეს ქალაქის ქუჩებში.

18. ებრაული ტრადიციის მიხედვით, შაბათს, ეზოს გარეთ არაფრის გატანა არ შეიძლება. ამის გამო,



„ნიჭიერ გოგონებს ვეძებთ არა მხოლოდ სერიალში ბადასაღებად“... ანუ



„მუსკულების“ გმირების საახალწლო სურვილები

ნათია ქვიცია

საქართველოში ტელესერიალები ისე შემოვიდა მოდაში და ისეთი პოპულარული გახდა, რომ ბრაზილიას ალბათ თეთრი შურით შურს ჩვენ. არადა, რა ჩვენი ბრაზია, ასეთი „სერიული“ ტალანტის მქონე მსახიობები რომ გვყავს?! განსაკუთრებით მაშინ, როცა სერიალი იუმორისტულია.

დღეს, ახალგაზრდებს შორის დიდი წარმატებით სარგებლობს „მუსკულები“, რომელიც ტელეკომპანია „202“-ის ეთერში გადის. მასში ყველასათვის საყვარელი ზვიო (ზვიად ბლიაძე), შონზო (ზურა განჩილაძე), ალეკო მალხაზიშვილი და ანა ვიუნტერი მონაწილეობენ. ანა პროფესიით მეგილინა, კონსერვატორიაში სწავლობს და მის ორკესტრშიც უკრავს. როგორ მოხვდა იგი ამ სერიალში? ჩვენს თუ არა ანას ბიჭები? რაზე ოცნებობენ საახალწლოდ „მუსკულების“ მონაწილენი? – ყველაფერ ამზე თავად „მუსკულები“ მოგვითხრობენ, რომლებსაც ინტერვიუსთვის გადაღების დროს ვესტუმრეთ.

— როგორ გაჩნდა ამ სერიალის გადაღების იდეა და რატომ დაარქვით მაინცდამაინც „მუსკულები“? ზვიო:

– სერიალის იდეა ორი წლის წინ, ზაფხულში დაგვებადა. „რუსთავი 2“-სთვის უნდა გადაგველი, მაგრამ შემდეგ, ეს გვგმა

ჩაიშალა და ამ არხზე გავუშვით. რაც შეეხება სახელწოდებას, „მუსკულებს“ არანაირი დატვირთვა არა აქვს, უბრალოდ, თუმბორისტულია და კარგია. ყველას ძალიან მოეწონს.

— როლებზე თქვენი დამტკიცება რა კრიტერიუმებით მოხდა? შონზო:

– ჩვენი ნება არ იყო?! როცა სერიალის სცენარი იწერებოდა, მე და ზვიო გათვალისწინებულები ვიყავით ამ როლებზე. ალექო, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ვინმე მსახიობ ირაკლის როლს ასრულებდა. ახლა უკვე ალეკოა. ხოლო ანი კასტინგის შედეგად შევარჩიეთ.

— ანი, პროფესიით მეგილინემ, რატომ გადაწყვიტე, რომ სერიალის გმირების შერჩევაში მიგელო მონაწილეობა?

– შემთხვევით მოვხვდი: მეგობარმა მთხოვა, რომ მივსულიყავი „202“-ში და სამსახურის პირობები გამერკვია. ეს ბიჭები რომ დავინახე, მივხვდი – კარგი პროექტი მზადდებოდა...

შონზო:
– კასტინგში გამოცხადებული იყო: ამ სერიალს ისეთი გავლენა აქვს, რომ ადამიანს მარჯვენა ხელის თითებს უზრდის... მოგესვენებათ, მეგილინეებს მარცხენა ხელის თითები მარჯვენაზე გრძელი აქვთ. ანამ იფიქრა – თან პოპულარული გავხდები, თან ორივე ხელის თითებიც გამითანაბრდება...

ზვიო:
– ანიმ მოიტყუა, არანაირი დაქალი არ



ანიმ მოიგყუა, არანაირი დაქალი არ ჰყავდა. „ზოლუშკას“ ისტორიას გიყვება ახლა, თავს გაწონებს

ჰყავდა. „ზოლუშკას“ ისტორიას გიყვება ახლა, თავს გაწონებს – ნახე, აქ რა კურიოზულად მოვხვდით. ეს იცი, რას ჰგავს? – მომღერლებზე რომ ამბობენ ხოლმე – თავიდან ბარში უკრავდა და მერე ვარსკვლავი გახდაო...

ალექო:

– ...ის ვითომ დაქალი კი, თვალითაც არ გეინახავს.

— რა მოხდა? — ერთი ტყუილი ვაქტივეინოთ...

ანა:

– ნამდვილად არ არის ტყუილი...

ალექო:

– ეგ შენ დაიჯერე, რომ მართალია. საკუთარ თავს იტყუებ. თან ის დაქალი ისედაც არ გამოგვადგებოდა, რადგან ტოლი თითები აქვს.

ანა:

– ხომ ხედავ, როგორ მჩაგრავენ?!

შალვა რამიშვილი:

– ჩვენს სერიალში ყველაზე „შეცვლადი წერტილი“, გოგოს როლის შემსრულებელია. სხვათა შორის, ჩვენ ნიჭიერ გოგონებს ვეძებთ არა მხოლოდ სერიალში გადასაღებად, არამედ სარძეოებადაც. ამდენი ბიჭი გყავს დასაოჯახებელი. მოკლედ, ყველანაირი კასტინგი გვაქვს გამოცხადებული. ბევრი გოგონა მოდის, რომელიც არც გადაღე-



– ე-ეჰ!.. სასიძოს შერჩევას ვინ გვეკითხება?!

ბისთვის ვარგა და არც საპატარძლოდ, მაგრამ ვიტანო...

ზვიმო:

– გოგოს მიზანი ხომ ის არის, რომ კარგად გათხოვდეს. ჩვენ ბუნდები ვიქნებით, თუ ანის კარგად გავათხოვებთ.

— სასიძოს შერჩევაში მონაწილეობას არ მიიღებთ?

– ე-ეჰ!.. მაგას ვინ გვეკითხება?!

შონზო:

– ჩვენ უბრალოდ, „ვარეკლამებთ“ ანის, სასიძო კი, თვითონ გამოიჩინოს მარიფათი.

— ახლა-ახალ სერიებს ყოველდღე იღებთ თუ გარკვეული ნაწილი უკვე გადაღებული გაქვთ?

ალექო:

– თავდაპირველად, როცა გადაღება დაიწყო, ორი თვის მარაგი დაგვაროვით. ახლა კი, „ონლაინ“ სისტემაში გეშეშობთ: დილით გადაღება გვაქვს, საღამოს კი – ეთერში გავდივართ.

შონზო:

– შაბათ-კვირას, ჩვენი სერიალი ეთერში არ გადის, მაგრამ გადაღებას მაინც ვაგრძელებთ და ორი სერია „ზაპასში“ გვაქვს ხოლმე.

— ახალი წლის დღეებში თუ გავა ეთერში სერიალი და რაიმე განსაკუთრებულს ხომ არ წარმოგვიდგენთ?

ზვიმო:

– საახალწლოდ „მუსკულები“ აუცილებლად გავა ეთერში. გადავიღებთ სპეციალურად საახალწლო სერიებს.

— თითქმის ყველა სერიაში სხვადასხვა სტუმარი გყავთ. რა კრიტერიუმებით ირჩევთ მათ?

– ამაზე ჩვენი პროდიუსერი – შალვა რამიშვილი ზრუნავს. როცა სცენარი დაიწერება, მერე შალვა არჩევს, თუ რომელი სტუმარი უნდა მოიწვიოს, ან პირიქით ხდება – სტუმარი გყავს შერჩეული და შემდეგ სცენარი სპეციალურად მისთვის იწერება.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე სტუმარი ვერ მორგებოდა როლს?

ინფორმაციულ-შეფხვნილი კოლაჟი

ეორი ღვალის უბის წიგნაკდან:



გონიერი ებრაელები, ზოგჯერ მიუღ ქალაქს მათულის შემოავლებდნენ ხოლმე, რის შედეგადაც ქალაქი ერთ დიდ ეზოდ აღიქმებოდა. ეს ეშმაკობა საკმაოდ უმსუბუქებდა ებრაელებს შაბათთან დაკავშირებულ აღნიშნულ პრობლემას.

19. რუსეთის ერთ-ერთ კაზინოში ტულეტში ხელების ელექტროსაშრობი ჩვეულებრივი პირსახოცით შეცვალეს, რამაც კაზინოს მოგება საგრძნობლად გაზარდა. საქმე ისაა, რომ კლიენტები ხელების გამწვანებას ელექტროსაშრობით 45 წამს ანდომებდა, პირსახოცით კი მხოლოდ – 5 წამს.

20. „არაკაცებს; ღორმუცელებს; ორპირებს; რენეგატებს; ტუნსებს; იმორებს; ნიჭიერებს; ეხმარება; ბაბუ; ასლანი;“ – ასე იმიჯდება, ვანტანგ ტატიშვილის თქმით, აბრევიატურა – „ალორძინება“.

21. „სადაც ცეცხლი არ ინთება, უძღურია მზარეული“; – ლაღებს ადილური აფორიზმი.

22. ტიბეტში იაკი ძალიან ძვირად ფასობს, რადგან იქ სხვა შინაური ცხოველი არ არსებობს. მის ხორცს ტიბეტელები მხოლოდ მაშინ ჭამენ, როცა იაკი შემთხვევით კლდიდან გადავარდება.

23. ერთხელ, ღმერთი ვიშნუ ქონდრისკაცად იქცა და ღმერთა მეფეს, ბალის სთხოვა, მისთვის იმდენი მიწა მიეცა, რამდენსაც იგი სამი ნაბიჯით დაფარავდა. ბალი სიამოვნებით დათანხმდა. მაშინ ვიშნუ გიგანტად იქცა და ერთი ნაბიჯით მიწა ზეცა მოიცვა, მორე ნაბიჯით – მიწა დედამიწა, მესამე ნაბიჯი კი, სულგრძელმა ვიშნუმ აღარ გადადგა.

24. 1843 წელს, ახალგაზრდა ჰანს ქრისტიან ანდერსენი



სტუმრად ეწვია უკვე ცნობილ მწერალს, ვიქტორ ჰიუგოს. გამომშვიდობებისას მან მასპინძელს ავტოგრაფი სთხოვა. ჰიუგომ ფურცლის თავზე წაუწერა: „სიტყვა ეძლევა ანდერსენს“. შემდგომში, ანდერსენმა ჰიუგოს ეს უცნაური საქციელი ასე ასხნა: „ის მე არ მიცნობს და თავს იზღვევს, რომ მისი სახელი რომელიმე სტრიქონის ქვეშ არ აღმოჩნდეს მიწერილი, რომელსაც შემდეგ მას მიაწერენ“.

25. II მსოფლიო ომის შემდგომ, ინგლისში პროლეტები ბარათებით გაიკეცოდა. ამის გამო ერთ-ერთმა ბრუკლინელმა მანდლოსანმა 1947 წლის 20 ნოემბერს დედოფალ ელისაბედს საქორწილო საჩუქრად ნეილონის წინადა და ინდაური გაუგზავნა.

– რა თქმა უნდა. უმეტეს შემთხვევაში ასეც ხდება. მაგრამ ჩვენ არც გვჭირდება, რომ ყველაფერი პროფესიონალი მსახიობის დონეზე შეასრულოს – იმ ადამიანის კერანზე გამოჩენაც გვაკმაყოფილებს.

— ყველაზე დასამახსოვრებელი სუბრობა მომიყვით...

ალექსო:

– მეთხუთმეტე სერიის მესამე კუროსი. შონზო:

– ეს კითხვა არ გვიყვარს, რადგან ჩვენ სულ ვხუმრობთ, თან – კარგად ვხუმრობთ. ალექსო:

– ინტერვიუ ისეთი საპასუხისმგებლო რამეა, რომ ამ დროს არ ვხუმრობთ ხოლმე, ამ საქმეს სერიოზულად ვეკიდებით.

— გათვალისწინებული თუ გაქვთ, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება „მუსკულები“?

ალექსო:

– 2014 წლის 7 აგვისტომდე გვაქვს კონტრაქტი გაფორმებული, მაგრამ 8 აგვისტოს ბოლო სერია – „მუსკულები ლაითი“ იქნება. თან, გამოთვლილი გვაქვს, რომ ამ დროისთვის, ანას უკვე გათანაბრებული ექნება ორივე ხელის თითები.

ზვიმო:

– სერიოზულად კი ვეტყვით – „მუსკულების“ გადაღება ალბათ, კიდევ ერთი წლის მანძილზე გაგრძელდება.

— თქვენ KBH-ის წყალობითაც იყავით პოპულარულები, მაგრამ „მუსკულებმა“ მაყურებლის მეტი სიყვარული მოგიტანათ. თავად თუ გრძნობთ ამას?

შონზო:

– „ცნობადობა“ გაიზარდა, თორემ, „ვარსკვლაურმა“ დაავადებამ დიდი ხანია, გავვიარა – თუმცა, პატარ-პატარა დოზით ყველას გვქონდა... თანდათან ყველაფერს ვგუებით. ახლა უკვე ჩვეულებრივად აღვიქვამ, ქუჩაში რომ მივდივარ და ვიღაცა ჩემს სახელს ყვირის. ბუნებრივია, მას ჩემი დანახვა უხარია. ახლა სხვანაირად პოპულარულები ვართ. ვატყობ, რომ ვიღაცებისთვის ძალიან შინაუ-

რები, ოჯახის წევრებით გავხდით. ქუჩაში რომ მხვდებიან, დიდი ხნის უნახავი ნაცნობით მეგობებიან. ეს ყველაფერი ტელეეკრანის წყალობით მოხდა.

— ახლახან, „ლამის შოუმ“ ფილარმონიის დიდ დარბაზში წინასაახალწლო კონცერტი გამართა. თქვენც ხომ არ აპირებთ კონცერტის ჩატარებას?

– ჩვენც ვაპირებდით შოუს ჩატარებას, მაგრამ ცნობილი „ბატალიების“ გამო გადავდეთ... ახლა სულ ახალი პროგრამა გვაქვს და მარტში წარვდგებით მაყურებლის წინაშე.

— რამ გამოიწვია თქვენი და „ლამის შოუს“ მონაწილეთა დაშორება?

– ეს ძალიან ბუნებრივია: დაფუძნდა ჩვენი ტელეკომპანია. ხალხი, რომელიც ამ კომპანიაში არ მუშაობს, ჩვენიანი არ არის; თან, „რუსთავი 2“-თანაც არ აგვეწყო თანამშრომლობა, თუმცა, ამ სერიალის გადაღების პირველი შემთავაზება „რუსთაველებისგან“ მოდიოდა. პროექტი უკვე „დაიჭოქა“, მაგრამ რატომღაც ეს ურთიერთობა აღარ შედგა.

ზვიმო:

– ჩვენ უბრალოდ, მათთან თანამშრომლობა აღარ გვაკავშირებს, თორემ, მეგობრები ისევ ვართ.

— KBH-შიც აღარ გამოხვალთ ერთად?

– ალბათ არა, რადგან ჩვენ სულ სხვა გეგმები გვაქვს. KBH ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ეტაპი იყო. არ არის აუცილებელი, რომ გავიმეოროთ.

შონზო:

– დამიჯერეთ, რასაც აქამდე ვაკეთებდით, იმაზე ბევრად კარგ რამეს გავაკეთებთ. ის ხალხი, ვინც ჩვენს ხუმრობებზე გაიზარდა და ვისაც ვუყვარვართ, გაცილებით ნასიამოვნები დარჩება ჩვენი ახალი პროექტით.

ზვიმო:

– ასე ვიტყვით: ჩვენი მეგობრები გადაიქნენ ჩვენს კოლეგებად და არა თანამ-

შრომლებად.

— ამ სერიალის გარდა, ამჟამად კიდევ თუ საქმიანობთ სადმე?

ზვიმო:

– ეს სერიალი ბევრ ენერგიას მოითხოვს. ჩვენ ამ საქმეს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით, ამიტომ, გენაცვალე, ეგ კითხვა ჩვენთვის შეურაცხყოფელიც კია!..

ალექსო:

– გადაცემა „ბუდარიას“ ვაკეთებ ტელეკომპანია „პირველ სტერეოზე“.

შონზო:

– მე კიდევ, ლექსებს ვწერ.

— ახლ, მითხარი შენი რომელიმე ლექსი...

– (მღერის): „მითხარი, კიდევ მითხარი, რომ ეს არ ყოფილა სიზმარი. მიყვარხარ, მე შენ მიყვარხარ!..“ ეს ჩემი ლექსია.

— მართლა?

– იცოდე, ამ ინტერვიუს, ჟურნალში დაბეჭდილს რომ ვნახავ, ეგ შენი „მართლა“ უნდა წავიკითხო. აუცილებლად გქონდეს ეს ჟურნალი, რომ მაგ შენი „მართლასი“ შეგცხვენს!.. ჰმ, „მართლა“?! 2002 წლის საუკეთესო ტექსტის ავტორის პრიზი მაქვს აღებული! ერთი პატარა აგურია და ზედ აწერია: „მაგარი ხარ!“

— ახალ ნელს როგორ შეხვდები?

– ძალიან მხიარულად. შინ გაზის პისტოლეტი მაქვს და ორი მაშხალაც ყოფიდა. ჩემს შედითან ერთად გავისვრი. ისე, ზვიოსაც კი აქვს გაზის პისტოლეტი. მოკლედ, „ვარუ-ჟონი“ „სასტავი“ ვართ.

ალექსო:

– ე-ეჰ, რა ვიცი... ახალი წლის ღამეს ვბუშაობ – ერთ-ერთ რესტორანში საღამოს წამყვანი ვარ...

შონზო:

– მართლა, შენ იცი, რომ ჩვენ მიერ მოწყობილი გართობა 6.000 ლოლარი ღირს?

ზვიმო:

– თუ ხალხს სურვილი ექნება, რომ ტიტვლებმა ვიცეკვოთ, მაშინ 12.000 ლოლარი უნდა გადაიხადონ...

— ახლა თქვენი საახალწლო ოცნებებიც გამომხილეთ.

– უჰ! თავი მომაბეზრეთ აძენი კითხვით... რამე თქვით, ბიჭო, თორემ იტყვიან – არც ისეთი მხიარულები ყოფილანო...

ალექსო:

– სახლი მინდა ახალი, სადაც სამივე ერთად ვიცხოვრებთ. მომბეზრდა ეს „მუსკულების“ სახლი.

ანა:

– ახალ წელზე საერთოდ არ ვფიქრობ, რადგან კონსერვატორიაში გამოცდები მაქვს ჩასაბარებელი.

შონზო:

– „რულევი კალონკა“ მინდა!..



უმეტეს შემთხვევაში ასეც ხდება. მაგრამ...

ბედობის დღი

ახალი ცოცხი, მარილიანი კვერი, სარკეში ნანახი საბედო...

როგორ შევეგებოთ ბედობა დღეს? როგორ მოვიქცეთ, რომ ბედნიერება დაგვებედოს? როგორ ეგებებოდნენ უნინ ბედობას? წარსულის გახსენებას ხომ მუდამ თან ახლავს მხიარულებაც და სევდაც...



ლელა ჭანკობაძე

მარინე, 50 წლის:

– ძვერა – როგორც გაატარებ ბედობის დღეს, მთელი წელი ისეთი იქნება შენთვის. მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობაში, ჭიშკარს ღიას ვტოვებდით, რომ არავის დაემხა შორიდან: შეიძლებოდა, ამის გამო, ხმაური დაგვბედებოდა... უსიამოვნო ამბებს არ ვიხსენებდით და ვცდილობდით, სახლის გარეთ ნაგავიც არ გაგვეტანა, რათა ახალ წელს, ბევრი ხარჯი არ გვექონოდა... ერთი ზამთარი მინდა გავიხსენო. მაშინ 19 წლის ვიყავი. დიდი ასაკი არ მქონდა, მაგრამ მშობლები მაინც ნერვიულობდნენ: რატომ არ თხოვდება? კარზე არ დაგვიბერდესო!... ამის მიზეზი შეიძლება, ისიც იყო, რომ ჩვენს ოჯახში ორი გაუთხოვარი მამიდა ცხოვრობდა: 45 წლის ვერიკო და 50 წლის სალომე. გაუთხოვარი შეილები ჯავრმა ბებიჩემი ლოგინად ჩააგდო. ერთი სიტყვით, მამაჩემმა გადაწყვიტა, ოჯახში მეკვლედ ისეთი კაცი მოეყვანა, რომელიც „ოქროს ფენის“ აღმოჩნდებოდა და მისი ფენის ძალა უპრობლემოდ გამათხოვებდა. მეზობელ სოფელში ცხოვრობდა ღურმიშხან გოგია, ამბობდნენ: მეკვლედ თუ მოგივიდა, ე.ი. იმ წელს ოჯახს ნამატი ექნებაო... მამა წინასწარ მოელაპარაკა და კარგი გასამრჯელოს ფასად ჩვენს ოჯახში მოსვლაზე დაითანხმა. ჩვენც გაავაფრთხილა: 2 ანგარის ღილას, ეზოში ხურჯინიანი კაცი რომ გამოჩნდებოდა, ზღურბლის წინ მას ტკბილეული დაუფინეთო.

— **მეკვლედ ხომ ის ითვლება, ვინც 31 დეკემბერს, ღამის 12 საათზე გეწვევა სტუმრად?**

– იმერეთში მიაჩნდათ, რომ ბედობა დღეს, იმ ოჯახში, სადაც გაუთხოვარი

ქალი ცხოვრობდა, პირველად, კაცი უნდა შესულიყო და ხონჩაზე დაწყოილ ტკბილეულთან ერთად ამ ქალისთვის „ბედი“ უნდა „მიეტანა“. ხონჩაზე აუცილებლად ბურთივით მრგვალი გოგრა უნდა ჰქონოდათ დადებული... ერთი სიტყვით, მზად ვიყავით მეკვლის დასახვედრად, მაგრამ არ მოვიდა. ამაო ლოდინში 3-4 საათი რომ გავიდა, მამამ პალტოს წამოავლო ხელი და ბრაზიანად ჩაილაპარაკა: წავალ, სადმე არ მინამქროს ის უბედურიო: ხვარიელად თოვდა... აღარც მამა გამოჩნდა, აღარც მეკვლე. თურმე, ისე ჩახერგილა გზები, რომ მამაჩემი იძულებული გამხდარა, თავის ბიძაშვილებთან შესულიყო და ღამე იქ გაეთენებინა. გათენდა. შუადღე მოახლოვდა და როგორც იქნა, ეზოში კაცი გამოჩნდა. დაკავირდით და მამა ვიცანით. ცოცხით იკაფავდა გზას. შეშინებულები შევეგებეთ, კითხვები დავყარეთ. გათოშილი, „ფეითან“ დაჯდა და ცოცხიც იქვე მიაყუდა. ეს ცოცხი, საკუთარი ხელით გაკეთებული, თავის ბიძაშვილს გამოუტანებია – ამით თოვლში გაიკვალავ გზასო... მამას ეგონა, მეკვლე იყო და უკვე წავიდა კიდევცო, რომ გაიგო – ღურმიშხანის ნაცვლად, მეკვლედ თავად მოვიდა, – უმისამართოდ შეიკურთხა: ცოცხის გარდა, ახალი არაფერი მომიტანია, რა უნდა დაგვებედოს, როგორი წელი უნდა გვექონდესო?!

ერთი სიტყვით, ყველას ხასიათი წავკინდა. დღემ კი, ხელი მოჰკიდა ცოცხს და თქვა: რადგან მეკვლემ სხვა არაფერი მოგვიტანა, სხვენში შევაგდებ და მომავალ წლამდე შევინახავო... ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, დაუჯერებელი რამ მოხდა. მეზობელი ქალი მოვიდა და გვითხრა: ჩემს მავლს (ის კაცი ქვრივი იყო) ცოლის შერთვა უნდა, შვილები

უკვე დიდები ჰყავს, ქალაქში ცხოვრობენ, მარტოობისგან დაიტანჯა კაციო. მამაჩემი აღშფოთდა: მერე, სანუგეშებლად ჩვენი მარინე ვაახლოო?! – მარინე რად უნდა? – თვალი სალომეს დაადგაო!... ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თავად სალომემაც ვერ ამოიღო ხმა... ორი თვის თავზე კი, ჩვენს ოჯახში ლხინის სუფრა გაიშალა. ჩემი 50 წლის მამიდა წესისამებრ გავისტუმრეთ ოჯახიდან, მზითვიან-მაყრიანად. ჩემს მშობლებს ამის შემდეგ გაახსენდათ ცოცხი, რომელმაც ბედნიერება მოგვიტანა. ჩამოიტანეს და ბებიის ნივთებთან ერთად სათუთად შეინახეს. იმ წელს, ზაფხულის ბოლოს, მე გავთხოვი, სექტემბერში კი – 45 წლის ვერიკო მამიდა. ეს იმდენად დაუჯერებელი ამბავი გახლდათ, რომ მთელი სოფელი ჩვენს ცოცხზე ალაპარაკდა. ყველაზე საოცარი კი ამ ამბავში ის იყო, რომ ახალი წლის წინა დღეებში, მეზობელი სოფლებიდანაც კი მიდიოდნენ მამაჩემის ბიძაშვილთან და სთხოვდნენ, რაც შეიძლებოდა მეტი ცოცხი გაეკეთებინა, რათა შემდეგ ამ ცოცხებით მამაჩემს გასათხოვარი ქალების ოჯახები დაესაჩუქრებინა...

ნათილა, 54 წლის:

– ბედობის წინა ღამეს, აუცილებელია მარილიანი კვერების გამოცხობა. გასათხოვარმა ქალმა ძილის წინ, ერთი კვერი უნდა შეჭამოს; ღამით წყურვილი შეაწუხებს, სიზმარში წყალს დაუწყებს ძებნას, მაგრამ ამაოდ; ბოლოს, მასთან მივა მამაკაცი და პეშვით წყალს მიუტანს – სწორედ ეს კაცი გახდება მისი ბედი... 18 წლის ვიყავი, ბებიამ ეს საიდუმლო რომ გამანდო და მეც სიამოვნებით შევჭამე კვერი. ღამით, სიზმარში წყურვილმა დამტანჯა, წყლის მოძწოდებელი კი არავინ გამოჩნდა. ის იყო ქანცგაწყვეტილი უნდა დავცემულიყავი, რომ დავინახე, ჩემკენ ფორთხვით მოდიოდა ვიღაც წვერიანი კაცი; კარგად დაკავირდი და შევნიშნე, რომ ცალი ფეხი მოკვეთილი ჰქონდა... შეშინებულს გამომეღვიძა. შიშისაგან ისე ხმამაღლა დავიყვირე, რომ ბებიაც გავალვიძე. ფეხმოჭრილი კაცი დამესიზმრამეთქი, – ვუთხარი. ბებიას ფერი წაუვიდა. მეორე დღეს, დამიმარტოხელა და ჩამჩურჩულა: დიდი ჯაფა დაგადგება – იოლი არ იქნება ინვალიდთან ერთად ცხოვრებაო... დაუყვირე: ნეტავ შენ, მაგ მარილიანი კვერისა და უთავბოლო სიზმრის რომ გვერა-მეთქი!... ეს ამბავი მალე აღარც გამსხენებია. გავიდა დრო. წლები თვალის დასამხამებაში მომემატა. 32 წლის გავხდი. მშობლები შეწუხებულები იყვნენ: დროა, გათხოვდე, რაღას ელოდები? შენს



ტოლებს უკვე დიდი შვილები ჰყავთო... გათხოვება მეც მინდოდა, მაგრამ ერთი კაცი მიყვარდა, მის გარდა, არავინ მინდოდა, მას კი ცოლ-შვილი ჰყავდა. ერთი სიტყვით, ცხოვრებისგან კარგს აღარაფერს ველოდი. ჩემი ცალმხრივი სიყვარულის შესახებ ბევრმა ახლობელმა იცოდა. ცხადია, ეს ამბავი გელას ყურამდევ მივიდა. ბედნიერი ვარ და გთხოვ, თავი დამანებო, არ მინდა, ჩემს ოჯახს ბზარი გაუჩნდესო, — მთხოვა. მაგრამ ადამიანები ბედისწერას ვერსად გავექცევით: ერთ ავბედით დღეს, გელა ცოლ-შვილთან ერთად ავარიში მოყვა, ცოლი და 3 წლის გოგონა ადგილზევე დაიღუპნენ... ეს იმდენად შეშინებელი იყო, რომ ღმერთს ვეხვეწებოდი: ოღონდ, გელას ნუ გამწარებ და მე მომკალი-მეთქი! გელა სამი თვის მანძილზე ებრძოდა სიკვდილს. მე გვერდიდან არ მოვცლებივარ, მის დასთან ერთად პალატაში ვმორიგეობდი. მეორე დაც ჰყავდა, მაგრამ ის გელას 8 თვის შვილს უვლიდა, რომელიც ავარიის დროს სასწაულებრივად გადარჩა... ძალიან მძიმე დღეები გადავიტანეთ. გელას მარჯვენა ფეხი მოჰკვეთეს. შეიძლებოდა, მეორე ფეხიც დაეკარგა, მაგრამ ღმერთმა ბოლომდე არ გაწირა... გელას დებმა იაქტიურეს, თორემ, ჩვენ ერთად მინც არ ვიქნებოდით. გვერდიდან არ მიშორებდნენ, ბავშვს ჩემთან თვეობით ტოვებდნენ... გელა სამკურნალოდ გერმანიაში წაიყვანეს. იქიდან რომ დაბრუნდა, მე და მისი შვილი აერობორტში დავხვდით. ლიკა უკვე ორი წლის ხდებოდა. გელა ბედს შეეგუა. ამ ტრაგედიიდან ხუთი წლის თავზე კი, დაეკორწინდით. ასე ამიხნა მრავალი წლის წინ, ბედობის დამეს ნანახი სიზმარი — ლოდინითა და დარდით ძალაგამოლეული, სწორედ ცალფეხა კაცის ცოლი გაეხდით. არადა, იმის წარმოდგენაც კი არ შემიძლო, რაც ახლა ჩემთვის

ბედნიერებად იქცა: ინვალიდი ქმარი და სხვისი შვილი...

რამაზი, 45 წლის:

— ჩემი მეგობარი ტარიელი კარგი ვაჟკაცი იყო, აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა და ბევრი კურიოზიც გადახდენია თავს. გამუდმებით თან სდევდა ხიფათი. უამრავი საინტერესო ამბის მომსწრე და მონაწილე გახლდათ. ერთ დღეს მითხრა: ცოლი შეირთე, თორემ, ისეთ რამეს მოგიწევს, არასდროს დაგავიწყდებაო... მაშინ სტუდენტები ვიყავით და მხიარულად ვატარებდით დროს. ახალ წელს, ტყიბულში დამპატიყა — იქ მისი ბებია და ბაბუა ცხოვრობდნენ. მითხრა: მე ორი დღით ადრე წავალ და თადარიგს დავიჭერ, რომ კარგად მოვემზადო დღესასწაულისთვისო... 31 დეკემბერს, საღამო ხანს, მეც წავიდი. გაუხარდა ჩემი ჩასვლა და კარგადაც ვიქიფეთ. შეზარხოშებულს, ჩამჩურჩულა: ხომ იცი, აქ ერთოთახიანი ბინაც მაქვს, იქ წავიდეთ — არ მინდა, იმ სახლს სიცარიელე „დაეხელოსო“. წავიდი. მისმა ბებიამ მოგვამხნა: ბედობის დამეს ქუჩაში არ შეხვდით, მალე დაბრუნდითო!.. მივედით ბინაში. ტარიელმა სუფრა გაშალა და უცბად წამოიძახა: ვაიმე, სივარეტის ყიდვა დამავიწყდა, გავიქცევი და ახლავე მოვალ. წავიდა. გავიდა ერთი საათი და აღარ დაბრუნდა. ტელევიზორის ყურება მომწყინდა, თან გავბრაზდი, ვიფიქრე: ნამდვილად მეგობრებს გადაეყარა, ქეიფს შეჰყვა და დავავიწყდი-მეთქი. რა უნდა მეკეთებინა? — იქვე საწოლზე დავწექი და მალე ჩამეძინა კიდევ. რამდენიმე საათის შემდეგ, ვიღაცის ხმამ გამაღვიძა. ქალის ნახი ხმა ჩამესმა: „რამაზ! რამაზ!“ — ვიღაც მეძახდა. თვალი რომ გავახილე, ნაბადში ვახვეული თმაგაშლილი რუსი გოგო დავინახე. გამიცინა... დავიბენი. ჯერ ვიფიქრე — მეღანდება-მეთქი, შემდეგ კი, იმ გოგომ ნაბადი რომ გადაიძრო და შიშველი დარჩა, დავრწმუნდი, რომ მართლა სიზმარში ვიყავი... ალერსით გული რომ ვიჯერეთ, ვკითხე: ვინა ხარ? აქ საიდან გაჩნდი-მეთქი? — ტარიელმა ფული გადამიხნადა, მითხრა — ჩემს მეგობარს ქალთან ურთიერთობისას პრობლემები აქვს და იქნებ, დაეხმარო... იმწუთას ტარიელი რომ გამოძესხადებოდა, ალბათ, მოვკლავდი, მაგრამ თბილისში ისე დავბრუნდი, მისთვის თვალიც არ მომიკრავს. მეგონა, ამ ამბავს ვერავინ გაიგებდა. ინსტიტუტში პირველსავე შემხვედრმა რომ ჩამჩურჩულა — დავებედა შიშველი ქალიო? — მივხვდი, ეს ამბავი უკვე ყველამ იცოდა...

— **იმ გოგოს რა ბედი ეწია?**

— ჭკუიდან გადამიყვანა, მას მოსკოვშიც კი გავეკიდე... მერე ჩემგან ბავშვიც გააჩინა. მაგრამ საბოლოოდ ჩვენი ურთიერთობა ვერ შედგა... შემდეგ, მეორედაც დაეკორწინდი, მესამედაც... ტარიელი ახლა ამქვეყნად აღარ არის. ჩვენი სამეგობრო კი, იმ ჯადოსნურ ბედობის დამეს ახლაც სიამოვნებით ვიხსენებთ ხოლმე. დღემდე მეუბნებიან: ბედი ტარიელმა გავიხსნა, მაგრამ მეტიხსმეტი მოუვიდა — შიშველი ქალის მაგივრად, ჩამული რომ მოეყვანა შენთვის, ნამდვილად ერთ ცოლზე გაჩერდებოდიო... ძალიან მიყვარს ბედობის დღე და გულწრფელად მჯერა — როგორც გაატარებ 2 იანვარს, მთელი წელიც ისეთი იქნება...

თინა, 79 წლის:

— სამწუხაროდ, რაც დრო გადის, ძველი წეს-ჩვეულებები იკარგება. უწინ ბედობა სოფლებში ძალიან მნიშვნელოვან დღედ ითვლებოდა და ყველა გაუთხოვარი ქალი საგანგებოდ ემზადებოდა. სამი და ვიყავით: მე, ევგენია და ამალია. ჩვენ შორის ყველაზე ლამაზი ამალია ვახლდათ. ვინ წარმოიდგენდა, თუ ამალიას მთხოვნელი არ გამოუჩნდებოდა და მამისეული სახლიდან რომელიმე ღირსეული ვაჟკაცი თეთრი ცხენით არ წაიყვანდა?! მაგრამ მას თურმე, ოჯახის შექმნა არ ეწერა — ასე დაებედა და იმიტომ. მასხოვს, 14 წლის რომ გახდა, დედამ უფლება მისცა, სარკეში ჩაეხედა.

— **რას ნიშნავს — სარკეში ჩაეხედა?**

— უწინ ასეთი წესი იყო: ახალი წლის წინადღეს, ოჯახის უხუცესი გომურს უხმარი ცოცხით დავვიდა, შემდეგ შიგ ჩადგამდა მუხის მაგიდას, სარკეს, რომელშიც ჯერ არც ერთ ადამიანს არ ჩაეხედა და ვერცხლის ფილას: მასში უნდა ჩაეხსნათ ქალწულის მიერ მოტანილი წყალი; მზის ამოსვლამდე, ქალწული წყაროზე ფენშიშველი უნდა წასულიყო და წყალი ისე მოეტანა, რომ გზაში ხმა არ ამოეღო, თუნდაც, რაიმე ხიფათს გადაჰყოლიდა... ბედობის დღეს, ჭიქაში ჯვარნაწერ „კალიცოს“ ავლებდნენ, სპეციალურ ლოცვას წარმოთქვამდნენ და სარკეში საბედოს სახეს ხედავდნენ. ეს წესი ძალზე გავრცელებული იყო და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სრულდებოდა. იმ წელს, ყველაფერი ჩვენმა გაუთხოვარმა მამილამ მოამხნა. ჩვენ კი გულისფანტქალით ველოდით, როდის გამოჩნდებოდა სარკეში თითოეულის საბედო. პირველმა სარკეში ამალიამ ჩაიხედა. სარკეში შავი ჯვარი გამოისახა. ცუდად გვენიშნა. მამილას ისე წაუხდა ხასიათი,

რომ წყალი გადაღვარა და გვთხოვა, ეს ამბავი არავისთვის გვეთქვა, მაგრამ სოფელში ხმა მაინც გავრცელდა: ამალია ღვთისგან დასჯილია — მისი საბელო მიცვალებულია... ამას ყველანი ძალიან განვიცდიდით. მაგრამ წლები გავიდა და ეს საზარელი ამბავი თითქოს ყველას მიავიწყდა. ერთ დღეს, ჩვენს ეზოს მაშვალი მოადგა. ამალიას ახალციხელ ვაჟკაცს ურიგებდნენ. ისეთი მხარბეჭიანი, მაღალი, ტანადი ყმაწვილი იყო, რომ მის დანახვაზე, გოგოებს სუნთქვა შეგვეკრა. ქორწილის დღეც დაინიშნა და ჩვენს ოჯახშიც ბედნიერების სიმღერა გაისმა. მხოლოდ მაშინ არ მხიარულობდა. მის სახეს ნაღვლიანი გამომეტყველება არ შორდებოდა. კვითხე: ამალიას გათხოვება არ გიხარია-მეთქი? — ბელობის დღე ხომ გახსოვს? — ამალიას ჯვარი აქვს სატარებელი და არა საქორწინო გვირგვინიო, — მიპასუხა. საშინლად გაენაწყენდი, ვთხოვე, ის საზარელი დღე დაევიწყებინა, არ მინდოდა იმის დაჯერება, რომ ადამიანის ბედი ზეცაში წყდება და მოკვდავებს ამის შეცვლა არ შეგვიძლია...

— **რა მოხდა? ქორწილი ჩაიშალა?**

— ქორწილის დღეს, როცა ამალიამ თეთრი კაბა ჩაიცვა და იმედის თვალი იმ გზას მიაპყრო, რომლითაც მისი საქმრო უნდა მოსულიყო, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მექორწილები ამ დროს, თურმე, ტრიად მინდორში იმყოფებოდნენ. მიწაზე სუფურის გაშლას აპირებდნენ, რათა მგზავრობისას დალილებს, ცოტა დაესვენათ; წვიმამ რომ დასცხო, ყველანი მანქანებისკენ გაქცეულან. უცბად, მეზი გავარდა და სამი ადამიანი ადგილზევე გაათავა; ერთ-ერთი მათგანი ამალიას საქმრო იყო... უბედურების მაცნე რომ მოვიდა, საპატარძლომ სახე ჩამოიხოკა — მეტი რა შეეძლო?! საქორწილო კაბა ძაბით უნდა შეეცვალა... ასე გალია თავისი წუთისოფელი. არც სხვა კაცისკენ გაუხედავს და ალბათ, ფიქრშიც არ უღალატია მიცვალებული საქმროსთვის... ყოველივეს, როცა ბეობა დგება, ეს ამბავი მახსენდება. მამა ხშირად ამბობდა: იმ წელს, ავი თვალი და ცუდი ფეხი ჰქონდა ჩვენს მეკვლესო. მე კი პჯირა, რომ ბედისწერას ვერსად გაექცევი. საშინელებაა, როცა წინასწარ იცი, რა წერია

შენი ბედისწერის წიგნში...

ბოდბეძე, 84 წლის:

— უცოლო კაცი ვიყავი. ომმა არ მომცა საშუალება, ოჯახის შექმნაზე მეფიქრა. მერე წლები ისე გავიდა, რომ არც ერთი ქალი არ ჩამვარდნია გულში. ჩვენთან გურიაში ახალ წელს ჩიჩილაკის გარეშე ვინ შეხვდებოდა?! ბაბუაჩემი საუკეთესო ჩიჩილაკებს თლიდა. ვთხოვე — სტუმრად მივდივარ და ისეთი ჩიჩილაკი გამიკეთე, უკან ქალთან ერთად რომ დამბარუნოს-მეთქი. გამინაწყენდა, ჩემი ხუმრობა არ მოეწონა და შემომიბთა: მე ჰიტლერი დავამარცხე, შენ კი ზედმეტს მიბედავო!..

— **ასე რატომ გითხრა?**

— ბიკენტი გურულს ვინ არ იცნობდა?! კარგი ოჯახი ჰქონდა. მისი ოთხი ვაჟი, ხუთი შვილიშვილი და ორი სიძე ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდნენ. 1945 წლის ბელობის დღეს, ბაბუას თავისი ხელით მჭადი გამოუცხვია. მაშინ ყველას უჭირდა და ახალ წელს იმ მჭადს უფრო დიდი სიხარული მოჰქონდა ოჯახში, ვიდრე ახლა მოაქვს ტორტს ან ხიზილალას. წესი ხომ ასეთი იყო — ოჯახის უფროსს მჭადი მარჯვენა ხელის ცერა თითით უნდა მოეტეხა — ის, ცერით მონატეხი პირველი ნატეხი მიცვალებულების წილად ითვლებოდა. ბაბუას აულია მჭადი, ერთხანს უფიქრია, შემდეგ კი, გამწარებულს უთქვამს: ამ ბეობა დღეს, ჰიტლერი მანახვა ასეთი განადგურებულები!.. — და ცხელი მჭადი ბეტონის იატაკზე დაუხეთქებია. ცხადია, მრავალ ნაწილად დაიფშნა... იმ წელს, მართლაც, ჰიტლერის აღსასრულის დღე დადგა. ბიკენტი ბაბუა გურიაში დადიოდა და გაიძახოდა: ჰიტლერი მე დავამარცხე! ცოლო კაცი იყო: ომიდან მხოლოდ მე დაგუბრუნდი ცოცხალი და ცოლის შერთვას მეც არ ვჩქარობდი — იჯავრებდა, აბა, რას იზამდა?!

— **ჩიჩილაკი მაინც გამოგიტოვია?**

— რა თქმა უნდა! ზედ ხმელი ხილიც მამაგრა და მთხრა: აბა, გასწი ბედის საძებნელად! ვინატრე: ნეტავ, მართლა შემახვედრა ჯიშინი ქალი და ეს მოხუცი გამახარებინა-მეთქი!.. ჩემს ქვრივ დას ვესტუმრე. იქ „თვალეზმერცხალა“ გოგო დამხვდა. ჩემს

დანახვაზე ისე დაფროთხა, თითქოს ეშმაკი გამოეცხადა. რა სჭირს-მეთქი? — კვითხე ჩემს დას. — წუხელი, მარილიანი კვერი დაუეცხვე და სიხმარში შენ გნახაო, — მიპასუხა. — მე საიდან მიცნობდა-მეთქი? — გავიკვირვე. — სურათიდანო, — მიპასუხა... ერთი სიტყვით, დარომ ჩათვალა, რომ მისი საბელო ვიყავი. მე კი მასში ჩემი თანასწორი ვერ დავინახე: ასაკით იმდენად უმცროსი იყო ჩემზე, რომ შვილად უფრო მერგებოდა, ვიდრე თანამეცხვედრე... ერთი სიტყვით, შინ ისე მარტო დავბრუნდი. იმ დღიდან კი, ჩემი ტანჯვა დაიწყო. დამ და მამამ აღარ მომასვენეს, გამუდმებით ჩამჩინებდნენ: იმ გოგომ ბელობის ღამეს სიხმარში გნახა, ე.ი. შენი მეწყვილეა, თავს ტყვილად იკავებო... ასე გავრძელდა რამდენიმე თვე. მოგვესწენებათ, სოფლებში ახალი ამბები რა სისწრაფით ვრცელდება. ყველა ამ ამბავზე ალაპარაკდა. ასაკიანი ხალხი გამუდმებით მსაყველურობდა: ბელს რატომ ეურჩებიო?! ერთ დღესაც, ბედის ურჩმა, გადავწყვიტე, დაროს დავლაპარაკებოდი და დამერწმუნებინა, რომ ცოლად არასდროს შევირთავდი. თავჩალუნულმა მომიხმინა, ბოლოს კი მითხრა: ბელობის ღამეს, შენ დამეხიზმრე, ე.ი. ჩემი ბედი ხარ, ბედთან ჭიდილს კი, არ ვაპირებო... აღვფოთი და პირში მივახალე: შენაირ ლაწირაკს შინ ვერ შევიყვან-მეთქი!.. სამი წლის შემდეგ, უცნაური რამ მოხდა: სოფელ გუბში ვიყავი. უცბად, ვილაცამ იყვირა — გუბისწყალს ქალის სხეული მოაქვსო!.. ატყდა ალიაქოთი. მდინარე ისეთი წყალუხვი იყო და ისე მოჩქეფდა, რომ თუ ვაჟკაცი არ იყავი, მის ტალღებთან შებრძოლებას ვერ გაბედავდი. არც დაფიქრებულვარ, ისე გადავხტი. ნახევარი საათის მანძილზე, ამაოდ ცვდილობდი, ქალის სხეული ნაპირზე გამომეტანა.

— **დამხრჩვალ იყო?**

— არა. წყალშივე მივხვდი, რომ თუ ვიჩქარებდი, გადარჩებოდა. ნაპირზე ძლივს ამოვათრიე. ყურებს არ დავუჯერე, როცა იმ ქალმა თვალი გაახილა და სახელით მომმართა. თურმე, დარო გადამირჩენია... ის მეზობელ სოფელში სტუმრად ყოფილა წასული. წყალში ბანაობა მოუსურვებია, დინებას გაჰყოლია და ბოლოს, ამბოთქრებულ წყალს ვეღარ გამქლავებია. თუ არ გათხოვილა, ცოლად შევირთავ-მეთქი, — ჩავილაპარაკე და ორ კვირაში, დაროზე დავქორწინდი კიდევ... სხვათა შორის, ბედნიერები ვიყავით. სამი შვილი გამჩინა და ერთგულად მემსახურა. როცა მარტონი დავრჩებოდი, მას ბედის საჩუქარს ვემძახდი ხოლმე...



თითქოს პარადოქსია, მაგრამ ზოგჯერ ისე ხდება, რომ ჩვენს თანამემამულეებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ უკეთ იცნობენ, ვიდრე სამშობლოში. ასეთი ადამიანების რიგს განეკუთვნება თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი გიორგაძე —
ჭადრაკში ესპანეთის ორგზის ჩემპიონი, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა გარი კასპაროვის მიერ 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლისას მოპოვებულ გამარჯვებაში...



ესპანეთის ჩემპიონი თბილისის მერიასი მოსულედ მუშაობს

ივა ტუხიაშვილი

— ბატონო გიორგი, როგორ მოხდა თქვენი პირველი შეხება ჭადრაკთან?

— საზაფხულო არდადეგების დროს, სოფელში ნათესავებთან ვისვენებდი. ერთ-ერთმა მათგანმა შაშის თამაში მასწავლა. შემდეგ ჭადრაკით დავინტერესდი. როდესაც ქუთაისში დაგბრუნდი (ქუთაისელი გახლავართ და სკოლაც იქ მაქვს დამთავრებული), მამას ვთხოვე — ჭადრაკი მეთამაშე-მეთქი. გაუკვირდა, მაგრამ როდესაც პარტია ჩემი გამარჯვებით დამთავრდა, გადაწყვიტა, ქუთაისის პიონერთა სასახლეში ჭადრაკის წრეში მივეყვანე. მაშინ იქ მუშაობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ბატონი დავით ჩირაძე, რომლის აღზრდილები არიან: მია ჩიბურდანიძე, თამაზ გიორგაძე და მრავალი სხვა ქართველი მოჭადრაკე. მეც მასთან დავიწყე მეცადინეობა და ეს სკოლის დამთავრებამდე გაგრძელდა. მას შემდეგ, რაც სკოლა დავამთავრე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავრიცხე, მწვრთნელი, ფაქტობრივად, აღარც მყოლია და შეიძლება ითქვას, რომ საჭადრაკო ასპარეზზე გზას თავად ვიკვლევდი... თექვსმეტი წლის ასაკში სპორტის ოსტატის წოდება მინანიჭეს, სკოლაში სწავლისას ოთხჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში მოსწავლეებს შორის. მოგვიანებით, უკვე საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამ-

ართულ ოლიმპიადებში ვმონაწილეობდი და საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაშიც დავიმკვიდრე ადგილი. ეს იყო საკმაოდ დიდი წარმატება, ვინაიდან საქართველოდან მხოლოდ სამ მოჭადრაკეს ხვდა წილად უმაღლესი ლიგის წევრობა. შემდეგ მრავალ საერთაშორისო ტურნირშიც ვმონაწილეობდი.

— **რომ მითხაროთ — გარი კასპაროვის მწვრთნელი ვიყავიო, — გამოგიტყდებით, დიდი მოულოდნელობა იყო ჩემთვის...**

— ალბათ გეცოდინებათ — პირველი ქართველი მოჭადრაკე, რომელიც ჭადრაკში ევროპის ჩემპიონი გახდა, ბატონი ზურაბ აზმაიფარაშვილია. მისი თანამემამულე ვარდი ვიყავი, როდესაც მოსკოვში მსოფლიო თასის გათამაშება გაიმართა. ერთ-ერთი სადებიუტო პარტიისთვის ვემზადებოდი და სხვადასხვა კომბინაციას ვარჩევდი. იმ დროს, ზურა კასპაროვთანაც თანამშრომლობდა, ამიტომ სთხოვა — დაგვხმარებოდა რჩევებით მომავალი მატჩისთვის მზადებისას. კასპაროვმა მას სვლების საკუთარი ვარიანტები შესთავაზა. მთელი ღამე კასპაროვის მიერ შემოთავაზებულ სვლებს ვსწავლობდი და შეცდომაც აღმოვაჩინე. დილით ეს შეცდომა აზმაიფარაშვილს ვუჩვენე, მან კი ტელეფონით ეს ამბავი კასპაროვს

ამცნო. სწორედ ეს გახდა ჩვენი გაცნობის, შემდგომ კი — თანამშრომლობის საბაზი. ტურნირის დასრულების შემდეგ, დაგეგმილი იყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი ჭადრაკში, რომელშიც კასპაროვი და კარპოვი ხვდებოდნენ ერთმანეთს. კასპაროვმა თავის ერთ-ერთ მწვრთნელად ამიყვანა, ჯერ მხოლოდ გამოსაცდელი ვადით — ორი თვით, შემდეგ კი, ჩვენი თანამშრომლობა მთელი წელი გაგრძელდა... როდესაც კასპაროვთან მუშაობ, ფაქტობრივად, შენს თავს აღარ ეკუთვნი. დაახლოებით ათსაათიანი სამუშაო დღე გექონდა და მთელი წლის განმავლობაში, „მშრალ კანონს“ ვემორჩილებოდი. მოგეხსენებათ, ეს მატჩი კასპაროვის გამარჯვებით დასრულდა. პარიზში „პლაზა-ოტელში“ გრანდიოზული ბანკეტი მოუწყვეს ჩემპიონატის მესვეურებმა და მასთან ერთად ჩვენც — მისი მწვრთნელებიც (სულ ოთხნი) მიგვიწვიეს. სუფრას მხოლოდ ორი ქართველი — მე და ზურა აზმაიფარაშვილი ვუსხედით და კიდევ ერთი კავკასიელი — კასპაროვის პირადი მზარეული, ეროვნებით სომეხი კაცი იყო. ერთწლიანი „შესვენების“ შემდეგ, დალევა გვინდოდა. კასპაროვს გადავუღალაპარაკე: ახლა ხომ შეგვიძლია დავლიოთ-მეთქი? მან მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო დალია, ჩვენ კი გვითხრა: ახლა, რაც გინდათ, ის ქენითო... მახსოვს, მაშინ კარგად მოვიღვინეთ. ახალ მსოფლიო ჩემპიონს გადაეცა ცნობილი ფრანგი იუველირის, კორლოფის მიერ შესრულებ-



ბული ჯილდო, რომელზეც გამოსახულია ორი – კარპოვისა და კასპაროვის გვარების ინიციალები. ოქროსგან დამზადებული ეს ნაკეთობა თეთრი და შავი ბრილიანტებით იყო გაწყობილი და მილიონი დოლარი ღირდა. მოგვიანებით, გარი კასპაროვმა ის გაყიდა და თანხის დიდი ნაწილი აზერბაიჯანულ ლტოლვილთა დასახმარებლად გადარიცხა.

— კასპაროვთან ურთიერთობა თქვენთვისაც ძალზე ნაყოფიერი იქნებოდა, არა?

— კასპაროვი ძალზე ნიჭიერი ადამიანი და საკმაოდ არაორდინარული პიროვნებაა. უმრუტი ენერჯის პატრონია. არასდროს დასტყობია დადღილობა. შეეძლო, შესვენების გარეშე ოთხ თანამშრომელთან მონაცვლეობით ემუშავა. მთელი ღამეებიც არაერთხელ გავითევია, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მხოლოდ რამდენიმე საათით ვცივდებოდი ერთმანეთს, განაგრძობდა მუშაობას და ახალი იდეებით გვხვდებოდა ხოლმე. ბუნებრივია, იმხელა ცოდნა და გამოცდილება მივიღე ამ თანამშრომლობის დროს, რომ მას შემდეგ, ერთიპორის მიყოლებით ვიგებდი ტურნირებს...


— ჭადრაკის დაფასთან თუ გიცდიათ კასპაროვთან შეჭიდება?

— სხვათა შორის, გვქონდა ასეთი შემთხვევა, როდესაც ევროპის ჩემპიონატზე მე საქართველოს პირველ დაფაზე ვთამაშობდი, ის კი – რუსეთის პირველ დაფაზე. ეს გადაწყვეტი ტური გახლდათ, რადგან რუსეთი პირველ ადგილზე გადიოდა, საქართველოს კი, მხოლოდ ხუთეულში მოხვედრის შანსი ჰქონდა. გარკვეულ მომენტში, რაღაც უპირატესობა ნამდვილად მქონდა და შეიძლებოდა, მატჩი ჩემი გამარჯვებით დამთავრებულიყო, მაგრამ ყაიმით დასრულდა.

— ნამყვანი ქართველი მოჭადრაკეებიდან ვისთან გითამაშიათ?

— თითქმის ყველა წამყვან მოჭადრაკესთან, მათ შორის – ქალბატონებთანაც. თუ გახსოვთ, საქართველოში ეწყობოდა შეჯიბრებები, რომელიც „ნონას ტურნირის“ სახელით იყო ცნობილი. ამ ტურნირში მოჭადრაკე მამაკაცები და ქალები ერთად გამოდიოდნენ. „ნონას ტურნირის“ გამარჯვებული და პირველი ადგილის მფლობელიც გახლავართ. გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებისთვის მზადებაში ვეხმარებოდი ნანა იოსელიანს, ნინო ხურციძეს.

— თქვენ ჭადრაკში ესპანეთის ორგზის ჩემპიონი ბრძანდებით. ამის



ოქროსგან დამზადებული ეს ნაკეთობა თეთრი და შავი ბრილიანტებით იყო გაწყობილი და მილიონი დოლარი ღირდა

შესახებ გვიამბეთ რამე.

— ესპანეთში არსებობს სპორტული სკოლების მთელი ქსელი, რომლის მფლობელიც ესპანელი კაცი, ბატონი მარკოტე განსლავთ. მისი სურვილით ამ სკოლების ბაზაზე ჩამოყალიბდა „კასპაროვ-მარკოტეს“ სახელით ცნობილი ჭადრაკის აკადემია. თავდაპირველად, ამ აკადემიაში მიმიწვიეს მწრთენულად. მოგვიანებით, იქვე ჩამოყალიბდა სპორტული კლუბი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ესპანეთის საჭადრაკო ჩემპიონატში და ამ კლუბში სათამაშოდ მიმიწვიეს. შარშან ეს კლუბი უმაღლეს ლიგაში გავიდა და კანარის კუნძულებზე გამართულ ჩემპიონატში, სადაც ბევრ ცნობილ მოჭადრაკესთან ერთად კარპოვიც თამაშობდა, ჩვენ ჩემპიონობა მოვიპოვეთ. სხვათა შორის, სასტუმროში, სადაც ამ ჩემპიონატის დროს ვცხოვრობდით, ფეხბურთის ვარსკვლავი – რაული იმუშებდა ტრავმებს... უკვე ოთხი წელია, რაც ამ ჩემპიონატებზე ესპანეთის კლუბის სახელით გამოვდივარ და ყოველი წლის აპრილში საშუალება მეძლევა, ათი დღით მოვწყვე ყოველდღიურობას...

— ალბათ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული გარკვეულ ფულად ჯილდოსაც ითვალისწინებს...

— ჩვენ წინასწარ შედგენილი კონტრაქტით ვემუშაობთ და მიუხედავად იმისა, მოიპოვებ თუ არა ჩემპიონობას, შენს კუთვნილ თანხას მაინც მიიღებ, მაგრამ ჩემპიონობის შემთხვევაში, პრემიაც გეკუთვნის.

— ესპანეთის ჩემპიონატში სხვა ქართველი მოჭადრაკეებიც ხომ არ მონაწილეობენ და კიდევ — როგორია ესპანელთა დამოკიდებულება იმ ფაქტისადმი, რომ მათი ქვეყნის ჩემპი-

ონი ქართველი მოჭადრაკეა?

— წლების წინ, ესპანეთის ერთ-ერთ კლუბში თამაშობდა ზურა აზმაიფარაშვილი. ამჟამად ტურნირებში მონაწილეობს ელიზბარ უბილაევა, რომელიც ოჯახთან ერთად ესპანეთში ცხოვრობს. რაც შეეხება დამოკიდებულებას – ესპანელები საკმაოდ კარგად იცნობენ ქართულ საჭადრაკო სამყაროს. მქონდა შემთავაზება, რომ დავრჩენილიყავი ესპანეთში და ტურნირების პარალელურად, ჭადრაკის აკადემიაში მემუშავა, მაგრამ მაცდუნებელი პირობების მიუხედავად, ჩემთვის ძალზე რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება...

— ჭადრაკში საკმაოდ სოლიდური წარმატებებისთვის მიგიღწევიათ, მაგრამ არც თქვენი პროფესია გეთმობათ, ხომ?


— თუ პროფესიონალი მოჭადრაკე ხარ, სხვა სამსახური, გარდა ჭადრაკისა, არ უნდა გქონდეს. მე რეალურად შევაფასე ჩემი შესაძლებლობები და მივხვდი, რომ ჩემგან მსოფლიო ჩემპიონი არასოდეს გამოვიდოდა, ამიტომ დავუბრუნდი ჩემს პროფესიას და გარკვეული პერიოდი, ჯერ იუსტიციის სამინისტროში ვმუშაობდი, ამჟამად კი, თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი გახლავართ.

— ახლა ბევრი მოჭადრაკე ცდილობს, კომპიუტერს შეეჭიდოს. თქვენ არ გიცდიათ?

— როცა თავისუფალი დრო მაქვს, აუცილებლად ვეთამაშები კომპიუტერს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან რთულია, მაგრამ დღესდღეობით, ჯერ კიდევ არსებობს კომპიუტერთან ერთ ღონეზე თამაშის შანსი; მომავალში, ტექნიკა კიდევ უფრო განვითარდება, დაიხვეწება და ადამიანი ვეღარ შეძლებს მასთან პაექრობას. ადამიანის ემოციური დაძაბულობაც კომპიუტერის სასარგებლოდ მოქმედებს. მე თვალს ვადევნებდი მატჩს, რომელიც კასპაროვსა და სუპერკომპიუტერს შორის გაიმართა. მეორე პარტიის მსვლელობისას, აბსოლუტურად თანაბარი პოზიცია იყო, მაგრამ კასპაროვმა დაუშვა უხეში შეცდომა, რომელიც კომპიუტერმა სათავისოდ გამოიყენა...

— 2004 წლის გაზაფხულზე, ესპანეთში კიდევ ერთ ტურნირზე ხართ მინვეული. გაემგზავრებით?

— რა თქმა უნდა. კლუბის მესვეურებს სურვილი აქვთ, რომ ისევე, როგორც შარშან, წელსაც დავიცვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული...



საქართველო

ის, რასაც ახლა გაცნობებთ, ახალ წელთან დაკავშირებული არაა, მაგრამ შესაძლოა, ჩვენი ერთ-ერთი მკითხველისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყოს: გასულ კვირას, დილით, უცნობმა ქალბატონმა დამირეკა, ჩემი ვინაობა იკითხა და მითხრა: იცით, მარი, ჩემს კართან თქვენი ახლობელი გოგონას ჩანთა ვიპოვე, როგორც ჩანს, ის დაყაჩაღების მსხვერპლი გახდა და ჩანთა წაართვეს; შიგ დევს ბლოკნოტი, რომლის პირველ გვერდზე თქვენი სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი წერია; იქნებ, სმა მიაწვდინოთ და უთხრათ, რომ მისი ჩანთა ჩემთანაა... საუბრისას გაირკვა, რომ გოგონას, სავარაუდოდ, მთვარისა უნდა ერქვას. ის ჩემი ნაცნობი არ გახლავთ, მაგრამ როგორც ჩანს, „გზის“ მკითხველია და ჩემი ტელეფონის ნომერიც სწორედ ამიტომ ჰქონდა ჩანთაში. თუ თავს ამოიცნობს, დამირეკოს და იმ ქალბატონთან დაეკავშირებ, რომელმაც გულისხმიერება გამოიჩინა...

მარი ჯაფარიძე

საჩუქარი ჩემთვის ნაგები აქვს

ახლა კი, ჩვენს „გზაჯინალებს“ მივხედოთ. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ დღევანდელი თემა, „ახალი წელი“ და „შობა“ ვახლავთ და ბუნებრივია, ამჯერად, მხოლოდ მხიარულ გზაჯინალებს ველოდით, მაგრამ როგორც „მესიჯებიდან“ ჩანს, ეს საოცარი დღესასწაული მხოლოდ სასაძოვნო მოვლენებთან არ ასოცირდება...

„პირველ ეტაპში რომ მიმიყვანა, ყველას მამაჩემი ეგონა...“

„ახალი წელი რომ ახლოვდება, ყველაზე ცუდად მაშინ ვგრძნობ თავს. ეს დღესასწაული ჩემთვის დიდ ტრაგედია-სთანაა გაიგივებული. ახლა 25 წლის ვარ, ხოლო ის, რაც მინდა გაიპოო, 19 წლის წინ მოხდა... მე რომ დავიბადე, დედაჩემი 52 წლის იყო და მძიმე მშობიარობის გამო გარდაიცვალა. ჩემს მშობლებს ჩემამდე ერთი შვილი ჰყავდათ. ჩემი ძმა მაშინ 28 წლის იყო. ასეთ ასაკში რატომ გადაწყვიტეს კიდევ ერთი შვილის გაჩენა, არ ვიცი. მოკლედ, უდელი დავრჩით. გოგიტა უკვე დიდი იყო და გადაუწყვეტია, რომ ჩემი გაზრდა თვითონ ეთავა. მამა მთელი დღე მუშაობდა, გოგიტა კი თურმე, აკვანსაც მირწევდა, „ბილიონკებსაც“ მირეცხავდა და საჭმელსაც მიკეთებდა. ხანდახან მეზობელი ქალებიც ეხმარებოდნენ თურმე. ყველა, მისი ცოდვით იწვოდა. ავად რომ ვნდებოდი, დამეხმარებოდა... დედის დაღუპვის შემდეგ, მამას სმა დაუწყია და ერთ დღეს (მე მაშინ წლი-ნახევრის ვიყავი), საჭესთან მჯდომს ავარ-

ია მოუხდა და დაიღუპა. მე და გოგიტა სულ მარტონი დავრჩით. ის იძულებული გახდა, მუშაობა დაეწყო. მამაჩემის ადგილზე მიიღეს. ბაგაში მიმიყვანა. მახსოვს, როგორი დაღლილი მოდიოდა ხოლმე, შინ ჩემს წასაყვანად. მერე, ძილის წინ, ზღაპარსაც მიამბობდა და ჩემზე ადრე ეძინებოდა... აი, ასე, წვალებ-წვალებით გამზარდა 6 წლამდე. პირველ კლასში რომ მიმიყვანა, მახსოვს, ყველას მამაჩემი ეგონა. ცოლი რატომ არ მოიყვანა, არ ვიცი... იმ წელს, პირველი სემესტრი რომ დავხურე, მშობელთა კრებიდან მოსულმა მითხრა: ახალი წლის ზეიმზე წაგიყვან, რადგან ასეთი კარგი გოგო ხარო. ახალი წლის ღამეს, შინ ორნი შევხვდით. შემდეგ მისი მეგობრის ოჯახში ვიყავით დაპატიჟებული და იქ წავიდით. კარგა მანძილი ფეხით ვიარეთ, რადგან ტაქსი არსად ჩანდა. შემდეგ სამი ნასვამი მამაკაცი შემოგვხვდა. ისინი ჩემს ძმასთან წაკამათდნენ, მაგრამ მე მიზეზი არ მახსოვს. ერთ-ერთმა დანა ამოიღო და ჩემი ძმის მიმართულებით რამდენჯერმე მოიქნია. მე თვალები დავხუჭე, ჩავჯექი და ყურებზე ხელები მივიფარე, თან ხმამაღლა ვბლაღდი. თვალები რომ გავახილე, დავინახე პირქვე დამხობილი ჩემი გოგიტა და სისხლისგან წითლად შეღებილი თოვლი. მერე მახსოვს, შემინებული ადამიანების სახეები, პოლიციელები, ყვავილები, გასვენება... და ბაგა-ვთა სახლი... ასე გავიზარდე. დღეს მყავს ჩემი ოჯახი, მეუღლე და ორი შვილი, მაგრამ ახალი წელი ჩემთვის ტრაგედია-

სთანაა დაკავშირებული... ბავშვებისთვის ნაძვის ხეს ვრთავ, საახალწლო სამზადისიც მაქვს ხოლმე, მაგრამ გუნება-განწყობილება საზეიმო არასოდეს მაქვს. თანაც, ყოველ ბედობის ღამეს, 2 იანვარი რომ თენდება, სიზმარში ჩემს გოგიტას ვნახულობ...“

მორიგი „მესიჯის“ ავტორს კი, შარშანდელი ბედობის ღამეზე ბედნიერება მოუტანა.

„ეს ჩემთვის პირველი ეტაპი იყო“

„2002 წლის ბედობის ღამემ ჩემი ცხოვრება შეცვალა. მე და ჩემი და ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. ბედობის ღამეს მეგობრები გვეწვივნენ. მათ შორის ერთ-ერთი, ჩემი ძმაცაი გახლავთ, ის თავის გელფრენდთან ერთად მოვიდა. მინდა გითხრა, რომ მის გარდა, სხვა ძმაცაი არც მყოლია, რადგან ბიჭები ყოველთვის, როგორც ქალს, ისე აღმიქამდნენ და არა როგორც მეგობარს. ამის გამო მამაკაცებისგან თავი ყოველთვის შორს მეჭირა. მხოლოდ იმ ერთს დავუახლოვდი, რადგან ვიცოდი, რომ მეგობარი გოგონა ჰყავდა... ბედობის ღამეს, ყველამ კარგად მოვილხინეთ. საკმაოდ შევთვერი. ჩემმა დაიკომ და იმ ბიჭმა საწოლზე დამაწვინეს. ჩემი და ერთი წუთით გავიდა, რომ ჩემთვის წყალი მოეტანა, მან კი ამით ისარგებლა და მოულოდნელად ტუჩებზე დამაცხრა. ეს ჩემთვის პირველი კოცნა იყო და გაოგნებული დავრჩი. გოცებისგან ერთბაშად გამოვფხიზლდი, ირგვლივ მიმოვიხედე. ყველა ოთახის კარი ღია იყო, სტუმრები აქეთ-იქით მიმოდიოდნენ, მათ შორის – მისი გელფრენდიც; იმ კოცნის „მოპარვა“ როგორ მოახერხა, არ ვიცი... მერე დიდხ-

ანს ვფიქრობდი – დამესიზმრა-მეთქი, – მაგრამ დილით, უკვე თავდავიწყებით მიყვარდა. ერთი ნახვით შეყვარება გამივია, მაგრამ ადამიანს სამი წელი იცნობდე და ერთი კოცნით შეგიყვარდეს – ასეთი არაფერი მსმენია... მერე ბევრი დაბრკოლება გადავლახეთ, მისი მეგობარი გოგონასა თუ ჩვენი ოჯახების მხრიდან, მაგრამ ბედობის ღამეს დაწყებულმა სიყვარულმა თავისი გაიტანა: უკვე ორი თვეა, დაქორწინდით, ბედობას ერთად ვხვდებით და თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობთ“.

ნათქვამია – ახალი წლის ღამეს, ვიდრე საათი თორმეტჯერ ჩამოკრავს, სურვილის ჩაფიქრება უნდა მოასწორო... ვისთვის ეს მხოლოდ დაუჯერებელი ცრურწმენაა, ვისთვის კი – ჭეშმარიტება, მაგრამ თუ ჩვენს მომდევნო რესპონდენტს დაუჯერებთ, ახალწლის ღამის ჯადოსნურობაშიც აღარ შეგვეპარება ეჭვი...

„ახალ წელს გილოცავ, სიხარულოო – მითხრა, წვერი მოიძრო და...“

„შარშან, ახალი წლის ღამეს, საათმა თორმეტის მოსვლა რომ გვაუწყა, სურვილი ჩაუთქვი: მინდა, ახალ წელს მასთან ერთად შევხვდე, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს-მეთქი. მერე ვინაწე: ნეტავ, ისეთი სურვილი ჩამეთქვა, რომელიც ამისრულდებოდა, ასეთი სისულელე რამ ჩამაფიქრებინა-მეთქი?! სისულელე კი იმიტომ იყო, რომ ის ადამიანი სხვა კონტინენტზე – ამერიკაში იმყოფებოდა და ახალი წლის ღამით ჩემთან როგორ მოვიდოდა?! სულ ათი წუთის დამდგარი იყო 2003 წელი, რომ კარზე დააკაკუნეს. გავაღე და იქ დიდწვერა „სანტა-კლაუსი“ დამხვდა. გაოცებისგან პირი დავაღე. ის კი, მიპატიუებასაც არ დაელოდა, ისე შემოვიდა შინ. – ახალ წელს გილოცავ, სიხარულოო! – მითხრა, წვერი მოიძრო და... ღმერთო ჩემო – ის იყო!.. საახალწლო სურვილი სულ რამდენიმე წამში ამიხდა. ბედნიერებისგან სახე მიბრწყინავდა. თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა – ჩემივე ხელით დავანგრე, რადგან თავმოყვარობამ მძლია, უფლება არ მომცა, მისთვის მეთქვა, რომ ასე ძლიერ მიყვარდა... თუ ჩემს „მესიჯს“ დაბეჭდავთ, უფლება მომეცით, ჩემი ოცნების პრინცი მადლობა გადავუხადო და ბედნიერება ვუსურვო...“

ახლა კი „მესიჯი“, რომელშიც ჩვენი ერთგული მკითხველი თავისი მეგობრის შესახებ მოგვითხრობს:

„ვერ უშველა ზღვასავით უძირო თვალებმა...“

„თქვენი ერთგული მკითხველი გილო-

ცავთ ახალ წელს! მინდა, ჩემი დაქალის შესახებ გიამბოთ. ის ერთ ბიჭს უყვარს. მაგარი ტიპია, გოგონებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა, გარეგნული ბრწყინვალეობისა და ზღაპრული, ლურჯი თვალების მიღმა, სულიერ სიმანინჯეს ფარავს... ისე, მგონი, სიყვარულმა შეცვალა... ნემსის ყუნწში ძვრება, ოღონდ ნელიკას ასიამოვნოს. ჩემი დაქალი ბექქემის ფანია. შარშან ახალ წელს, იმ ბიჭმა იმდენი იჩალიჩა, რომ სადღაც ბექქემის ავტოგრაფი იშოვა (რა თქმა უნდა, ნამდვილი!) და აჩუქა. ნელიკამ უთხრა: თუ მაგარი ხარ, ახალი წლის ღამეს, თვითონ ამ ავტოგრაფის ავტორი მომიყვანე... ეჰ, ვერ უშველა ზღვასავით უძირო თვალებმა... შარშანდელმა საჩუქარმა კი, საერთოდ დაღუპა...“

კარგია, როცა უჩვეულო, კოლორიტულ ადამიანთან გაქვს საქმე, მაგრამ როცა ის თქვენი ოცნების ასრულებისას, შუა გზაზე ჩერდება... თუმცა, მომდევნო „მესიჯის“ ავტორი ამას მაინც ოცნების ასრულებას უწოდებს...

„ოცნებას მისრულებს და მერე ქრება...“

„მარი, ყველას გილოცავთ ახალ წელს და ერთი ბედობის დღის შესახებ მინდა გიამბოთ. ერთმა ნაცნობმა დამირეკა და მკითხა – რაზე ფიქრობ? – ვუპასუხე – თოვლზე, მთებსა და ულურჯეს ცაზე-მეთქი. ამ დროს, თბილისში ჩვეულებრივი, ნაცრისფერი დღე იდგა. ცოტა ხნის შემდეგ, მანქანით გამოძიარა, მითხრა – სადმე კაფეში დავსხდეთ და ყავა დავლიოთო. ვიარეთ, გავცდით თბილისს და ვიდრე თოვლიან ადგილს არ მივადექით, არ გაჩერებულვართ, არც ხმა ამოუღია. მერე გააჩერა, მყინვარწვერი დამანახვა და მითხრა: სულ ცოტათი მაინც თუ აგისრულე სურვილიო?... რაღაც, ძალიან ლამაზად გამოუვიდა... ახლა ისევ ველოდები. ის ძალზე უცნაური ვინმეა. მხოლოდ ასეთ ოცნებას მისრულებს ხოლმე და მერე ქრება...“

მკითხველთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ საახალწლო ღამეს ჩაფიქრებული სურვილი აუცილებლად ასრულდება, მაგრამ როგორც ჩანს, ყოველთვის ასე როდი ხდება...

„ჩემს თავს ვეკითხები – ბედნიერი ვარ?...“

„არ ვიცი, ვინ მოიგონა ის ამბავი, რომ ახალი წელი სურვილების ასრულებაში გვეხმარება... ახლა ჩემს ამბავს მოგიყვებით და დარწმუნდებით, რომ ასე სულაც არ არის. 2000 წელი რომ დგებოდა,

საგანგებოდ მოვეშხადე, ვიფიქრე – საუკუნეების მიჯნაზე ჩაფიქრებული სურვილი აუცილებლად ამისრულდება-მეთქი. შეყვარებული მყავდა, რომელსაც სამი წელი ვხვდებოდი და ვერა და ვერ დავაყენეთ საშველი დაქორწინებას – ხან მას გამოუჩნდებოდა რაიმე ხელის შემშლელი მიზეზი, ხან მე. მოკლედ, ვიწვოდით ასე და ერთმანეთის ნატვრაში ამოგვდიოდა სული. ჰოდა, ვიფიქრე – ახლა რომ ჩაფიქრებ ამ სურვილს, აუცილებლად ამიხდება-მეთქი. დაიწყო საათმა თორმეტი გონგის ჩამოკრა, ვტაცე ხელი ფურცელსა და კალამს, სურვილი დავწერე (ასე ვიყავი დარიგებული), ქაღალდი მოვჭმუჭნე და სასწრაფოდ გადავყლაპე... მეთორმეტე გონგამდე მოვასწარი. შემდეგ შამპანურის ჭიქა ავწიე და ჩემი სურვილის ასრულების სადღეგრძელო ხმამაღლა წარმოვთქვი. იმ ღამით მშვიდად დავიძინე. მერე დღეს კი, ველოდი, რომ შეყვარებული მომაკითხავდა და სასიერნოდ ან მეგობრებთან წავიდოდი. თვალები მეტკინა ფანჯარაში ყურებით, მაგრამ არ ჩანდა. ტელეფონზეც არ მპასუხობდა. საღამო ხანს, მის მეგობართან დაერეკე და საშინელი ამბავი მამცნო – გუჯამ ცოლი მოიყვანა... ყურებს არ დავუჯერე, მაგრამ ფაქტს სად გავეჭვებოდი?! როდესაც დავრწმუნდი, რომ გუჯამ მე აღარ მეკუთვნიდა, გადავწყვიტე, თავი მომეკლა. შინიდან იმ აზრით გავედი, რომ მტკვარში უნდა გადავმსტარიყავი და თავი დამეხრჩო, მაგრამ (არ გაგვიცინოთ!) წყალი ცივი იქნებოდა და ამან დამახვეინა უკან... მოკლედ, ჩემი სურვილი არ ახდა. სულ ტყუილი ყოფილა ეს ყველაფერი. ახლა ორი კვირაა, რაც ოჯახი შევქმენი და ჩემს თავს ვეკითხები – ბედნიერი ვარ? არ ვიცი... ნამდვილად არ ვიცი...“

და მაინც – ჩაფიქრეთ სურვილები ახალი წლის ღამეს... თუ იმ ფურცლის „მირთმევა“ არ ამართლებს, რომელსაც სურვილი „განდეთ“, ერთ „რეკეპტს“ მე შემოვთავაზებთ: ფეხსაცმელში მონეტა უნდა ჩააგდოთ; როცა თორმეტი გონგის ჩამოკრა დაიწყება, თვალები დახუჭოთ, ხელები წინ ერთმანეთს გადააჭლოთ და სურვილი წარმოთქვათ – ოღონდ ამ დროს, თეთრ დათვზე არ უნდა იფიქროთ... ეს რას ნიშნავს – „გზის“ მომდევნო ნომერში აგიხსნით... კვლავ ველით თქვენს „მესიჯებს“ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. შემდეგი „გზაწვილების“ თემა კი, კვლავ „საახალწლო“ იქნება: „როგორ ვსვამთ და როგორ ვინელებთ?“ გილოცავთ!



„ჩიცი შემოკდა ლობისა“... ანუ ჩოგონი ხვდებოდნენ წინათ ახალ წელს

ნანა ქიბიშაშვილი

არ ვიცი, ახალი წლის მეორე დღეს ვინ, როდის და რატომ დაარქვა ბედობის დღე, მაგრამ ცნობილია, რომ ბევრი ადამიანი ამ დღის გათენებას ახალ წელზე არანაკლები გულისფანცქალით ელის. ფაქტია, რომ ყველა ცდილობს, 2 იანვარს, მისთვის სასურველი ხალხის გარემოცვაში, ხალისიანი განწყობით შეხვდეს.

შეფვარებულები ცდილობენ, ბედობის დღეს ერთმანეთის გვერდით იყვნენ, ოჯახის მარჩენალ მამაკაცებს ფულის ხშირ-ხშირად დათვლა აქვთ კარგად დაცდილი, წინდახედული დიასახლისი კი, თეთრეულის რეცხვას ამ დღეს ნამდვილად არ შეუდგება. არც ისაა საჭირო, მუხლებზე დაამოხილმა ხეხო იატაკი ან დაამტვრიო ქურჭელი, თუნდაც, ამის ობიექტური მიზეზი გქონდეს (ვთქვათ, თუ „ის ვაჟბატონი“ შინ ოთხზე მდგომი, ღიბზე ღილაწვევტილი, პალსტუნმოქცეული და ახალ პერანგზე ღვინონაპკურები დაბრუნდა...).

ბელობის დღეს, აუცილებლად უნდა იყიდოთ რაღაც ახალი, რათა მთელი წლის მანძილზე, ის სიამოვნება არ მოგაკლდეთ, რომელსაც ადამიანს შენაძენი ანიჭებს. ამ დღეს, არ შეიძლება წყველა და ბილწისტყვაობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ელექტროენერგია მაშინ გამოირთო, როცა ბანაობთ ან ტოტს რთავთ, ტრადიციული წყველა-კრულვის ნაცვლად, შეეცადეთ, გულთანად გადაიკისკისოთ. რა პრობლემა? – დენი ხან მოვა, ხან წავა – სამაგიეროდ, თქვენ მთელ წელს სიცოცხლისკისში გაატარებთ. თუმცა, ამ მხრივაც ზომიერების დაცვაა საჭირო, რომ არაადეკვატური რეაქციების გამო, ოჯახის წევრებს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობაში არ შეეპაროთ ეჭვი...

ხალხში გავრცელებულ რწმენა-წარმოდგენებში, სხვადასხვა რიტუალურ რეალიასთან ერთად, ბელთან, ბელისწერასა თუ ბელობის დღესთან დაკავშირებით მრავალი წეს-ჩვეულება და თქმულება არსებობს. როგორც მწერალმა ამირან არაბულა გვითხრა, ფშავ-ხევსურეთში სახალწლოდ („საწელწაოდ“), დიასახლისი სამეკვლეო კვერბთან ერთად ოჯახის ყველა წევრისთვის ბელის კვერბსაც აცნობდა.

— ბატონო ამირან, რა დანიშნულება ჰქონდა ბედის კვერს? მას მხოლოდ გასარ-

თობად და თავშესაქცევად აცნობდნენ თუ მართლაც, სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ?

— საქართველოს მთიანეთის ხალხურ ეპოსში ბელს, ბელისწერასა თუ ბედის ვარსკვლავს იმდენჯერ და ისეთ კონტექსტში შეხვდებით, რომ დარწმუნდებით – ჩვენს წინაპრებს მართლაც სწამდათ ბელისწერის და მთელი სერიოზულობით ეკიდებოდნენ იმ რიტუალებს, რომელიც ათწლეულების მანძილზე, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. გაიხსენეთ ვაჟა: „ხმიაღის ბელის-კვერებსა ის გამოუცხობს ყველასა, ამით გაიგებს შვილების, საქონლის ბედისწერასა“. თითოეულ ბედის კვერს რომელსაც ოჯახის წევრების სახელზე და ბელობაზე აცნობდნენ, თავისი ნიშანი ჰქონდა დაცხობის დროს და რომლისაც აფუძვებოდა, იმ წელს ის იქნებოდა ბელიანი და ყისმათიანი. 5 იანვარს – გაცხადების (სურვილების ჩაფიქრების) დღეს, მამაკაცები შინ შეიტანდნენ ვაშლის ან მსხლის ორ მყოვან (ნელ) ტოტს, ვაჟები კი ზედ თავიანთ ბედის კვერებს გატეხდნენ. დიასახლისი სამეკვლეო კვერს ოჯახის წევრებს გაუნაწილებდა, ხოლო ბედის კვერებს – სათითაოდ ყველას ჩამოურიგებდა. ბედის კვერის შეცვლა და სხვისი ბედის კვერის შეჭმა არ შეიძლებოდა: იტყოდნენ – ჩემს ბელს სხვა წამართმევსო. სახალწლო ბედის კვერის ცნობა ხევსურეთში, ბედის უცვლელიობის სურვილთან იყო დაკავშირებული. მის რიტუალურ შინაარსს, ერთი მხრივ, მოსალოდნელი ბედ-იღბლის გამოცნობა, მეორე მხრივ კი – „კუთვნილი“ ბედის შენარჩუნება წარმოადგენდა.

— მაგრამ ვინც „ქუდბედიანი“ იზადებოდა, მათ ბედის კვერით „მკითხაობა“ არ დასჭირდებოდათ: ბედობის დღეს, სურვილის ჩაფიქრების გარეშეც, მათ ყველაფერი უსრულდებოდათ, არა?

— ყოველ შემთხვევაში, ფშავ-ხევსურეთში „ქუდბედიანთა“ შესახებ ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ: „ქუდბედიანებს“ უწოდებდნენ ბავშვს, რომელსაც დედის მუცლიდან თან დაჰყვებოდა თავზე ჩამოცმული აპკი. ასეთ ბავშვზე იტყოდნენ – „ქუდბედიანი“ დაიბადა, სიბერით სიკვდილამდე ბედნიერი იქნებაო... თუ თქმსა და სოფელში ორი ბავშვი ერთ თვეში დაიბადებოდა, მათ დედებს „მეთვეურთ“ ეძახდნენ. ერთ თვეში დაბადებული ბავშვების ზრდას დიდ ყურადღებას აქცევდნენ, რადგან არსებობდა ასეთი რწმენა: თუ

ერთი ბავშვი ავადმყოფობდა, ეს მეორე ბავშვს დაჰბრალებოდა, ამბობდნენ – მისი ყისმათი და ბედი სძლევეს და ჩაგრავსო. როცა ერთ-ერთი ბავშვი ავად განდებოდა, „მეთევურები“ ერთმანეთის შვილებს ტუბუს მოაწოვებდნენ და ამის შემდეგ, აღარავის ეშინოდა, რომ ერთი ბავშვი მეორეს დაჩაგრავდა.

— ხევისურეთში ხატზე დარისხებაც ახალ წელს ხდებოდა...

— კი, მაგრამ მას ჯერ სხვა რიტუალი უძღოდა წინ. მთაში ახალ წელს ძველი სტილით ზეიმობდნენ. 14 იანვარს, მამაკაცები ჩაასხამდნენ წინწანაქარს და ხატისკენ მიმავალ გზას გაუდგებოდნენ. ხუცესი, სანამ ხატის დარბაზში შევიდოდა, მთის მდინარის ყინულიან წყალში განიბანებოდა. მოგვსენებათ, მთის მკაცრი ზამთრის ამბავი, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ამ პროცედურის შემდეგ, ვინმე გაცივებულიყო – ისევე, როგორც მონათვლის დროს განიბანვისას არ ცივდებიან ბავშვები... მახსოვს, რამხელა სიხარული იყო მთაში მცხოვრები ბავშვებისთვის „წელწადის“ მოსვლა. წელამდე თოვლს მივარღვევდით და ისე მივდიოდით ახალი წლის შესაგებებლად. ხატის დარბაზში შესულები, სანთლებს ანთებდნენ და ილოცებოდნენ. ხუცესი თოვლს გადააპნევდა თავზე მლოცველებს, დალოცავდა და იწყებდა სიმღერას, რომელსაც მერე, ბავშვებიც ავაცოლებდით ხოლმე ხმას. სიმღერის ტექსტი ახლაც მახსოვს: „ჩიტი შემოვდა ღობესა/ იძახდა იშრიშობასა/ ბევრსამც ახალ წელს ილოცებთ/ წელწადსა ქრისტეშობასა“. შემდეგ შეაჯამებდნენ, რა მოხდა ღირსშესანიშნავი ან სასირცხვილო გასულ წელს. თუ ვიდაც ქურდობას ან სხვა სასირცხვო საქმეს ჩაიდენდა, მის სახელზე ანთებულ სანთელს ჩააქრობდნენ და მის წილ ლუღს დააქცევდნენ თასიდან – ეს ნიშნავდა ხატში დარისხებას, რისიც ძალზე ეშინოდათ ძველ მთიელებს.

თეთრ თათარაიქა, პოეტი:

— თუშეთში მეკვლე აუცილებლად „ქუდოსანი“ უნდა ყოფილიყო და ეზოში შემოსულს, აუცილებლად მამაკაცის სახელი უნდა დაეძახა. ზღურბლს გადმოაბიჯებდა თუ არა, ოთახში „ბიჭონს“ (ბატიბუტს) შემოჰფანტავდა. თოვლის ფანტელებივით თეთრ ბატიბუტს ბავშვებს თავზე გადაგვაპნევდა... ლუმლის კარი აუცილებლად ღია უნდა ყოფილიყო. მეკვ-

ლე ლუმლის საჩხრეკს დაარტყამდა მუგუხალს, ნაპერწკლები აიყრებოდა და ისიც დაილოცებოდა: რამდენი ნაპერწკალიც აიყრება, იმდენი ცხვარი, ძროხა, კრუხ-წიწილა თქვენს ოჯახშიო!.. აღიოდა ნაპერწკლები ჭერისკენ, კვლავ და კვლავ ილოცებოდა მეკვლე... ბიჭონთან ერთად მეკვლეს ოჯახში თაფლიანი ჯამიც შემოჰქონდა, ჯერ თვითონ გვაჭმევდა ყველას ერთი კოვზით, მერე ჩვენც ჩავიკოკლოზინებდით თაფლით პირს და თუ ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო, მეკვლე თაფლით „იტიკებოდა“... მეკვლედ ქალი მთაში ძალზე იშვიათ შემთხვევაში გვევლინებოდა. ასეთ გამონაკლისს წარმოადგენდა ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი გულქანი, რომელიც იმით განსვლდათ ცნობილი, რომ ძალზე კარგი ფეხი ჰქონდა. ერთხელ, ვაჟას ბელობა დღეს, თავისი მოკეთისათვის „მხვიენულით“ ხინკალი გაუტანებია. გამოვარდნილა დიდი ქოფაკი, შეუშინებია გულქანი, გამოქცეულს, ხელიდან გაუვარდა თურმე, მამის გამოტანებული „მხვიენულა“ და დაგორებულა ვაჟას ხელით მოხვეული ხინკლები თოვლიან ფერდობზე... თუშეთის დათოვლილ და მიჩუმათებულ სოფლებში ახალი წელი მართლაც, დიდი დღესასწაული იყო. თუშეცა, ყოველ ახალ წელს, გულს მხოლოდ ის მიკლავდა, რომ მამა არასოდეს იყო ჩვენი გვერდით: თებერვალში დოლისთვის მზადება იწყებოდა და თუში მამაკაცები, რომლებიც ცხვარში იყვნენ, ოჯახებში ახალ წელსაც ვერ მიდიოდნენ. რაც შეეხება ნაძვის ხეს – მთიელებს მიაჩნიათ, რომ ეს „ცოცხალი“ ხეა. ეზოში ნაძვს არავინ დარგავდა: ამბობდნენ, ეს ხე მიწაში თუ გაიდგამდა ფესვს და გაიხარებდა, ოჯახის ერთ-ერთი ვაჟი დაიღუპებოდა. თუშეთში ცხოვრობს ცაძიკიძეების ოჯახი, რომელმაც ეზოში ორი ნაძვი დარგო. მოხუცები ურჩევდნენ – არ გინდათ, ნაძვი ცოცხალი არსებაა, თუ გაიხარა, ვიდაცის მაგიერ გაიხარებს, „ვაჟების ზარალი“ იცისო, – მაგრამ არ დაუჯერეს. იმ ოჯახიდან ომში ორი ვაჟი დაიღუპა... ძალიან კარგი იქნება, თუ სიცოცხლის ხეს ტოტებს არ ჩამოაჭრიან და მერე ამ ტოტებს სანაგვეზე არ დაწვავენ. ჯობს, ხელოვნური ნაძვის ხე ან ჩინილაკი მორთონ საახალწლოდ. ხელმარჯვე დიასახლისებს კი შეუძლიათ, თავიანთი ხელით შექმნან საახალწლო კომპოზიცია, რომელიც ორიგინალური დიზაინით ოჯახში მოსული სტუმრების აღფრთოვანებას გამოიწვევს...

ანიკა ზაზია, 83 წლის:

— ახალგაზრდობაში ჩვენი ბებია-ბაბუებისგან ბევრი პატარა ეშმაკობა ვისწავლეთ, რომელსაც ახალი წლის საღამოსა და ბელობის დღეს ჩავდიოდით. სანამ 12 საათი შესრულდებოდა, შემას, ერთ ჭიქა ღვინოს, მარილს, პურს, თაფლს ან შაქრის ნატეხს და ხურდა ფულს სუფთა თაფალზე დავაწყობდით და გარეთ, ზღურბლს იქით დავალაგებდით; პატარა სანთელსაც დავამაგრებდით შეშაზე ან პურზე, ავსული რომ არ მიჰკარებოდა ჩვენს პატარა სუფრას. 12 საათის შემდეგ კი, ამ ყველაფერს ისევ საოჯახო ტაბლაზე დავაწყობდით და ვილოცებდით, რომ ჩვენი სახლისკენ ბარაქა წამოსულიყო. ვისაც დამდეგ წელს უნდოდა გათხოვება, ბედნიერი ქალისგან ითხოვებდა ჯვარდაწერილ ბეჭედს, ზედ გამოანასკვავდა თავისი თაფშალის ყურს და ბელობის დღეს, ამ ბეჭედს და თაფშალს ბალიშის ქვეშ ამოიბეჭდა; ვისაც ვაჟიანობა უნდოდა, ხელში ლეღვის ტოტს დაიკავებდა, კალთაში მეზობლის ან ახლობლის პატარა ვაჟიშვილს ჩაისვამდა და ისე შეხვდებოდა ახალი წლის შემოსვლას. თუ ამის შემდეგ, მართლა ვაჟი ეყოლებოდა, იმ პატარა ბიჭის სახელი უნდა დაერქმიათ ახალშობილისთვის. ვისაც გულის სწორი შერჩეული ჰყავდა, იმას ბელობის დღეს, საჩუქარს უგზავნიდა. მახსოვს, როგორ ჩურჩულებდნენ ჩემი უფროსი დები: თუ გინდა, რომ ვინც გიყვარს, იმის ცოლი გახდე, შენი რჩეულის ცხენის ფაფარი უნდა შეტრუსო და ბელობის დღეს, მისი ფერფლი თავზე დაიყარო... მაშინ 11-12 წლის ვიყავი. ერთი ბიჭიც მყავდა შეთვალეირებული, მაგრამ ღარიბი იყო – ცხენს ვინ მისცემდა საწყალ ბიჭს?! ჰოდა, ისეთი ტირილი მოვრთე, რომ ძლივს დამაწყნარეს... ახლა სხვა დროა, ვიდას აინტერესებს ის, რითიც ძველად ვერთობოდით?! ღმერთმა დაგლოცოთ ყველა და კარგი ბედი და ყისმათი მოგცეთ!..

ნობის ტელეფონი კონსულტაცია ინტიმი (18 წლიდან)
☎ 822 009 005
„მეთი“ „ჯუოსელი“, „მეგაკიმი“ – 0,70 ლ.
თბილისი – 0,45 ლ.
რაიონები – 0,65 ლ.



ეკა ცვალაშვილის „დაასხით“, ქეთა თოფურიას „ღამე გადის“, კახა კუხიანიძის „ალერსი მინდა“, ჯგუფ „საუნდის“ „ჩვენ ვარსკვლავი“ და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ცნობილი სიმღერის ტექსტის ავტორი, ქალბატონი ნანა ცინცაძე გახლავთ. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ის პროფესიით თერაპევტი და რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობს; გამოცემული აქვს წიგნი — „ხალხური მედიცინა“ და ახლა, მეორე სამედიცინო წიგნსა და ორ პოეტურ კრებულზე ერთდროულად მუშაობს. მისი თქმით, პირველ კრებულში — „ფრაგმენტები ერთი ნამიდან“ — ფსიქოლოგიური შინაარსის ლექსები შევა, ხოლო მეორეში — „ოცნებების სტუმარი“ — სიყვარულის თემაზე დანერგილი ლექსები. დღემდე, ნანა ცინცაძეს სამი კრებული აქვს გამოცემული, კიდევ ერთი — „ხვალის დღე“ — სულ მალე გამოვა დღის სონათღებზე. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ყველაფრის პარალელურად, ქალბატონი ნანა კომპანია „არტიმედის“ თანამშრომელი და საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის წევრიც გახლავთ. მრავალ პროფესიაში ბედნიცად პოეტს ინტერვიუსთვის დედ-მამასთან — როგორც თავად უწოდებს — დიდ ოჯახში ვენივით.



ნანა ცინცაძე
შვილთან ერთად

მოქალაქელი სოციალისტის ავტორის სააჩრევნოდ დაწერილი ჰიპნოს ტექსტი მოჰკარავს...

ნათია ქიშიძე

— პროფესიით ექიმი, როგორ აღმოჩნდით პოეზიის სამყაროში?

— ყოველთვის მიჩვეული ვიყავი იმას, რომ ყველას ნიჭიერ ბავშვად მივაჩნდი. ყველა საგანს ერთნაირად კარგად ვსწავლობდი. არჩევანის საშუალება რომ მქონოდა, დღეს ალბათ მსახიობი ვიქნებოდი. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ ცუდი ექიმი ვარ... მოუხდევად იმისა, რომ ფრიადოსანი ვიყავი, ძალიან ვცელქობდი... ლექსებსაც ბავშვობიდანვე ვწერდი. იმის გამო, რომ ტრადიციული ოჯახი მქონდა, ჩემი პირველი ლექსი სამშობლოს მიუძღვნა.

— პოეტს შთაგონების წყარო სჭირდება. რა ან ვინაა თქვენი შთაგონების წყარო?

— ძალზე ცვალებადი ბუნების და იმდენად მოწესრიგებული ადამიანი ვარ, რომ შეიძლება, ამით ვინმე გავაღიზიანო კიდევ. არადა, ეს ჩემი ქაოსური შინაგანი სამყაროს მხოლოდ ერთი მხარეა. ერთ ლექსში მიწერია კიდევ: „საბედნიეროდ, გარედან ვარ მხოლოდ ქალწული, სულის ასტრალში? — პოეზიით სილაგაწული“...

პოროსკობით ქალწული ვარ და ამ სიტყვებით მგონი, ყველაფერი ვთქვი. აქედან გამომდინარე, ჩემთვის პოეტურ მუშად აბსოლუტურად ყველაფერი შეიძლება იქცეს.

— ლექსის დასაწერად განმარტოება აუცილებლად გჭირდებათ?

— არა. ლექსი ყველანაირ სიტუაციაში დამიწერია: ხალხმრავალ ადგილას, საოჯახო საქმის კეთების დროს... სულ პოეზიაზე ვფიქრობ. ერთმა მეგობარმა, რომელმაც ჯერ წიგნით გამიცნო, როცა პირადად შემხვდა, მითხრა: შენი ლექსებიდან გამომდინარე, მეგონა, სულ ღრუბლებისკენ მომზირალი იქნებოდი, შენ კი ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილხარო...

— თქვენს ლექსებში ხშირად გვხვდება სიტყვები: „დავლიე“, „დავთვერი“... სინამდვილეში თუ გჭირდებათ ბახუსი ლექსის დასაწერად?

— ...ჩემი მეგობარი ახალი გათხოვილი იყო და მის ოჯახში სუფრასთან რამდენჯერმე მოვხვდი. მე, როგორც ყოველთვის, ძალიან აქტიური და მხიარული ვიყავი. მეგობრის მეუღლემ მითხრა: არც სვამ,

არც სიგარეტს ეწევი, ასეთი მხიარული ხარ, ლექსებს რაღა გაწერინებსო?! ეს ყველაფერი განწყობის წყალობითაა: პოეზიის „დოპინგი“ მაქვს მიღებული და ის მაწერინებს: „ღმერთი ბუნებისზე დავაპტიყე, გაიგეთ? — არ მითხრა უარი!..“ ან — „წამი გავაშეშე, საწყალი...“ ერთხელ, ბათუმში მივდიოდი. ტრანსპორტში ვილაც გოგონა დავინახე, რომელიც სასტიკად არ მომეწონა და მივუძღვენი ლექსი — „გოგოა უშნო“. ეს წამიერი განწყობა — საამისოდ დალევა არ მჭირდება...

— ლექსის დასაწერად თქვენი მუზა აუცილებელია თუ შეგვეთითაც შეგიძლიათ დანეროთ?

— შეაკვეთთ უფრო, სიმღერის ტექსტს დავწერ, ლექსის დაწერა კი, წარმოუდგენელია: ლექსი განწყობიდან და სიტუაციიდან გამომდინარე იწერება. შეიძლება, სიყვარულზე დაწერო და სულ არ იყო შეყვარებული. ჩემი ყველა ლექსი, პრაქტიკულად, ექსპრომტია...

— ახლა თქვენი სიმღერების ტექსტებზე გვესაუბრეთ: რამდენად ადვილია თქვენთვის შეკვეთილი ტექსტის დაწერა?

კუნძული კარიბის ზღვაში	ხორცის რბილი ნაწილი	კეთილ-შობილი მეტალი	იაპონური თებერნი	მიმართვა ადვოკატისად-მი უცხოეთში	ტყის ჩლიქოსანი ცხოველი	ურჩხული ადამიანის ტანით და ხარის თავით ბერძ. მით-ში	
რეპტილია	ამერიკული თოჯინა	პარკოსანი მცენარე	ბუსტი ჯიბის საათი		გამის ნოტი	მტაცებელი ფრინველი	ახალი მარკის „ბაპოროკეცი“

— ვერ გეტყვი, რომ კარგად ვმღერი, მაგრამ კარგი სმენა მაქვს. სიმღერის ტექსტსაც სმენით ვწერ. სასიმღერო ტექსტის დაწერისას, მაინც იმ პოეზიის გავლენის ქვეშ ვექცევი, რომელიც ჩემს ტენიში თავდაპირველად, ლექსად „ღაღდე-ბა“ და მერე ვამარტივებ; ჩემი პირველი პროფესიის ნიშნით რომ ვთქვა, როცა სასიმღერო ტექსტს ვწერ, ეს ექიმობიდან ლაბორანტამდე ჩამოქვეითებას ჰგავს.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ დაწერილი ლექსი გასაყიდად დაგნანებიათ?

— არა. ლექსი ჩემთვის ისეთ ღირებულებას არ წარმოადგენს, რომ დაძინდნოს. პირიქით, როცა კარგი ლექსი გამომდის, სიამაყით ვივსები. ეკა კვალიაშვილი რომ მღერის — „მე ისევ ვარდებით დავიწყებ თავიდან“ — და ამ დროს, სამარშრუტო ტაქსიში ვზივარ, მინდა, მთელი ხმით ვიყვირო — ეს ჩემი ლექსია-მეთქი... ასევე მიყვარს იაკო ჩანტლადის „არ მიყვარხარ“. ვიცი, უზარმაზარ სიამოვნებას მივიღებ, როდესაც ეკა კვალიაშვილი და ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ჩაწერენ ჰიმნს — „კახეთი“, რომელზეც ახლა მუშაობენ... დედა მყავდა კახელი და სიამაყით ვუძღვნი ამ ჰიმნს მის ხსოვნას. თუ შეიძლება ასე ითქვას, კახეთის „ფანი“ ვარ.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენს ლექსზე დაწერილი სიმღერა არ მოგწონებიათ?

— რასაკვირველია. ძალზე ნიჭიერ ადამიანს შეიძლება, რაღაც ცუდად გამოუვიდეს, უნიჭოს კი — კარგად. ეს ის თემაა, რომელზეც ხმამაღლა საუბარი არ შეიძლება...

— როგორც ვიცი, შოუბიზნესის თითქმის ყველა წარმომადგენელთან, ვისთვისაც კი სიმღერის ტექსტი დაგინერიათ, მფლობრობთ...

— ბალზაკს მოვიშველიებ, რომელიც წერს: „მეგობარი არც ისეთი ღიმილი რამეა, როგორც ზოგს ჰგონია და არც ისეთი პატარა, რომ უიმიოდ ცხოვრება შეძლო“. ეს სიტყვები შეიძლება, ცხოვრების კრედილად გაიხადოს... ეს არის კეთილგანწყობა ჩემსა და იმ ადამიანებს შორის,

რომელთაც ბედისწერამ შემახვედრა. საოცრად კომუნიკაბელური ვარ. სიტყვას — „მეგობარი“ ძალიან ფრთხილად ვეკიდები. ერთი ლექსი მაქვს — „ავტოპორტრეტი“, სადაც ვწერ: „ჩემი ცხოვრება სცენაა, ნელ-ნელა ვსწავლობ როლებს. ხან კლეოპატრას ვთამაშობ, ხანაც სიცოცხლეს ვტოვებ“. წარმოიდგინე, თუ შენი ცხოვრება სცენაა, ხომ არ შეიძლება, ყველა ის ადამიანი, ვის მიმართაც კეთილგანწყობა გაქვს, შენთვის ყოველმხრივ მისაღები იყოს?! თუ პიროვნება ხარ, საკუთარი თავის აღზრდა და ვნებების დაოკება შეგეძლია, ამით შენს თავს სცემ პატივს.

— ქალატონო ნანა, როგორ შეაფასებთ ჩვენში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს?

— ერთ ექსკლუზიურ ამბავს მოვიყვები: საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, მომღერალმა დათო ხუჯაძემ მთხოვა, დამეწერა სიმღერისთვის ტექსტი, რომელშიც სიტყვა — „აღორძინება“ იქნებოდა. რა თქმა უნდა, დავწერე, რადგან აპოლიტიკური ვარ და იმის შეკვეთას შევასრულებდი, ვინც ფულს გადამიხდიდა. გავიდა გარკვეული ხანი, თურმე, ეს სიმღერა ჩაუწერიათ კიდევ და მასზე კლიპიც გადაუღია ზაზა ორასვილს; ასლან აბაშიძეს კი, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ბათუმში მიუწვევია. ამის შემდეგ, შემთხვევით შევხვდი აჩი ფურცელაძეს, რომელმაც საუბრისას აღნიშნა, თუ რა ნიჭიერია ცოტნე ბაკურია: მას თურმე ჰიმნი დაუწერია „აღორძინების კავშირზე“... სასაცილო ის არის, რომ მაშინ არც ვიცოდი, ვინ იყო ცოტნე ბაკურია. აჩის ვკითხე — ვინაა, პოეტია-მეთქი?! — რას ამბობ? — „აღორძინების“ წვერიაო. არ მჯეროდა, ამოვიღე რვეული (რომელსაც სულ თან ვატარებ, რადგან არ ვიცი, როდის მეწვევიან ჩემი „გარეკილი“ მუხები), გადავშალე და ჩემ მიერ დაწერილი ტექსტი ვუჩვენე: ამას ხომ არ მღერიან-მეთქი? — კიო, — დამიდასტურა. თურმე, ეს კლიპი ტელეეთერში გასულა და ყველამ იცოდა, რომ

ტექსტი ცოტნე ბაკურიას ეკუთვნოდა... მაშინვე დაურეკე და ბატონ ცოტნეს ვუთხარი, რომ ნანა ცინცაძე ცოცხალია და საკმაოდ კარგადაც გრძნობს თავს... მერე თვითონ დამირეკა და მითხრა: ეს ზუმრობით ვთქვი, მაგრამ ჟურნალისტებმა ვერ გამიგეს; დღეს პრესკონფერენციას ვმართავ და იქ გამოვაცხადებ, რომ ვიზუმრო... არ ვიცი, გამოაცხადა თუ არა... რაც შეეხება პოლიტიკურ მოვლენებს — „ვარდების რევოლუცია“ ძალზე პოეტური სახელწოდებაა. დღევანდელ საქართველოში, სადაც ტოტალური შიმშილობაა და 1989 წლიდან მოყოლებული, ნგრევის გარდა, არაფერი მომხდარა, შეიძლება, ბოლომდე გწამდეს ვიღაცის?! დიდი სურვილი კი მაქვს, რომ რასაც დღევანდელი მთავრობა გეპირდება, ყველაფერი დავიჯერო. მინდა, იმ ადამიანების გვერდით დავდგე, რომლებიც, როგორც თვითონ ამბობენ, საქართველოს აღმშენებლობას იწყებენ. თუ ასე იქნება, გამოვუშვებ ახალ კრებულს, რომელშიც საქართველოზე დაწერილი ლექსები იქნება თავმოყრილი და დავარქმევ: „მე ისევ ვარდებით დავიწყებ თავიდან“ — და ეს იქნება ჩემი გამოსმაურება იმ „წითელი ვარდების რევოლუციასზე“, რომელიც ასე უმტკივნეულოდ და უხმაუროდ მოახდინეს ქართველმა პოლიტიკოსებმა...



მომღერალ თათია გიორგობიანთან ერთად

საბინობი ... სორვინო	საჭმელი სოკო	ქალაქი კახეთში	მებაგონე აღმ. ქვეყნებში (ნ. ღუმბაძის მიხედვით)	ზურიკელა ვაშალომ- იდის ძალი	სპორტული ნაგებობა	მეგალის კარადა მეფრფასეულობი- სათვის

სასწაული ღვთის მიერ დაშვებული არაჩვეულებრივი, საკვირველი მოვლენაა, რომელსაც ადამიანის გონება ვერ სწვდება, ამიტომაც ამბობენ სასწაულზე — მიუწვდომელიაო. სასწაული ადამიანის ძალისხმევით არ შეიძლება მოხდეს — ის მხოლოდ ყოვლისშემძლე ღვთიური ძალის მეშვეობით ხორციელდებაო — გვასწავლის წმინდა ეკლესია. ე.ი. სასწაული არის გარეგნულად გამოხატული, შთაბეჭედავი მოვლენა, რომელიც ღვთის ძალით ხდება.

სასწაული განსასწავლად და რწმენაში განსამტკიცებლად გვეძლევა

შორენა მერკვილაძე

რაგომ არის დაშვებული ღვთისგან სასწაული?

სიტყვა — „სასწაული“ მომდინარეობს სიტყვებიდან — „სწავლა“, „განსწავლა“ — ანუ ნიშნავს იმას, რომ განსასწავლად მოგვეცა. სასწაულის ხილვამ ადამიანს ცნობისმოყვარეობა არ უნდა აღუძრას, არამედ უნდა განუმტკიცოს რწმენა ღვთის ყოვლისშემძლეობისა. წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს: „ნიში ხილული ქმდებაა, რომელიც რაღაც იღუმალსა და უხილავზე მიუთითებს“. აქედან გამომდინარე, სასწაული წარმოგვიჩენს მისი აღმსრულებლის (ე.ი. ღმერთის) ძალას და მის ყოვლისშემძლეობაზე მიუთითებს ანუ იმ ხილული ზებუნებრივი მოვლენის — სასწაულის წყალობით, საშუალება გვეძლევა, კიდევ უფრო განვისწავლოთ და განვმტკიცდეთ რწმენაში.

რაგომ იწოდება სასწაული ბეციურ ნიშნად?

წმინდა წერილში სასწაული არსად არის მოხსენიებული სიტყვით — „სასწაული“. ხშირად სასწაული მოხსენიებულია სიტყვით — „ძალნი“, რაც საღვთო ძალას, საღვთო ძლევამოსილებას გულისხმობს: „ნათესავი და ნათესავი აქედნი საქმეთა შენთა და ძალსა შენსა უთხრობდეს“ (ფს. 144, 4). სასწაული ასევე იწოდება ზეციურ ნიშნად, რადგან სასწაული გვაიძულებს, ჩავწვდეთ, ჩავუღრმავდეთ იმას, თუ რას ნიშნავს იგი, რაზე მიგვანიშნებს და რას ითხოვს მათგან,



ვისთვისაც ის განხორციელდა. როდესაც იესო ქრისტე სასწაულებს აღასრულებდა, ამას თავისი საღვთო მოვლინების ნიშნად რაცხდა: „...რადგან საქმენი, რომელიც მამამან მომცა აღსასრულებლად, თვით ჩემ მიერ გაკეთებული საქმენი, ამოწმებენ ჩემ შესახებ, რომ მე მამამ მომავლინა“ (იოანე 5, 26). სიტყვაში — „საქმე“ კი, იგულისხმება სასწაული — ე.ი. რაც ჩვენთვის სასწაულია, ღმერთისთვის უბრალოდ, საქმეა. აქედან გამომდინარე, სასწაული ასევე იწოდება — საქმედ.

შესაძლებელია თუ არა, ადამიანმა შეიცნოს სასწაული რწმენის გარეშე?

მაცხოვრის სწავლების თანახმად, არავითარ სასწაულს არ შეუძლია რწმენის გაღვიძება ადამიანში, რომელსაც არ სწამს ღმერთის არსებობა: „რომლებიც მშენებარებენ და სრულიად არ უსმენენ მოსეს თუ სხვა წინასწარმეტყველებს“ (ლუკა 16, 31).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასწაული განსასწავლად და რწმენაში განსამტკიცებლად გვეძლევა, ამიტომ სასწაულის მიღება და შეცნობა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც შინაგანად აქვთ რწმენა ღმერთის არსებობისა. აქედან გამომდინარე, სასწაულები ხშირად, მორწმუნე ადამიანებისთვის აღესრულება, რამეთუ რწმენა აუცილებელია სასწაულის შესაცნობად და მისი მაკურნებელი ძალის აღსაქმელად. იესო ქრისტე სანამ სასწაულებრივ დახმარებას გაუწევდა ადამიანებს, ეკითხებოდა მათ: „გწამს თუ არა?“, „წადი, რწმენამ შენმა გიხსნა შენ“ — აი, რას ეუბნებოდა მაცხოვარი იმ ადამიანებს, რომელთაგანაც აღნიშნულ კითხვებზე დადებით პასუხს მიიღებდა და სასწაულებრივ დახმარებას გაუწევდა.

იესო ქრისტემ დედამიწაზე გატარებული წლების დროს, უამრავი სასწაული აღასრულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მრავალმა ადამიანმა ვერ შეიცნო ჭეშმარიტება და არ შესდგომია ქრისტეს სჯულს. ფარისევლები, რაც უფრო მეტი სასწაულის მომსწრენი ხდებოდნენ, უფრო მეტად ბოროტდებოდნენ და მეტი ძალისხმევით ცდილობდნენ მაცხოვრის მოკვლას. ქრისტეს სჯულზე მრავალი ადამიანი ასევე ვერ მოაქცია მოციქულთა მიერ აღსრულებულმა სასწაულებმა. სასწაულებს იმ დროსაც ის ადამიანები ღებულობდნენ, ვისაც შინაგანად ჰქონდათ მომზადებული ნიადაგი ღვთის სიტყვის მისაღებად და აღსაქმელად. ასე რომ, სასწაული არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანს რწმენა გაუზრდეს. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჭეშმარი-

ტი რწმენის არსებობისთვის, ღმერთი განსაკუთრებული ჩვენებებით ანუ სასწაულებით უნდა გამოეცხადოს სამყაროს, რადგან სასწაულების გარეშე ადამიანს დანამდვილებით არასოდეს ეცოდინებოდა, რომ მიწიერი ცხოვრების გარდა, არსებობს ზეციური სასუფეველი, არსებობს ღმერთი, რომელსაც ჩვენთან ურთიერთობა ჩვენივე ხსნიისთვის სურს.

როგორ ადამიანს შეიძლება მიჰმადლოს ღმერთმა სასწაულთა მოხდენის ნიჭი?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანს სასწაულის მოხდენა არ შეუძლია, არც საკუთარი ძალით და არც ხელოვნურად. სასწაული შესაძლოა, განხორციელდეს ღვთის ძალით: „ეინ არს დიდ, ვითარ ღმერთი ჩვენი, შენ ხარ ღმერთი ჩვენი, რომელმან ყვის სასწაული მხოლოდმან“. სასწაულებს წინასწარმეტყველნი, მოციქულები, წმინდანები თუ სხვა, ღვთისთვის სათნო ცხოვრებით მცხოვრები წმინდა ადამიანები ახდენდნენ ღვთის ძალით, რომლებსაც სასწაულმოქმედების ნიჭი, ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სანაცვლოდ მიემადლათ, ადამიანთა განსასწავლად, დასამოძღვრად, კაცთა სულიერი და ხორციელი გაძლიერებისა და განკურნებისათვის. ამიტომ მათ მიერ აღსრულებული სასწაულები არ უნდა ავურიოთ ცრუსასწაულებში, რომელსაც ნათელმზიღველები, მკითხავები თუ სხვა ჯურის მისნები ახდენენ, რადგან ცრუსასწაულმოქმედთ, სასწაულის მოხდენის ძალას ეშმაკი ანიჭებს და მათი ძალით, უხილავად თვით ეშმაკი მოქმედებს. თუმცა ცრუსასწაულმოქმედნი ღვთის სახელით მოქმედებენ და ჭეშმარიტი გზიდან ადამიანთა აცდუნას შენიღბულად ცდილობენ. ამის შესახებ თვით უფალიც გვაფრთხილებს: „აღდგენენ ქრისტე-მტყუვარნი და ცრუ წინასწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა, ვიდრე ცთუნებამდე, უკეთუმცა ვითარ შეუძლეს რჩეულთა მათცა“ (მათე 14, 24).

რა მივიჩნით სასწაულებად?

ბევრი სასწაული, რომელიც ღვთის ძალით ხორციელდებოდა და ხორ-

ციელდება დღესაც, ჩვენს ცხოვრებაში იმდენად დამკვიდრდა, რომ ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვამთ. ერთ-ერთი მათგანია ბავშვის დაბადება. ამ სასწაულს იმდენად მივეჩვიეთ, რომ ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია. არ შეიძლება იმაზე დიდი სასწაული, ვიდრე პურისა და ღვინის, ქრისტეს სისხლად და ხორცად გადაქცევა, რომელიც ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროს ხდება. სასწაულმოქმედების ძალა აქვს საეკლესიო ღვთისმსახურებით ნაკურთხ წყალსაც, რომლის წყალობითაც ადამიანები იკურნებიან სულიერ და ხორციელ უძღურებათაგან. კურნების ძალა შესწევს ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულებისას ნაკურთხ ზეთს, ასევე – წმინდანთა წმინდა ნაწილებს. მოციქულთა დროიდან მოყოლებული, ეკლესიაში დღემდე აღესრულება საკვირველი მოვლენა – ღვთის რჩეულთა წმინდა ნაწილების უზრწნელობა, რომელთა წყალობითაც არაერთი სასწაული აღსრულებულა: წმინდა უზრწნელი სხეულისგან სურნელოვანი მირონის დენა, ავადმყოფობათაგან, მათ შორის უკურნებელ სენათგან განკურნება და სხვა. წმინდა ეკლესიაში არსებობს ასევე სასწაულმოქმედი ხატები – მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმინდა ნიკოლოზის თუ სხვა წმინდანთა ხატები, რომელთა მიერ აღსრულებული სასწაულების გამო, სასწაულმოქმედ ხატებად არიან ცნობილნი.

სასწაულია ღვთის რჩეულთა – წმინდა მამათა და ეკლესიის მოძღვართა ხელის შეხებით თუ უბრალო გამოთქმების წყალობით ადამიანთა განკურნებაც. ასევე სასწაულად უნდა მივიჩნიოთ წმინდანთა მეოხება და მფარველობაც, რაც ხშირად, ადამიანებისთვის შეუმჩნეველი ხდება.

P.S. მართლმადიდებლური ეკლესია მანამ, სანამ სასწაულს ჭეშმარიტად აღიარებს, ყოველთვის მოითხოვდა და დღემდე მოითხოვს სარწმუნო მოწმობებს იმისას, რომ ის ღვთიური წარმომავლობისაა. უჩვეულო მოვლენა მხოლოდ მას შემდეგ მიიჩნევა სასწაულად, როდესაც მას ღვთიური სასწაულისთვის საჭირო ყველა მანსათიებელი ნიშანი სდევს თან. „გზის“ მომდევნო ნომრიდან გაგაცნობთ იმ სასწაულებს, რომლებიც წმინდანთა, წმინდა მამათა მიერ თუ წმინდა მამათა ცხოვრებაში აღსრულებულა და მართლმადიდებლური ეკლესიის მიერაა მიჩნეული ღვთიურ სასწაულებად.



არა ხოლო პურითა სცხონდეს კაცი, არამედ სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა, – ესომ უთხრა გამომცდელს, როცა იმან ჰკითხა, ქვები რად არ აქციეთ პურად. *მათე 4, 4; ლუკა 4, 4; || სჯ. 8, 3.*

დრო ვერაფერს აენებს დიად აზრებს, რომელნიც დღესაც ისევე გვიხიბლავენ სიახლით, როგორც ოდესღაც, მრავალი საუკუნის წინ, როცა თავიანთი ავტორების გონებაში ჩასახულან. *სამუელ სმაილსი*

მოკლედ თქმული ზნეობრივი აფორიზმები განამტკიცებენ ადამიანში მოვალეობის გრძობას, ცხოვრებისეულ სიბრძნეს, თვალსაზრისს ამკვიდრებენ. *ჰეგელი*

ესეხება უნდა ფუტკარივით, ზიანს რომ არავის აყენებს, და არა ჭიანჭველასავით, მთელ მარცვალს რომ იტაცებს. *ანატოლ ფრანსი*

მხატვარი ცალი ხელით ცას უნდა ეხებოდეს, მეორით – მიწას. *გოეთე*

ვისაც ქვის აწევა არ ძალუძს, იქვე უნდა დატოვოს. *ლეონარდო და ვინჩი*

ნუ აქცევთ ბავშვს კერპად, თორემ გაიზრდება და თაყვანისცემას მოვთხოვთ. *პიერ კლოდ ბუასტი*

იყავი სამართლიანი, ნუ გაცხარდები, მიეცი მავედრებელს – ის ზომ ბევრს არ გთხოვს! ამ სამი მცნებით შენ წმინდანებს მიუახლოვდები. *ბუდისტური სობრძნე*

პაველ ნედვედი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელია



ალექსი რეხვიაშვილი

ჩემპიონთა ლიგის 2002-2003 წლების სეზონში, ფინალური მატჩის წინ, ტურინის „იუვენტუსი“ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მადრიდის „რეალთან“ გამართულ ნახევარფინალურ შეხვედრაში პაველ ნედვედმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ბეებერი ქალბატონი“ „მილანთან“ საპაექროდ მის გარეშე უნდა გასულიყო მანჩესტერის „ოლდ ტრაფორდზე“. ჩეხი ჰავეკის დისკვალიფიკაცია მართლაც, დიდი დანაკლისი გახლდათ მარჩელო ლიპის გუნდისთვის. ნედვედი მთელი სეზონის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ასპარეზობდა და „იუვენტუსთან“ ერთად იტალიის ჩემპიონატში დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიადგინა. ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის წინ, პაველი მასმედიის ყურადღების ცენტრში ისევე იმყოფებოდა, როგორც მისი თანაგუნდელი დელ პიერო. თუმცა ჩეხმა იცოდა, რომ ტურინელებს ველარაფრთი დაეხმარებოდა, რის გამოც თავს დათრგუნვილად გრძნობდა. როგორც უკვე ცნობილია, ნედვედის გარეშე დარჩენილმა „იუვენტუსმა“ ჩემპიონთა თასი პენალტების სერიაში განცდილი მარცხის გამო „მილანს“ დაუთმო. მიუხედავად ამისა, „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციულ გამოკითხვაში მონაწილე სპორტულმა ჟურნალისტებმა პაველ ნედვედი მაინც დაასახელეს ევროპის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელად. ასე რომ, იოზეფ მასოპუსტის შემდეგ (იგი 1962 წელს აღიარეს კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად) ტურინული გრანდის ნახევარმცველი მეორე ჩეხი მოთამაშეა,

ბიონიფოსია

დაბადების თარიღი: 1972 წლის 30 აგვისტო
 დაბადების ადგილი: ხეხი (ჩეხეთი)
 სიმაღლე: 177 სმ
 წონა: 70 კგ
 ამპლუა: ნახევარმცველი
 კლუბები: „დუკლა“ (1991-1992; ჩეხეთი); „სპარტა“ (1992-1996; ჩეხეთი); „ლაციო“ (1991-2001); „იუვენტუსი“ (2001 წლიდან დღემდე).
 სანაკრებო კარიერა: ჩეხეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 74 მატჩში გატანილი აქვს 17 გოლი.
 ტიტულები: ჩეხეთის სამგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი; იტალიის სამგზის ჩემპიონი და სამგზის თასის მფლობელი; ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1999); ევროპის ვიცე-ჩემპიონი (1996).

რომელსაც „ოქროს ბურთი“ გადაეცა. საუკეთესო ფეხბურთელად პაველ ნედვედის აღიარება უდიდესი სტიმულია არა მარტო ჩეხეთის, არამედ მთელი აღმოსავლეთევროპული საფეხბურთო სამყაროსათვის. გავისხენით იმ ვარსკვლავთა სახელები, რომლებმაც აქტიური სპორტული კარიერა „ოქროს ბურთის“ მოპოვების გარეშე დაასრულეს; გავითვალისწინოთ იმ დიდოსტატთა ფაქტორი, რომლებიც წელს ნედვედის კონკურენტებად ითვლებოდნენ და მიგვხვდებით, თურამხელა ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ უხდებოდა „იუვენტუსის“ ჰავეკის თავისი უპირატესობის დამტკიცება. როდესაც საფეხბურთო მიმოხილვებში პაველ ნედვედის თვისებებზე საუბრობენ, ისინი ყოველთვის ხაზს უსვამენ მის შრომისმოყვარეობასა და კლუბისა თუ ეროვნული ნაკრებისათვის თავდადებას. შუუპოვრობითა და დისციპლინით პაველი ჯერ კიდევ საბავშვო გუნდ Sokol Skalna-ში (1982-1985) თამაშის პერიოდში გამოირჩეოდა. შემდეგ PH Cheb-ის (1985-1987), Skoda Plzen-ის (1987-1991) და Dukla Praha-ს (1991-1993) ღირსებასაც იცავდა, ხოლო 1993 წელს, ჩეხური ფეხბურთის გრანდში, პრატის Sparta-ში გადავიდა, სადაც 1996 წლამდე თამაშობდა.

იტალიელთაგან პირველად, პაველ ნედვედი ლეგენდარულმა დინო მოფმა აღმოაჩინა და მაშინვე ურჩია „ლაციოს“ იმჟამინდელ მწვრთნელს, სვენ-გორან ერიქსონს (ამჟამად იგი ინგლისის ეროვნულ ნაკრებს უდგას სათავეში) ამომავალი ჩეხი ვარსკვლავის შეტენა. მართლაც, გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, პაველ ნედვედი იტალიის სერია A-ში აღმოჩნდა. იგი რომაული კლუბის ღირსებას ხუთი სეზონის განმავლობაში იცავდა და 2000 წელს გუნდთან ერთად „სკუდეტოს“ მოიპოვა, რის შემდეგაც 41,2 მილიონ დოლარად „იუვენტუსმა“ შეიძინა.

ტურინულ კლუბში გატარებული ორი საფეხბურთო სეზონი პაველ ნედვედისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. აღმოსავლეთევროპელმა ლეგიონერმა „იუვენტუსთან“ ერთად ზედიზედ ორჯერ (2002; 2003) გაიმარჯვა იტალიის ჩემპიონატში.

პაველ ნედვედი წარმატებულად ასპარეზობს ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებშიც, რომლის ღირსებასაც იგი 1994 წლიდან იცავს. გუნდთან ერთად პაველი 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის პრიზიორი გახდა.

„ოქროს ბურთის“ პრეტენდენტთა შორის პაველ ნედვედის მთავარ მეტოქედ საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ფორვარდ, ტიერი ანრის მიიჩნევენ, თუმცა „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, არაოფიციალური ცნობებით, დაჯილდოების ცერემონიის წინააღმდეგე გახდა ცნობილი. „ოქროს ბურ-





თის“ მოპოვებით სულაც არ ვყოფილვარ დაინტერესებული, – ამბობს ერთ-ერთი ევროპული სპორტული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში „ბებური ქალბატონის“ ნახევარმცველი, – მოთამაშეები უფრო მეტად ქველმოქმედებაზე უნდა ფიქრობდნენ და არა პირად ჯილდოებზე“.

– ნუთუ, ასეთ ავტორიტეტულ გამოკითხვაში გამარჯვება თქვენთვის მართლა არაფერს ნიშნავს?

– არა, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ იმით, რომ წელს ეს ტიტული მე მოვიპოვე. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხმა ვარჯიშებზე ჩემი თავდაუზოგავი შრომა და ადამიანური შესაძლებლობების ზღვარზე თამაშის სურვილი სათანადოდ დააფასა. მიუხედავად ამისა, მაინც ვიმეორებ: ცხოვრებაში სხვა უფრო მნიშვნელოვანი მოვლენებიც არსებობს, ვიდრე პრიზების და ტიტულების მოპოვება და გამარჯვებების მიღწევაა.

– ალბათ წელს თქვენთვის ყველაზე ტრაგიკული მომენტი ის დისკვალიფიკაცია გახლდათ, რომლის გამოც ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანთან“ თამაშის უფლება არ მოეცათ. „რეალთან“ შეხვედრისას მიღებული ის დაწყვეტილი ყვითელი ბარათი მთელი ცხოვრება გემახსოვრებათ?

– ის მომენტი მოუშუშებელ იარაღს დარჩება ჩემს მეხსიერებაში, რომელიც ალბათ კიდევ დიდხანს შემაწუხებს. თუმცა ყოველი მატჩისა თუ გატანილი გოლის შემდეგ ვხვდები, რომ ცხოვრება გრძელდება. ამიტომ ყოველ დღით, გაღვიძების შემდეგ მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებს ხოლმე თავში: რაც შეიძლება სწრაფად ჩავიცვა ბუცები...

– თქვენი შექენა არაერთ ცნობილ კლუბს სურს. ცოტა ხნის წინ, რომან აბრამოვიჩმა საკმაოდ ხელსაყრელ პირობებში „ჩელსიში“ გადასვლა შემოგთავაზათ, მაგრამ თქვენ შეუვალი აღმოჩნ-

დით.

– გაიხსენეთ, ვიდრე „იუვენტუსში“ გადავიდოდი, უარით გავისტუმრე მადრიდის „ატლეთიკოს“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა. „იუვეში“ მაფასებენ და ამ გუნდში ჩემი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. მსურს, რომ ტურინში კიდევ სამი წლით დავრჩე. ბევრს ჩემი შურს კიდევ იმის გამო, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე სამჯერ ვიზიემე დიდი გამარჯვება ორ სხვადასხვა კლუბში. იტალიის პირველ გუნდად ყოფნა მართლაც დიდი მიღწევაა, რაც უდიდესი შრომის შედეგია.

– „იუვენტუსს“ სხვა კლუბებისგან თავისი სტილი გამოარჩევს. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს ამ გუნდის სიძლიერე?

– ალბათ ჩვენ ისეთი ელეგანტური თამაშით არ ვართ ცნობილი, როგორც მაგალითად, მადრიდის „რეალი“ ან „მილანი“, მაგრამ სამაგიეროდ, ძალიან მეგობრული, შეთამაშებული გუნდი ვართ. ჩვენი ძლიერი მხარე შთამბეჭდავი დაცვა და ნახევარდაცვაა, რომლის გადალახვაც ნებისმიერ მეტოქეს უჭირს. ასე რომ, მოწინააღმდეგეთათვის ჩვენ საძაგელი ბიჭები ვართ. „იუვენტუსი“ სპეციალურად ირჩევს ფსიქოლოგიურად მტკიცე, შეუპოვარ ბიჭებს, რომელთა დათრგუნვა და დაჩოქება ძალიან ძნელია. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ რაღაც ამ გუნდში მოხვდნენ, აუცილებლად ტიტულებისთვის უნდა იბრძოდნენ. საერთოდ, იტალიაში ფეხბურთელისგან ყოველთვის მაღალი დონის თამაშს მოითხოვენ და ეს არავის უკვირს.

– რაღვინაღ მნიშვნელოვანია თქვენთვის მწვრთნელთან კონტაქტი და მისი პირადი თვისებები?

– მწვრთნელზე დამოკიდებული ის, თუ როგორი კლიმატი იქნება გუნდში შექმნილი. მარჩელო ლიპი არაჩვეულებრივი თავკაცია. იგი თავშეკავებული და კორექტულია და საერთოდ, იშვიათად

ლაპარაკობს. მისგან საქებარ სიტყვებსაც არ უნდა მოელოდე. როდესაც ლიპი ჩუმდაა, ე.ი. ყველაფერი რიგზეა და ის შენი თამაშით კმაყოფილია. სხვათა შორის, მე დღემდე მადლიერებით ვიხსენებ „შკოდის“ მწვრთნელ იოზეფ ჟალუკას, ვისი თაოსნობითაც სიტაბუკემი ვასპარეზობდი. მასზე უკეთეს მწვრთნელს ვერაც არ შევხვედრივარ!

– იტალიის ჩემპიონატში ყველაზე ძალიან რომელი გამარჯვების მიღწევა გაგიჭირდათ?

– 2001-2002 წლების სეზონი ჩემთვის ყველაზე რთული აღმოჩნდა, რადგან „იუვენტუსში“ ახალი გადასული ვიყავი და გუნდის სტილს ვეუბოდი. 2000 წელს კი, – „ლაციოსთან“ ერთად „სკუდეტო“ თითქოს ერთი ამოსუნთქვით მოვიპოვე. ასეთი რამ ამ კლუბისთვის ფაქტობრივად მხოლოდ 25 წელიწადში ერთხელაა დამახასიათებელი. ჩემი ენერგიული, სწრაფი თამაშის გამო თანაგუნდელები ათასგვარი მეტსახელით მომმართავდნენ. მიმდინარე წელს, „მილანის“ კარგი თამაშის მიუხედავად, „იუვენტუსმა“ ნამდვილად დაიმსახურა გამარჯვება. სეზონის პირველ ნახევარში საგრძობი უპირატესობა მოვიპოვეთ და მისი შენარჩუნებაც შეეძლებოდა. თვით ლიპიც კი, რომელიც ემოციას იშვიათად ამჟღავნებს, ბავშვივით ხარობდა.

– ალბათ გულშემატკივრები ხელში აყვანილს გატარებდნენ...

– ტურინის ცენტრში ასე ათასმა კაცმა მოიყარა თავი, ფანები აღტაცებისგან სულმოუთქმელად გაჰყვიროდნენ. იტალიელები ყოველთვის შეშლილებივით ზეიმობენ გამარჯვებას, მაგრამ ეს ზშირად საშიშ ფორმებს იღებს. „იუვენტუსის“ ყველა მოთამაშეს პირადი მცვე-





ლი ჰყავს. აი, „ლაციოში“ კი, მე არავინ მიცავდა. არაფრის მეშინია, მაგრამ როდესაც მანქანაში ჩაჯდომის საშუალებას არ მაძლევენ, ეს ძალიან მადიზიანებს. წელსაც, „სკუდეტოს“ მოპოვების შემდეგ, ვიდრე გასახდელამდე მივილოდი, ფანებმა თითქმის ყველაფერი გამხადეს, რამაც ჩემი ქალიშვილი, ივანკა ძალიან გაამხიარულა. მას ეგონა, რომ გულშემოტკივრებთან ერთგვარი თამაშით ვერთობოდი.

– თქვენი შვილები სტადიონზე ხშირად დადიან „იუვენტუსის“ საქონაგოდ?

– ისინი ჯერ ძალიან პატარები არიან და ვერ ერკვევიან, თუ რა ხდება ზოლმე. თუმცა, როდესაც ჩემი უმცროსი შვილი, პავლიკი ავადმყოფობის გამო დედამისმა ფინალზე დასასწრებად არ წამოიყვანა, იგი მთელი ერთი საათი ტირიდა! მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, რომ ბავშვები ხმაურიან ადგილებს მოვარიდოთ. ხალხი კი, ივანკას და პავლიკის დანახვისას, მათკენ თითს იშვებს და ამბობს: „ოო, ესენი ხომ ნედველის შვილები არიან!..“ რა თქმა უნდა, ჩემთვისაც სასიამოვნოა, რომ ჩემს შვილებს თავიანთი მამის გამო სიამაყის გრძნობა უჩნდებათ; მათთვის ხანდახან იმ გაზეთებსაც ვყიდულობ, სადაც ჩემი ფოტოებია გამოქვეყნებული. ისე კი, იტალიურ პრესას საერთოდ არ ვკითხულობ.

– ალბათ ეს იმიტომ არ ხდება, რომ იტალიურს ცუდად ფლობთ...

– რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ გაზეთების წასაკითხად დრო აღარ მრჩება. ენა კი, საკმაოდ სწრაფად ავითვისე. მასხოვს, როდესაც 1996 წელს „ლაციოში“ მივედი, გუნდს ზღენეკ ზემანი წვრთნიდა, რომლის ძმისწული ზღენეკ შესტაკი ჩემი გულითადი მეგობარია. სწორედ მან შემომთავაზა ენის შესასწავლი საკუ-

თარი მეთოდი. იგი იტალიურ ფრაზებს მიწერდა, მე კი, ამ ყველაფერს ვიზებირებდი.

– თუ თქვენი ვაჟიშვილიც ფეხბურთელობას მოისურვებს და მეორე პაველ ნედველად მოგვევლინება, მის გადაწყვეტილებას როგორ მიიღებთ?

– ძალიან გამიხარდება. თავის დროზე მამაჩემს ეშინოდა, რომ წარმატება თავბრუს დამახვევდა. მე ხომ უბრალო ბიჭი ვიყავი, რომელიც სების მასლობლად მდებარე სოფელ სკოლაში იზრდებოდა. როდესაც 19 წლის გავხდი, პრადის „დუკლეში“ მიმიწვიეს. მამას დედაქალაქში ჩემი გაშვება არ სურდა, რადგან მას მიაჩნდა, რომ დიდ ქალაქში ცხოვრება პიროვნებად ჩემს ჩამოყალიბებაზე უარყოფითად იმოქმედებდა. თუმცა მას ჩემი დაკავება არ უცდია.

– ძლიერ პიროვნებად კი მართლაც ჩამოყალიბდით. თქვენ ხომ შემთხვევით არ ხართ ჩეხეთის ეროვნული ნაკრების კაპიტანი...

– ეს მართალია. როდესაც იოზეფ ჰოვანეცი ლიდერს ეძებდა, რომელსაც გუნდის გაძლიერება უნდა შესძლებოდა, მან არჩევანი ჩემზე შეაჩერა. ამან ძალიან ამაღელვებ. ჩინებული სასიამოთო მართლაც არ გამოვირჩევი. როდესაც მოედანზე ყველაფერი რიგზე არ არის, წონასწორობიდან გამოვდივარ და ძალიან მძვინვარე ვხდები! ხანდახან კი, საპასუხისმგებლო მატჩების წინ, ყურნალისტებთან ურთიერთობაზე უარს ვაცხადებ, რათა კონცენტრაცია შევინარჩუნო. მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა...

P.S. ისევე, როგორც ყოველთვის, მძინარე სეზონშიც ტურინის „იუვენტუსი“

ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძვის. იტალიური გრანდი სერია A-სა და უეფას ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას შეეცდება. გარდა ამისა, მომავალ ზაფხულს პორტუგალია ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომლის ჯგუფურ ეტაპზეც ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებს გერმანიის, პოლანდიისა და ლატვიის გუნდები გაუწვევენ მეტოქეობას. მიუხედავად ამისა, პაველ ნედველი მიიჩნევს, რომ მისი გუნდი უბრძოლველად არაფერს დათმობს და ტურნირის შემდგომ ეტაპზე გასვლას შეეცდება: „ლატვიის გუნდზე ამჯერად ბევრს ვერაფერს გეტყვით. ვეცდებით, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე მასთან ამხანაგური მატჩი გავმართოთ. რაც შეეხება, პოლანდიას და გერმანიას, ისინი მართლაც ძლიერი მეტოქეები არიან. ყველამ კარგად იცის, რომ ბუნდესნაკრები ნებისმიერ შეჯიბრებაში ფავორიტად ითვლება. იმავეს ვიტყვი პოლანდიელებზეც. მივიჩნევ, რომ მეოთხედფინალში გასვლა ოთხივე გუნდისთვის რთული ამოცანა იქნება, თუმცა ეს ფაქტი ფარ-ხმალის დაყრის საბაბს არ გვაძლევს. ჩეხეთის ნაკრებს ნებისმიერი სიძლიერის მეტოქის დამარცხება შეუძლია, რაც მან ევრო-2004-ის შესარჩევ ტურნირზე უკვე დაამტკიცა კიდევ. ყველაფერი კონკრეტული მატჩის წინ, ჩვენს მზადყოფნასა და კონცენტრირებაზე იქნება დამოკიდებული. პორტუგალიაში ჩასვლით მე ჩემი ტიტულების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ჯილდოთი გამდიდრების საშუალება მეძლევა. შეიძლება ჩემი ნათქვამი ვინმემ ხმაძალად განცხადებდეს ჩათვალოს, მაგრამ ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია უმაღლესი მიზნის მისაღწევად ბრძოლა“.



2003 წლის ყულაჯი შემთხვევითი სპონსორები



გასულ წელს ყველაზე დიდი შემოსავალი ამერიკელ გოლფისტს, ტაიგერ ვუდსს ჰქონდა. ინგლისური გამოცემის, The Sun-ის მონაცემების თანახმად, 2003 წელს ვუდსი 57,7 მლნ გირვანქა სტერლინგით გამდიდრებულა, რაც არა მარტო სხვადასხვა ტურნირში გამარჯვებამ მოუტანა, არამედ სარეკლამო გადაღებებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობამაც. მეორე ადგილზე „ფორმულა-1“-ის ვარსკვლავი, მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმასერი იმყოფება, რომლის წლიური შემოსავალიც 35,5 მლნ გირვანქა სტერლინგი გახლდათ. საპატიო მესამე ადგილზე კი, „რეალის“ ნახევარმცველი, დევიდ ბექჰემია. ინგლისელმა ვარსკვლავმა მატერიალური მდგომარეობა 2003 წელს 20,4 მლნ გირვანქა სტერლინგით გაიუმჯობესა. ათეულში მოხვდნენ აგრეთვე: პროფესიონალი მოკრივეები – ოსკარ დე ლა ხოია (18,3 მლნ) და როი ჯონსი-უმცროსი (14,8); კალათბურთელები – კევინ გარნეტი (14,4) და შაკილ ო'ნილი (13,5); ჩოგბურთელი სერენა უილიამსი (12,9); ბეისბოლისტი ალექს როდრიგესი (12,6). მეათე ადგილზე NBA-ს ცოცხალი ლეგენდა, მაიკლ ჯორდანია, რომელმაც აქტიური სპორტული კარიერა სწორედ 2003 წელს დაასრულა. დიდი კალათბურთიდან წასვლამდე, „მფრინავმა მაიკლმა“ მოედანზე კიდევ 12,3 მლნ გირვანქა სტერლინგის გამოშვება მოახერხა.

მოკრივეები – ოსკარ დე ლა ხოია (18,3 მლნ) და როი ჯონსი-უმცროსი (14,8); კალათბურთელები – კევინ გარნეტი (14,4) და შაკილ ო'ნილი (13,5); ჩოგბურთელი სერენა უილიამსი (12,9); ბეისბოლისტი ალექს როდრიგესი (12,6). მეათე ადგილზე NBA-ს ცოცხალი ლეგენდა, მაიკლ ჯორდანია, რომელმაც აქტიური სპორტული კარიერა სწორედ 2003 წელს დაასრულა. დიდი კალათბურთიდან წასვლამდე, „მფრინავმა მაიკლმა“ მოედანზე კიდევ 12,3 მლნ გირვანქა სტერლინგის გამოშვება მოახერხა.

2003 წლის საუკეთესო სპონსორები

ერთდროულად მსოფლიოს ორმა წამყვანმა საინფორმაციო სააგენტომ – Reuters-მა და BBC-მ 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენად ველომობრბოლელთა ტურნირის – „ტურ დე ფრანსის“ ხუთჯგერ გამარჯვებული, ამერიკელი ლენს არმსტრონგი დაასახელა. გაცნობებთ, რომ ლენს არმსტრონგამდე „ტურ დე ფრანსის“ რბოლა ხუთ-ხუთჯერ მხოლოდ ფრანგებს – ჟაკ ანკეტილსა და ბერნარ ინოს, ასევე ბელგიელ ედი მერკოსსა და ესპანელ მიგელ ინდურაინს ჰქონდათ მოგებულის. ამასთანავე, ამერიკელი ველომობრბოლის მსგავსად, მხოლოდ ინდურაინმა შეძლო ამ პრესტიჟულ ტურნირში ხუთჯერ ზედიზედ გამარჯვება. თავად არმსტრონგი კი, 2004 წელს „ტურ დე ფრანსზე“ მეექვსედ გამარჯვებას გეგმავს. Reuters-ის მიერ 24 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მეორე ადგილზე რაგბიში მსოფლიო ჩემპიონი, ინგლისის ეროვნული ნაკრების წევრი, ჯონი უილიკინსონი გამოვიდა, რომელმაც მხოლოდ ერთი ქულით დაჯაბნა მესამე ადგილზე გასული მიხაელ შუმასერი. იმავე Reuters-ის ვერსიის თანახმად, 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენი გოგონა, გოლფისტი ანიკ სორენსტამია. მეორე-მესამე ადგილებს კი, შესაბამისად, ბრიტანელი მარათონელი, პოლე რედკლიფი და ბელგიელი ჩოგბურთელი, ჟუსტინ ენენ-არდენი იყოფენ.



დღემთმთლად ვიძვრებით სახალწლო საჩუქრად დევიდისათვის...

გასულ წელს დევიდ ბექჰემი და ვიქტორია ადამსი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყვნენ მოქცეულნი. ვარსკვლავური წველის ცხოვრებით საზოგადოებისა და მასმედიის ასეთი დიდი დაინტერესება ინგლისელი ნახევარმცველის „მანჩესტერიდან“ მადრიდის „რეალში“ გადასვლამაც განაპირობა. ესპანეთის დედაქალაქში ბექჰემის ოჯახის გადაბარებისთანავე, დევიდისა და ვიქტორიას გარშემო ახალი ჭორები აგორდა: ერთნი წერდნენ, რომ „სპაის გელზის“ ყოფილი წევრი ესპანურ გარემოს ვერ ეგუებოდა, მეორენი ამტკიცებდნენ, რომ ცოლქმარს შორის ურთიერთობა თანდათან გაცივდა და ვიქტორია სულ უფრო იშვიათად ჩადის ესპანეთში მეუღლის მოსანახულებლად. უფრო მეტიც – სახელებდნენ ერთ ესპანელ ქალბატონს, რომელთანაც დევიდს განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობები ჰქონია. მიუხედავად ამისა, ახალი წლის წინა დღეებში, ვიქტორია ადამსმა გააკეთა განცხადება, რითიც მასა და დევიდზე გავრცელებულ ყოველგვარ ჭორს საფუძველი გამოაცალა. პოპვარსკვლავის თქმით, მას მეუღლისთვის ახალი წლის ღამეს, ეროტიკული საჩუქარი უნდა მიეძღვნა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ვიქტორია 2004 წლის დადგომამდე ცოლად ხნით ადრე, სპეციალურ ყუთში შეძვრებოდა, ხოლო 12 საათზე იქიდან სრულიად შიშველი ამოსტებოდა... „დევიდს ყველაფერი აქვს, – დასძინა ადამსმა, – მისთვის საჩუქრის შერჩევა დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ ალბათ საჩუქრებისთვის განკუთვნილ დიდ ყუთში შევძრები და ახალი წლის დადგომისთანავე, იქიდან დევიდობოლია ამოვტები. ადრე დევიდს საშობაო არდადეგებზე, თამაში უწევდა ხოლმე და ამ დღესასწაულის სრულყოფილად აღნიშვნას ვერ ვახერხებდით. ამჟამად კი, ახალ წელს, ერთად ყოფნის შესაძლებლობა გვეძლევა“.

აუადმცთთი ტგი ტსმტტნი გინჟსის ტუტტტტის წიგნში მტსუტ

მძიძე ავარიის შემდეგ, საავად-
მყოფოში მყოფმა ლეგენდარულმა
მომღერალმა ოზი ოსბორნმა როკ-
მუსიკის ისტორიაში ახალი რეკორ-
დი დაამყარა: მისმა ახალმა კო-
მპოზიციაშ Changes, რომელიც ქალ-
იშვილთან, კელისთან ერთად ჩაწ-
ერა, კვლავ წამყვანი ადგილი დაიკავა
ბრიტანულ ჰიტბილბუდში. ეს იმ
დღიდან ზუსტად 33 წლის, 3 თვი-
სა და 23 დღის შემდეგ მოხდა, რაც
მისი ჯგუფის Black Sabbath-ის
სინგლი პირველად შევიდა ინგლი-
სის ჰიტბილბუდის ხუთეულში.



როგორც გინეისის რეკორდების
წიგნის გამომცემლობა იუწყება, ოზი
ოსბორნის ახალი რეკორდი, როგორც
უპრეცედენტო შემთხვევა, ისე შევა
ამ წიგნში. წინა რეკორდი – 29
წელი – მომღერალ ლულუს ეკუ-
თვნოდა.

ლონდონის დასავლეთით მდებარე
Wexham Park Hospital-ის ექიმებ-
ის თქმით, 55 წლის მომღერალი და
კომპოზიტორი ძალზე რთული ოპ-
ერაციის შემდეგ, თანდათან ძალებს
იკრებს. ოსბორნი 8 დეკემბერს თავის
მამულში ოთხთვლიანი მოტოციკ-
ლი-ყველგანმავლიდან გადმოვარდა
და კისრის მალა და 8 ნეკნი დაი-
ზიანა. „ოზის სიცოცხლე ბეწვზე
ეკიდა“, – დადასტურა მისმა მკურ-
ნალმა ექიმმა. ნათესავები და მეგო-
ბრები იმედოვნებენ, რომ ახლო მო-
მავალში, ოზი ახალ როკმუსიკლზე
– „რასპუტინი“ მუშაობას განაახ-
ლებს.

მაიკლ დუგლასი მესამე „ტტტს გლტმრსს“ მიიღუშ



2003 წლის მანძილზე კინოხელოვნების განვითარება-
ში შეტანილი წვლილისთვის ამერიკელ მსახიობს მაიკლ
დუგლასს პრემია „ოქროს გლობუსი“ მიენიჭება. ჯილდო,
რომელიც რეჟისორ სესილ დე მილის სახელს ატარებს,
დუგლასს წლეულს, 25 იანვარს გადაეცემა.

ამ დღეს, ლოს-ანჯელესში „ოქროს გლობუსის“ პრემი-
ით დაჯილდოების მორიგი ყოველწლიური ცერემონია გაიმ-
ართება. „ოქროს გლობუსს“ ამერიკაში, „ოსკარის“ შემდეგ,
ყველაზე პრესტიჟულ პრემიად მიიჩნევენ. დუგლასს უკვე
აქვს ორი „ოქროს გლობუსი“: ერთი, ფილმში – „ჟოლ-
სტრიტი“ განსახიერებული გმირისთვის, როგორც წლის
საუკეთესო მსახიობს და მეორე – როგორც წლის საუკეთესო ფილმად აღიარებული
სურათის – „ვიდაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ – პროდიუსერს.

მადონას ტუტტე ატაჟინ იცნტმს...



სახელგანთქმული მომღერალი, მსახ-
იობი და ახლა უკვე მწერალიც, რომელ-
მაც 2 საბავშვო ზღაპარი გამოსცა, ახა-
ლი ნაწარმოების გამოშვებას აპირებს.
მაგრამ ამჯერად, საბავშვო წიგნზე როდია
საუბარი. მადონას ჩანაფიქრის თანახმად,
მცირეტირაჟიანი წიგნი მხოლოდ მის თავგანისმცემლებში გავრცელდება.

მადონას წინა ლიტერატურული ქმნილებები, ზღაპრების წიგნები –
„ინგლისური ვარდები“ და „მისტერ პიბოდის ვაშლები“, რომლებიც 100
ქვეყანაში მასობრივი ტირაჟით გამოიცა, ჯონ როულინგის „ჰარი პოტერ-
ის“ სერიის მიერ დამყარებულ აბსოლუტურ რეკორდსაც კი მიუახლოვდა.
ახალ, 52-გვერდიან ალბომში, რომლის სახელწოდებაცაა – „არავინ მიც-
ნობს“, პოპვარსკვლავის იშვიათი ფოტოსურათებია თავმოყრილი. მადონამ
მათ კომენტარიც დაურთო და ზოგიერთი საკუთარი გამონათქვამიც.

წიგნს, რომელიც 15 გირვანქა სტერლინგი ღირს, 2003 წლის 30
დეკემბრამდე, მსურველები მადონას ოფიციალური ინტერნეტ-საიტის
მეშვეობით უკვეთდნენ.

„ფაფუ“ – წლის ყვლაგე უაგტო ჯგუთი!



27 დეკემბერს, სკანდალურად ცნობილმა რუსულმა
„ტატუმ“ კანადური პრემიის – Fromage დაჯილ-
დობაზე, როგორც წლის „ყველაზე უაზრო ჯგუფ-
მა“ სპეციალური პრიზი მიიღო. Fromage-ის პრემი-
ით, ტრადიციულად, მსოფლიო შოუბიზნესში წლის
ყველაზე საეჭვო და უიღბლო მიღწევების მქონე
მომღერლებსა და ჯგუფებს აჯილდოებენ. 2003
წლის ნომინანტთა შორის მოხვდნენ: ჯასტინ ტიმ-
ბერლეიკი, მადონა და ბრიტნი სპირსი. გასაგები
მიზეზების გამო, თავად ნომინანტები, როგორც წესი,
დაჯილდოების ცერემონიას არ ესწრებიან.

აქვე დავეხებით, რომ 2002 წელს, ყველაზე მეტი
ჯილდო მიენიჭა კელი ოსბორნს კლიპისთვის –
Papa Don't Preach.

პოლანსკი მზადაა, გადაიღოს „თლიუტ ცვისცი“

ჩარლზ დიკენსის ნაწარმოების მოტივების მიხედვით, ფილმის გადასაღებად ყველანაირი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაო ჩატარებულია. სურათზე ინტენსიური მუშაობა კი, 21 ივნისს პრალაში დაიწყება, სადაც „ოსკაროსან“ რეჟისორთან, რომან პოლანსკისთან ერთად მთელი გადაღები ჯგუფი გაემგზავრება.



„ეს ძალზე მასშტაბური პროექტია, – სიამაყით აღნიშნავს ფილმის პროდიუსერი რობერტ ბერმუსა. – სამუშაო სულ ცოტა, ორი წელი გასტანს, ხოლო გადაღებები – 15-20 კვირა გაგრძელდება“. ემოციური და ძალზე ინტიმური შინაარსის ფილმის – „პიანისტის“ შემდეგ, პოლანსკიმ გადაწყვიტა, საოჯახო სურათი გადაიღოს. „შესაფერისი სიუჟეტისა და სხვადასხვა სცენარის შესასწავლად მთელი წელი დაგეგმილია. შემდეგ, ჩვენდა გასაოცრად, აღმოვაჩინეთ, რომ ბოლო ფილმი „ოლივერ ტვისტის“ მიხედვით, დევიდ ლინის მიერ ჯერ კიდევ 1948 წელს იყო გადაღებული. 1968-ში უკვდავი ნაწარმოების საფუძველზე, მიუზიკლი დადგეს, მაგრამ ეს სულ სხვა რამაა“.

მცირეწლოვანი ჯიბგირების ცხოვრების ამსახველი ეკრანიზაცია, რომლის მოქმედებაც XIX საუკუნის ლონდონში ვითარდება, 60 მლნ დოლარი დაჯდება, მაყურებელი კი მას 2005 წელს, მაღლიერების დღეს იხილავს. მთავარი როლის შემსრულებელთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. როგორც ამბობენ, ყველანი ბრიტანელები იქნებიან.



ბენ აფლეკის მთავალი თანამდებობა

ბენ აფლეკის მთავალ თანამდებობას ინგლისურად grand marshal ჰქვია. ის პრეტესტიჟული საერთაშორისო ავტოშეჯიბრის – „დეიტონი 500“ (დეიტონ-ბიჩი, ფლორიდის შტატი) – მთავარი გამგებელი გახდება. ეს მოვლენა 2004 წლის 15 თებერვლისთვისაა დაგეგმილი, როდესაც აფლეკი 43 მანქანის მძღოლს უბრძანებს: „ჯენტლმენებო, დაქოქეთ მანქანები!“ მსახიობის პრესაგენტის თქმით, აფლეკი ძალზე კმაყოფილია ამ წინადადებით. ეს

მით უფრო დიდი პატივია მისთვის, რადგან ბენი პოლიციულის მეორე ადამიანია (ჯონ ტრაველტას შემდეგ), რომელსაც grand marshal-ის პოსტი შესთავაზეს.

მაკარტნისა და ლენონის ძვტივის მთბიგი კნთლიძცი

პოლ მაკარტნისა და იოკო ონოს შორის არსებული მრავალწლიანი უთანხმოება „ბიტლზის“ კომპოზიციებთან დაკავშირებული საავტორო უფლებების გამო კვლავ ახალი ძალით გაშფავდა. როკვარსკვლავი სასტიკად აღშფოთდა, როცა შეიტყო, რომ კომპოზიციის – Give Peace A Chance – ახალი DVD-ზე – Lennon Legend – ავტორებს შორის ჯონის სახელი არ იყო მოხსენიებული. კომპოზიცია, რომელიც 1969 წელს, Plastic Ono Band-მა გამოუშვა, ჯონ ლენონმა დაწერა, მაგრამ წინათ მიღწეული შეთანხმების თანახმად, მის ავტორებად ლენონსა და მაკარტნის მოიხსენიებდნენ, რადგან ტრაგიკულად დაღუპული ვოკალისტი, მაშინ ჯერ კიდევ შედიოდა ჯგუფის შემადგენლობაში.

ჰაიდი კლუმი თქსმბიძედა

ჰაიდი კლუმი და ფლავიო ბრიატორე გაზაფხულზე, პირველი შვილის დაბადებას ელიან.

30 წლის მოდელისა და „ფორმულა-1“-ის თანამფლობელის (ნაომი კემპბელის ყოფილი მეგობრის) ახლო ურთიერთობები შარშანდელი წლის დასაწყისიდან, პრესის ფურცლებზე ფართო განხილვის საგნად იქცა. გასულ ზაფხულს, ჰაიდი კამერების წინ დიდი ბრილიანტის ბეჭდითაც კი იწონებდა თავს, რომელიც მას მულტიმილიონერმა აჩუქა. „ჰაიდი ჩემი ცხოვრების ქალია, – ამბობდა ბრიტორე სექტემბერში, – ჩვენ შორის ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მასთან ისეთი ბედნიერი ვარ, როგორიც არასოდეს ვყოფილვარ“.

2002 წლის ნოემბერში, კლუმი თავის ქმარს, სტილისტ რიკ პეპინოს გაეყარა. როგორც ამბობენ, იგი გარკვეული ხნის განმავლობაში, ჯგუფის – Red Hot Chilli Peppers ლიდერს, ენტონი კიდისსაც ხვდებოდა.



(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52)

მეთექვსმეტე გვანცა ჩოხელს საკმაოდ მძიმე ბავშვობა ხვდა წილად: დედა 9 აპრილის ღამეს მოენამლა და ფსიქოკურად დაავადდა, მამამ ამ უბედურებას ვერ გაუძლო და გადაიკარგა. გვანცას და მის პატარა ძმას მიშკოს ბებია-ბაბუა — ამირან და ლამარა ანთაძეები ზრდიან. თუმცა ოჯახს მატერიალურად არ უჭირს, პრობლემები მაინც არ აკლია: ლამარას თქმით, ამ პრობლემებს მათ ძირითადად, გვანცა უჩენს... გოგონა საკუთარ სატიკივარს მხოლოდ ერთ ადამიანს — თანაკლასელ ლუკა ჩადუნელს უმხელს, რომელსაც გვანცა უყვარს... თავისუფალ თემაზე დანერგილი საკონტროლოს გამო, გვანცას მასწავლებელთან შეკამათება მოუხდება, რის შემდეგაც დემონსტრაციულად დატოვებს გაკვეთილს. ქუჩაში მას სიმპათიური ახალგაზრდა —



ირაკლი გამოელაპარაკება და იმდენად სწრაფად დააინტერესებს გვანცას საკუთარი პერსონით, რომ მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, გოგონა მას შინაც გაჰყვება... ირაკლი მხატვარია. ნახატებითა და ათასგვარი ეგზოტიკური ნივთით სავსე მის ბინას გვანცა გაცოცხლებული ათვალიერებს და უცბად, ერთ-ერთ ნახატზე საკუთარ თავს აღმოაჩენს. ირაკლი ეუბნება — შორიდან გიცნობ და სკოლიდან ჩამოვლილს, ხშირად გაკვირდებო. ირაკლი გამოუცდელ გვანცას უცბად დააინტერესებს და მეორე შეხვედრისას, გოგონა მას უკვე იმდენად მიენდობა, რომ თავისი ოჯახის მთავარ უბედურებაზეც კი ყველაფერს მოუყვება. 9 აპრილთან დაკავშირებული საკუთარი ტრაგედიის გახსენებისას, გვანცას ცრემლები ახრჩობს...

გვანცამ სათქმელი ვეღარ გააგრძელა. ჯერ მხრები აუცახცახდა, შემდეგ კი ასლუკუნდა კიდეც.

- კარგი, პო... — თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა ირაკლიმ. — დამშვიდდი. მთავარია, რომ დედაშენი გადარჩა.
- იცი, სად ვიპოვეთ? — ცრემლიანი თვალები შეანათა ირაკლის გვანცამ.
- სად?
- ჩვენი სახლის სხვენში...
- იქ საიდანღა მოხვდა?

თავისუფალი თემა

რუსულან ბერიძე

— კაცმა არ იცის... მამაჩემს თუ დაუფუჯერებთ, ალბათ, რუსმა ჯარისკაცებმა სახლამდე მისდიესო...

— მერე სხვენამდე, ბინაში ვერ შემოკარდებოდა?

— რა ვიცი, აბა... — მხრები უმწეოდ აიჩეჩა გვანცამ. — შეიძლება, სახლში რომ შემოვარდა, უკვე ჭკუაზე აღარც იყო და ჩვენს ბინას ვეღარ მოაგნო...

— თქვენ როგორღა მიაგენით?

— იმ უბედურებიდან მესამე დღეს, ერთი ჩვენი მეზობელი ქალი რაღაცის მოსაძებნად ავიდა სხვენში და იმან იპოვა. დედაჩემი დამტერული სკამებისა და სხვა ძველმანების უკან, კუთხეში იყო მიკუნჭული და კი არ ტიროდა, თურმე, ძალღივით წკმუტუნებდა... მეზობელმა ეს რომ გაიგონა, თავიდან იფიქრა — ალბათ ბავშვებმა სხვენში ლეკვი თუ გადაამალესო, — მერე სკამები მისწი-მოსწია და თმაგაწეწილი და სახეშეშლილი დედაჩემი შერჩა ხელში; ჩვენთან თავდაც გიჟივით ჩამოირბინა. მე და ბებია მამინევე სხვენში ავცვივდით. დედაჩემის მამინდელი გამოხედა, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება...

— ვერ გიცნო?

— ვერა. მგონი, ხანდახან, დღესაც ვერ მცნობს. თუმცა, მაინც შედარებით უკეთ არის... თავიდან, სულ ფსიქიატრიულში გვეწვინა; ახლა, ერთი თვე სახლში გვეყავს, ორი თვე — იქ...

— თავად არაფერს ჰყვება? არ იხსენებს, რა მოხდა?

— დედას მას შემდეგ ხმა საერთოდ არ ამოუღია... ექიმი გვაიმედებს — ეს ნამდვილად ღრობითია, საკმარისია, რაიმე ძალიან ძლიერი ემოციური დარტყმა კიდეც მიიღოს — გინდ დადებითი და გინდ უარყოფითი, — რომ ყველაფერი გაახსენდეს და კიდეც ალაპარაკდესო... ბებიანეში ირწმუნება — ეგ ექიმი ჩემს შვილზე უფრო გიჟია, არ დაუჯეროთო, — მაგრამ მე და ბაბუას მაინც იმედი გვაქვს, რომ...

- მამაშენი?
- რა — მამაჩემი?
- დედაშენს თუ ჰპატრონობს?
- თუ მის საციკელს პატრონობა ჰქვია — კი. წელიწადში ორჯერ ნახულობს: ერთხელ — საავადმყოფოში და ერთხელ — იმ დროს,

როცა შინ მოგვყავს. ბებია მამაჩემის ყოველ ასეთ გამოჩენაზე ჩხუბს იწყებს, მაგრამ ბაბუა აჩუმებს ხოლმე, იმიტომ, რომ კარგად ხედავს — მამაჩემის დანახვაზე როგორ უნათლება დედას სახე. გამომეტყველებაც კი ბევრად უფრო აზრიანი უხდება... მისთვის მამაჩემთან შეხვედრა მთელი რიტუალია... მამა ჩვენთან სულ სხვადასხვა დროს მოდის ხოლმე. არ ვიცი, როგორ, მაგრამ დედა მის გამოჩენას მაინც ყოველთვის წინასწარ გრძნობს: დილიდანვე წრიალებს, ოთახიდან ოთახში დადის და ადგილს ვერ პოულობს. მერე ცოტა მშვიდდება და კვირაობით დაუვარცხნელ თმას საგანგებოდ ივარცხნის, მამის საყვარელ კაბას იცვამს, შუა ოთახში სამზარეულოს უზურგო სკამს დგამს, წელში გამართული ჯდება და ირინდება... როგორც კი მამაჩემი კარს მოადგება და ზარს დარეკავს ან დააკაკუნებს, დედა ფეთიანივით დგება, მაგრამ იმ ადგილიდან ფეხს მაინც არ იცვლის. მამა მას იქით უნდა მიეახლოს და გულში ჩაიკრას; შემდეგ ბავშვებით ჩაჰკიდებენ ერთმანეთს ხელს და თავიანთ საძინებელში შედიან... ბებიანეში განსაკუთრებით ამაზე ცოფდება. მახსოვს, შემთხვევით შევესწარი, ბაბუაჩემს ებუზღუნებოდა — ერთხელაც იქნება, ჩვენი უბედური გოგო დაორსულდება და ოჯახში ერთი გიჟივით მეტი გვეყოლებაო... მამასთან შეხვედრის შემდეგ, დედა რამდენიმე დღე გაცისკროვნებული დადის, შემდეგ ისევ ძველებურად ჩაქრება ხოლმე და თვალებიც უაზრო

უხდება... ისე, აგრესიული სულ არ არის. ჩვენთან როცაა, მეც და განსაკუთრებით ჩემს ძმას სულ გულში იკრავს და ეალერსება. მაგრამ ბებიაჩემს მაინც ეშინია და დედასთან მართლ არასოდეს ვვტოვებ...

ამ სიტყვების შემდეგ, კარგა ხანს არც ერთს აღარ ამოუღია ხმა. მერე ღუმილი ირაკლიმ დაარღვია:

— კარგი! მოვეშვით სევდიან ამბებს! — მხრებში ხელი ჩაავლო და ფეხზე თითქმის ძალით წამოაყენა მან გვანცა, შემდეგ თავი ორივე ხელით დაუჭირა, ოდნავ უკან გადაუწია და აკოცა.

თავიდან გვანცა გაუძლიანდა, მაგრამ მერე ირაკლის მკერდზე მიეკრა. ის კი დროს აღარ კარგავდა — ჯერ ხელში აიტაცა და რამდენჯერმე დაატრიალა გოგონა, შემდეგ აქეთ-იქით ისე მიმოიხედა, თითქოს რაღაცას ეძებო, ბოლოს, მზერა ტახტზე შეაჩერა, გვანცა უცბად მიარბენინა და ფრთხილად დააწვინა. გვანცამ მაშინვე დამფრთხალი ჩიტივით ამოხედა.

— ნუ გეშინია... — გაამხნევა ის ირაკლიმ და თან საჩვენებელი თითი ფრთხილად გადაუსვა ტუჩებზე. — შენ თუ არ გენდობება, თითსაც კი არ დაგაკარებ.

— უკვე არ მინდა... — მაშინვე გაიბრძოლა გვანცამ.

— ჯერ მართლა თითი ძლივს დაგაკარებ და რა არ გინდა? — გაღიზიანდა ირაკლი.

— ეს ყველაფერი... — აქეთ-იქით უმწოდ მიიხედ-მოიხედა ირაკლის სიმძიმის ქვეშ მოქცეულმა გვანცამ. — გამიშვი, რა, გეხვეწები...

— კი, ბატონო! — ხელი უმაღლე უშვა ირაკლიმ. — შემიძლია, დაგამშვიდო: რა-რა და ქალები ნამდვილად არ მაკლია...

— მაშინ ჩემგან რაღა გინდა?! — მაშინვე გული მოეცა გვანცას.

— არც არაფერი! — ტახტიდან უხეშად წამოავლო ის ირაკლიმ და გადასაფარებლის საგულდაგულოდ გასწორება დაიწყო.

— რას აკეთებ? — გაოცდა გვანცა.

— კვალს ვშლი.

— რის კვალს?

— ჩვენი უმიზნო კოტრილის... — ჩაბურტყუნა ირაკლიმ და შემდეგ დააყოლა: — მე მგონი, შენი წასვლის დროც მოვიდა.

— მაგდებ? — ხმა გაეზარა გვანცას.

— კი. ოღონდ, ამჯერად, მხოლოდ ჩემი სახლიდან — დანარჩენი მერე ვნახოთ...

— სხვა ქალი უნდა მოგივიდეს? — ხმა სულ ჩაუწყდა გვანცას.

— აუ, ჩემი... ეს ვინ არის?! — თავზე ორივე ხელი იტაცა ირაკლიმ. — გოგო, წადი, რა, სახლში! გაკევილები ისწავლე, ძმა გაასეირნე, ბაბუასთან მსოფლიო პრობ-

ლემები გაარჩიე, ბოლოს და ბოლოს — ბებიაშენს მაინც ეჩხუბე!..

— მაგ ყველაფერს შენამდეც მშვენივრად ვახერხებდი! — უცბად აფეთქდა გვანცაც, ხელი წამოავლო ჩანთას და შემოსასვლელში გავარდა. იქ ცოტა ხანს შეყოვნდა და შემდეგ, ქურდულად გააპარა თვალი შუა ოთახში მდგარი ირაკლისკენ. ირაკლი ადგილიდან არ დაძრულა. გვანცამ ერთი-ორი წუთი კიდევ იფიქმანა და ისევ ოთახში შებრუნდა:

— კარგი, — ისე ამოიხრა მან შემდეგ, თითქოს გულიც თან ამოაყოლო, — თუ ეს არის მთავარი, თუ ასე ძალიან გინდა, მე... თანახმა ვარ...

— ვითომ, შენ კი სულ არ გინდა, რა... — გაელიმა ირაკლის და ტუჩებში აკოცა.

გვანცამ კოცნაზე კოცნივით უპასუხა.

— ო-ჰო!.. — სისარულით შესძახა ირაკლიმ. — მგონი, ნელ-ნელა, მართლა აზრზე მოდიხარ, აი!.. აბა, კიდევ გაიმეორე!

გვანცა ფეხის წვერებზე აიწია და კიდევ ერთხელ აკოცა.

— ამას უკვე მართლა არა უშავდა!.. — გაელიმა ირაკლის, შემდეგ გვანცას ჩანთა და ქურთუკი ჩამოართვა და ორივე, იქვე მდგარი სკამისკენ ხელუკუღმამოისროლა. ჩანთა სკამს ასცდა და იატაკზე მოიღო ბრავვანი. გვანცა შეკრთა და გულში ჩაეკრა ირაკლის...

ირაკლი გვანცას ნება-ნება ხდიდა ტანსაცმელს და კიდევ უფრო ნება-ნება კოცნიდა. გვანცა აღარ უძალიანდებოდა, თუმცა ირაკლის ყოველ ხელის შეხებაზე ციებინავით ცახცახებდა... მალე წვრილყვავილებიანი ქვედა საცვლის ამარადა დარჩა... ირაკლი ჯერ მასაც გასახდელად წაეტანა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა და გვანცას სიფრთხანა, ჯერაც ჩამოუყალიბებელი, მაგრამ მართლაც, ძალიან ლამაზი სხეული საგულდაგულოდ ათვალიერ-ჩათვალიერა... თავად გვანცა რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის მოლოდინში გაქვავებულიყო, თუმცა, კოხტა მკერდი მაინც შიშისგან აუღ-ჩამოუდიოდა... უცბად ირაკლი წამოდგა, ორ ნაბიჯში ფანჯარასთან გაჩნდა და საკმაოდ სქელი და მძიმე ფარდა ხმაურით გამოსწია და მთლიანად ჩამოაფარა. ოთახი მაშინვე დაბნელდა. ირაკლიმ ტანსაცმელი ფანჯარასთანვე გაიძრო და ისევ გვანცასთან გაჩნდა...

მისი შიშველი სხეულის შეხებისთანავე, გვანცამ მაშინვე იგრძნო, როგორ დატრიალდა მის ირგვლივ ყველაფერი... გახელებულმა ირაკლიმ კი, კოცნა დაუწყო და თან, ყურში ათასნაირ სააღერსო სიტყვას ჩასჩურჩულებდა. გვანცა არც ამჯერად უძალიანდებოდა, თუმცა არც ალერსში აჰყვა — ქანდაკებასავით უძრა-

ვად იწვა და ფართოდ გახელილი თვალებით ჭერში ერთ წერტილს მიშტერებოდა.

უცბად ირაკლიც გაშეშდა, შემდეგ გვანცას მთელი სიმძიმით დააწვა და თავი ზედ მის ყურთან, ბალიშში ჩარგო. კარგა ხანს ასე გაუნძრევლად იწვა, ბოლოს თავი ასწია, სახეში ჩაამტერდა და ჰკითხა:

— სულ არ გინდა, რომ ჩემი გახდე?..

— არ ვიცი... — ძლივს გასაგონად ამოთქვა გვანცამ და შიშით გაფართოებული თვალები შეანათა ირაკლის.

— რას ჰქვია, არ იცი? — შუბლი შეიკრა ირაკლიმ. — იქნებ, ჩემი შეხება საერთოდ არ გსიამოვნებს?

— არა, რას ამბობ?! — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა გვანცამ.

— აბა, ასე რამ გაგაშეშა?

— მეშინია... — ჩურჩულზე გადავიდა გვანცა.

— ვისი გეშინია? — გაოცდა ირაკლი. — ჩემი?

— არა.

— აბა?

— შენთან აი, ასე ყოფნის... — მხრები აიწურა გვანცამ და აქეთ-იქით უმწოდ გაიხედ-გამოიხედა. — ჯერ მზად არა ვარ...

— გასაგებია... — ბოლმიანად ჩაილაპარაკა ირაკლიმ. — როცა მზად იქნები, დეპეშა გამომიგზავნე.

ირაკლი დემონსტრაციულად წამოდგა, ფანჯარასთან მიყრილ-მოყრილი ტანსაცმელი წამოკრიფა, სწრაფად ჩაიცვა და ფარდები გადასწია. ოთახში მაშინვე დღის სინათლე შემოიჭრა.

ჯიბებში ხელებჩაწყობილი ირაკლი ისევ საწოლთან მივიდა და გვანცას უცნაურად დაამტერდა. გოგომ უმაღლე ნიკაბამდე წაიფარა სახანი:

— ცოტა ხანს, იქით ოთახში გადი, უნდა ავდეგ... — ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა მან.

ირაკლიმ გვანცას მაშინვე ზურგი შეაქცია, ფანჯარას მიუახლოვდა და ქუჩას გახედა:

— სწრაფად ადექი და აქედან მოუსვი! მე კი მანამ, ქუჩას დავათვალიერებ — იქნებ, ვინმემ შენზე ტვინიანმა ჩამოიაროს და მეც მეშველოს და შენც... — ამ სიტყვებზე, ირაკლიმ ფანჯარაც გამოადლო და ოთახში მაშინვე ქუჩის ხმაური შემოვარდა.

გვანცამ ტანსაცმელი ფაცხაფუცხით ჩაიცვა და სანამ ირაკლი ქუჩაში იყურებოდა, ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა, შემოსასვლელი კარის საკეტი ნელ-ნელა გადაატრიალა და კარი ფრთხილად გამოაღო, თუმცა, ბოლო მომენტში, კარმა მაინც უსიამოდ დაიჭრიალა. დამფრთხალმა გვანცამ მაშინვე უკან მოიხედა, მაგრამ

ოთახიდან ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა... გვანცამ კარი ფრთხილად გაიხურა და კისრისტეხით დაეშვა კიბეზე...

შინ დაბრუნებულ გვანცას კარი ლამაზად გაუღო და კითხვები სწრაფადვე მიაყარა:

— რატომ დაიგვიანე? რატომ ხარ ეგრე გაწითლებული? სიცხე ხომ არა გაქვს?

— სიცხე არა, კიდეც ის... — უხალისოდ უპასუხა გვანცამ და ჩანთა შემოსასვლელში მდგარ პატარა სკამზე მიაგდო.

— მოიცა! — გააჩერა ლამარამ შვილიშვილი და შუბლზე ხელი მიადო: — არა, ნამდვილად სიცხე გაქვს!.. შედი ოთახში, ახლავე თერმომეტრს მოგიტან.

გვანცა ოთახში შევიდა, კედელთან მიდგმულ სავარძელში ჩაესვენა და თვალეზი მილულა. მთელი სხეული უცნაურად უხურდა, ქუთუთოები ტყვიასავით დამძიმებოდა, ყელშიც რაღაც უშნოდ ფხაჭნინდა...

ამასობაში ლამარამ თერმომეტრიანად მოიბრინა, ერთი-ორჯერ საგულდაგულად დაბერტყა, გვანცას ილლიის ქვეშ ამოუღო და მაშინვე ქაქანი განაგრძო:

— თუ შენ ახლა, ის საზიზღარი ვირუსი შეგხვდა, ნაზიკოს რომ ჰქონდა, დავიღუპეთ და ვეა?

— ნაზიკო ვინ არის? — თავადაც ვერ მიხვდა, უცბად რატომ დაინტერესდა გვანცა.

— ჩემი თანამშრომელია. მთელი თვე იწვა და ახლაც ლანდივით დადის... ნეტავ, მიშიკოს მანც არ გადაედებოდეს და ჩვენი თავი ჯანდაბას!

— გამოვიდო? — გააწყვეტინა გვანცამ.

— ჰო. მოიტა, ვნახო, ერთი, რა ხდება ჩვენს თავს...

გვანცამ ილლიიდან თერმომეტრი გამოიღო და ბეზიას გაუწოდა.

— დავიღუპეთ! — მაშინვე იკივლა ლამარამ. — ოცდაცხრამეტი და სამი საზი გაქვს. ჩქარა ლოგინში!.. მე წამლებს მოვძებნი!..

სადამოს, შინ ღიღინ-ღიღინით დაბრუნებულ შეზარსოშებულ ამირანს გვანცა ლოგინში დახვდა.

— რა მოგივიდა, ბაბუ? — შეწუხდა ამირანი.

— ისეთი არაფერი... — გაღიძება სცადა გვანცამ. — ცოტა სიცხე მაქვს...

— ცოტაო?! — ბაბუა-შვილიშვილს მაშინვე თავზე წამოადგა დონიჯემოყრილი ლამარა. — ორმოცს რამდენიმე საზიდა უკლია!.. არა, მანც რა დავაშავე?! შინ და გარეთ ავადმყოფების ყურება გავონილა?!

— კარგი, ქალო! — შეუძახა ამირანმა. — რა ქვეყანა შეყარე?! ეტყობა, ბავშვი უბრალოდ გაცივდა. ამაღამ, ცოტა ოფლს მოიდენს და დილით ისევ ჩიტივით იქნება! არა, ბაბუ? — თვალი ჩაუკრა მან შვილიშვილს.

— აბა, რა! — ისევ აქოთქოთდა ლამარა. — შენ როგორც იტყვი, ზუსტად ისე იქნება, აი!.. ეს გვინდოდა ახლა?! ბავშვი სკოლას ამთავრებს. მერე — გამოსაშვები საღამო... მერე — მისაღები გამოცდები...

— დარდი ნუ გაქვს! — გააწყვეტინა ამირანმა. — ჩვენ ისეთი ყოჩაღი გოგო გვყავს, რომ ყველაფერს მოასწრებს: სკოლასაც კარგად დაამთავრებს, გამოსაშვებ საღამოზეც ინარნარებს და უნივერსიტეტშიც სულ „ხუთებზე“ ჩააბარებს.

მეორე დღეს, გვანცამ ლოგინიდან წელიველარ აითრია. მესამე დღეს კი, ლამარამ თავისი მეგობარი თერაპევტი დააყენა თავზე, რომელმაც გვანცას ფილტვების ორმხრივი ანთება დაუდგინა. ამას ზედ ხველებაც დაერთო და გვანცამ მარტო სკოლა კი არ დაამთავრა დაუსწრებლად, გამოსაშვებმა საღამომაც მის გარეშე ჩაიარა...

ლამარა გვანცას ოთახში მარტო მიშიკოს კი არა, ბოლოს, ამირანსაც აღარ უშვებდა: თქვენი ავადმყოფობა მაკლიაო!.. ერთადერთი, ვისაც ვერაფრით გაუშვებდა, ლუკა იყო. ის გვანცას თითქმის სულ თავით უჯდა და ხან სკოლის დამთავრების თუ გამოსაშვები საღამოს ამბებს უყვებოდა, ხანაც უბრალოდ, დუმდა და გვანცას ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქვას, გატრუნული უგდებდა ყურს.

სადამოობით, როცა ლუკა, ბოლოს და ბოლოს, შინ მიდიოდა, ლამარა კი მიშიკოს ვახშმობითა და დაძინებით იყო დაკავებული, ამირანი გვანცასთან ქურდულად შეიპარებოდა, საწოლზე ჩამოუჯდებოდა და სევდიანად ეკითხებოდა ხოლმე:

— რას შვრები, ბაბუ, უძლებ? — კი... უუძლებ... — პასუხობდა გვანცა და ნაძალადეგად იღიმებოდა.

ერთხელ, გვიან საღამოს, ამირანმა საძინებლის კარი ფრთხილად შეაღო და კედლისკენ შებრუნებულ გვანცას ხმადაბლა შეხმინა:

— გინავს, ბაბუ? — არა, შემოდი, — მაშინვე ბაბუისკენ შემობრუნდა გვანცა.

ამირანს ცალ ხელში ტელეფონის აპარატი ეჭირა, მეორის ხელისგული კი, ყურმილისთვის დაეფარებინა:

— ვიღაც ბიჭი გკითხულობს ტელეფონზე და რა ვუთხრა? — ჰკითხა მან გვანცას.

— ვინ ბიჭი? — შუბლი შეიკრა გვანცამ.

— სახელი რომ არ უთქვამს... — შეწუხდა ამირანი. — ხმაზე კი, ვერ ვიცანი. თუ გინდა, ვეტყვი, სძინავს-მეთქი.

— არა, დაველაპარაკებო. ამირანმა ტელეფონი სასწრაფოდ მიუბრუნა და თვითონ ფრთხილად გაიხურა კარი. გვანცამ ყურმილი ყურზე ძლივს მიიღო და ჩახრინწული ხმით ჩასძახა:

— ბატონო... — შენი ბატონი რომ ვიყო, რაღა მიჭირს?!. — მოისმა ყურმილში ირაკლის სასიამოვნო ხმა.

ირაკლის ხმის გაგონებაზე, გვანცამ ყურმილი გამეტებით დაახეთქა. რამდენიმე წამში, ტელეფონმა ისევ დარეკა. გვანცამ კარგა ხანს იყოყმანა და ბოლოს, ყურმილს მაინც დასწვდა.

— რატომ გათიშე? — გაისმა ყურმილში ირაკლის ნაწყენი ხმა.

— თავისით გათიშა, — თავხედურად იცრუა გვანცამ. — ვისმენ. რა გინდა? რატომ დარეკე?

— მომენატრე და იმიტომ. შენ კი, არ მოგენატრე?

— ვინმეს მონატრებისთვის ნამდვილად არ მცხელოდა.

— ჯერ ერთი, მე ვინმე არა ვარ და მეორეც, შენი ხმა არ მომწონს. ხომ არ გაცივდი?

— კი, ვირუსი შემხვდა.

— რას მეუბნები?! ისე, მთლად კარგად მეც ვერა ვარ... ნეტავ, მეც ხომ არ უნდა დამეტაკოს ეგ შობელმადლი?

— ნუ იგინები!

— შენ კიდეც, ნუ იგინები!

— კარგი, მოვრჩეთ, ყურმილს ვკიდებ.

— არ გაბედო, თორემ, ახლავე მანდ გაეჩნდები და კოცნით სულს ამოგხდი, იცოდე!

— მერე ვირუსის გადაღების არ გეშინია?

— საყვარელი ქალის კოცნისთვის კაცი რას არ იზამს?!

— მე შენი საყვარელი არა ვარ.

— მალე გავხდები.

— რას მეუბნები?! მანც როდის?

— თუ მართლა მოვინდომე, სვალევე.

— იქნებ, ეგ საქმე როგორმე ზევისთვის მანც გადაგელო?! — ავღებულად ჰკითხა გვანცამ.

— კარგი, ზევ იყოს... — მშვიდად უპასუხა ირაკიმ და ყურმილი დაუკიდა.

მეორე დღეს, გვანცა ირაკლის ზარს გულისფანცქალით, მაგრამ სრულიად უშედეგოდ ელოდა. მესამე დღემაც ასე ჩაიარა. საღამო ხანს კი, კედლისკენ შებრუნებულმა და უკვე ძილბურანში წასულმა გვანცამ ნაცნობი ხელის შეხება იგრძნო, მაშინვე ფეთიანვით გადმობრუნდა და პირი ისე დააღო, თითქოს, ჰაერი



აღარ ჰყოფნისო: მის წინ, სკამზე, ირაკლი იჯდა და უდარდელად იღიმებოდა.

— შე-ენ?! — ძლივსლა ამოთქვა გვანცამ და მკერდზე ჩამოცურებული საბანი მაშინვე ნიკაპამდე აიქაჩა.

— რა გოცებული მიყურებ? — პირიდან ღიმილს აღარ იმორებდა ირაკლი. — ხომ გაგაფრთხილე, ხვალ მოვალ-მეთქი; შენც ხომ მოხივებ, ზეგ იყოსო. ჰოდა, მეც „ზეგ“ მოვედი.

— აქ ვინ შემოვიშვა? — როგორც იქნა, გამოერკვა გვანცა.

— ბაბუაშენმა.

— თავად სად არის?

— ყავას მიდუღებს.

— ბუბიაჩემი? — წყალწაღებულებივით „ხავისის“ ძებნა დაიწყო გვანცამ.

— ბუბიაშენი და შენი ძმა სადღაც სტუმრად წასულან.

— ბაბუაჩემს რა უთხარი? ვინა ვარო?

— გვანცას მასწავლებელი-მეთქი.

— გაგიჟდი?! — მართლა გიჟივით წამოვარდა ლოგინში გვანცა.

— ახლა გაიგე?! — არხეინად განაგრძო ირაკლი. — გიჟი რომ არ ვიყო, აქ რა მინდა?! — მაინც, რისი მასწავლებელი ხარ? ბაბუაჩემს რა „მოუჩორტე“?

— არაფრის „მოჩორტვა“ არ დამჭირვებია — მასწავლებელი ვარ-მეთქი, — რომ ვუთხარი, — ნამდვილად გვანცას მუსიკის მასწავლებელი იქნებითო, — თვითონვე შემომეშველა... ისე, მუსიკაზეც თუ დაღიხარ, ეს ამბავი აქამდე რატომ არ ვიცოდი?

— შენ ბევრი სხვა რამეც არ იცი და

ვერც გაიგებ! — გაღიზიანდა გვანცა. — გადი და ახლავე ბაბუაჩემს დაუძახე!

— წუთი-წუთზე, თავად შემოვა. ყავა ხომ უნდა მომართვას?! — სკამზე ნებიერად გადაწვა ირაკლი.

სწორედ ამ დროს, საძინებლის კარი ფრთხილად გაიღო, ამირანმა ლანგრით ორი ფინჯანი ჯაფქაფა ყავა შემოიტანა და ერთი ირაკლის მიაწოდა. ირაკლი მაშინვე ფეხზე წამოხტა და ფინჯანი ისე ჩამოართვა.

— ესეც ყავა, ჩემო ბატონო! — მხიარულად დაიწყო ამირანმა, მაგრამ გვანცას გაღიზიანებული სახის დანახვაზე, დამნაშავესავით დაუმატა: — გვანცა, ბაბუ, შენთვის რომ არ მომიღულება?!

— მე არ მინდა, — ცივად უპასუხა გვანცამ და უმაღლე ირაკლიზე ანიშნა: — ბაბუ, ეს...

— ვიცი, ბაბუ... მე და ბატონმა ირაკლიმ ერთმანეთი უკვე გავიცანით. ძალიან ყურადღებიანი მასწავლებელი გყოლია...

— კი, მაგრამ შენ ხომ... — ახსნა სცადა გვანცამ, მაგრამ ამირანმა ისევ არ აცალა:

— მე მართლა ცუდად ვიქცევი, ბაბუ, მაგრამ უნდა მაპატიო. დროში ისე ვიწვები, რომ რევერატის ტექსტი მემანქანეს ტელეფონით უნდა ვუკარნახო... ბატონო ირაკლი, — მიუბრუნდა შემდეგ ის სტუმარს, — თქვენ ხომ არ ჩქარობთ?..

სულ თხუთმეტი ან ოცი წუთით თუ დაგტოვებთ და მერე, სულ თქვენს განკარგულებაში მიგულებთ.

— რას ბრძანებთ, ბატონო ამირან?! — მაშინვე აიტაცა ირაკლი. — აქეთ გიხდით ბოდიშს, გაუფრთხილებლად რომ შემოგეჭერთო. გვანცას ერთ-ორ წუთს დაველაპარაკები და მაშინვე დაგტოვებთ.

— აა-აა! — ხელები გაასავსავა ამირანმა. — არ იჩქარო! სულ ოცი წუთი და თქვენთანა ვარ! ოჯახში შემოსულ კაცს ისე როგორ გაგიშვებთ, ერთი ჭიქა მაინც რომ არ დაგაღვივინოთ?! ამ ჩემს ცოლსაც მაინცდამაინც ახლა მოუნდა ნათესავებში სიარული, თორემ, კაი ცხელ-ცხელ ხაჭაპურსაც უცხად გამოგვიცხობდა...

როგორც კი ამირანი ოთახიდან გავიდა, ირაკლიმ ყავის ფინჯანი მაშინვე ტუმბოზე დადგა, გვანცას ლოგინზე ჩამოუჯდა, გულში ჩაიკრა და სიცხისგან დამსკდარ ტუჩებში აკოცა.

— მოიცა! რას შერები?! — ირაკლის მარწუხებივით მკლავებს თავი ვერაფ-

რით დააღწია დასუსტებულმა გვანცამ.

— რასაც შეგპირდი! — მკლავები კიდევ უფრო მაგრად შემოაჭლო ირაკლი. — დაგავიწყდა, რომ დღეს ჩემი უნდა გახდებ?

— გაგიჟდი?! — თვალბად იქცა გვანცა. — ბაბუაჩემი ყოველ წუთს შეიძლება, შემოვიდეს!

— ძალიანაც კარგად იცი, რომ ჯერ არ შემოვა! — კბილებში გამოცრა ირაკლიმ და საბანი უხეშად გადაადრო...

ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა, გვანცას ცუდი სიზმარი ეგონა, რომელიც მალე დამთავრდებოდა... „სიზმარი“ მართლაც სწრაფად დამთავრდა და როგორც კი, ირაკლისთან უშედეგო ბრძოლის შემდეგ, საბოლოოდ დამარცხებული და ძალაგამოცლილი გვანცა ოდნავ გონს მოვიდა, ყველა და ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დახვდა: ირაკლი უწინდებურად სკამზე იჯდა და არხეინად იღიმებოდა, თავად კი, საბანი კოხტად ამოკეცილი და ღამის პერანგის ღილებიც ნიკაპამდე შეკრული ჰქონდა... გვანცა ცოტა ხანს აქეთ-იქით უსიტყვოდ აცეცებდა თვალებს და ის იყო, რაღაცის სათქმელად პირი ძლივს დაალო, რომ საძინებლის კარი გაიღო და ზღურბლზე მოღიმარი ამირანი გამოჩნდა:

— აბა, როგორაა საქმე, ახალგაზრდებო? უჩემოდ ხომ არ მოიწყინეთ? — მხიარულად იკითხა მან.

— მოსაწყენად ნამდვილად არ გვეცალა, ბატონო ამირან, — უპასუხა ირაკლიმ და თან, მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გვანცას, — მაგრამ გვანცა კი ნამდვილად გადაიღალა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა დაგტოვოთ.

— ისე, მართლა მოთენთილი ჩანხარ, ბაბუ. ისევ სიცხემ ხომ არ აგიწია?

— დაწეული როდისღა მქონდა?! — ხმა აუკანკალდა გვანცას და თვალები ცრემლებით ავესო.

— კარგი, ჩემო სიცოცხლე, ნუ ნერვიულობ, — შეწუხდა ამირანი. — გავაცილებ ბატონ ირაკლის და მაშინვე შენთან გავჩნდები... ბატონო ირაკლი, — მიუბრუნდა ის შემდეგ ირაკლის. — ძალიან ცუდად კი გამოიღის, მაგრამ ამ ერთხელ უნდა მაპატიოთ...

— რას ბრძანებთ?! — მაშინვე ფეხზე წამოხტა ირაკლი, შემდეგ გვანცას შუბლზე ფაქიზად ეამბორა და ყურში წასჩურჩულა: — ხვალ დაგივრკავ...

მაგრამ ირაკლი გვანცას არც „ხვალ“ შეხმინებია და არც მთელი შემდგომი კვირის მანძილზე... კვირის ბოლოს, გვანცამ, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და ირაკლის თავად დაურეკა.

— გისმენთ! — გაისმა ყურმილში ქალის სასიამოვნო ხმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

kupe Vision CLS – ყველაზე მონიწივე Mercedes



კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერ-მა“ გამოაცხადა, რომ მალე სერიულ წარმოებაში ჩაეშვება ოთხხაზიანი კუპე – Mercedes Vision CLS. ეს მოდელი პირველად, 2003 წლის სექტემბერში გამოართულ ფრანკფურტის ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი. როგორც „დაიმლერ კრაისლერის“ ქვედანაყოფის – Mercedes ჩარ-ჯგუფის თავკაცმა იურგენ ჰუბერტმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, ამ მანქანის სერიულად წარმოების გადაწყვეტილებ

ა, ბაზარზე არსებული მოთხოვნილების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მიღებული. „ჩატარებული გამოკითხვისას, ამ ავტომობილის პოტენციურ მყიდველთა უმრავლესობამ აღფრთოვანება გამოთქვა ახალი კუპეს გამო“, – აღნიშნა ჰუბერტმა და განაცხადა, რომ მას გერმანიის ქალაქ ზინდელფინგენში მდებარე ქარხანა გამოუშვებს.

Mercedes Vision CLS, E კლასის პლატფორმაზეა შექმნილი. მისი საბორ-

ბლე ბაზა 2,85 მ-ს შეადგენს, მაგრამ კუპე თავის პროტოტიპზე 92 მმ-ით გრძელიცაა (4,91 მ) და 29 მმ-ით განიერიც (1,85 მ); ამავე დროს, მისი სიმაღლე სულ 1,39 მ-ს (E კლასზე 59 მმ-ით ნაკლებს) შეადგენს. რაც შეეხება ტექნიკურ მახასიათებლებს – მასში „დაიმლერ კრაისლერის“ ყველაზე მონიწივე მიღწევებია თავმოყრილი. მაგალითად, მანქანა ახალი 7-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით, 3,2 ლ საშუალო მოცულობის 265 ცხ.ძ-იანი დიზელის ძრავითაა აღჭურვილი; მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ს შეადგენს (ამიტომ სიჩქარის ელექტრონული შემზღუდავი ახლავს), 100 კმ/სთ-ს კი, 6,4 წმ-ში ავითარებს; საწვავის ხარჯი კი, ამ მაჩვენებლების მიუხედავად, ყოველ 100 კმ-ზე საშუალოდ, 7,5 ლ-ს არ აღემატება.

კორპორაციის მესვეურებს ახალი კუპეს ფასი ჯერ არ გამოუცხადებიათ, რადგან დილერებისთვის მისი მიწოდება მხოლოდ 2005 წლის დამდეგისთვისაა დაგეგმილი.

Lexus-ის უმაღლესი ელასი

მაღალი კლასის სედანი – Lexus LS 430 სამართლიანად სარგებლობს პოპულარობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: ის დინამიკურობისა და კომფორტულობის ოპტიმალური შერწყმის, საიმედოობისა და საუცხოო ხარისხის გამო უყვართ. მიუხედავად ამისა, კომპანიის მესვეურებმა ცოტა ხნის წინ, მოდელის – LS 430-ის მორიგი მოდერნიზება გადაწყვიტეს. პირველი სიახლე, 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი გახლავთ, რომელიც გადაცემათა რბილად და უჩუმრად გადართვას უზრუნველყოფს. კონსტრუქტორებმა შეცვალეს აგრეთვე საკიდრის პარამეტრები, რისი წყალობითაც, დიდი სიჩქარით მოძრაობისას, მანქანა მეტად სტაბილური გახდა. „ლექსუსის“ განახლებული საკიდარი რეგულირებადი და მძღოლს იმის საშუალებას აძლევს, რომ ორიდან ერთი – სპორტული ან ე.წ. კომფორტაბელური მოძრაობის რეჟიმი აირჩიოს.

მოდელის მოდერნიზება არ შეხება ძრავას, რომლითაც აღჭურვილია Lexus LS 430. ის იმდენად დახვეწილი აღმოჩნდა, რომ მისთვის ნებისმიერი, თუნდაც კონსტრუქციული ჩარევა, ფირმის მესვეურებმა ზედმეტად მიიჩნიეს. V ტიპის 8-ცილინდრიანი აგრეგატი 283 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. მიუხედავად იმისა, რომ მანქანის მასა თითქ-

მის 2 ტონას აღწევს, 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 6,3 წმ-ში ავითარებს, LS 430-ის მაქსიმალური სიჩქარე კი 250 კმ/სთ-ს აღწევს, ამიტომ მანქანა სიჩქარის ელექტრონული შემზღუდავითაა აღჭურვილი. და კიდევ ერთი



ტექნიკური მაჩვენებელი: საწვავის ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე 11,4 ლ-ს შეადგენს.

ახალი Lexus LS 430-ის საბაზო კომპლექტაციაში შედის: კლიმატ-კონტროლი, მამუქებისა და მინის საწმენდების ავტომატური ჩართვის სისტემა, წინ მოძრავ მანქანასთან უსაფრთხო მანძილის დასაცავი უსაფრთხოების სენსორი და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა ელექტრონული სისტემები. ფრონტალური

და გვერდითი ბალიშების გარდა, მანქანას დამატებით აქვს უსაფრთხოების სპეციალური ბალიშები, რომელიც მძღოლის მუხლებს და მის გვერდით მჯდომ მგზავრს იცავს. Lexus LS 430-ის მინიმალური ფასი

ვეროპაში 72.000 ევროს შეადგენს. ვერსია President, მასზე 8.300 ევროთი ძვირი დაჯდება. ძირითად ბაზრად ამ მანქანისთვის მაინც აშშ-ია მიჩნეული, სადაც წელიწადში საშუალოდ, 20 ათასი Lexus LS 430 იყიდება; ევროპაში იაპონური ბრენდის პოზიციები რამდენადმე სუსტია. მაგალითად, გერმანიაში დილერები წელიწადში მხოლოდ 250-დან 500-მდე ამ მოდელის რეალიზებას ასწრებენ.

Volkswagen-ს 2 „ოქროს საჭე“ ხვდა წიდა




BMW 535



VW Touran

VW Golf

ყოველი წლის დამლევს, გერმანიაში ტრადიციულად ტარდება მთავარ ნაციონალურ საავტომობილო კონკურსად აღიარებული „ოქროს საჭე“, რომლის ორგანიზატორად აგერ უკვე 28-ედ საკვირაო გაზეთი Bild am Sonntag გვევლინება. 2003 წლის



Mercedes CLK Cabriolet

კონკურსის ფორმის, რომელიც 21 წევრისაგან შედგებოდა, სულ 20 ნომინანტს შორის უნდა გამოეყვანა გამარჯვებულები. მისი გადაწყვეტილებით, სუპერკომპაქტური კლასის ავტომობილებს შორის პირველი ადგილი

ერგო ფრანგულ Citroen C2-ს, რომელმაც იაპონურ Mazda 2-სა და იტალიურ Lancia Ypsilon-ს გაუსწრო.

კომპაქტური მანქანების კლასში Volkswagen Golf 5-მა გაიმარჯვა; მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად, ერგო Audi A3-ს და Toyota Avensis-ს.

ბიზნესკლასში პირველობა არავის დაუთმო მე-5 სერიის BMW-მ, რომელმაც Jaguar XJ და Opel Signum დაჯაბნა.

მეორე ჯილდო Volkswagen-ს მოუტანა კომპაქტურმა ვენმა –

VW Touran; ამ კლასის სამეულში შევიდა აგრეთვე Ford Focus C-Max და Opel Meriva.

Bild am Sonntag-ის მკითხველთა სიმპათიის პრიზი – კაბრიოლეტს Mercedes CLK ერგო, ხოლო „წლის პიროვნებად“ General Motors-ის ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ლუტცი დაასახელეს.



Citroen C 2

Volvo-ს ახალი მასშტაბი

სამოდერო რიგის განახლება შედურმა ავტოგოგანტმა კომპაქტური სედანიტ – S40-ით დაიწყო. რადგან „ვოლვო“ ამჟამად, კორპორაცია „ფორდის“ ქვედანაყოფს შეადგენს, S40-ს იგივე პლატფორმა აქვს, რომელიც მინივენს – Focus C-Max-სა და Mazda 3-ს (ეს იაპონური ფირმაც „ფორდის“ „ოჯახის“ წევრი გახლავთ). გარეგნულად კომპაქტური სედანი

უფრო მოზრდილი მოდელების – S60-ისა და S80-ის მომცრო ასლს წააგავს. მისი სალონი, „ვოლვოსათვის“ დამახასიათებელი დახვეწილი დიზაინით გამოირჩევა.

ტრადიციულად, „ვოლვო“ დიდ ყურადღებას უთმობს უსაფრთხოების პრობლემას. ამ მხრივ, არც S40-ია გამონაკლისი: ის უსაფრთხოების 6 ბალიშით, მასტაბილიზებული ელექტრონული პროგრამითა და მუსრუკების ანტიბლოკირების სისტემითაა აღჭურვილი. მსოფლიო მასშტაბის სიახლეს წარმოადგენს სისტემა IDIS (Intelligent Driver Information System), რომელიც რთულ პირობებ-

ში (მკვეთრ მოსახვევში, მოლიპულ გზაზე), ავტომატურად ასუსტებს მობილური ტელეფონის სიგნალს, რათა მძღოლის ყურადღება მაქსიმალურად იყოს კონცენტრირებული მანქანის მართვაზე.

Volvo S40 აღჭურვილია 5-ცილინდრიანი, 2,4 ლ სამუშაო მოცულობის ბენზინის ძრავით, რომელიც 170 ცხ.ძ. სიმძლავრესა და 215 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს; მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 8,9 წმ-ში ავითარებს. 2005 წლისთვის, S40 ეკონომიური, 100 ცხ.ძ-იანი ბენზინის ძრავით აღჭურვება. უკვე ცნობილია, რომ ამ აგრეგატით აღჭურვილი Volvo S40 20.500 ევროდ გაიყიდება. დაბოლოს: დაგეგმილია S40-ზე იმ დიზელის ძრავის დაყენებაც, რომელიც კორპორაცია Ford-მა ფრანგულ კონცერნთან – PSA (Peugeot-Citroen) ერთად შეიმუშავა.



განუგეორებადი ქაღახტონები, რომლებიც ასე ჰგვანან ერთმანეთს...

მასმედიაში ხშირად წერენ ამა თუ იმ მსახიობის ინდივიდუალობაზე, პიროვნული თუ შემოქმედებითი თვისებების უნიკალურობასა და განუმეორებლობაზე. მაგრამ არსებობენ განსაკუთრებით მახვილი თვალის ყურნალისტები და კინომცოდნეები,

რომლებიც სხვადასხვა დროის ვარსკვლავებს შორის საოცარ მსგავსებას პოულობენ. ეს მსგავსება, გარეგნობით დაწყებული, ჩვევებითა და ქცევის სტილით დამთავრებული, ნათელყოფს იმას, რომ თაობათა მემკვიდრეობითობა ნამდვილად არსებობს.

სინიორები: სოფი ლორენი – პენელოპა კრუსი

სოფი და პენელოპა იშვიათ მსახიობ ქალთა იმ რიგს განეკუთვნებიან, ვინც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დაიბადა და პოლიგულის მწვერვალზე ასვლა მოახერხა. სოფი ლორენმა ჯერ იტალიაში მოიპოვა უბადლო მსახიობის რეპუტაცია, შემდეგ კი პოლიგუდშიც გაითქვა სახელი და იქ მორიგი სექსსიმბოლოს სახელიც მოიხვეჭა. პენელოპასაც ბევრი საინტერესო სახე შეუქმნია ესპანეთში, სანამ ამერიკულ კინოში დაიმკვიდრებდა ადგილს.

ბავშვობაში სოფის „კბილის ჯაგრის“ ეძახდნენ, რადგან ახალგაზრდობაში საკმაოდ გამხდარი გახლდათ. ამავე მიზეზით პენის „ფიცარს“ უწოდებენ ხოლმე. ორივე ქალბატონი, ევროპელთათვის დამახასიათებელი ამრეზით ლაპარაკობს ლოს-ანჯელესსა და საერთოდ, ამერიკაზე...



საბელისწერო ქალები: მარლენ დიტრიხი – უმა თურმანი

თუ ოდესმე გადაიღებენ ფილმს მარლენ დიტრიხზე, მას ალბათ, ამ ქა-

ლის მსგავსი, ფატალური მზერის მქონე უმა თურმანი განასახიერებს. მას დიტრიხის გერმანული აქცენტის იმიტირებაც არ გაუჭირდება – უმას ხომ, წინაპრებს შორის, გერმანელიც ურევია – ბაბუა, ბარონი კარლ ფონ შლემბერგ-გი...

წვეულებებზე მარლენ დიტრიხი გამუდმებით წუწნიდა ხოლმე ლიმონის ნაჭერს – სახის კუნთებს ავარჯიშებდა. ის მოითხოვდა, რომ Max Factor-ის გადაღებისას, მის თავზე ნამდვილი ოქროს ფხვნილი დაეფრქვიათ... უმა თურმანი ყველა ფილმის გადაღების დროს, იოვისთვის საჭირო ცალკე ოთახის მოწყობის პირობას უყენებს პროდიუსერებს.

ორივე ქალბატონის განსაკუთრებულ სისუსტეს წარმოადგენდნენ კენელების კლანის მამაკაცები: დიტრიხი ამაყობდა იმით, რომ სამ კენედისთან ჰქონია ინტიმური კავშირი (ჯოზეფ კენელი – პრეზიდენტის მამა, ჯო – მისი უფროსი შვილი და თავად პრეზიდენტი ჯონ კენელი); უმა თურმანის საყვარლებს



შორის, ჯონ კენედი-უმცროსი (პრეზიდენტის შვილი) გახლდათ...

დაბოლოს – ამ ორ ვარსკვლავს საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენა ახასიათებს. „მეირფასო, მე, რასაკვირველია, საუკეთესო ქალი ვარ...“ – ჩასჩურჩულა მარლენმა ერთხელ, თავის საყვარელ-ჟურნალისტს ყურში. რეჟისორთან მორიგი შელაპარაკების შემდეგ, უმა თურმანმა მას უთხრა: „ბოლომს მხოლოდ მაშინ ვიხდი, როცა გულწრფელად ვნანობ ჩემს შეცდომას. მაგრამ ეს ძალზე იშვიათად ხდება, რადგან ძალზე იშვიათად ვცდები ხოლმე“.

ვამპირები: შერი – კრისტინა ავილერა

შერიც და კრისტინა ავილერაც ერთი და იმავე პრინციპის ერთგულნი არიან: რაც მეტი, მით უკეთესი. ამ პრინციპიდან გამომდინარე, მათ აქვთ უამრავი პარიკი, კორსეტი, ნაირ-ნაირი ბიუსტ-ჰალტერი...

ორივე ვარსკვლავი მუდამ ცდილობს, ძლიერ პარტნიორებთან ერთად იმღეროს: შერი სცენაზე გამოსულა სონი ბონოსთან, პეტერ სეკერთან, ეროს რამაზოტისთან ერთად; კრისტინას უმღერია დუეტი რიკი მარტინთან, ბი ბი კინგთან, ფინქთან, სტინგსა და ენრიკე იგლესიასთან. ორივეს „მანია-გრანდიოზა“ სჯირს და დაბალი IQ-ით (ინტელექტის კოეფიციენტი) გამოირჩევა. „ერთხელ, თავის ქალის რენტგენი გადამიღეს და სურათზე არაფერი ჩანდა...“ – ეს სიტყვე-



ბი შერს ეკუთვნის. მას დიდად არ ჩამორჩება ავილერა, რომელმაც ჟურნალისტს ასეთი კითხვით მიმართა: „ნეტავ, სად ტარდება წლეულს კანის ფესტივალი?“

პოპპრინცესები: მადონა – ბრიტნი სპირსი

ორივე – შედეგილი ქერაა. ორივემ ძალზე ადრე მიაღწია წარმატებას. ორივე სისტემატურად ხვდება ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული ვარსკვლავების ყოველ-

წლიურ სიაში. ორივეს უყვარს მეტამორფოზები და პრეტენზიული ცეკვები. საოცარი მხოლოდ ისაა, რომ თითქოსდა ერთმანეთის კონკურენტ მოძღვრებს, მათ ძალზე მოსწონთ ერთმანეთი. ბრიტნი სპირსი – მადონას შესახებ: „ის საოცარი მოძღვრალია! მე მის მუსიკაზე გავიზარდე და მუდამ ვოცნებობდი, მასთან დუეტი მეძღერა“. მადონა თავის უმცროს კოლეგას ასეთივე სიყვარულით პასუხობს. მან ახალ ტენდენციასაც კი დაულო სათავე, როცა ბრიტნის სახელის წარწერიანი მაისური ჩაიცვა, ერთხელ კი, კერძოდ – 2001 წელს, საჯაროდ გამოეხარჩლა კიდეც სპირსს: „ძალზე მალიზიანებს ის, რომ ყველა, ვისაც არ ეზარება, ცდილობს, რაღაც სისამაგლე თქვას მასზე. ბრიტნი ხომ სულ 18 წლისაა! ამ ასაკში, არაფრის მაქნისი, მშობარა და უბედური ვიყავი... დაანებეთ ამ ნიჭიერ გოგოს თავი!“

ნიუ-იორკელი აფთრები: ბარბრა სტრეიზანდი – ჯენიფერ ლოპესი

ნამდვილი ვარსკვლავი ყველგან საკუთარი წესების დამკვიდრებას ლამობს. ბარბრა სტრეიზანდი მოითხოვს, რომ სასტუმროს ნომერში, რომელშიც მან უნდა იცხოვროს, ტუალეტის ქაღალდის ჩათვლით, ყველაფერი ატმისფერი





იყოს, რადგან ასეთ შემთხვევაში, თურმე უფრო ვარდისფერი ჩანს მისი კანი... ჯენიფერ ლოპესს თეთრი უფრო იზიდავს: მას მიაჩნია, რომ თეთრ ფონზე ის უფრო ნორჩად გამოიყურება...

გამოცდილმა მომღერალმა და მსახიობმა სტრეიზანდმა მასზე ახალგაზრდა კოლეგას საკუთარი გამოცდილებით უჩვენა სასარგებლო მაგალითი: არასდროს დაუკავშირო ცხოვრება მამაკაცს, რომელმაც შეიძლება, საკუთარი პერსონით დაგჩრდილოს... ბარბრას საყვარლებს შორის იყვნენ: ყოფილი დალაქი ჯონ პერესი, ყოფილი მეწაღე ელიოტ გულდი, მსახიობი ჯეიმს ბროლინი. ჯენიფერმა მომღერალი ჰაფ დედი მაშინ მიატოვა, როდესაც ის სულ უფრო მეტად იპყრობდა ყურადღებას თავისი სკანდალური ქცევით, შემდეგ მეორეხარისხოვან მოცეკვავეს კრის ჯადს გაჰყვა ცოლად. ბენ აფლეკთან მისი გაურკვეველი ურთიერთობის ამბავი კი, დღესაც პრესის ყურადღების ცენტრშია მოქცეული...

ორივე ვარსკვლავისთვის საქმიანი ქალის ინსტიქტია დამახასიათებელი: ლოპესმა თავისი სახელი – J LO – საპარფიუმერიო და სამკერვალო ფირმებს „ათხოვა“; სტრეიზანდი, რომელიც მანიკურისადმი მანიაკური ინტერესითაა ცნობილი, ჯერ კიდევ წლების წინ უწევდა პოპულარიზაციას ხელოვნურ ფრჩხილებს – Funny Girl.

რაც შეეხება „საფირმო ნიშანს“ –

ბარბრასთვის ეს მისი შთამბეჭდავი ცხვირი გახლდათ, ჯენიფერმა კი, ფართო მასების ყურადღება თავისი საუცხოო უკანალით მიიპყრო...

**დახვეწილი ქალბატონები:
ჯოან კროუფორდი –
ჯულია რობერტსი**

თავის დროზე, ერთიცა და მეორეც მსოფლიოს უღამაზეს ქალად დაასახელებეს. ორივეს რეპუტაცია ორგვაროვნებით გამოირჩევა: უცხო ხალხს ისინი

ნი მომხიბლავ არსებებად მიაჩნია, ახლოობებში კი ძნელად საურთიერთობო, პრეტენზიული ქალბატონების რეპუტაციით სარგებლობენ. კროუფორდი მუდამ მრავლობით რიცხვში მოიხსენიებდა საკუთარ თავს: „ჩვენ, ჯოან კროუფორდი...“ ჯულია რობერტსს შეუძლია, შეწყვიტოს ან გადაადებინოს გადაღება, თუ ფიქრობს, რომ ვარცხნილობა არ უვარგა...

ისინი არც პირად ცხოვრებაში უღებენ ტოლს ერთიმეორეს: ჯოანს 5 ქმარი და 17 საყვარელი ჰყავდა; ჯულიამ 14 ბოიფრენდი გამოიცვალა, ხუთჯერ იყო დანიშნული და ახლა (ჯერ-ჯერობით!) მეორე ქორწინებაში იმყოფება.

ორივე ვარსკვლავს ერთმანეთის მსგავსი უცნაურობებიც ახასიათებს: ჯოანს ყოველთვის აინტერესებდა, თუ რამდენი ნაბიჯი იყო სასტუმროში მისი ნომრიდან ლიფტამდე; ჯულია, ოტელიდან წასვლისას, არასდროს ტოვებს ნაგვის ყუთში ჩაყრილ ნარჩენებს: როგორც ჩანს, მას არ სურს, ვინმემ შეიტყოს, თუ რას წარმოადგენს ეს ნარჩენები...

დაბოლოს: ყველა სიტუაციაში უკანასკნელი სიტყვა მათ ეკუთვნით. ჯულია რობერტსი ამბობს: „რატომ უნდათ ადამიანებს, იცოდნენ, თუ რას ვფიქრობ მათზე? ძვირფასო, თუ არ მომწონხარ, ამის შესახებ უეჭველად შეიტყობ...“ ჯოან კროუფორდი: „ვერავენ მოახერხებს, დამემსგავსოს, რადგან უნიკალური ვარ და ქვეყანამ უნდა იცოდეს ამის შესახებ!..“



ღამაზი სანახაობა თუ

საშიში

ზანთობა?!



ყინულზე, ასფალტზე ან სქელ მუყაოს ქაღალდზე უნდა დადოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მისი სამიზნე თქვენ გახდეთ. სანამ ძაფზე ცეცხლს მოუკიდებთ, უნდა გაითვალისწინოთ ქარის მიმართულება: ძლიერ ქარს შეუძლია, „ბზრიალა“ გაიტაცოს და მას მიმართულება შეუცვალოს. „ბზრიალა“ ბზრიალ-ბზრიალით იჭრება ჰაერში, სხვადასხვა ფერის ნაპერწკლებს ისვრის და ხმის ეფექტი აქვს. თუ ეს მოწყობილობა ძველია, შეიძლება, ხმის ეფექტი გარკვეულ სიმაღლეზე ასვლამდე ამოქმედდეს და მცირეწლოვან ბავშვს ყურის აპკი დაუზიანოს.

რაკეტა სპეციალურ ჯოხზეა დამაგრებული. მის გასაშვებად აუცილებელია სასტარტო აეროდრომის მოწყობა. კუსტარული წესით დამზადებულ რაკეტას არ მოჰყვება ეს სასტარტო მოწყობილობა და ბავშვები მას ცარიელ ბოთლებში დებენ, ფითილს ცეცხლს უკიდებენ და ბოთლის გასკდომის შემდეგ, რაკეტა ცისკენ მიემართება. ამ სათამაშოს უსაფრთხოების ღერძია ის ჯოხი, რომელიც მარეგულირებლის როლსაც ასრულებს, ამიტომ დაუშვებელია თვითნებურად ამ ჯოხზე ზედმეტი მექანიკური ზემოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოწყობილობა არასწორად იმუშავებს.

„რომაული სანთლები“ და „ხელის ჩირაღდები“ ყველაზე გავრცელებულია საქართველოში. რომაული სანთლები ცაში გაშვებამდე შეგიძლიათ, მშვიდად გეჭიროთ ხე-

ყოველი ახალი წლის დადგომისას, 20-30 ბავშვი მაინც ხვდება საავადმყოფოში. მათ სხვადასხვა სახის ტრავმა თუ დამწვრობა აღენიშნებათ, რომლის გამომწვევი მიზეზიც ის სათამაშო ასაფეთქებელი მოწყობილობებია, რომელიც უხვად იყიდება ბაზრობებსა თუ ქალაქის ქუჩებში. შუშხუნები და მაშხალები საახალწლო ფიერვერკის აუცილებელი ატრიბუტებია, მაგრამ ვადაგასული, თვითნაკეთი ან კონტრაბანდული გზით შემოტანილი პიროტექნიკური მოწყობილობები ბავშვის ხელში შეიძლება, საშიშ იარაღად იქცეს. ალბათ ურიგო არ იქნება, თუ მათ შორის ყველაზე გავრცელებული მოწყობილობების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია გვექნება. მამ ასე, დავიწყოთ ყველაზე უწყინარი ე.წ. „ვერტუშკით“, რომელიც აბსოლუტურად უსაფრთხო სათამაშოდაა მიჩნეული. როგორია მისი სწორად გამოყენების წესი?

„ვერტუშკა“ გამოყენებამდე, აუცილებლად სწორ ზედაპირზე –

დაუზიანოს.

პიროტექნიკური სათამაშო –

ქართული და უცხოური შურნალ-გაზეთების გამოცემა

მომსახურების და მარკეტინგის სანდო და გაუსაძლისი

სახლიდან გაუსაძლისად

მის ელფასერვიტი

www.elvaservice.com

მედი: 33-26-73

ლში, იგივე ითქმის ხელის ჩირაღდნებზეც, რომელიც შევიძლიათ, ჩაქრობამდე ხელში გქონდეთ და მისი სილამაზით ახლოდან დატკბეთ. ზოგიერთ ხელის ჩირაღდანს ხმის ეფექტი აქვს.

ბავშვებში დიდი მოწონებით სარგებლობს მუსიკალური ჩირაღდნები. ზოგიერთ მათგანს აქვს მუსიკალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შეუძლია, საახალწლო ჰიმნი მოგასმენინოთ ან მამალივით დაიყვილოს.

„ფესტივალის ზალპს“ არაფერი შეედრება – სადღესასწაულო პიროტექნიკური მოწყობილობებიდან ის მართლაც განსაკუთრებულია: ლულაში თავსდება პატარა ბურთულები, იწვის ფითილი და მოწყობილობა ცეცხლოვან ბურთულას ცისკენ ისვრის.

გაითვალისწინეთ, რომ ბავშვებისთვის 5 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრის ბურთულების შექმნა მიზანშეწონილი არ არის, რადგან როგორც სათამაშოს,

„ფესტივალის ზალპს“ ლიცენზია მხოლოდ ამ ზომის ბურთულების ცისკენ გასაშვებად მიენიჭა. თუ მასზე დიდი ბურთულებია, ე.ი. „ფესტივალის ზალპი“ კუსტარულად დამზადებული

განსაკუთრებით და შესაბამისად – საშიშიცაა. ერთი სათამაშო ერთ გასროლაზე რეგულარულად უშვებს. ყოველჯერ სხვადასხვა ფერის ეფექტი აქვს და საკმაოდ ლამაზ სანახაობას ქმნის.

დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ე.წ. „ხლოშუქები“, რომელსაც არ სჭირდება ცეცხლის მოკიდება – საკმარისია, ისინი ასფალტზე დაახეთქოთ და უმაღლესი გამაყრუებელი ხმა გაისმება. დიდი მოწონებით სარგებლობს ისეთი „ხლოშუქები“, რომელსაც ჰქვია „ფულის ტომარა“ და „კარნავალი რიოში“. ისინი, ლეგალური გზით შემოსული სხვა სათამაშოების მსგავსად, მცირე რაოდენობითაც კი არ შეიცავს ასა-



ფეთქებელ ნივთიერებას. თუმცა, საახალწლოდ, იმდენი არააღვარებული პროდუქცია ხვდება სავაჭრო ქსელში, რომ მშობლებს უსაფრთხოების ზომების მიღება ნამდვილად მართებთ. აი, რამდენიმე რჩევა:

- ❗ უპირველეს ყოვლისა, ყურადღებით წაიკითხეთ ინსტრუქცია, რომელიც პიროტექნიკურ მოწყობილობას ახლავს თან;
- ❗ დააკვირდით გამოშვების თარიღსა და ვარგისიანობის ვადას;
- ❗ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა და პროდუქცია ვარგისიანია, მაინც ნუ დართავთ ბავშვებს ნებას, უფროსების გარეშე შეუერთდნენ საყოველთაო ფიერვერკს და გამოიყენონ პიროტექნიკური სათამაშოები;
- ❗ თუ მოწყობილობა არ იმუშავებს, მას დაუდევრად ნუ დააგდებთ ქუჩაში უადგილო ადგილას, შეეცადეთ, გააუფრებელყოთ და სანაგვე ურნაში მოათავსოთ;
- ❗ თუ გაუთვალისწინებელი შემთხვევა მაინც მოხდა, სასწრაფოდ მიიღეთ ზომები — გაუნიეთ ბავშვს პირველადი დახმარება და სულ მცირე დაზიანებაც კი არ დატოვოთ ექიმის კონსულტაციის გარეშე.

აზიზიანი შაიშანი დაბადების დღე გილოშავთ!



ამ წელს, ყურადღების გამახვილება, დაბადების დღეზეც მოგიწევთ, რადგან მოუსვენარი მწვანე მაიმუნი აქაც მოიქნევს თავის გრძელ კუდას.

თუ თქვენი დაბადების დღე, მთვარის დღეს, ანუ (ორშაბათი)ს დაემთხვა, მაშინ ზედმეტი მგრძობილობა და ცვლილებები გელით. იზრუნეთ ჯანმრთელობასა და ოჯახზე. თვალყური ადევნეთ მთვარის ფაზებს და ინტუიციასაც დაყრდნობით, გონივრული ანალიზი გააკეთეთ; შეიძინეთ ვერცხლის სამკაული, ჭურჭელი; უპირატესობა რძის პროდუქტებსა და ღია ფერის ხილ-ბოსტნეულს მიანიჭეთ (თეთრი ბალი; კომბოსტო, თეთრი ბოლოკი, ლობიო, ბანანი). სტრესების, ემოციური დაძაბულობის დაძლევაში ზღვის მარილის აბაზანები და მთვარის შუქზე სეირნობა დაგეხმარებათ.

სამშაბათი – მებრძოლი მარსის წელიწადი დაგიდგათ. წინააღმდეგობების დაძლევაში სიდიერე და გამბედაობა გმართებთ; პრობლემები (ავადმყოფობა, კონფლიქტი...) ხანმოკლე იქნება; თუ ბრძოლის ფინსა და პრინციპულობასაც გამოიჩინეთ, ბედნიერებითა და სიყვარულით დატკბებით.

ოთხშაბათი – თქვენ მხარში გიდგათ ინტელექტუალური, არტისტული, თავგადასავლებით „გაჯერებული“ პლანეტა – მერკური, რომელიც ნაყოფიერ კომერციულ საქმიანობას, შემოქმედებით აქტივობას და მოგზაურობებს გთავაზობთ; არც საცხოვრებელი ადგილის შეცვლაა გამორიცხული; მერკური ახალგაზრდობის ხალისის დაგებრუნებთ, თუ არ დაიზარებთ და საკუთარ ჯანმრთელობას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევთ (არც ბრილიანტის სამკაულები გაწყენთ).
სუთშაბათი – ზურგს ძლევაპო-

სილი იუპიტერი გიმაგრებთ! იზრუნეთ სოციალური მდგომარეობისა და სამუშაო ადგილის გაუმჯობესებისთვის; ერილეთ ოჯახურ კონფლიქტებს, ავადმყოფობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაკლებ წარმატებას მიაღწევთ; შეიძინეთ ამეთვისტოს სამკაულები; ჭარბად მიირთვით ჭანჭური, ქლიავი, შავი ყურძენი, ბადრიჯანი.

პარასკევი – სიყვარულისა და ქორწინების დრო დაგიდგათ. თუმცა, ემამაკ არ სძინავს, ამიტომ მოერიდეთ ზედმეტ ალკოჰოლს, ნარკოტიკს, აზარტულ თამაშს; ეცადეთ, არ გაეიტაცოთ ცდუნებამ და ვნებების მორევში არ ჩაიძიროთ; საფირონის, ოპალის სამკაულები ცხოვრებას გაგიხალისებთ, კეთილი საქმეებისკენ გიბიძგებთ და პლანეტა ვენერასაც თქვენკენ შემობრუნებს.

შაბათი – გამოცდის წელი დაგიდგათ; სატურნი შეცდომებს ძნელად თუ აპატიებს ვინმეს; წვრილმანებს ნუ გამოეკიდებით; შანსი გეძლევათ, სწორედ ამ წელს გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა – შეიძინოთ ბინა, მანქანა; ჯანმრთელობის გასაკაუებლად, შეძლები-სდაგვარად მიირთვით: შავი ხიზილალა, ანანასი, ზეთისხილი; ივარჯიშეთ, მოიშორეთ ზედმეტი წონა; უპირატესობა მიანიჭეთ შავ გიშერს, ონიქსისა და კვარცხის სამკაულებს.

კვირა – თქვენი ცხოვრება მზის სხივებით აივსება, რომელიც უზღვავე ენერგიითა და სითბოთი დაგავიძღობთ; შემოქმედებითი აქტივობის ბრწყინვალე ხანა დაგიდგათ; ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, განსაკუთრებით – გულ-სისხლძარღვთა სისტემას; დროს ნუ დაინანებთ დასვენებისა და მზის აბაზანებისთვის; შესანიშნავი პერიოდი დაოჯახებისა და ბავშვის გაჩენისათვის; კვების რაციონში შეიტანეთ: ცოტრუსები, გარგარი, მზესუმზირა, მარცვლეული კულტურები; შეიძინეთ ოქროს სამკაულები, ქარვა, ტოპაზი.

ვისურვებთ წარმატებებს!



ქვეყანაში -??" სტრუქტურული თმაცხეში ქვეყნის თქვენი თმაცხეში სტრუქტურული თმაცხეში

პირთხა – 1924; 1936; 1948; 1960; 1972; 1984; 1996 წლები

ნათელი და საინტერესო წელია. სირთულეებს „დამაღობანას თამაში“ გაართვით თავი. სასურველი სიახლე გელით სიყვარულსა და ქორწინებაში. ეფექტური წელია წარმოებისათვის, ახალი იდეების (განსაკუთრებით – ბიზნესში) სარეალიზაციოდ.

ხარი – 1925; 1937; 1949; 1961; 1973; 1985; 1997 წლები

მოემზადეთ სერიოზული გამოცდისათვის; წარმატებებს, არცთუ ისე იშვიათად, მარცხი მოჰყვება; ეცადეთ, არ შეუშინდეთ ბედის ბორბლის წაღმა-უკუღმა ტრიალს; წუწუნის ნაცვლად, იმოქმედეთ! შეუტეთ პრობლემებს და მუქი ფერებიც თანდათან „გაღიავდება“.

მეშხვი – 1926; 1938; 1950; 1962; 1974; 1986; 1998 წლები

ცვლილებების წელია. ძველი სტრუქტურების დამსხვრევა და ახალ გარემოში დამკვიდრება მოგიწევთ. განერიდეთ მოსაზრებელ რუტინას და არ შეუშინდეთ საქმის ასლებურად, არასტანდარტულად წარმართვას.

კატა-კურდღელი – 1927; 1939; 1951; 1963; 1975; 1987; 1999 წლები

თქვენთვის სასურველი ცვლილებების ადვილად მიღწევის იმედი ნუ გექნებათ. მაგრამ პირველივე მარცხის გამო ნუ მოდუნდებით და ამას მაიმუნს ნუ დააბრალდებთ. თუმცა, ბედის ნებიერი კატუნები გამოსავალს მაინც ყოველთვის პოულობენ.

დრაკონი – 1928; 1940; 1952; 1964; 1976; 1988; 2000 წლები


ბედის ბორბალი, თქვენდა სასიკეთოდ ტრიალებს. ბეჯითი დრაკონები განახორციელებენ დასახულ გეგმებს, აქტუალურ და ორიენტირებულ პროექტებს. არც სასიყვარულო ფრონტზე ელით იმედგაცრუებას.

მეშხვი – 1929; 1941; 1953; 1965; 1977; 1989; 2001 წლები

კარიერაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არაა. წარმატებული იქნება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანი ოპერაციები.

ცხენი – 1918; 1930; 1942; 1954; 1966; 1978; 1990; 2002 წლები

საინტერესო მოგზაურობები და შეხვედრები გელით, რაც მსოფლმხედველობასა და სამოქმედო არეალს გაგიფართოებთ. კარგად აეწყობა ურთიერთობები ახლობლებთან, ნათესავებთან, საქმიან პარტნიორებთან. განახლდება შემოქმედებითი, საქმიანი კონტრაქტები. ასე რომ, იმოქმედეთ!



თხა – 1919; 1931; 1955; 1967; 1979; 1991; 2003 წლები

თუ ძალასა და ენერგიას არ დაზოგავთ, სანაცვლოდ მატერიალურ წინსვლასა და სტაბილურ მდგომარეობას მიაღწევთ. ეცადეთ, ფული უძრავ ქონებაში ან ვაჭრობაში დააბანდოთ. შესაძლებელია ახალ, სასურველ სამსახურსაც გამოჰკრათ ხელი.

მამიშვი – 1920; 1932; 1944; 1956; 1968; 1980; 1992; 2004 წლები

ბოჰემური ცხოვრების შესაძლებლობა მოგეცემათ. გამოიჩინეთ წინდახედულობა, ისარგებლეთ ახლობლების, გაელენიანი მეგობრების მხარდაჭერით. გამოავლინეთ თქვენი ტალანტი, შესაძლებლობები, ლიდერობის უნარი და მერწმუნეთ – ფორტუნა თქვენ მხარეზე იქნება. თუმცა, არც განათლება და კარიერა დაივიწყეთ.

მამალი – 1921; 1933; 1945; 1957; 1969; 1981; 1993 წლები

მაიმუნს ადვილად ვერაფერს გამოსტყუებთ. გადახედეთ განვილი წლებს, მოერიდეთ მოქანცველ რუტინას; მიეცით საკუთარ თავს ამოსუნთქვის საშუალება, მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება და აქტიურად შეეჭიდეთ პრობლემებს. გახსოვდეთ, სიძნელების დაძლევის გარეშე, წარმატებას ფასი არა აქვს.

ძაღლი – 1922; 1934; 1946; 1958; 1970; 1982; 1994 წლები

თუ სიახლეებს ყურადღებით ადევნებთ თვალს და ფეხს აუწყობთ, სასიამოვნო სიურპრიზები გელით. ისარგებლეთ გაელენიანი ახლობლებისა და სპონსორთა დახმარებით და საქმეს კარგა ხნით აიწყობთ.

ლორი – 1923; 1935; 1947; 1959; 1971; 1983; 1995 წლები

ალიარება გელით შემოქმედებით საქმიანობაში; წინააღმდეგობების გადალახვის შემთხვევაში კი, კარიერაში წინსვლაც გარანტირებული გაქვთ. ფიასკო არც პირად ცხოვრებაში გელით – მთავარია მოქმედება და სიზარმაცის შემოტყვევისაგან გათავისუფლება.

საქონელი ნივთები თქვენი სასადილო სუნიტონი

ნივთომოყრილი ნამცხვარი

საახალწლო სუფრას თუ ნივთომოყრილი ნამცხვრითაც დამშვენებით, თქვენს ახლობლებს და განსაკუთრებით პატარებს ძალზე გაახარებთ. ნამცხვარი გემრიელია და თან არც რთული მოსამზადებელი.

2 მთლიანი კვერცხი და 1 კვერცხის ცილა კარგად ათქვიფეთ 1 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილთან ერთად. შეურიეთ 3/4 ჩ/ჭ მაწონი, 1/2 ჩ/ჭ ერბო, სოდა, 1/2 ს/კ დანაყილი ლიმონის კანი, ვანილი, შემდეგ კი შეურიეთ იმდენი ფქვილი, რომ საშუალო სისქის ნაზი ცომი გამოვიდეს. მოხედილი ცომი გადმოიღეთ ზეთიან ფიცარზე და თითის სისქეზე გაბრტყელეთ. გამოჭერით სხვადასხვა ფორმის ფირფიტა, დააღაგეთ ფქვილმომყრილ თუნუქის ფურცელზე, თითოეულს ზემოდან წაუსვით რძეში გახსნილი კვერცხის გული (1 კვერცხის გულზე 2 ჩ/კ რძე), მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ნივთი და შედგით ღუმელში გამოსაცხობად.

ტორტი „ავსტრიული“

150 გ შერბილებულ კარაქს დაუმატეთ 1 ს/კ ალუბლებული ცივი რძე და 150 გ გახეხილი შოკოლადი; კარგად ათქვიფეთ, შეაზილეთ 6 კვერცხის გულისა და 150 გ შაქრის ფხვნილისაგან მომზადებული გოგლიმოვლი, მცირეოდენი ვანილი; კვლავ ათქვიფეთ, დაუმატეთ 150 გ უმაღლესი ხარისხის ფქვილი, მოხილეთ ცომი და მოათავსეთ ცხიმწასმულ ყალიბში. შედგით გახურებულ ღუმელში და 20-25 წთ-ის განმავლობაში ნელ ცეცხლზე გამოაცხვეთ. გამომცხვარი, გაცივებული ბისკიტის ზედაპირზე განალაგეთ მოხალული ნივთის ლებნები და ზემოდან მოაფრქვიეთ გახეხილი შოკოლადი.

ნამცხვარი „ლოტოსი“

ცომის მომზადება:

8 კვერცხის ცილა კარგად აფქვიფეთ მიქსერით, თანდათანობით დაუმატეთ 2 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი, შემდეგ სათითაოდ შეურიეთ 8 კვერცხის გული და ბოლოს – 3 ჩ/ჭ უმაღლესი ხარისხის ფქვილი. მიღებული ცომი სუფრის



კოვზით ისე მოათავსეთ ცხიმწასმულ ტაფაზე, რომ ცხობისას ერთმანეთს არ შეუერთდეს და შედგით ღუმელში. ცხობა მიმდინარეობს დაბალ ტემპერატურაზე. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ცომი ოდნავ შეწითლდება, გამოიღეთ და სანამ ცხელია, თითოეული ნამცხვრის კუთხე სწრაფად შეურიეთ ერთმანეთს – ისე, რომ ნამცხვარი ლოტოსის ყვავილს დაქმს-გავსოს და შიგ კრემის ჩაღება შესაძლებელი იყოს.

კრემის მომზადება:

4 კვერცხის გულისა და 2 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილისაგან მოამზადეთ გოგლიმოვლი, შეურიეთ 7 ს/კ გაცივებული ჰურის ფქვილი, დაასხით ნელ-ნელა 1 ლ ანაღული ცივი რძე, კარგად ათქვიფეთ, შედგით ნელ ცეცხლზე და 7-10 წთ-ის განმავლობაში განუწყვეტლივ ურიეთ ხის კოვზით. მომზადებული კრემი გააცივეთ, შეურიეთ ნელ-ნელა 200 გ შერბილებული კარაქი და ათქვიფეთ მიქსერით. ბოლოს შეურიეთ ვანილი ან გახეხილი კანი.

„ლოტოსის“ მრავალფეროვნებისთვის კრემი გაყავით სამ ნაწილად და შეაფ-

ერადეთ სხვადასხვა კულინარიული საღებავით.

„ფიფქები“

ამ დესერტის მოსამზადებლად დაგჭირდებათ: 7 კვერცხი, 4 ჩ/ჭ რძე, 5 ს/კ შაქრის ფხვნილი, 0,1 გ ვანილი. კვერცხის ცილას დაუმატეთ 2 ს/კ შაქრის ფხვნილი და თქვიფეთ მანამდე, სანამ ღრუბელივით არ გახდება; ალუბლებულ რძეში კოვზით ცალ-ცალკე ჩაუშვით ეს ათქვიფილი ცილა და 3-5 წთ-ის განმავლობაში ალუღეთ; შემდეგ „ფიფქები“ ამოიღეთ რძიდან; რძე გააცივეთ 50-60 გრადუსამდე; დაუმატეთ დარჩენილ შაქრის ფხვნილში კარგად ალუხილი კვერცხის გული და დადგით ცეცხლზე შესქელებამდე; სუფრაზე მიტანის წინ, ეს ნარევი მოასხით „ფიფქებს“.

მწვანის სალათა ნივთებით

დაჭერით წვრილად 1 კგ ოხრახუში, 0,5 კგ ქინძი, 0,25 გ რეჰანი, 0,5 კგ ნიახური, ტარხუნა და ცოტა პიტნა; მოაყარეთ ასევე წვრილად დაჭრილი ხახვი; დანაყეთ 200 გ ნივთი, 5 კბილი ნიორი, 0,25 გ ქინძი, წიწაკა და მარილი გემოვნებით, გასწენით ეს ყოველივე ძმარში და შეურიეთ დაჭრილ მწვანისს.

მწვანის მხალი

0,25 გ ოხრახუში, ნიახური, კამა, ბოლოკის ფოთლები, 1 კონა წიწმატი, ქინძი და ისპანახი ერთად მოხარშეთ, გაწურეთ და შეაზავეთ ნივთებით, დაუმატეთ ქინძი, წიწაკა და ნიორი.

ციტრუსის ყელა

მოიმარაგეთ: 200 გ ფორთოხალი ან მანდარინი, 150 გ ლიმონი, 3 ს/კ თაფლი, 2 ჩ/კ ყელატინი, 2 ჩ/ჭ წყალი; ლიმონს მოაცილეთ კანი, დაჭერით წვრილად, გადავლეთ მლულარე წყალი, შემდეგ მოხარშეთ და გაწურეთ; დაუმატეთ ლიმონის წვენი, ისევ დადგით ცეცხლზე ალუბამდე, დაუმატეთ წინასწარ დამზალი ყელატინი და 30-40 წთ-ის განმავლობაში განუწყვეტლივ ურიეთ; შემდეგ გააგრილეთ 40 გრადუსამდე, დაუმატეთ თაფლი და ჩაასხით ფორმებში.

ლომონოსოვის უნივერსიტეტი

თუ ფანტაზია და მარჯვე ხელები გაქვთ, ძველი, ხელოვნური ნაძვის ხის ერთი ტოტისგან ისეთი ლამაზი საახალწლო კომპოზიცია შეგიძლიათ შექმნათ, რომ თქვენთან სტუმრად მოსული ახლობლები აღფრთოვანებულნი დარჩნენ. კომპოზიციის შესაქმნელად, ჯერ საჭირო მასალა უნდა მოიმზარაოთ.

გამოიყენეთ ყველაფერი, რაც ლამაზია, მაგრამ მცირე ზომისაა. კომპოზიციისთვის დაგჭირდებათ ათიოდე კაკალი, მარადმწვანე სუროს ან კედელზე მცოცავი სხვა მცენარის ღეროები, გირჩები, სანთლები, ფერადი ლენტები, ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული კანფეტები, ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოები და ვარდი. უნდა შეიძინოთ პატარა პულკერი-ზატორიანი ბალონი, რომელშიც მოთავსებულია ოქროსფერი და ვერცხლისფერი საღებავი და მას შემდეგ, რაც მასზე მოთავსებულ ინსტრუქციას გაეცნობით, მოამზადეთ სამუშაო მაგიდა: გადააფარეთ მას ქაღალდი ან დააფინეთ ძველი გაზეთები, მოიმარჯვეთ პლასტმასის საყვავილე ქოთანნი და აეროზოლით შეაფრქვიეთ საღებავი. ასევე შედეგით გირჩები და კაკლები, ნაწილობრივ – სურო და ლამაზი ფორმის ხის ფოთლები. არ დაგავიწყდეთ, რომ პროცედურისთვის საჭიროა რეზინის ან პოლიეთილენის ხელთათმანები. საღებავის გაშრობის შემდეგ, ქოთანში ჩაყარეთ სილა. სილასა და ქოთნის ზედაპირს შორის მანძილი დაახლოებით 3 სანტიმეტრი უნდა იყოს. ქოთნის ცენტრში ორი სანთელი დაამარეთ. მათ გარშემო კი, ჯერ ნაძვის ხის მოსართავი ბურთულები განალაგეთ, შემდეგ კი ოქროსფერი კაკლები და გირჩები. ბოლოს სილაში ჩაამაგრეთ ხელოვნური ნაძვის ხის ტოტი და ვარდი. სასურველია, სილა ნესტიანი იყოს, რათა ვარდი მალე არ დაჰკნეს. ნაძვის ტოტზე შეგიძლიათ, ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული 1-2 კანფეტი დაკიდოთ და ფერადი ბაფთები დააბნით. სულ ბოლოს, კომპოზიცია სუროს ღეროებით მორთეთ: ის შეგიძლიათ შემოახვიოთ სანთლებს, ნაძვის ტოტს ან ქოთნის ზედაპირზე მოათავსოთ – მოკლედ, თქვენი გემოვნების მიხედვით. ასევე შეარჩიეთ ის ქსოვილი, რომელზეც დამთავრებულ კომპოზიციას დადგამთ. შეგიძლიათ ისიც რომელიმე ბრჭყვიალა, მოსირმული ქსოვილისგან შეკეროთ, გაუკეთოთ ნაკეცი ან ზედ ყვავილებისა თუ ფიფქების გირლანდები დაამაგროთ. ფიფქები ასანთის ღერებისგან და ბამბისგან შეგიძლიათ დაამზადოთ. კომპოზიციის ოქროსფერი ბზინვარება თქვენს სახლში ძალიან მალე შემოიღონ საახალწლო-სახეიმო განწყობილებას. სასურველია, შესაფერისი ადგილიც მიუჩინოთ ყურნალების მაგიდაზე ან კედელზე დამაგრებულ თაროზე. თქვენი ნახელავი თვალში საცემ ადგილზე მოათავსეთ, რათა სადამო ხანს, როცა ანთებული სანთლების მკრთალი შუქი



თვალსაჩინოს გახდის მისი მორთულობის ოქროსფერ ბზინვარებას, ყველას შეეძლოს, სრულფასოვნად შეაფასოს თქვენი შემოქმედება და კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ ვისაც აქვს ფანტაზია და მარჯვე ხელები, შეუძლია, თავის გარშემო განუძმეორებელი სახეიმო ატმოსფერო შექმნას.

ასეთივე მეთოდით, ოღონდ, რა თქმა უნდა, ნაძვის ტოტის გარეშე შეგიძლიათ შექმნათ კედლის სამშვენისები, თუმცა, ამ შემთხვევაში ქოთანნი არ დაგჭირდებათ. სამაგიეროდ, საგანგებოდ შერჩეულ ქსოვილზე სამშვენისების დამაგრების თქვენეული მეთოდის შემუშავებაზე უნდა იზრუნოთ. შეიძლება ამისთვის გამოიყენოთ წებო, ნემსი და ძაფი ან ქინძისთავის სამაგრები. უმეტეს შემთხვევაში, კედლის სამშვენისებს კარტოფილის ფქვილში ან წებოში ამოვლებული და ოქროსფერი საღებავით გაფერადებული გამხმარი ყვავილებისა და ფოთლებისგან ამზადებენ.

თუ ეს სამუშაო და თვითშემოქმედება გაგიტაცებთ და საკუთარ თავს კომპოზიციების შექმნის ნიჭს შეატყობთ, შეიძლება, მუშაობის შედეგად ისე გაიწაფოთ ხელი, რომ მომავალი წლის საახალწლო კომპოზიციას ისეთი სიმპათიური და ორიგინალური თოვლის პაპაც მიამატოთ, როგორც ამ ფოტოზეა ნაჩვენები. ასეთი თოვლის პაპის შექმნა ნებისმიერი თოჯინისგან შეგიძლიათ. სურჯინის შეკერვას კი რა უნდა?! რაც უფრო დიდ სურჯინს შეკერავთ, შიგ უფრო ბევრი სათამაშო-საჩუქარი ჩაეტევა და უფრო მეტად გაახარებთ თქვენს პატარებს.

წარმატებულ თვითშემოქმედებასა და ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!



გაგორენი ადამიანის მოსხვეპი გაგონათქვაფი



უცხო სიტყვა

სადილად მიწვეული ბერნარდ შოუ მაგიდასთან ერთი მდიდარი ფაბრიკანტის მეუღლის გვერდით აღმოჩნდა.

– მისტერ შოუ, – მიმართა ქალმა დრამატურგს. – თუ იცით რაიმე უებარი საშუალება გასუ-

ქების წინააღმდეგ?

შოუმ ყურადღებით შეათვალიერა ჩამრგვალებული ქალი და მშვიდად მიუგო:

– ვიცი ასეთი საშუალება, მაგრამ აბა, როგორ ვითარგმნოთ?

– „მუშაობა“ ხომ თქვენთვის უცხო სიტყვაა...

მბრუნველობა

კომპიუტორი ვაკომო მაიერბერი უაღრესად კეთილი და ყურადღებიანი ადამიანი გახლდათ, მუდამ მზად იყო, თანაგვრძნი გაჭირვებულთათვის. ეს იცოდა როსინიმ და მეგობართან ყოველი შეხვედრისას, მოჰყვებოდა ხოლმე წუწუნს საკუთარი ჯანმრთელობის გამო. როცა ეკითხებოდნენ – ასე რატომ იქცევით? – როსინი პასუხობდა:

– მე კი ჩინებულად ვგრძნობ თავს, მაგრამ ვაკომოს ისე უყვარს ახლობელთათვის ხელის გამართვა, რომ ამ სიამოვნებას ვერ მოვაკლებ.

ყველაზე დიდი აღმოჩენა

ცნობილმა ინგლისელმა ქიმიკოსმა ჰემფრი დევიმ ფიზიკისა და ქიმიის დარგში გაკეთებული მრავალი აღმოჩენით გაითქვა სახელი. ერთხელ მეგობრებმა სთხოვეს, მოეთხრო ამ აღმოჩენების შესახებ.

– მეცნიერებისთვის ბევრი რამ აღმოვაჩინე, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი აღმოჩენა ფარადეია.

და მართლაც, წიგნის საკინძავი საამქროს ქარგალი – მაიკლ ფარადეი მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ფიზიკოსი და ქიმიკოსი გახდა.

სასამართლო პროცესზე

ცნობილი გერმანელი კომიკოსი კარლ ვალენტინი სასამართლოში მოწმედ გამოდიოდა.

– ბატონო ვალენტინ, სასამართლოს უნდა მოახსენოთ მხოლოდ საკუთარი თვალთ ნანახი და არა სხვის მიერ გადმოცემული ამბები, – განუმარტა მოსამართლემ.

მოწმემ თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

– მაშ ასე, როდის დაიბადეთ?

– ეგ მხოლოდ მშობლების გადმოცემით ვიცი, ბატონო მოსამართლე...

ანეკდოტები

ცოლ-ქმარი ბაზარში პროდუქტს ყიდულობს:

– ამიწონეთ 3 კგ უხარისხო ხორცი, – ეუბნება ქალი გამყიდველს.

– რისთვის გინდათ?

– ძაღლისთვის.

– კი, მაგრამ ჩვენ რომ ძაღლი არ გყავს? – უკვირს ქმარს.

– გაჩუმდი, ნუ იყფები...

ციხის ზედამხედველი – პატიმრებს:

– რაზე ზინარ?

– პოლიტიკურზე.

– შენ?

– პოლიტიკურზე.

– შენ?

– ნარკომანიაზე.

– ა ბიჭო, კაცი! – გაუნარდა ზედამხედველს.

– ახლა დავხატავ იდეალური ქალის სურათს: გრძელი, ხვეული თმა, დიდი შავი თვალები, იდეალური ფიგურა...

– მოიცა, მოიცა – ეგ ხომ კირკორიაა!..

– ჩემს ცოლს ძალიან სუსტი გული აქვს: მცემს და მერე, ორი დღე ტირის.

– რა განსხვავებაა კატასტროფასა და უბედურებას შორის?

– დავუშვათ, თიკანი ხიდზე გადადიოდა, ხიდი ჩატყდა, თიკანი წყალში ჩავარდა და დაიხრჩო – ეს უბედურებაა, მაგრამ არა კატასტროფა. ახლა კი, დავუშვათ, რომ ჩამოვარდა თვითმფრინავი, რომლითაც მთავრობის წევრები მგზავრობდნენ – ეს კატასტროფაა, მაგრამ არა უბედურება...

ცირკის ღირეკტორის კაბინეტში ტელეფონის ზარი გაისმა:

– მახინჯები გჭირდებათ?

– გააჩნია, როგორ გამოიყურებით.

– ორი თავი, სამი თვალი და ოთხი ხელი მაქვს...



– ძალიან კარგი. მოდი, შევხედეთ და ყველაფერზე დეტალურად მოვილაპარაკოთ.

– მაშინ, 6 საათისთვის, ფილარმონიასთან დაგე-

ლოდებით. ადვილად რომ მიცნოთ, ხელში ჟურნალს დავიჭერ.

სვანს საათი თითებზე აქვს წამოცმული.

– რატომ გიკეთია საათი თითებზე?

– ეკითხება ვიღაც მოცილილი.

– ტელევიზორში გამოაცხადეს – საათი წინ გადასწიეთო.

ატირებული ბავშვი შინ მივიდა.

– ვინ გცემა?! – ეკითხება განრისხებული მამა.

– კარატისტი მეზობელი რომ გყავს, იმან.

– ძანაც კი უქნია – მოვიხლება!

– ბატონო, მისაღებში ხალხი გელოდებოდა, თქვენ ფინანსური წარმატების საიდუმლო ანტერესებთ, – მოახსენა მდივანმა ბიზნესმენს.

– ჟურნალისტები არიან თუ პოლიციელები? – შემოვითებით კითხულობს ბიზნესმენი.

– დედა, შეიძლება, ლიფი მეც ვატარო? მე ხომ უკვე 14 წლისა ვარ!

– არ შეიძლება, ნოდარ!..



სრულყოფილი ქალბატონი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი



● ხშირად, ისე ვიძლებით, რომ მაკიაჟის მოშორების თავიცი არა გვაქვს, არადა, კოსმეტოლოგები გვირჩევენ, რომ ამის გაკეთება აუცილებელია – თუნდაც, ერთი სული გვქონდეს, მივიღეთ საწოლამდე; გაუფრთხილდით კანს;

● კოსმეტიკური საშუალებების შექმნისას, ყურადღება მიაქციეთ ვარგისიანობის ვადას: პუდრისთვის იგი სამწუხურად შეადგენს, ტუჩის საცხისთვის – ასევე სამწუხურად, ტუჩისთვის – ორი წელი; ძალზე მნიშვნელოვანია კრემებისა და ლოსიონების ვარგისიანობის ვადაც; ოთახის ტემპერატურაზე კრემებში აქტიურად მრავლდება ბაქტერიები და ვირუსები, რომლებიც, როგორც წესი, იქ ჩვენს ხელებიდან ხვდება, ამიტომ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მკვებავი ნივთიერებებისა და ვიტამინების ნაცვლად, კანში მავნე მიკროორგანიზმთა სუსპენზიას იხვლდეთ; ამის თავიდან ასაცილებლად, გამოყენებული ქილები მაცივარში უნდა შეინახოთ;

იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქალისათვის სილამაზე, მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ სადღესასწაულო დღეებში, ქალის გარეგნობას, სამოსს, მაკიაჟს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა ეძლევა. აი, კიდევ რამდენიმე რჩევა, რომელიც შეგიძლიათ, შემატოთ თქვენს ქალურ საიდუმლოებებს.

● ბევრი ქალბატონი ყოველ ორ-სამ თვეში ერთხელ, ახალ კრემსა და ლოსიონს ყიდულობს; ეს ურიგო არაა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ კანი, რომელზეც ხშირად ატარებენ ექსპერიმენტებს, საუკეთესოდ როდი გამოიყურება; იმის გასარკვევად, ვიხდებით თუ არა ახალი კოსმეტიკური სერია, 6-8 თვე მინცაა საჭირო; კრემის აქტიური ნივთიერებების ეფექტის გამოვლენას ერთი თვე სჭირდება, დროის ასეთივე მონაკვეთი, კანის ზედა ფენის განახლებისთვისაა საჭირო;

● აუცილებელ საქმეზე ნაცნობთან ტელეფონით დაკავშირება გჭირდებათ, მაგრამ მისი ნომერი სულ დაკავების სივრცით გაასუხობთ; ამ დროს, სახეს იჭმუნით და რომ იცოდეთ, როგორ გამოიყურებით!.. სწორედ ასე წარმოიქმნება მიმიკური ნაოჭები; დაიდგით მაგიდაზე პატარა სარკე და ყველაზე დაძაბულ მომენტებში ჩაიხედეთ ხოლმე; რაც შეიძლება ხშირად მოიქცით ასე – ისწავლეთ საკუთარ სახეზე დაძაბულობის აღმოჩენა და კუნთების მოღუნება; ეცადეთ, თავი დააღწიოთ ნეგატიურ მიმიკას;

● რაც უფრო მშრალია ტუჩები, მით უფრო ხშირად სკდება და ჩვენც ინსტიტუტურად ვილოკავთ ერთი, რითიც დამატებით ტრავმას ვაყენებთ; ზამთარში, ბევრ ადამიანს აწუხებს ტუჩების სიმშრალე; ეს რომ თავიდან აიცილოთ და



ტუჩები სულ ნაზი და რბილი გქონდეთ, შემდეგი რჩევები გაითვალისწინეთ: გვირგვინის ნაყენი გაყინეთ და სისტემატურად ყინულის ნატეხით დაიხილეთ ტუჩები; ძილის წინ, თაფლის თხელი ფენა წაისვით და ეცადეთ, არ აილოკოთ. ■

კარდიოლოგიის სიასლანი

კლონირებული ორგანოები

მოსკოველი ქირურგ-ტრანსპლანტოლოგები პაციენტებს სულ მალე, კლონირებულ ორგანოებს გადაუნერგავენ. კლონირებულ გულებსა და თირკმლებს, სავარაუდოდ, თავად ავადმყოფების უჯრედების მეშვეობით შექმნიან. ლეროვანი უჯრედებისგან, რომელსაც ან ემბრიონიდან, ან ადამიანის ზურგის ტვინიდან ამოიღებენ, ტრანსპლანტაციის ინსტიტუტის სპეციალისტები კარდიომიოციტებს ანუ გულის კუნთის უჯრედებს მიიღებენ იმ ავადმყოფთათვის, რომლებმაც მიოკარდის ინფარქტი გადაიტანეს.

ინსტიტუტის ლაბორატორიებში ყველაფერი მზადაა საიმისოდ, რომ ახალი მეთოდიკით პაციენტების მკურნალობას შეუდგნენ. წინასწარი მონაცემებით, ინსტიტუტში წელიწადში დაახლოებით 150 ტრანსპლანტაციის ოპერაციას ჩაატარებენ. მართალია, ეს ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის, რამეთუ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მხოლოდ გულის გადანერგვის ოპერაცია 10 ათას ადამიანს მაინც სჭირდება. ■

არაგულწრფელი „მესიჯები“

ელექტრონული კარდიოსტიმულატორები უკვე ათათასობით ადამიანის გულშია მოთავსებული. სხვათა შორის, ამ სტიმულატორებს პატრონებისათვის ბევრი სიკეთე მოაქვს – და როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, კიდევ უფრო მეტ სიკეთესაც მოუტანს. ლონდონის სენტ-ტომასის საავადმყოფოში ჩატარდა ექსპერიმენტი: გულში ავადმყოფ 20 პაციენტს ახალი სისტემის სტიმულატორები ჩაუდგეს. ამერიიდან, ეს სტიმულატორები არა მარტო გულის ცემის რიტმს მოაწესრიგებს, არამედ ექიმთან კონტაქტსაც დაამყარებს. გულის მუშაობაში როგორც კი ცვლილებები დაფიქსირდება, სტიმულატორი ექიმს „მესიჯის“ მსგავს ტექსტურ შეტყობინებას გაუგზავნის და ექიმი თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევს, თავადვე დაუკავშირდება პაციენტს. ■

ალკოჰოლური ინტოქსიკაცია

შობა-ახალ წელს ადამიანთა უმრავლესობა, როგორც წესი, ქრონიკულად ნასვამ მდგომარეობაშია. ალკოჰოლს ეტანებიან ისეთებიც, ვისთვისაც იგი არ შეიძლება. ამ დღეებში, კატასტროფულად მატულობს ალკოჰოლით მონამვლის შემთხვევათა რაოდენობა, ამროგად, ბევრი ადამიანი მწვავე ალკოჰოლური ინტოქსიკაციის მსხვერპლი ხდება.

სადღესასწაულო დღეებში განსაკუთრებული ჯაფა ღვიძლს ადგება. ის ერთხანს უმკლავდება ალკოჰოლურ შემოტევებს, მაგრამ საბოლოოდ, ჭარბი კონცენტრაციის ალკოჰოლი სისხლში გადადის და მოწამვლას იწვევს. ზოგჯერ მწვავე მოწამვლის მიზეზი, უვარგისი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ადამიანისთვის აკრძალული სასმელი ხდება.

ალკოჰოლით მოწამულს გონება ებინდება და მეტყველების უნარი ერღვევა. ის ორიენტაციას კარგავს, ეწევა ძლიერი თავბრუსხვევა (რასაც საშინელი ლებინება მოჰყვება ხოლმე), მაჯა უჩქარდება და თვითშეგრძნება უუარესდება. თრობის შედეგად გამოწვეული ეს მდგომარეობა ძალზე სწრაფად გადადის კომაში. ადამიანს უქვეითდება თავდაცვითი რეფლექსები, სუნთქვა შენელებული და ზერეულე აქვს.

რეანიმაციული დახმარების გარეშე, ალკოჰოლური კომა ადამიანის დაღუპვით შეიძლება დამთავრდეს, მაგრამ დროული დახმარების შემთხვევაში, კომიდან ადამიანი ძალზე ადვილად გამოდის.

როგორ უნდა მოეუაროთ ასეთ მდგომარეობაში?

მარეობაში მყოფ ადამიანს?

● ნასვამი დააწინეთ გვერდზე და თვალყური ადევნეთ;

● არ მისცეთ დაძინების საშუალება, თუ ატყობთ, რომ იგი მოწამლულია, ამოურეცხეთ კუჭი სოდიანი წყლით, მიეცით საგულე საშუალებები, ელაპარაკეთ და აიძულეთ, კითხვებზე გიპასუხოთ;

● გამოსაფხიზლებლად კარგია ცივი წყლის პროცედურები: დასხით სახეზე, ხელებსა და გულმკერდის არეში ცივი წყალი ან დაადეთ სველი ნაჭერი; თუ ატყობთ, რომ გონებას კარგავს, ასუნთქვინეთ ნიშაღურის სპირტი;

● მიეცით რაც შეიძლება მეტი სითხე, დაალევინეთ მსუბუქი ჩაი, დაათბუნეთ და გაუზომეთ არტერიული წნევა, თუ იგი ნორმის ფარგლებშია და გულისცემაც დამაკმაყოფილებელია, შეგიძლიათ დაძინების უფლება მისცეთ;

● კუჭის ამორეცხვა სასურველია, თუმცა – არა აუცილებელი, მით უმეტეს მაშინ, როცა ალკოჰოლის მიღებიდან უკვე 2-3 საათია გასული.

ალკოჰოლის მოყვარულებს ვურჩევთ: არ გიღალატოთ ზომიერების გრძნობამ; აირჩიეთ მაქსიმალურად სუფთა და სანდო სასმელი; არავითარ შემთხვევაში არ აურიოთ ერთმანეთში სხვადასხვა სასმელი, ეცადეთ, დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი სახის სასმელი მიირთვათ. მწვავე ალკოჰოლური ინტოქსიკაცია შესაძლოა, ალკოჰოლიანი სასმლის გაზიანთან ერთად მიღებამაც გამოიწვიოს.



თავისებურებასაც განვიხილავთ.

ქრონიკული ალკოჰოლიზმი აზიანებს ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა ორგანოთა სისტემას. პირველი სამიზნე – ღვიძლია, სადაც ხდება ორგანიზმში შეღწეული ყველა პროტექტის, მათ შორის, ალკოჰოლის გაფილტვრა.

ალკოჰოლი კუჭსაც აზიანებს. იგი ხელს უწყობს კუჭის ლორწოვანი გარსის ჩამოფცქვნას, მისი ზემოქმედებისგან ირღვევა კუჭის ფუნქციებიც. ალკოჰოლური გასტრიტი მსმელთა 60%-ს უვითარდება. შესაძლოა, კუჭთან ერთად საყლაპავიც დაზიანდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ პანკრეატიტს (კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებას) შემთხვევათა 65-75%-ში ალკოჰოლის ჭარბად მიღება იწვევს.

ალკოჰოლი უარყოფითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზეც. მსმელთა 20-30%-ში ალკოჰოლური კარდიომიოპათია ვლინდება. გარდა ამისა, აღინიშნება არტერიული წნევის მომატება, რაც მიოკარდიუმის ინფარქტისა და ინსულტის მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია. მსმელებში ხშირია არითმია.

რაც შეეხება კუნთოვან სისტემას – მასზე ალკოჰოლის ზეგავლენა იწვევს კუნთების ანთებას, შეშუპებას, დარბილებასა და ტკივილებს.

ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით ქრონიკული მოხმარება, ასუსტებს იმუნურ სისტემას, ხელს უწყობს ზოგიერთი სახის სიმსივნის ჩამოყალიბებას, უარყოფითად მოქმედებს სასქესო ჯირკვლების ფუნქციაზე, იწვევს მენსტრუალური ციკლისა და ოვულაციის დარღვევას, თვითნებურ აბორტებს, ინტოქსიკაციას.

მოზარდებში ალკოჰოლის მიღება ზრდასა და სქესობრივ მომწიფებას აფერხებს.

ნაბახუსევს გირჩევთ

● ნაბახუსევის მოსახსნელად, როცა საშინელი თავის ტკივილი და კუჭის არეში უსიამოვნო შეგრძნება გაწუხებთ, 1 ჩ/ჭ ცივ წყალში ჩაასხით 20 წვეთი პიტნის სპირტიანი ნაყენი და დალიეთ.

● მიიღეთ ყლუპებად, 1 ჩ/ჭ თბილი რძე.

● წყლის ნაცვლად, არყით მოაღუღეთ მაგარი ყავა და დალიეთ.

● დალიეთ 100 გრამამდე კიტრის მწნილის წვენი. არავინაა დაზღვეული იმისგან, რომ სახელობლო წრეში ქრონიკული ალკოჰოლიზმით შეპყრობილი ადამიანი ჰყავდეს. ამიტომ ამ დაავადების ზოგიერთ

სწომბსტოლოვიური კლინიკა
გიორგი-დენბი

1. უმტკივნეულო მკურნალობა შობა-ახალ წელს;
2. 100% სტატისტიკა;
3. დაბალი ჯანდაცვა;
4. ელტბა თავაშეღროფე მსალდეები აშნა და გერმია ხიდახ;
5. შადიდკვადიფიკაციური შედეგატახალი;
6. უფასო კონსულტაციას;
7. მკურნალობა გაჩახტიდათ.

მის: თაშინსუფლახის მოადანი №41
(ახალაშენაშული სასტორო „მირიოტის“ ახლოს)
☎ 98-64-83

თუ დიაბაზე ხართ

თუ ქვარბი წონის გამო მკაცრ დიეტას იცავთ, ახალი წლის დღესასწაული თქვენთვის სერიოზული გამოცდა იქნება. როგორ უნდა მოიქცეთ? არსებობს პრობლემის გადაჭრის ოთხი გზა. პირველი — ყველაზე მოსაწყენი: საერთოდ არ უნდა მიუჯდეთ სუფრას; მეორე — დაივიწყეთ ყოველგვარი შეზღუდვა და კარგად მოილხინეთ, სამაგიეროდ, მომდევნო კვირაში აღარ ჩამოხვდით სასწორიდან, მთელი დღეების განმავლობაში კომბოსტო ახრამუნით და მწვანე ჩაი დააყოლეთ; მესამე — სერიოზულად მოემზადეთ დღესასწაულისთვის, წვეულებამდე რამდენიმე დღით ადრე, დაიცავით მკაცრი დიეტა, რათა სადღესასწაულო სუფრასთან თავს ნებეზობის უფლება მისცეთ; მეოთხე წესი არ საჭიროებს პროლოგსა და ეპილოგს — იგი უბრალოდ დღესასწაულის დღეებში ნაკლები კალორიების მიღებას გულისხმობს.

● უარი თქვით ღორის ცხიმოვანი ხორცისაგან მომზადებულ პროდუქტებზე და არ დაგავიწყდეთ, რომ კალორიების განსაკუთრებით დიდ რაოდენობას შეიცავს ქონი; ხორცეულიდან უპირატესობა მიანიჭეთ მოხარ-

შული ქათმის ან ინდაურის მკერდის ნაწილს (თეთრ ხორცს) ანდა ძროხის მჭლე ხორცს. გაითვალისწინეთ — ბარკლის ხორცი მაღალკალორიულია;

● შემწვარი ხორცის მირთმევისას, მას გარეთა, დაბრაწული კანი შემოაცალეთ, რადგან სწორედ მასშია შეწოვილი მთელი ცხიმი. ასევე მოიქცეთ თევზის ჭამისას.

● საახალწლო სალათა დაბალკალორიული მაინებით შეაზავეთ;

● ხიზილალის ბუტერბროდის მომზადებისას, პურზე კარაქი რაც შეიძლება თხლად წაუსვით ან საერთოდ ნუ წაუსვამთ, პური კი უმჯობესია, გამოშშრალი იყოს. თქვენთვის ახალგაბომცხვარი პური არ ივარგებს;

● ცხელი სადილი დამატებითი ცხიმის გარეშე მოამზადეთ. ქათამი და ინდაური საკუთარ ცხიმშივე ჩაშუშეთ. საცივის გადმოღებისას თქვენს ულუფას მოაშორეთ ზედა, ცხიმოვანი ფენა. საერთოდ კი, ნივთიანი კერძების ჭარბად მიღებას არ გირჩევთ, რადგან ნივთი მაღალკალორიულია;

● კერძი რაც შეიძლება ნაკლებად დაამარილეთ; უფრო გემრიელი კი, იმ შემთხვევაში გამოვა, თუ მეტ საკაზმსა და მწვანე ილუქს მოაყრით;

● საკვებს მინერალური წყალი

მიაყოლეთ; ტკბილი წვენებიც წყლით გააზავეთ;

● მშრალ ღვინოში გაცილებით ნაკლები კალორიაა, ვიდრე ტკბილში. ამიტომ შამპანურიც კი, მხოლოდ მშრალი მიირთვით და არა ნახევრად ტკბილი და მით უმეტეს — ტკბილი; ისიც დაისსომეთ, რომ ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელი მდას ალკოტებს;

● ჩაროზად ნამცხვრის მაგიერ უმჯობესია, ხილი ან ჩირი მიირთვათ;

● თუ საახალწლო ტკბილეულზე უარს ვერ ამბობთ, ფენოვან ცომს (მაგალითად, ნაპოლეონს), რომელიც ზედმეტად ცხიმოვანია, ბისკვიტი არჩიეთ, კრემიან ნამცხვარს კი — ვეჟმინი.



ალერგია შამპანურზე

ზოგს შამპანურის ერთი ყლუბის დალევისასაც კი ეწყება აუხსნელი თავის ტკივილი, საფეთქლებისა და შუბლის არეში პულსაციის შეგრძნება. სპეციალისტთა აზრით, ასეთი რეაქცია ნატრიუმის გლუტამატის აუტანლობით აიხსნება. ამ ნივთიერებას ზოგჯერ შამპანურში გემოს გასაუმჯობესებლად ამატებენ. ზოგი კი ვერ იტანს დუდილის პროდუქტების შემცველ სასმელებს (ლუდს, ბურახს, შამპანურს...)

თუ შამპანურის ერთი ბოკალის შესმისთანავე, გასული წლის გაცილებიდან ცრემლების დვრას იწყებთ და თან ცხვირში გასრუტუნებთ, აქ სენტიმენტალობა არაფერ შუამია — ეს ალერგიაა. ამავე დროს, ალერგიული რეაქცია უნდა გქონდეთ ობზე, როკფორსა და სხვა ობიან ყველზე. ფრთხილად იყავით — თუ მკურნალობა დაგჭირდათ, თქვენი ორგანიზმისთვის მიუღებელია პენიცილინის ჯგუფის პრეპარატები.

ყველა სხვა ადამიანისთვის შამპანურის სმა „შუშუნა სიამოვნების“ წყაროა, მისით გამოწვეული მსუბუქი თავბრუსხვევა

შამპანური ყველასათვის სასიამოვნო, გემრიელი სასმელი როდია. ზოგიერთს ნებისმიერი გაზიანი სასმელის მიღებისას კუჭის წვა და მტკვარიზმი (გაზების დაგროვება) ეწყება. ამიტომ ექიმები იმ პაციენტებს, რომელთაც გასტრიტი ან ქოლეცისტიტი აწუხებს, არ ურჩევენ, შამპანურით შეხვდნენ ახალ წელს.

სადღესასწაულო განწყობას კიდევ უფრო ალაამაზებს და თუმცა შამპანური არ მიეკუთვნება სამკურნალო ღვინის კატეგორიას, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ იგი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და ხელს უწყობს ორგანიზმის დეტოქსიკაციას. ფრანგი ექიმები შამპანურს უნიშნავენ ავადმყოფებს გამოჯანმრთელების პერიოდში, მადის გასაუმჯობესებლად, ქალბატონებს კი — ძვლების სიმციფის დროს.

შეკითხვა შამპანურის შესახებ

როგორ განვასხვავოთ ნამდვილი შამპანური ხელოვნური გაზიანი ღვინოებისაგან?

ნამდვილი შამპანური ღია თივისფერია, მომწვანო ელფერით. ყვითელი, მოყვითა-

ლო-მოყავისფრო, ქარვისფერი სასმელი უფრო დაბალი ხარისხისაა. თუ ღვინო, როგორც ალუბლისას მსუბუქად არ შუშუნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ღვინო კი არ დადუღდა, არამედ მომზადდა ხელოვნურად ნახშირორჟანგის გამოყენებით.

რამდენ ხანს უნდა შუშუნებდეს შამპანური ბოკალში?

იდეალურად ითვლება შამპანური, რომელსაც აქვს წვრილი ბუშტები და ღიბანს შუშუნებს. ელიტური ფრანგული სახეობები ძალზე ხანგრძლივად ინარჩუნებს ამ უნარს: ბოკალში დასმული შამპანური ერთი დღე-ღამის განმავლობაში შუშუნებს. იაფფასიანი ღვინოებს დასხმისას კი, სქელი ქაფი უჩნდება და მამინვე ქრება.

2004 წლის

ასპროლოგიური პროგნოზი

მარტი - 21/III-20/IV



ფორტუნა გილიმით; საინტერესო საქმიანი და პირადი ურთიერთობების წელია. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. ამ წელს საზღვარგარეთთან კონტაქტების დამყარება განსაკუთრებით გაგვიადვილებათ. გაითვალისწინეთ ეს წლის დასაწყისშივე.

აპრილი - 21/IV-21/V



სწორად დასახული მიზანი და პრინციპულობა სასურველ შედეგამდე მიგიყვანთ. შორეული გეგმები გვერდზე გადადეთ და გაიუმჯობესეთ მატერიალური მდგომარეობა. ბევრი კურო ამ წელს ახალ სახლში გადავა, ახალ მანქანას იყიდის ან სხვა „ძვირად ღირებულ ოცნებას“ აისრულებს.

მაისი - 22/V-21/VI




„ვინც ეძებს, პოულობს კიდევ“. წარმატება გელით მცირე ბიზნესში და შემოქმედებით საქმიანობაში. პირად ცხოვრებაში მერყეობასა და დაუფიქრებელ ნაბიჯებს ერიდეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში მაიმუნის ცინიზმის მსხვერპლი შეიქნებით. უყურადღებოდ ნუ დავტოვებთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ივნისი - 22/VI-22/VII



დაყრდენით საკუთარ ინტუიციას, გამოცდილებას და უკანმოუხედავად იმოქმედეთ; გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, ემოციებს ნუ აპყვებით და დინჯად აკეთეთ თქვენი საქმე. თუ ზოგიერთი მონაპოვრის დათმობას შეძლებთ, წარმატებები პირად ცხოვრებაშიც გელით.

ივლისი - 23/VII-23/VIII



მაიმუნი ლანგრით არაფერს მოგართმევთ. ირგვლივ გონივრულად მიმოიხედეთ, წინდახედულად გადადეთ ნაბიჯი და ილბალიც გამოგყვებათ. მთავარია, ახალი საქმის წამოწყების ინიციატივა საკუთარ თავზე აიღოთ!

აგვისტო - 24/VIII-23/IX



ფორტუნა მაიმუნივით ოინბაზობს. ეცადეთ მიაგნოთ ტოტს, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობთ. იზრუნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზეც; ოქტომბერ-ნოემბერში ფიზიკური თქვენი აქტივობა გაიზრდება და წარმატებების ხანაც დაგიდგებათ. პირად ცხოვრებაში მოერიდეთ ზერედე, სპონტანურ ურთიერთობებს.

სექტემბერი - 24/IX-23/X



სამსახურებრივი პრობლემები, პირად ცხოვრებაშიც ბზარს გაგიჩენთ. სიტუაცია მშვიდად გააანალიზეთ, ებიეთ შეცდომები და წინააღმდეგობებიც მედგრად გადალახეთ. 2004 წელი შესანიშნავი დროა უძრავი ქონების შესაძენად. სასწორებს მხოლოდ სხვა ქვეყანაში გამგზავრებას არ ურჩევენ.

ოქტომბერი - 24/X-22/XI



ახლობელთა რჩევებს თუ გაითვალისწინებთ და ემოციებსაც გააკონტროლებთ, წარმატება არ დააყვანებს. მოერიდეთ კონფლიქტებს ზემდგომ პირებთან და ოჯახის წევრებთან. იმოგზაურეთ, დაისვენეთ, გაერთეთ. ახალი სახეები საინტერესო სიახლეებს შემოგთავაზებენ და პირად ცხოვრებასაც გაგილამაზებენ.

ნოემბერი - 23/XI-21/XII




არ დაიზაროთ, გამოყავით დრო საქმიანი ვოიაჟებისთვის, რათა უზრუნველყოთ პირადი კეთილდღეობა. საინტერესო ცვლილებები გელით გრძნობათა სამყაროშიც. თუ არ გინდათ, მთელი წელი ფინანსური პრობლემებით გაიტანჯოთ, ნუ ისესხებთ და ნუ გაასესხებთ დიდი რაოდენობით ფულს.

დეკემბერი - 22/XII-20/I



მოულოდნელი სიურპრიზები, გაუთვალისწინებელი შედეგებით დასრულდება; თუმცა წინააღმდეგობებთან ბრძოლა ძალას, ენერგიას შეგმატებთ და სიტუაციასაც გამოგისწორებთ. პირად ცხოვრებაში მოერიდეთ ექსპერიმენტებსა და ვნებათაღელვას.

იანვარი - 21/I-19/II



შემოქმედებითი აქტიურობისა და მჩქეფარე პირადი ცხოვრების პერიოდი; უფროსებთან დაპირისპირებას არ გირჩევენ. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, რათა წარმატება სტაბილური და ხანგრძლივი იყოს. თავი შეიკავეთ არაკორექტული საუბრებისა და მენტორული ტონისაგან, თორემ ამ წელში უახლოესი მეგობრები ზურგს შეგატყვენ.

თებერი - 20/II-20/III



რომანტიკული გატაცებისა და დაუზოგავი შრომის წელია; მოსალოდნელია საცხოვრებელი ადგილისა და სამსახურის შეცვლა. რთული დასაწყისი, შეუპოვრობა, ხანგრძლივი გამარჯვების საწინდარია. მთავარია, მაუნე ჩვევებმა და პესიმიზმმა არ დაგრიოთ ხელი.

ახალგაზრდა რეჟისორი დანი დარჩიბა კლიპებს ყოველთვის მეგობართან — ლევან (ბასა) სამხარაძესთან ერთად იღებს, რადგან მისი თქმით — ამხელა პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ავიღო, იმ დონემდე ვერ კიდევ ბევრი მიკლიაო... დაჩის პირველ კლიპს, რომელიც ქეთა თოფურას „შაირზე“ არის გადაღებული, მაყურებელთა დიდი მონახება ხვდა წილად. სულ ახლახანა კი, რეჟისორმა შორენა ყარყარაშვილის სიმღერაზე — „ღამდება“ კლიპის გადაღება დაასრულა.

ნათია ქვიციკა

— დაჩი, პროფესიით კინორეჟისორი, მხოლოდ კლიპებზე რატომ მუშაობ?

— დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო და ტელერეჟისურის ფაკულტეტი. ჩემმა სადიპლომო ნამუშევარმა — „ცხოველთა დიალოგი“ საკმაოდ დიდი წარმატება მომიტანა. მასში მონაწილეობდნენ ცნობილი მუსიკოსები: ჯარჯი მაღალაშვილი და მისი მეუღლე ძინი ვირსალაძე, ასევე... მათი კატა — ვასილი. ეს ფილმი ვერ ეკრანზე გამოსული არ იყო, როცა ქეთა თოფურას დედას, ქალბატონ ნატას შევთავაზე — „შაირზე“ კლიპს გადავიღებ-შეთქი. ამ კლიპის სცენარიც მე და ლევანმა ერთად დავწერეთ. ასევე ერთად ვიმუშავეთ შორენა ყარყარაშვილის კლიპზეც. რაც შეეხება კლიპშიეკრობას — ცხადია, საერთოდ, ფილმის გადაღება უფრო მიზიდავს, მაგრამ ეს იმხელა თანხებს მოითხოვს, რომ სულ უმუშევრად ყოფნას მიჩვევია, ნაფიქრები კი არ დავაგროვო, არამედ მუსიკალურ კლიპებზე „დავხარჯო“, თუმცაღა, არც ეს ჯდება მაინცდამაინც იაფი.

— კლიპის გადაღებისას, უფრო დიდ მნიშვნელობას რას ანიჭებ — სიმღერას თუ მის შემსრულებელს?

— ჩემთვის მომღერალსა და მის პოპულარობას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მე, როგორც რეჟისორი, ჩემ მიერ გადაღებული კლიპით მას პოპულარიზაციას ვუწყებ. რა თქმა უნდა, მაინტერესებს, როგორია სიმღერის მუსიკალური წყობა და რიტმი, რაც მეტ შანსს მძლევს, რომ ჩემი ნამუშევარი გააზრებულად ავაწყო.

— როცა სიმღერას უსმენ, სცენარის მონახაზი მაშინვე მოგდის თავში თუ ამისთვის დიდხანს ფიქრი გჭირდება?

— არ არსებობს მუსიკა, რომლის საკუთარი ხედვა არ მაქვს. შინაც რომ ვუსმენ

„შაირის“ დაგდგმული დათო ევენიდის მუსიკის „გაკლიპებას“ აპირებს



ხოლმე კლასიკას ან ჯაზს, უცებ წარმომიდგება თვალწინ კადრები, რომელიც ამ მუსიკას მოუხდებოდა. არასოდეს გამჭირვებია სცენარის მოფიქრება. ლევან სამხარაძე დრამის რეჟისორი და მსახიობია, რაც ძალიან მეხმარება მსახიობებთან მუშაობის დროს.

— რატომ დაუკავშირე „შაირი“ მაინცდამაინც ქართულ ფილმს — „შეხვედრა მთაში“?

— ეს სიმღერა რომ მოვისმინე, რატომღაც მაშინვე ლეილა აბაშიძე და თენგიზ არჩვაძე წარმომიდგნენ თვალწინ. შესაძლოა, ეს იმიტომაც მოხდა, რომ ამ სიმღერის მოსმენამდე რამდენიმე კვირით ადრე, დავესწარი ლეილა აბაშიძის ბენეფისს, საიდანაც ძალზე ნასიამოვნები, სეფიანი და ემოციებით დატვირთული წამოვედი. ვერ კიდევ მაშინ გადავწყვიტე, რომ ამ თაობის ადამიანები, რომლებიც დღეს თავიანთი პროფესიონალური საქმიანობით დაკავებული არ არიან, სადმე გადამელო. იმის გამო, რომ „შაირი“ ქართულ „ფოლკთან“ ახლოს დგას, მათი გადაღების საშუალება მომეცა.

— თავად მომღერლებთან მუშაობა რამდენად კარგად აგნეყო? ხომ არ ჭირვეულობდნენ?

— უნდა აღვნიშნო, რომ ქეთა თოფურია, გარდა იმისა, რომ კარგი მომღერალია, მსახიობური მონაცემებითაცაა დაჯილდოებული. დამთავრებულიც არ მქონდა ხოლმე ფრაზა, რომ აკეთებდა იმას, რაც საჭირო იყო. ვურჩევდი, თეატრალურ ინსტიტუტშიც ესწავლა... რაც შეეხება შორენას — მას სამსახიობო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული,

ამიტომ მასთან მუშაობა მით უფრო არ გამჭირვებია. თანაც, ლევანი და შორენა დიდი ხნის მეგობრები არიან და ლევანმა კარგად იცის მომღერლის შესაძლებლობები.

— რეჟისორები გადასაღებ მოედანზე ხშირად ყვირიან და ჩხუბობენ ხოლმე. შენც ასე იქცევი?

— (იცინის) ძალიან ხშირად ვყვირი. როცა რაიმე პრობლემა გვექმნება, გამოსავალს ყვირილში ვხედავ. ხშირად ყოფილა შემთხვევა, მე და ბასას ერთმანეთში გვიკამათია და მეორე დღეს, მეგობრებს დაურეკავთ და უკითხავთ — ცოცხლები ხართო? ჰგონიათ, რომ ერთმანეთს დავხოცავთ...

— როგორ არჩევ კლიპის გადაღებისთვის საჭირო ადგილებს?

— ძალიან მიჭირს ობიექტების არჩევა, რადგან რაც ჩემს წარმოსახვაშია, ისეთ ადგილებს ვერ ვპოულობ. საჭირო ობიექტს კი, დეკორაციით ვერ შევქმნი, რადგან უპირველესად, ამას დიდი თანხა სჭირდება, თანაც ეკრანზე ხელოვნური, თეატრალიზებული გამოვა.

— გადაღების დროს, სცენარს ხშირად ცვლი?

— არასოდეს გადამიხვევია სცენარში დასახული გეზისთვის. უბრალოდ, ყოფილა შემთხვევა, რომ როდესაც მომღერალი ღებლის გადასაღებდ ემზადებოდა, ჩართულ კამერას შემთხვევით მისი ბუნებრივი მოძრაობა დაუფიქსირებია, რომელიც მერე, მონტაჟის დროს გამომიყენებია.

— ახალი კლიპის გადაღება თუ გაქვს დაგეგმილი?

— ჩაფიქრებული მაქვს დათო ევენიდის კლიპის გადაღება, ვოკალის გარეშე. სცენარიც დაწერილია, უბრალოდ, ახლა დათო საზღვარგარეთაა წასული და მის ჩამოსვლას ველოდები.



მეგობრებს დაურეკავთ და უკითხავთ — ცოცხლები ხართო? ჰგონიათ, რომ ერთმანეთს დავხოცავთ...

საჩუქრის მიღება ყველას უყვარს. მით უმეტეს, თუ რაიმე დღესასწაულია. ზოგს კი საჩუქრების მიღებაზე მეტად ახლობლებისა და მეგობრებისთვის საჩუქრების შერჩევა და ჩუქება სიამოვნებს. ახალი წელი საჩუქრების მიძღვნისა და მიღებისთვის შესანიშნავი პერიოდია. საახალწლო საჩუქრის მიხედვით კი, თქვენი ახლობლებისა და საკუთარი თავის შესახებაც ბევრი რამის გაგება შეგიძლიათ.



საჩუქრის მიხედვით ადამიანის ხასიათის გაპოვნობა უეიკლუბა

1) ცდილობთ თუ არა საჩუქრის შერჩევას, მასში რაიმე განსაკუთრებული აზრის ჩადებას?

- ა) დიას - 5;
- ბ) იშვიათად - 4;
- გ) არა - 3.

2) დიდი ხანი უნდებოდა თუ არა საჩუქრის შერჩევას?

- ა) დიას - 5;
- ბ) გააჩნია, ვისთვის ეძებოდა საჩუქარს - 4;
- გ) არა, მალე არჩევდა - 3.

3) თვლით თუ არა საჭიროდ, საჩუქრის ყიდვამდე შეუთანხმდეთ ადრესატს, რისი მიღება სურს საჩუქრად?

- ა) დიას, ყოველთვის - 5;
- ბ) იშვიათად - 4;
- გ) არასოდეს - 3.

4) თვლით თუ არა, რომ საჩუქარი აუცილებლად პრაქტიკული და გამოსაყენებელი ნივთი უნდა იყოს?

- ა) დიას, აუცილებლად - 3;

ბ) ყოველთვის არა - 4;

გ) არა, საჩუქარი რომანტიკული უნდა იყოს - 5.

5) თქვენი აზრით, სწორია თუ არა მოსაზრება იმის შესახებ, რომ რამდენიმე წვრილმანი საჩუქრის მირთმევას ერთი ღირებული ნივთის ჩუქება ჯობს?

- ა) დიას - 5;
- ბ) გააჩნია, რა შემთხვევაში - 4;
- გ) არ არის სწორი - 3.

6) ზრუნავთ თუ არა იმაზე, რომ საჩუქარმა თქვენს ახლობელს მუდამ გაახსენოს თქვენი თავი?

- ა) დიას, აუცილებლად - 3;
- ბ) ცდილობთ, ოღონდ, ხან გამოვლით, ხან არა - 4;
- გ) არა - 5.

7) თვლით თუ არა, რომ საჩუქრის შერჩევას მისი ფასის და ხარისხის გათვალისწინება აუცილებელია?

- ა) დიას, აუცილებლად - 3;
- ბ) გააჩნია შემთხვევას - 4;

გ) არა - 5.

8) თვლით თუ არა, რომ საჩუქრის მიღება ვინმეს წინაშე ვალდებულებას გძენთ?

- ა) დიას - 3;
- ბ) არა - 5;
- გ) გააჩნია სიტუაციას - 4.

9) საჩუქრის ყიდვისას ფიქრობთ თუ არა იმაზე, თქვენთვის რამდენად გესიამოვნებოდათ ასეთი საჩუქრის მიღება?

- ა) დიას, აუცილებლად - 3;
- ბ) ხანდახან - 4;
- გ) არასოდეს - 5.

10) ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ მეგობრები ერთმანეთს მხოლოდ სიმბოლურ საჩუქრებს უნდა უძღვნიდნენ, რადგან ძვირად ღირებული ნივთის საჩუქრად მიღება ადამიანებს ზედმეტ ვალდებულებას სძენს?

- ა) დიას - 3;
- ბ) ამას ყურადღებას არ აქცევთ - 4;
- გ) არა - 5.

დააჯამეთ ძულაბი

30-36 ძულაბ: ტრადიციებს დიდ პატივს სცემთ. თვლით, რომ ცხოვრებაში მთავარია სიმშვიდე და სტაბილურობა. საიმედო ადამიანი ხართ, ეს ყველამ იცის. საჩუქრების მიძღვნა არასოდეს გავიწყდებათ, — ახალი წელი და ახლობლების დაბადების დღეები მუდამ გახსოვთ და ყველას ულოცავთ.

37-43 ძულაბ: სურვილი გაქვთ, სხვებზე უკეთესი იყოთ. ამას საჩუქრის შერჩევასაც აგ-

ლენთ და ცდილობთ, ახლობელს ისეთი რამ აჩუქოთ, რითაც ხალხის გაკვირვებას შეძლებთ, ხოლო ის, რაში გამოიყენებენ თქვენს საჩუქარს, საერთოდ არ განაღვლებთ.

44-50 ძულაბ: თქვენ ადვილად შეგიძლიათ გამოიცნოთ ახლობელი ადამიანების სურვილები. თქვენთვის მთავარია გაუგოთ მათ და გაახაროთ. საჩუქრების მიძღვნა ძალიან გიყვართ, თუმცა, საუბარს პატივისცემას არასოდეს ვლით.

მშობლების გახეგნობა ბავშვის ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს

ბავშვთა ჯანმრთელობის ღონღონის ინსტიტუტის მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ მშობლების გარეგნობა პირდაპირ გავლენას ახდენს ბავშვებზე.

როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, როცა მამა მსუქანია, ხოლო დედა არცთუ ისე მაღალი, ბავშვი ნაკლებწონიანი იბადება, მაგრამ დილობაში იგი სიმსუქნისკენ იქნება მიდრეკილი. აგრეთვე, ასეთ ბავშვებს მეტი შანსი აქვთ გულის მიიმე დაავადებები, მაღალი წნევა და დიაბეტი დაემართოს.

გამოკვლევაში 7000 მამაკაცი და ქალი მონაწილეობდა, რომლებიც 1958 წლის მარტში არიან დაბადებულიები.

ჟურნალ pf Epidemiology and Community Health-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ასეთი ბავშვები დაბადებისას მსუბუქი წონისანი არიან, ხოლო 38 წლის ასაკში პირიქით, ჭარბწონიანობისგან იტანჯებიან. გარდა ამისა, ისი-



ნი თანატოლებზე 3 სანტიმეტრით დაბლები არიან. ბავშვისთვის სარისკო არის დედის სიმადლე, მამის კი არანაირ ზეგავლენას არ ახდენს მის ჯანმრთელობაზე. რაც შეეხება წონას, აქ სრულიად საპირისპირო სიტუაციაა. მამის ჭარბმა წონამ მომავალში სავსებით შესაძლებელია იმოქმედოს ბავშვის ჯანმრთელობაზე, მაშინ, როცა დედის წონას ამ შემთხვევაში, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

წლის ყველაზე სექსუალური ქალბატონები

ამერიკულმა ჟურნალმა FHM-მა „2003 წლის ყველაზე სექსუალური ქალბატონების“ სია გამოაქვეყნა



გასული წლის „ყველაზე სექსუალური ქალბატონად“ ფერადკანიანი „ოსკაროსანი“ მსახიობი ჰოლი ბერი აღიარეს.

მეორე ადგილზეა ახალგაზრდა ავსტრალიელი მომღერალი ჰოლი ველენსი. 19 წლის ველენსის კარიერა სულ ახლახან წარმატებით გამოშვებული სადებიუტო ალბომით – The Footprints – დაიწყო. ამ დისკით მომღერალმა ავსტრალიის ჰიტალბუმები დაიპყრო. ახალგაზრდა ვარსკვლავმა თავიანთი მცემლებს გულიც კი დასწყვიტა, როცა განაცხადა, რომ პოპმუსიკის ასპარეზზე მხოლოდ 27 წლამდე აპირებს მოღვაწეობას, შემდეგ კი ოჯახის შესაქმნელად შოუბიზნესიდან წასვლას გეგმავს.

მესამე ადგილი ამერიკელმა მომღერალმა ბრიტნი სპირსმა დაიკავა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ახალი ალბომი – In the Zone გამოუშვა.

მეოთხე ადგილზე ბრიტანული გუნდის S Club 7-ის სოლისტი რეჩელ სტივენსი აღმოჩნდა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ყველაზე მომხიბლავ ქალბატონად მანამდეც არაერთგზის უცნაო.

მესუთე ადგილზე ამერიკელი მსახიობი კარმენ ელექტრა გახლავთ.

მექვსეზე – ყველაზე ძვირად ღირებული ქალბატონის სახელით ცნობილი ჯენიფერ ლოპესია, რომელიც 2003 წლის „ლეგენდარული უკანალის“ ტიტულის მფლობელიცაა.

მეშვიდეზეა კიდევ ერთი ჰოლივუდელი მსახიობი ჯენიფერ ლავ ჰიუიტი.

FHM-ის სიაში მერვე ადგილი რუსმა ფოტომოდელმა და ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ დაიკავა.

მეცხრე ადგილზე სექსუალური ავსტრალიელი მომღერალი კაილი მინოუგი გავიდა. მისმა ღამ ღენიმ კი, 27-ე ადგილი დაიკავა. ათეულში შევიდა მსახიობი და ფოტომოდელი ჯოლინ ბლეკლი.



აშშ-ის მეტროში იხემა შეიქისა

ალბათ ჯერ არავის უხილავს მეტროს სადგურში მოსეირნე ირემი. თუმცა სწორედ ამგვარი ამბის შემსწრენი შეიქენ ამერიკელები. მეტროპოლიტენის ადმინისტრაციამ კი ირემის შესახებ სრულიად შემთხვევით შეიტყო. იგი ვიდეომეთვალყურე კამერებზე დაფიქსირდა. ვაშინგტონის გარეუბნებში უამრავი გარეული ცხოველი დადის. ამის საწინდარი კი სუფთა ჰაერი და მათ მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება გახლავთ. ირემები ადრეც შეუნიშნავთ მიწისზემოთა მეტროს გზებზე, მაგრამ ექსკალატორით ქვემოთ ჩასული – არასოდეს. „ჩვენ მას ცნობილი საშობაო პერსონაჟის სახელი – რუდოლფი შევარქვით, – აღნიშნა ვაშინგტონის მეტროპოლიტენის წარმომადგენელმა ლაიზა ფარბსტაინმა. რუდოლფი პატარა ირემს ჰქვია, რომელიც პოპულარული საბავშვო მოთხრობებისა და მუტფილმების გმირია.

ამ მოვლენის თვითმხილველებმა კი ირემის გამოჩენა სიმბოლურად შობის მოახლოებას დაუკავშირეს, ვინაიდან სანტა-კლაუსის მარხილში, რითაც იგი ბავშვებს საჩუქრებს ურიგებს, ტრადიციულად სწორედ ირემები არიან შებმულები.



ჟოკოკუნიონები



უფროსებო! გაახარეთ პატარები!

65/47

F1224
2004

პირა რეგულაციული
სამაგისტრო შექმენებითი მოთხრობა

კუთქუნას და ეპოპოპოს უსნაშრი სახალფლო თავბაღასაგალი



ყველა ნიგნში სიურპრიზია!

ნიგნები იყიდება საგაზეთო ჯიხუჯებში და ნიგნის გაღაზიებში